ᲙᲝᲠᲝᲚᲘ



5 2018

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის მე-60 წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2018 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე

ცისანა ანთაძე

გენრი დოლიძე

შოთა ზოიძე

დავით თედორაძე

ლალი კონცელიძე

გუნა სამნიძე

რამაზ სურმანიძე

ჯემალ სურმანიძე

ბელა ქებურია

ვახტანგ ღლონტი

თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

ანდრო ბედუკაძე – წიწამურთან რომ... 3
ანზორ კუდბა – ევლია (რომანი. გაგრძელება) 6
ზაზა სუყაშვილი – ლექსები 48
ჯემალ სურმანიძე – ლექსები 55
ავთანდილ ბერიძე – ლექსები 60
მელი თურმანიძე – ლექსები 72

თარგმანი

ტარიელ ცხვარაძე – ზონა №13 (მთარგმნელი **ანდრია დურმიში**) 76

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

როსტომ ჩხეიძე – გზა ზიგზაგური ნოდარ დუმბაძისა 83
ნოდარ შოშიტაშვილი – „კლარჯეთი – ქვეყანა დიდებულთა უდაბნოთა შინა“ 100
ნაზი ჯინჭარაძე – დისტოპიური რომანის გმირი 108
ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) 110

ინტერვიუ პოეტთან

როინ აბუსელიძე – ინტერვიუ რეზო გეთიაშვილთან 117

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲯᲔᲓᲣᲙᲐᲫᲔ

ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ...

1907 წელს, ძველი სტილით 30 აგვისტოს, ახლით კი – 12 სექტემბერს წიწამურთან მოკლეს თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალი ილია ჭავჭავაძე, სასტიკად სცემეს მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს და მოკლეს ილიას მსახური იაკობ თარაშვილი (ბითარიშვილი). მას შემდეგ გავიდა 110 წელი. დღესაც მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, თუ ვინ მოამზადა, ვინ შეუკვეთა და ვინ აღასრულა მკვლელობა. ბოლო დროის გამოკვლევებმა დამაჯერებლობა შემატა იმ აზრს, რომ მკვლელობა შეამზადეს სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთამ – მენშევიკებმაც (ნოე ჟორდანია) და ბოლშევიკებმაც (ფილიპე მახარაძე). აღმსრულებელთა ერთი სახელი „ვინმე იმერელი“ დღემდე იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ვფიქრობ, დღეს უკვე დადგენილია მისი ვინაობა, რაშიც უპირველესი წვლილი მიუძღვით მკვლევრებს – თენგიზ სიმაშვილსა და ნოდარ გრიგალაშვილს.

მკითხველი შენიშნავდა, რომ არ ვასახელებთ არც ერთი მკვლელის სახელს, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ისინი ვერ ახსნიან ილიას მკვლელობის არსს. სამწუხაროდ, ისინი უკვდავნი გახდნენ მათ მსხვერპლთან ერთად.

გალაკტიონმა 1907 წლის ტრაგედიის შესახებ დაწერა „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“. პოეტმა 1907 წელი გამოაცხადა ეპოქათა მიჯნად, ილიას მკვლელობამდე დროს კი დიდი ეპოქა უწოდა. ოღონდ არ თქვა, თუ როგორი იყო იგი თავის სიდიადეში და რა ხანა დაიწყო 1907 წლის შემდგომ. ამ საკითხსაც შეეხო გალაკტიონი, ოღონდ სხვა სტრიქონებით. „ეპოქა დიდი“ – თქვა პოეტმა და საფიქრალი დაგვიტოვა. იმ ეპოქის სიდიადის განსაზღვრა ჩვენ ილიას მკვლელობის არსის განსაზღვრაში დაგვეხმარება.

1801 წლიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, შემდგომ მიაყოლა და შეიერთა იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო; გააუქმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია – საქართველოში არ დარჩა არც ერთი ინსტიტუტი ერზე

მოფიქრალი, ერზე მზრუნველი. საქართველო არ შეგუებია ადვილად ყოველივე ზემოთქმულს და მოაწყო 1804 წლის – მთიულეთის, 1812 წლის – კახეთის აჯანყებები, 1832 წელს შეთქმულება... მაგრამ ყველაფერმა ამან მარცხი განიცადა. ძალით იმპერიის წინააღმდეგ წასვლამ აზრი დაკარგა. ქართველი არისტოკრატია დაბნეულობამ და პესიმიზმმა მოიცვა. და ამ დროს ბარათაშვილს შემოაქვს გამამხნევებელი სხივი: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო, ჩემო მაინც დარჩება“, და რაღა თქმა უნდა, დარჩა კიდევაც. ამავე დროს, შეიძლება გულუბრყვილო, მაგრამ მაინც გზისკენ მიმანიშნებელი: „მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო; მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“. ყინულის დნობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ განათლებული ხალხი მართლაც მოგვიმრავლდა ამ ეპოქაში.

ბრძოლის ფორმა უნდა შეიცვალოს – ამისკენ მიგვანიშნებს ბართაშვილი და სულაც აღარაა გასაკვირი, რომ ილიაზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბარათაშვილის ლექსებმა. ბარათაშვილი გახდა ილიას, არა მხოლოდ პოეტური შთაგონების წყარო, არამედ იდეური საყრდენიც. ამიტომაც უწოდა აკაკიმ ილიას „ბარათაშვილის მოკარნახე“. ბარათაშვილისაგანაა შთაგონებული „ჩვენ უნდა ახლა ვსდიოთ სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“. ამ ახალი ვარსკვლავის ძიების შედეგი იყო ჟურნალი „ცისკარი“, ქართული თეატრი, ოპერა... მართალია, მათ დაარსებაში ილიას არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ეს იყო ხსნის გზის ძიება და წარმატებულიც. როდესაც იმპერიამ დაინახა, რომ „ცისკარი“ და ქართული თეატრის დასი არა იმპერიის, არამედ ქართული იდეის პროპაგანდას ეწეოდა, ამიტომაც შეუწყო ხელი ორივეს დახურვას. ყველა საეროვნო იდეის დამბადებელი და განმახორციელებელი, ისევე როგორც 1832 წლისა, იყო ქართული მწერლობა. მოგვიანებით კი, ილიამ თავის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, განაცხადა „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. ერის წინამძღოლობის დროშის ტარების უპირველესი ვალი მწერლობას დააკისრა. სხვა ჭირისუფალი იმ დროს საქართველოს არა ჰყავდა.

ბარათაშვილის მინიშნებებს მიხვდა ილია, ამიტომაც იყო ტატოსთან პირველი „შეხვედრა“ ილიასთვის ასეთი მძაფრი. როგორც მემუარისტი ამბობს, ღამეები არ ეძინა ილიას და მისთვის სიცხეც კი მიუცია ბარათაშვილის ლექსების წაკითხვას.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის, ილიას მძლავრი ნიჭის წყალობით, სხვა გამოსავლის არქონის გამოც, ერზე ზრუნვის ეკლიანი გვირგვინი მწერლობამ დაიდგა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში გაჩნდა მესამე დასი, რომელიც ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. სწორედ მათ და მათმა გაზეთმა „კვალი“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ილია ჭავჭავაძეს. ეს არ იყო მხოლოდ მსოფლმხედველობითი სხვაობის შედეგად წარმოქმნილი კამათი. სოცდეკებმა ცილისწამების ნიაღვარი მიმართეს ილიასადმი. ეს ყველაფერი ერთ მიზანს ისახავდა: საზოგადოებრივი ასპარეზიდან ჩამოეშორებინათ მწერალი, რომელსაც საქართველოს მომავალი სისხლით შეღებილი არ სურდა. მას რევოლუცია საქართველოსთვის დამღუპველად მიაჩნდა და სურდა კლასთა შერიგება, მათთვის საერთო ნიადაგის მოძებნა. ილია ერის მომავალს წარმოიდგენდა როგორც ეროვნული მოღვაწე, როგორც ჰუმანისტი მწერალი. სოცდეკები ყველაფერს პარტიულ ინტერესებს უქვემდებარებდნენ. ილია ერზე ფიქრობდა, სოცდეკები კაცობრიობაზე (თითქოს კაცობრიობაზე ფიქრი, ერის ინტერესებს აუცილებლად უნდა უპირისპირდებოდეს) ზრუნვას მიიჩნევდნენ უმთავრეს საქმედ. ერი, როგორც ასეთი, მათთვის უკეთეს შემთხვევაში, მეორე ხარისხის საფიქრალი იყო. ისინი ხომ ამ საკითხს საერთოდ არ განიხილავდნენ.

ამ დაპირისპირების შედეგი იყო 1907 წლის წიწამური. ილიას პოლემიკაში დამარცხება შეუძლებელი იყო და მით უმეტეს ისეთი გონებრივი შესაძლებლობების ხალხის მხრიდან, როგორებიც სოცდეკები და მათი ლიდერები იყვნენ. ამიტომაც მათ ილია ტყვიით ჩამოიცილეს გზიდან. 1907 წელი გახდა დასაწყისი პარტიის მხრიდან ზღვარდაუდებელი ტერორისა, რომელიც თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. მწერლობა იქცა პარტიისათვის წინაღობად და თუ მის მორჯულებას ვერ ახერხებდა, იცილებდა – ფიზიკურად ანადგურებდა.

დამთავრდა მწერლური ჰეგემონიის ეპოქა და დაიწყო პარტიული დიქტატის დრო. ერზე ფიქრი მსოფლიო პროლეტარიატზე ფიქრმა შეცვალა. მომდევნო ხანის საქართველოს ილიას სისხლზე აუცდა ფეხი და დღესაც აბარგანავებული დგას, თავი ვერ შეუმაგრებია. დღესაც საფიქრალი მსოფლიო პრობლემებია წინა პლანზე და არა ეროვნული. ისევ გალაკტიონს დავესესხები 1907 წლის შემდგომი საქართველოს აღსანიშნავად: „დაკარგულია გზა მოხევისა, დაბნელდა ხალხო, მიეშველენით“. XIX საუკუნის საქართველო მიმხვდარი იყო მოხევის გულისტკივილს, მისი გულისტკივილის სამკურნალოდ იყო მომართული, მაგრამ 1907 წელი თავისი წიწამურით უდიდესი დაბრკოლების კლდედ აღიმართა. სამწუხაროდ, ეს წინააღმდეგობა კვლავ გადაულახავი ჩანს – წვრილმან პარტიულ ინტერესებს ეწირება დიდი საქვეყნო და საეროვნო საქმე.



ანზორ კუდგა

ევლია*

(რომანი)

* * *

ეს რამდენიმე ხანია ლალი-შაქირა არავის უნახავს სოფელშიო, ბაბუაჩემი მეუბნებოდა?! – გამახსენდა ამ დროს, მეზობლის ბიჭი მეძახდა, თუ დრო გაქვს, გადმოდი ჩვენსასო.

მეც დროის მეტი რა მქონდა და წამოვდექი. ბაბუამაც წამიბიძგა ხელი ჭიშკრისკენ, იქნებ, გაერთოო.

მთელი სოფლის ბიჭებს იქ მოეყარათ თავი. მეც იქით გავეშურე, სადაც „ჯოკერის“ თამაშის დაწყებას აპირებდნენ.

ჩამოარიგეს კარტი და ძირის-ძირში ჩავყევით თამაშს.

ამ დროს იყო, აღმართზე ამომავალი ბიჭის ძახილმა რომ მიიქცია ჩემი ყურადღება. აქ რაღაც უნდა ხდებოდესო, დავასკვენი გულში და კარტი დავყარე ძირს. დანარჩენებმაც მე მომბაძეს.

– რა იყოო, – გასძახეს შეწუხებულ ბიჭს.

– კაცი გდია ღელის პირს, გული არევია და...

– მთვრალი იქნება, – ჩაილაპარაკა როინამ და ხელი ჩაიქნია.

ჰოო, დაეთანხმნენ სხვებიც, მაგრამ როინამ, ხელი კი ჩაიქნია, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა და დაღმართზე დაეშვა. მეც უკან მივყევი.

გზის პირას (ქვევით აქაფებული ღელე მიღრიალებს) კაცი ეგდო, სულ ახალგაზრდა. არც ინძრეოდა, ნერვიც არ შეტოკებია.

გულმა რეჩხი მიყო, გული ხომ არ გაუსკდაო.

– ნოე... – როინა მეუბნება, – ეს ჩვენი გიორგის უფროსი ძმა უნდა იყოს... რუსეთში იყო ფულის საშოვნელად და როგორც ეტყობა, გაძვალტყავებული მობრუნებულა. გაფულიანებულს არ უნდა ჰგავდეს... მე გიორგის დავუძახებ, შენ კი, იყავი აქ. მიხედე, გველი არ ჩაუძვრეს პირშიო.

თავი დავუქნიე როინას, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მობრუნდა, – რომ გადაბრუნდეს, ღელეში მოადენს ზღართანს, – ჩაილაპარაკა თავისთვის. – ღელიდან ქვა ამოიტანა და გვერდზე ამოუდო. ხელები მუხლისთავებზე დაიფერთხა და შეჰყვა აღმართს.

მე დრო და დრო მარჯვენა თვალს მაინც გავაპარებდი აღმართისკენ. გულისფანცქალით ველოდი როინის გამოჩენას. ისიც გამოჩნდა, გიორგი მოუძღოდა წინ.

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 2018 წ.

მომეშვა გულზე და ველარც შევნიშნე, რომ გიორგის მშობლებიც გადმოვიდნენ „მარშრუტ-კიდან“. შეამჩნიეს, როგორ ვერ შეამჩნიეს გულ-წასული, მაგრამ როგორც ვატყობ, ვერ იცნეს და აღმართისკენ ქნეს პირი. მე, თითქოს, წყლით მქონდა პირი დაგუბებული, ველარაფერი ვთქვი და უბრალოდ, თვალი გავაყოლე გიორგის მშობლებს.

ისინიც გაუსწორდნენ ზევიდან ჩამომავალ როინსა და გიორგის და ამ პაპანაქებაში სად მიდიხართო, – დატუქსეს ბიჭები.

– მამა, ღელის პირას რომ კაცი აგდია, ვერ იცანი?

– ვერა, გიო... რა იყო, რატომ მეკითხები? ამ პაპანაქება სიცხეში მაინც რამ დაალევინა იმ უბედურს, რომ აღარ ვიცი?! ვიღაცას ქვა ამოუდვია, რომ ღელეში არ ჩაგორდესო... მაგრამ არაფერია საშიში, თავმდგმურიც თავს ადგა...

– ჰო, ქვა მეც შევნიშნე... – თქვა ქალმა და ხელი მიიფარა სახეზე, – ნამდვილი ჩურუღაა... ოფლში არ გავიწურეთ!

– მერე და ვერ იცანი ის კაცი? – ხელები გაშალა გაკვირვებულმა გიორგიმ.

– ბაბი, მართლა ვერ იცანი ის კაცი?! – ახლა კაცს მიუბრუნდა გიორგი.

– ვერა, გიო...

– რომ არ გავგიჟდე, მეტი არაფერი მინდა! – წამოიძახა გიორგიმ და დედამისისკენ გადადგა ნაბიჯი: – უთხარი მამაჩემს, რომ ის კაცი ჩემი ძმაა, ნუგზარაი!

– შვილო, ნუგზარავ! – შეჰკივლა ქალმა.

– იქცევა დუნია-მემლექეთი, იქცევა და... – ამოიგმინა მამამ, – მართლა დეიქცა, მგონია... – ჩაილაპარაკა და პირი გზისკენ, ზედ ღელის პირთან გაშოტილი ნუგზარისკენ ქნა, – ეს რა დაგვემართა, ეს რა დაგვემართა... ჩვენი შვილი რომ არ ყოფილიყო, – გონს მოვიდა კაცი, – მინირე, რაო, არ უნდა მივშველებოდით?!

კაცმა ზურგზე მოიგდო შვილი და ხვნეშა-ხვნეშით აათავა აღმართი.

მერე: სასწრაფოც დარჩა გამოსაძახებელი.

სოფელი კი... ბინდში ეხვეოდა...

ვიფიქრე: ასე გასრულდება ეს დღეო და შარაგზაზე გამოვედი.

იმ ადგილზე ვიდექი გაუნძრევლად, ნუგზარი რომ იწვა და ველოდი რაღაცას, არ ვიცი რას, მიფანცქალებდა გული და ვთრთოდი თითქოსდა შეშინებული.

მაგრამ მალე გამოვედი ამ მდგომარეობიდან და თვალი მოვიჩრდილე, ასე გავხედე გზას და წერტილი შევნიშნე შორს. იზრდებოდა ეს წერტილი...

ლალი-შაქირა იყო:

– შენ ხარ მართლა თუ... მხოლოდ წარმოგისახე?

„ამას შენ კი არა, მე წარმოვისახავ... ჩემი ფიქრია, შენს ფიქრს რომ გადაჭდობია...“ – გავიგონე და „მართლა ჯაზი ხომ არაა ლალი-შაქირაი-მეთქი“, – უნებლიეთ გავიფიქრე.

„ნოე... ზოგჯერ თვითონ ვარ გაკვირვებული, ნუთუ ასეც შემძლებიაო... მაგრამ ჯაზი როდი ვარ?“

– მე კი აღარაფერი გამიკვირდება შენგან...

ლალი-შაქირა კი მიახლოვდება სულ უფრო და უფრო...

იღიმება.

ხელსაც ჩამომართმევს და გამაჟრიალებს.

გაიცინებს და არაფერს მეტყვის.

მერე: თავზე დამადებს ხელს და თვალით მაგრძნობინებს, რომ ხმა არ ამოვიღო, დუმილად ვიქცე და თვალი გავახილო, ვიქცე ყურად და ავმდინარდე მდინარესავით.

ჩაფიქრდება ლალი-შაქირა და სულსაც გადამიხსნის წასაკითხავად. ვკითხულობ მეც იმის ფიქრს: „გრაფთან სიფრთხილე გმართებს, ჩემო ნოე, მაგრამ მე მაქვს შენი იმედი, შენ აიცილებ ყოველგვარ საფრთხეს, მაგრამ... ჯერ დაეცემი და აღდგები მერე! ეს შენი არჩევანია, შენ გადაგიწყვეტია ასე და მე რა უფლება მაქვს, დაგიშალო რამე, მაგრამ გეტყვი კი, რომ უკვე გაგმრუდებია გზა, ჩემო ნოე და რაც უფრო ადრე მიხვდები ამას, მით უკეთესი შენთვის! ახლა ჩემს სულში მოგზაურობაც არ გაწყენდა, აგერ ჩემი ფიქრიც, დროა, ჩემზეც იცოდე რამე – გახსნი-

ლია შენთვის სულის კარები ჩემი, შეგიძლია, ჩამოიხედო ჩემში!“

მეც ვაკაკუნებ კარზე.

იგიც იღება.

შიგ ლალი-შაქირას ფიქრი შემიძღვება და ალაპარაკდება ეს ფიქრიც:

„ჩამომდგარა დღე, რომელსაც თარიღი არა აქვს. თარიღი ამ დღისათვის არავის დაუსვამს. ვიფიქრე, მე დავუსვამ-მეთქი, მაგრამ ვიღაცის ყრუ ხმა შემაჩერებს: – დავუსვამ თარიღს და ამოვარდება კალენდრიდანაც ეს ფურცელი-დღე, დროიდან გადავა... დარჩება სადღაც დროს მიღმა. ეს დღე კი არა და თვითონ ჩემი უდროო დღიურია! დრო არ გააჩნია, მაგრამ უდროოდ მაინც არ უნდა იყოს დაწერილი.

იქნება ჩვენი დროის პარალელურად მიმდინარეობს დრო და იქიდან ამონაბეჭდი თუ არის ჩემი ეს დღიურიც.

მაშ ასე: პირველი განწყობილება: ჩურუგაზე და... განსაკუთრებით გაზაფხულზე ისე ვერა ვარ, როგორც უნდა ვიყო... თითქოს და აზრი მებნეოდეს და სათქმელსაც ვეღარ ვუყრიდე თავს... ადრეული ჩურუგაა... ჯერ არ დავდუმებულვარ, მაგრამ გული მეუბნება, რომ დავდუმდები ერთ დღეს და ხმას აღარ ამოვიღებ. შეიძლება, ციცერონი ვერ ვიყო, მაგრამ ჩემი აზრისა თუ ფიქრის ნათლად გადაცემა ნამდვილად შემიძლია. ფიქრის დროს აჭარული დიალექტი გამორიცხულია... ვფიქრობ ისე, როგორც – დანარჩენ საქართველოში... ერთი რამ კი დიდი ხანია, შემჩნეული მაქვს: შემიძლია, წავიკითხო სხვისი ფიქრი: შემიძლია, ხმაც არ ამოვიღო და ჩემი ფიქრი გადავცე ჩემგან შორს მყოფ ადამიანს, მთავარია, მისი სახე წარმოვიდგინო და... თითქოს წერილი გამეგზავნოსო მისთვის, ისე კითხულობს იგიც ჩემს ფიქრებს, აზრებს, სურვილებს... მივხვდი ამას და... შემეშინდა პირველად. ვიფიქრე კიდეც, აღარავის შევაწუხებ-მეთქი ჩემი ფიქრით, მაგრამ ფიქრიც ვერ მოვიშალე და ხელი ჩავიქნიე. მე მაინც ვსაუბრობდი ადამიანებთან უსიტყვოდ... ახლოც და შორს მანძილზეც. რამდენჯერ გამიფრთხილებია ჩემი ნაცნობ-მეგობრები, საფრთხე გემუქრება და თუ შეგიძლია, გაფრთხილდიო. იმათაც ესმით ჩემი და დიდადაც მემადლიერებიან. არ ვიცი, რა ხდება და როგორ ხდება და ამ დროს ფიქრი მთელი სიზუსტით მიუვა ხოლმე ჩემს თანამოსაუბრეს. პასუხი ხომ მესმის და მესმის!

ჰო, ადრეული ჩურუგაა, ივლისის მესამე კვირა... გამოცდების ციებ-ცხელება...

სტუდენტი რომ გავხდი, მგონი, არავისთვის გამიმხელია. პირველად ვამბობ და პირველი სემესტრიდანვე სტიპენდიაც დამენიშნება.

– თოთხმეტნი ვართ, – აგრძელებს ლალი-შაქირა.

ზარი ირეკება და: იწყება ლექცია.

ჰა, სადაცაა ლექტორიც შემოაღებს კარს, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. მდივანი ქსენია შემოვიდა და ოქროსფერთმიანი ქალწულიც შემოჰყვა. ესეც თქვენთან იქნებაო, – გვითხრა მდივანმა ქსენომ, – ნუცა გიორგობიანი, გაიცანით, прошу любить и жаловать! გვთხოვა და დაგვტოვა.

– ესეც თხუთმეტი, – ვთქვი და მივესალმე, – ადგილი თავისუფალია ჩემ გვერდით, – ვუთხარი და იმანაც დაიკავა ადგილი.

რაღა გავაგრძელო და... შემიყვარდა ნუცა.

ნუცა მელანდებოდა ყველგან, ნუცა მესიზმრებოდა და ნუცაზე ვფიქრობდი.

ვუყვარდი ნუცასაც, მაგრამ აქ ნუცას მშობლები ჩაერევიან საქმეში და ფიქრსაც კი ამიკრძალავენ ნუცაზე. მერე სხვა ფაკულტუტზე „გადაისროლიან“ და დააქორწინებენ კიდეც ვიღაც „ნომენკლატურის კაცის“ შვილზე.

მერე სწავლაზეც ამიცრუვდება გული და...

ჰო, უდროო დრო იდგა-მეთქი, ვამბობდი.

სიცოცხლე აღარ მინდოდა. მეშინოდა დაძინების, რადგან ვიცოდი, დილას ყოველთვის მარჯვენა მხარზე გამომეღვიძებოდა ხოლმე და... ვიწექი ასე, კაი ხანს, საწოლსმიჯაჭვული, არც გადაბრუნება შემეძლო მეორე მხარზე და წამოდგომაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. მერე და მერე მომეშვებოდა ის რაღაც უხილავი ძალა და მთლად გაოფლიანებული და ძალაგამოლეული

წამოვდგებოდი. რა წყალში ჩავვარდნილიყავი, აღარ ვიცოდი, რა ცეცხლისთვის მიმეცა თავი, აღარც ეს ვიცოდი და... მიკვდებოდა ფიქრი, მიკვდებოდა აზრი და... ვკვდებოდი ასე ზეზეურად... მიკვდებოდა შეფრთხიალებული სულიც.

და მეშინოდა, არ გავგიჟებულიყავი.

ქროდა ქარი და წვიმდა. არა, ბათუმში არ ვიყავი და ბათუმურად კი წვიმდა თბილისში. ვერა, საცხოვრებელსაც ვერ დაარქმევ ამ ჩემს სამყოფელს. ბინა კი ჰქვია ამ ვიწრო სარდაფს, თაგვი კუდს რომ ვერ მოიქნევს შიგ და არც მე მაქვს კუდი, რომ მოვიქნიო.

კარს საიმედოდ ჩავკეტავ და შვებით ამოვისუნთქავ.

ფიქრის გუნებაზე ვდგები, „ჰო, გაჟეჟილს გატეხილი ჯობია და... ვგიჟდები, მგონია... ჯერ არ გავგიჟებულვარ საბოლოოდ, მაგრამ გავგიჟდები... ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საგიჟეში ამომაყოფინონ თავი, მაგრამ როგორ ჯობია, თვითონ, ჩემი ფეხით მივიდე ფსიქიატრიულში და წარვუდგე მთავარ ფსიქიატრს, თუ ვაცალო დროს, რომ თვითონ ფსიქიატრიულიდან მომაკითხონ და ხელფეხშეკრული წამათრიონ, სადაც ჯერ არს?

და გადავწყვიტე:

ასე რომ, მოვიკალათე ჩემს საწოლ-სავარძელში და ფიქრმაც ჩამიხვია.

ასე ფიქრჩახვეულს დამაძინებენ და... დროის მდინარებაც შეწყდება ჩემთვის.

ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოვდივარ გონს.

ფიქრიც აღარ დააყოვნებს და ფიქრად დავიღვრები:

ვიყავი მე... მხოლოდ მე და არავინ – სხვა. მერე: საკუთარ თავშიც ავორთქლდები და... აღარც აღარაფერი ვარ. არც აღარაფერი და არც აღარავინ!

ხმას აღარ ვიღებ. მე დუმილი ვარ, დიდი დუმილი... ასე ვიყავი მთელ ათ დღეს. აქ ერთი მოხეტიალე ფიქრი გამომკრავს კლანჭს და იმ ფიქრივით შევქანდები...

ჯერჯერობით შაქროდ, შაქირად ვრჩები, ლალი-შაქირად მერე მოვინათლები და ნათლია სოფელი მეყოლება, მაგრამ ეს მერე იქნება... ჯერ არ მივსულვარ იქამდე. მაგრამ ეს მე ვარ, მე! დავიჭირე ჰაერში დაკიდებული ფიქრი და ცას გამოვეკიდე. თვითონაც ათასნაირ ფიქრად ვიქეცი და მოვედე ქვეყნიერებას. მაგრამ მოვედე ისე, რომ აღარ ვიცოდი, რა დრო იყო, წარსულში დავბორიალობდი თუ აწმყოში დავწრიალებდი... იქნებ, გავუსწარი დროს და სადღაც მომავალში ხომ არ ამომიყვია თავი?!

ისევ ნუცამ მიხსნა... თითქოს მიწიდანო, ისე ამოიზარდა ჩემ თვალწინ, და გამიღიმა, – ნუ ეცდები შემეხოო, რადგან შენი წარმოსახვა ვარ მხოლოდ, ფიქრი... საზრისიო და უკან გადაიხრება მთელი ტანით.

და შევდგები მეც: – ლალი-შაქირა ვარ, თუ... ჯერაც ვერ მიმიღწევია ლალი-შაქირამდე?

– ჰმ... – ჩაიცინა ნუცამ, – ლალი-შაქირა ხარ კაი ხანია და... შეიძლება, სადაცაა ახალ საფეხურზედაც შედგეო. სოფელი ევლიასაც დაგარქმევს მერე!

– ევლიას? – ჩავფიქრდები და თვალს ავარიდებ ნუცას. – ევლია?! ჰო, ევლია ვიქნები სულ მალე... მაგრამ შენ, ნუცა, ნეტა, სადა ხარ?

– ეს მე მინდა გკითხო, ჩემო ლალი-შაქირა... მეკითხები კი შენ... შენ დღესაც არ დამხვდი სახლში... ჰო, ვიცი, სადაც უნდა იყო... შემიძლია, მოგაკითხო, მაგრამ...

– არა, არა! – ამოვიგმინე და ფიქრი მოვიწყვიტე თავიდან. ზმანება ქრება... დავრჩი ჩემკენ მობრუნებულ ფიქრთან და ამოვიხვნეშე, – აწი ვეღარ მომაგნებს... ვეღარ მომაგნებს.

მინდოდა, ისევ მეხილა ნუცა, თვალი უკანასკნელად შემევლო მისთვის, მაგრამ ვძლიე ცდუნებას და მარტოკა დავრჩი ჩემს თავთან. მე კიდევ ერთხელ ვკარი ხელი ბედს და... ბედისწერას ჩავხედე თვალებში.

ჭილის ქუდი ეხურა ნუცას... მარჯვენა მხარეს თეთრი ვარდით. მზე მოკიდებოდა, აქედან მაღალი ბიჭი ამოდგომოდა მხარში, იქიდან – გოგონა, ისიც – წვივმაღალი,. ოქროსფერთმიანი. ჩემი შვილები არიანო, მეუბნება ნუცა და თავს ჩაქინდრავს: – ჩვიდმეტი წელია არ გვინახავს

ერთმანეთი... – ამოთქვა და თვალი გამისწორა. ტანში დამზრინა.

ლალი-შაქირა კი ისევ განაგრძობს: „შენ, ნუცავ ჩემო, ოცნება იყავი ჩემი... ოცნებად მინდოდა დამრჩენოდი, თორემ ხომ მოვიდოდი შენთან, ვიცოდი სადაც იყავი... დაგიქნევდი ხელს და გამოიქცეოდი ჩემკენ, მაგრამ არ ვქენი და დამრჩი ოცნებად...

მერე თვითონ მოგაკითხე, მაგრამ... ხომ შემეძლო, გამხდარიყავი ჩემი, მაგრამ... ოცნებად დამრჩი ისევ... ახლა თვითონაც ოცნება ვარ... ოცნება, ნუცავ ჩემო... იცი, კიდევ რა უნდა გითხრა? ყოველთვის მინდოდა, მეთქვა შენთვის, რომ... ფრენა შეგეძლო... ჩემი აზრით, შენ დაფრინავდი და... ღირსიც არ ვიყავი მე შენი... მე მტილი ვიყავი შენთან შედარებით და გადავწყვიტე, გავზრდილიყავი, ამოვმაღლებულიყავი შენამდე და მეფრინა, მეფრინა სულ და... ზოგჯერ დამიბნელდებოდა გონება და გამახსენდებოდა, ადამიანი ვიყავი მხოლოდ, ადამიანი და... თუმცა არასოდეს უარმიყვია მე ჩემი ადამიანური არსი... იმას ვამბობდი: თუკი ვერ ავფრინდებოდი ერთხელ მაინც, უარს ვიტყოდი მაშინ მე მომავალზეც... დიახ, უარს ვიტყოდი მომავალზე... ის, ის დამამშვიდებელი ნემსი... ადამიანური წყობიდან რომ გამოვყავარ, გუშინ გამიკეთეს... შემიძლია, გავინძრე, წამოდგომასაც შევძლებ, თუკი ვისურვებ ამას, მე შემიძლია ეს, მაგრამ ასე მგონია, და თუკი დაუფიქრდები ჩემს ნათქვამს, შეიძლება, გამიგო კიდეც, ჩემო ნუცა... აჰა, აგერ... ეს წუთი – აწმყო ჩემი... მე არ ჩავიკლავ ამ წუთს, მაგრამ არც ამ წუთის შემდეგ მინდა, ვიცოცხლო! მინდა, ამომწუროს ამ წუთმა, ამოვწურო ეს წუთიც და... მოვიდეს მერე თუნდაც არარაობა... წამები რომ დააკლდება ამ წუთის გასვლას, წამოვიწიო ერთხელაც, მაგრამ წამოდგომაც არ უნდა ერქვას ამას... ამოვიდე სხეულიდან, ამოვიწურო სხეულიდან და სივრცეს შევერიო... ამ სივრცედ ვიქცე: უსასრულობად...“

– ლალი-შაქირავ... მართლა ლალი-შაქირას გეძახიან?! ეს რანაირი სახელი შეურქმევიათ შენთვის... მომწონს ეს შენი ახალი სახელი. სოფელი არ ცდება... და რომ ჩვენ ერთად აღარ ვართ, ესეც უფლის ნებაა, ალბათ... მივდივარ, ლალი-შაქირავ... ისევ ჩვიდმეტი წელი... კიდევ ჩვიდმეტი წელი დაგვაშორებს განგება ერთმანეთს... შევხვდებით ერთმანეთს, კარგია, არ შევხვდებით და – კიდევ უკეთესი... მართლაც და ღვთის ნებაა ყველაფერი, თუმცა... შენ რომ გესურვა, შენი ნება რომ ყოფილიყო, ერთხელ, ერთხელ ხომ მაინც შევხდებოდით ერთმანეთს...

ერთხელ, ამას წინათ... გულმა მითხრა, რომ თხუთმეტ მარტს შეგიძლია შეხვდე შენს ნუცასო... ვემზადებოდი მეც ამ დღის შესახვედრად, ო, როგორ ვემზადებოდი, რომ იცოდე... ვემზადებოდი, ნუცავ ჩემო... სულიც წინ მომისწრებდა, მაგრამ... წამომიარა ისევ იმ ჩემმა ძველმა სენმა, მიმიკრა მკერდზე და აღარ გამომიშვა... თავს როდი ვიმართლებ, ჩემო ნუცავ, მაგრამ თვითონ მინდა, დავადგინო, ნამდვილად მინდა შენთან შეხვედრა, თუ... თუ ვერ ავფრინდი, ცოცხალი თავი ისე აღარც მინდა... ვერა და ვერ, ვერ ავაწყდი მე ამ უჯიათ მიწას, მისი ტყვე ვარ... ეჰ, როდის იქნება, რომ ამიშვებდეს და... ასე რომ, დამრჩი მოტყუებული და როგორ არ მინდოდა შენი მოტყუება, ჩემო ნუცავ...

„ვიცოდი, რომ გიჭირდა, და შენს ბედს სხვა რომ განაგებდა“, მერე უფლის ხმაც მესმა, – აცალე, ლალი-შაქირას, აღასრულოს იმანაც თავისი ვალი და თუკი მორჩა დრო, გამოიხედავს შენკენ. იმას თავის გზა აქვს და ხელი არ შევუშალოთ. ლალი-შაქირა უბრალო მოკვდავიც არ გეგონოს და მისი ცხოვრება ჩვეულებრივიც ვეღარ იქნება. დედამიწაა მისი დიდი ოჯახი, მთელი სამყარო. უჩვეულოა მისი ბედიც: სხვა იმის ტვირთს ვეღარც ზიდავს.

– შეაძაგძაგებს ამის გამგონე ნუცას: აჰა, ფიქრებმაც უნდა ჩაიხვიოსო თითქოს და ჩემი ხმაც მისწვდება იმის ყურს: „ნუცა... აწი ვეღარ უნდა განახო, მგონია, და გულიც წინასწარ მიკვდება. მე შემიძლია, ყოველდღე გხედავდე, მაგრამ მეშინია, არაფერი დაგიშავდეს ამით... მართლაც და რა კარგი შვილები გყოლია?! მე თქვენზე ვილოცებ, ნუცავ ჩემო!“

„ლალი-შაქირავ... მე შენი ახალი სახელი მართლა ძალიან მომწონს. კი მინდოდა, მენახე, მა-

გრამ, ალბათ, აღარაა საჭირო ჩვენი შეხვედრა. იმ დალოცვილმა... მაღლა, ჩვენზე უკეთ იცის, რა არის საჭირო და რა არ არის საჭირო... ერთ საჩუქარს დაგიტოვებ, ვერცხლის ჯვარს... კარის სახელურზე ჩამოვკიდებ... ეს ჯვარი იყოს შენი მფარველი, ჩემო ლალი-შაქირავ... ხომ ვამბობდი, მომწონს-მეთქი შენი ახალი სახელი, მაგრამ ახლა ნამდვილად მეხამუშა და... სული გამეკაწრა, თითქოს...“

„მადლობა დიდი, ჩემო ნუცავ! ერთი შემეძლოს წამოდგომა და... და მაინც: კიდევ კარგი, რომ თავის წამოწევის თავი აღარ მაქვს და... ჰო, წამოვდგებოდი და გამოვეშურებოდი შენკენ, მაგრამ ამით ხომ დაგვიშავდებოდა ორივეს?! გერმანიაში იცხოვრებთო? ეს რა უბედურებაა?! ისე რა გაგჭირვებია, რომ... რა ჭირი გვეტაკა ნეტა? გერმანია მდიდარი ქვეყანაა... ყველას მიიღებს, ვისაც კი თავის სამშობლოში აღარ დაედგომება... „სამწუხაროა ყველა ესენი...“ ნეტა გიხილავ კი აწი ოდესმე? იქნებ, ვეღარც კი დაგხვდე... ვიცი, მოხვალ ჩემს საფლავთან, დაიჩოქებ და ხელს გადამისვამ...“

„მოვალ და გულზე გადაგისვამ ხელს. იგრძნობ, რომ ეს მე ვარ და აგბურძგლავს ტანზე...“

„ნუცავ ჩემო... ეს შენ აგბურძგლავს მთელ ტანზე და აგაკანკალებს...“

„მოვალ შენთან და აღარ წამოდგები?“

„მოხვალ ჩემთან და... არ მოგესალმო?! მოგიკვდეს შენ ის ლალი-შაქირა, ვისაც ერთი წუთითაც რომ ავიწყდებოდე, შენ ხომ ხატი ხარ ჩემი... სალოცავი ხატი... ჰო, გელოდებიან გერმანიაში... მშვიდობის გზა გქონიათ! ჰო, ეს შენა ხარ, ჩემო ნუცავ, აქეთ-იქიდან შვილები ამოგდგომიან მხარში და... ჩაფიქრებულხართ სამივე... ჩემზე ფიქრობ, ნუცა, და გერმანიაში გაგირბის ფიქრი! მე შენს ფიქრს მოვყვები, ნუცავ! უცებ ამომივარდები ფიქრიდან და ცათამბჯენიც გადამიდგება წინ.

და შეიცვლება უცებ სურათი:

პირველი კურსის სტუდენტი ვარ...

ეს პირველი ლექციაა. ერთი თანაკურსელი გვაკლია და იმანაც შემოაღო აუდიტორიის კარი. თავისუფალი სკამი ერთადერთია და იგიც ჩემ გვერდითაა.

შეიძლებაო, მკითხა.

მე სკამი მივუჩოჩე და ისიც დაჯდა.

– ნუცა მქვია მე, – გამომელაპარაკა კაი ხნის შემდეგ.

– მე კი – შაქრო... სოფელში შაქირას მეძახიან, – ვუპასუხე,. – ხმამაღლა ხომ არ მოგვდისო?

ჩვენც ჩურჩულზე გადავდივართ და აღარც გაგვიგია, როდის დაირეკა ლექციის დაწყების მაუწყებელი ზარი და როდის – გამოსასვლელი.

დამემშვიდობა ნუცა, მე კი დამშვიდობებაც გადამავიწყდა: წავიდა და მაინც ჩემთან იყო, მხოლოდ ნუცას ვხედავდი, მხოლოდ მისი ხმა მესმოდა.

ასე გაგრძელდა მთელი ეს კვირა, ამის მომდევნოც და ამ მომდევნოს მომდევნოც. ერთხელ ლექციის დაწყებისთანავე გამომიცხადა: დაბადების დღე მაქვს დღეს და შენც გელოდებიო.

– მეეეც?! – ვკითხე გაკვირვებულმა.

ჰო, შენცო, – გაეცინა ნუცას.

ვერ წამოვალო, – ვუთხარი და კიდევ უფრო გაკვირვებულმა შემათვალიერა.

მაინც რატომაო, ისიც რომ აღარ მომეშვა?!

– დაბადების დღეზე ჯერაც არ ვყოფილვარო, მხრები ავიწურე.

– ჰოდა, დღეს იქნები! – გამიღიმა ნუცამ.

– წამოვალ, მაგრამ ერთი პირობით... – ამოვღერღე და ოფლი დამასკდა.

– მაინც რა პირობაა ისეთი, რომ ვერ შევასრულო?

– მე ხმას არ ამოვიღებ და თუკი მომეცემა იმის უფლება, რომ მთელი საღამო ვდუმდე, საღღაც არგამოსაჩენ ადგილზე, მოვალ მაშინ...

– ამაზე გაწყენინებ?! – გაკვირვებულმა თქვა და ეს ერთი საქმეც მოგვარებული მაქვსო... – თვალები გაუბრწყინდა.

– ჯგუფიდან კიდევ ვინ გვეყოლება? – არ ვიცი, რატომ ვიკითხე.

– არავინ, – თითქმის დაუფიქრებლად მიპასუხა, – შენ ერთადერთი ხარ და... – თავისთვის ჩაიცინა, – უკვე შეგიძლია შეუდგე, იმ შენს დუმილს ჩემი დაბადების დღით შთაგონებული...

მადლიერების გრძნობა ღიმილით გამოვხატე და ბოქლომიც დავიდე პირზე.

მოთმინებადაც ასე ვიქეცი.

მერეო?

მერე ხომ ჩემი დამემართა და...

დღეს ლალი-შაქირას მეძახის სოფელი. ვარ სულ მარტოდმარტო და... ვახარებ ჩემს ჭიას. ვფრთხილობ, ჩემით არავის არაფერი ევნოს და დავდივარ ასე შეშინებულ-შეფიქრიანებული, ვაითუ, ჩემი დაუდევრობით ჭიანჭველას დავაბიჯო ფეხი და გავსრისოო.

და კიდევ: ვინატრო და არ ამისრულდეს?!

ამიტომ: ახლა ვსწავლობ, რომ აღარ ვინატრო, რომ ვერ ვინატრო!

ხვალინდელ დღესაც ვხედავ და... ცუდი ხმები მესმის მომავლიდან! სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შემიძლია!

ამიტომაც ეშინიათ ჩემი დანახვა, ცუდი რამ ხომ არ უნდა გვაუწყოსო. ზოგჯერ ვამჩნევ, რომ მერიდებიან და... მხარსაც კი ამიქცევენ განგებ... მაგრამ ვერავის ვუსაყვედურებ... ადამიანები არიან და... რამდენი არ ესმით და რამდენი არ იციან!!

აბა?!

* * *

და ამ ლალი-შაქირას ნახვა მენატრება მე?

ამბურძგლავს მთელ ტანზე და გამაჟრჟოლებს.

ბაბუა მოსულიყო დუქნიდან და სული მოვითქვი.

– ლალი-შაქირაი არ მობრუნებულაო და არც არავინ იცის, როდის გამოჩნდება, – მითხრა, – ცუდი რამ გულშიც კი არ გაივლო, თორემ... იბრეთი რამ არ დაგმართოს, მეშინია, ჯაზი არაა, მაგრამ ჯაზივითაა... ისევ ჯვარაკიდებული დადის...

ბაბუაც ჩაფიქრდება და მეც მოვიშველიებ ფიქრს: „იცის ლალი-შაქირამ, არავის მოაბეზროს თავი; იცის, რომ ახალი დღის დადგომა ახალი სიცოცხლეა და იცის ისიც, რომ უნდა იბადებოდე ადამიანი ყოველდღე, სოფლით ცხოვრობდე.

დადიოდა ლალი-შაქირაც სოფელ-სოფელ ზურგზე ჯვარაკიდებული. ღმერთსაც ხშირად გადაყრია გზაზედ, უსაუბრიათ კიდეც, მაგრამ ერთხელაც არ დაუწუწუნია, მძიმეა ჩემთვის ეს ჯვარი და ხომ არ ჩამომეხსნაო?!

ერთხელ ვთქვით უკვე, დუმსო ლალი-შაქირაო, ხმას არავის სცემსო და მართლაც ასეა; თუმცა: ფიქრობს ლალი-შაქირაი გულში და გესმით თქვენც იმის ფიქრი, ფიქრობთ და იმასაც ესმის თქვენი – ერთი ჰკითხეთ რამე და თუკი წინ თქვენი შეკითხვის სწორი პასუხი არ დაგხვდათ, თავს ამ კუნძზე დავდებ მოსაკვეთელადო. ასე გეტყვის ნებისმიერი გამვლელი თუ გამომვლელი. ასეცაა.

ყვებიან კიდეც: მიდიხართ მანქანით და არავინ უწყის, საიდან და ლალი-შაქირაი დაგიდგებათ წინ, თქვენ კი... ვთქვათ და აარიდეთ თვალი ლალი-შაქირას და როგორ გგონიათ, ასე იოლად მოგეშვებათ?! და დარწმუნებულიც რომ ხარ, უკვე შორს იმყოფებით თქვენ ამ კაცისგანო და წინ არ შემოგხვდებათ გაღიმებული? არავის, არავის შეუძლია ამის ახსნა და ამ დროს: თქვენ იწყებთ მისი ფიქრის კითხვას, თქვენთვის ცხადი ხდება, რომ მიეჩქარება ლალი-შაქირას სადღაც, ვიღაცას უნდა მიეშველოს და ხელს ხომ არ შეუშლით?! აჩერებთ მანქანას და თქვენ გვერდით მოიკალათებს ლალი-შაქირაც. და როცა და როგორც მას სურს, მანქანასაც იქ გააჩერებთ, მადლობასაც ეტყვით, რომ მაინც და მაინც თქვენი მანქანა შეარჩია გადასაადგილებლად და მეგზურადაც თქვენ შეგარჩიათ. იკითხოთ იქნებ: იმხელა ჯვარი ხომ არ უშლიდა სიარულშიო და თვითონვე შეგრცხვებოდათ ასე უადგილოდ და უდროოდ დასმული კითხვის გამო. იქით მოუბოდიშებდით, ასეთი აზრები თავში არ უნდა მოუდიოდეს პატიოსან კაცსო. ისიც ჩავიდოდა ძირს გაღიმებული. გამოგხედავდათ და გზას დაგილოცავდათ თავისებურად (უსიტყვოდ), გულით და თავის გზას დაადგებოდა. ცოტაც და: მხოლოდ ჯვარს ხედავთ გარბწყინებულს და პირჯვარსაც უნებლიეთ გადაიწერთ.

ლალი-შაქირა მართლაც წარმოუდგენელია უჯვროდ. მისი ნაწილი იყო ჯვარი, სუნთქავდა ლალი-შაქირაი და სუნთქავდა ჯვარიც. მკვდარი შაქირაი ფიქრითაც წარმოუდგენელია.

და კიდევ: იგი იქ გელოდათ, თქვენ რომ არ მოელოდით: მისთვის ყოველთვის გამზადებული ჰქონდათ სტუმრის ოთახი. სამფეხა ჯორკოზე, თავთით, სამლიტრიან ხელადას დაიდგამდა ნელტკბილი ჩაით აპიპინებულს (თვითონ რომ გამოეთალა) და ნელ-ნელა, ნება-ნებად სვამდა.

ჯვარი?!

არ გეგონოთ, რომ კედელზე მიაყუდებდა?! იფიქრებთ ასე და შეცდებით: ასე, ზურგზე ჯვარმოკიდებული, ტანგაუხდელად წამოწვებოდა და იმწამსვე ჩაეძინებოდა. ამბობდნენ კიდეც: თავსასთუმალი დაანახეთ ლალი-შაქირას და ისე მიეძინება, ბალიშზე თავის დადებასაც ვერ მოასწრებსო. ასევე უთენია გამოიღვიძებდა, წუხელ გამოცლილ ხელადას თავის ხელჩანთაში ჩაუძახებდა: თავისთვის, გულში იტყოდა მადლობას და ფეხაკრეფით, უხმოდ გაილალებოდა.

ერთი დეტალიც ლალი-შაქირას ცხოვრებიდან: დაინახავდით, თვალს მოჰკრავდით, ან მოულოდნელად თუ გადაგეყრებოდათ გზაზე, თავს დაგიქნევდათ მოწიწებით, იქნებ, „სალაპარაკოდაც“ მომზადებულიყავით, მაგრამ თვალის დახამხამებაც და... აღარსად იყო ლალი-შაქირა, ამოიშალაო თითქოს თქვენი თვალასაწიერიდან, ვერც კი გაიცნობიერებდით: როგორ, სად გადაიკარგა, აორთქლდა?! დღისით, მზისით გაგიუჩინარდებოდათ თვალწინ და სახტად დაგტოვებდათ.

ამიტომაც იყო, რომ უნებლიე შიშსაც იწვევდა ადამიანებში და შეიძლება, არც არვის ჰყვარებოდა, მაგრამ თვითონ ლალი-შაქირას, უყვარდათ იგი, თუ სძულდათ, სულაც არ ენაღვლებოდა იმას ეს ამბავი.

ასე რომ: შესაძლოა, არ უყვარდათ, მაგრამ არც სძულდათ(!) ხელს არავის შეუშლიდა და რაც მთავარია, იცოდა თავისი ადგილიც და ფასიც: იცოდა, რას წარმოადგენდით თქვენ და რას წარმოადგენდა თვითონ.

სოფელიც ამიტომ იტყოდა:

„არ ესმის ყურში ლალი-შაქირას, მაგრამ ესმის იმის გულს: შეიძლება, მთლიანად სოფელს არ ესმოდეს მისი, მაგრამ ლალი-შაქირას ესმოდა სოფლის. კითხულობდა თქვენს ფიქრს (ხმაგაუღებლად, რასაკვირველია), მაგრამ ფიქრობდა და გესმოდათ მისი ფიქრი. სოფელს, შეიძლება, არც ძალიან შესტკიოდა გული ლალი-შაქირაზე, მაგრამ სოფელზე შესტკიოდა გული ლალი-შაქირას.

სადმე ნადს იხდიდნენ და ლალი-შაქირას გაეცდინა?! ხნავდა და თესავდა: მხვნელიც კაი იყო და მთესველიც. მცელავსაც არა უშავდა! დაღლა არც იცოდა, რა იყო: „მხვნელ-მთესველი უყვარს ჩვენს მიწას, დედა-მიწას, ხალხო! – კითხულობთ იმის ფიქრს.

კაი მცელავი ხომ მზესაც უყვარს. „მიწის შვილი ვარ და ამიტომაც ვარ მე მზის შვილიც. მთვარესაც იმიტომ ვუყვარვარ, რომ შემიძლია, მთელი ღამე ვუყურო და თვალი არ მოვაშორო, ღრუბლებშიც ისე შევყვე, რომ თვალიც არ დამიხამხამდეს. ხედავთ: შევყევი მთვარეს ღრუბლებში და ასე ამიტომაც ჩამწვიმებია სულშიო, შეფიქრიანებულიყო ლალი-შაქირა. სასაცილოდაც არ ჰქონია საქმე, თორემ კაი „დოღრი“ სიცილი იცოდა.

სოფელში ასეც იტყოდნენ: „ვარიოღა“ კაცია ლალი-შაქირაო“.

* * *

ჩამოჭყაპუნდა ჩურუგა...

ჩურუგა (ჩურუქ აი – თურქ. დამპალი თვე) „დამპალს“ ნიშნავს, უფრო რომ დავაზუსტოთ, იგი დროის მონაკვეთია, როცა მწიფს ყველაფერი, სიმწიფეს კი ლპობაც ახლავს.

დიდი ჭურია იგი, პირთამდე სავსე, ჯადოსნურ ხელს ცეცხლი რომ შემოუნთია ირგვლივ, ჭური კი – დაგოზილი თიხით. ჰოდა, ორთქლი ასდის ჭურში არსებულ მათრობელა სითხეს. ორთქლი – სახურავისკენ, სახურავი კი ჭერია მისთვის. ჭერზე ჩამოკიდებული წვეთები ძირს ცვივიან და...

ჩურუგა მოვლენაცაა განსაკუთრებული – ღია მონაკვეთია ცამეტ ივლისსა და თოთხმეტ აგვისტოს შორის მოქცეულ-ჩაჭყლეტილი.

და: დარი-ავდარი... ავდარი-დარი... ავდარია-დარია...

დრო ნესტგამჯდარი, დრო შეჯერებული...

ჰოდა: ძლივს არ მიილია ჩურუგა?!

მოიქნია ცამეტმა აგვისტომაც შესველებული კუდი და დასრულდა კიდეც, შეუშრა კუდი და... ამოისუნთქა ყველამ და ყველაფერმა. შვება იგრძნო ადამიანმაც.

მაგრამ ჩურუგა მაინც თავისებურად, ყველასაგან განსხვავებულად ფიქრობს!

წვიმდა ისევ. ვერა და ვერ გამოედარებია. წვიმამ სული მართლა არ ამოხადა მიწას?! ზოგჯერაც თავს დააღწევდა მოქუფრულ ღრუბლებს მანათობელი მზე, მაგრამ კვლავაც მათ ტყვეობაში ახელდა თვალს და სუნთქვა ეკვროდა.

აჰა, უნდა გადაიღოს თითქოს წვიმამო, მაგრამ არა! არამც და არამც! წვიმს ისევ, წვიმა გიჟივით დააცხრება თავს ფერწასულ მზეს და: გინახავთ თქვენ ატირებული და გულამომჯდარი მზე? სწორედაც, რომ მოთქვამდა მზე(!)

წვიმს... წვიმითაა გაჯერებული სივრცე... დამბალი მზე... ამოფუებული ცომივით. აწვიმს მოფამფალებულ მნათობს: ასე შეციებულსა და ჟრჟოლაატანილს, თითქოს მიიძურწებოდესო სადღაც და აჰა, მიილევა ღრუბლებში. თითქოს: და გასრულდესო ის სადაცაა.

ძნელია ამის აღქმა-გააზრება და ტანში დაგზრინავთ თქვენ უნებლიეთ.

გაიჭრიალებს ამ დროს ჭიშკარიც და მომეწურება გული. არც მივბრუნებულვარ ჭიშკრისკენ, ისე ვიგრძენი, ლალი-შაქირა უნდა ყოფილიყო და გუნებაც უცებ გამომიკეთდა.

„ჩურუგაი ჩამთავრდა, მზეც კაი იქნება აწი და წვიმაცო!“ – თავისებურად გამომძახებს და მეტისმეტი სიხარულისგან გული ამიჩქროლდება. ზურგზე ისევ ის ვაზის ძირის ჯვარი ეკიდა. მძიმე იყო მისი ტვირთი, მაგრამ მაინც არ უმძიმდა იგი ლალი-შაქირას.

დოინჯშემოყრილი მომიახლოვდა, „ხვალ იწყებაო... ხვალ ვიწყებითო“, – მითხრა უსიტყვოდ და გამიღიმა.

– ვიწყებთ და დავიწყოთო, – ვუთხარი მეც ისე, სასხვათაშორისოდ და ეს მომხვდა გულზე.

„ხვალ მზის ამოსვლამდე უნდა წამოდგე... ჭიშკართან მისვლა უნდა დაასწრო მზეს და პირჯვარი გადაიწერო სამჯერ. მზე მერე უნდა მოვიდეს და ამასობაში მეც გამოვჩნდები“.

– ნეტა, ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ... – მხრები ავიჩეჩე, – ჩემთან მოსულიყავი და...

„ორი სექტემბერი ჩვენი მხარისათვის და პირადად ჩვენთვის: შენთვის და ჩემთვის ღირსსახსოვარ დღედ უნდა იქცეს... დაუვიწყარი შენთვის, ჩემთვის და მთელი სოფლისათვის...“

ჰო, მესმისო, ვამბობ გულში და დაკვირვებით შევათვალიერებ ლალი-შაქირას, – მაგრამ დღევანდელი დღე რომ არ დამთავრებულაო? – ვიკითხავ, მართლა არ ვიცი, რატომ?

„მომისმინე, ძიავ...“ – გაიღიმა იმანაც და ზურგის ჯვარს თითებით მიეფერა, მერე ეამბორეო, მანიშნა.

მეც ვემთხვიე ლალი-შაქირას ჯვარს და იმანაც ხელი ჩამომადო მხარზე:

„ღამის თორმეტ საათზე თუ შეგიძლია, ძიავ, რომ გამეიპარო სახლიდან და... ჩემთან მოხვიდე“.

თავი დავუქნიე: ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგეო და მოვმუწე პირი.

ახლა წადიო. მიბიძგა და სახლში შევბრუნდი.

„უკან არ მოიხედო, ნოე, თორემ უჟმური აგყვება და მეც რომ ლალი-შაქირაი ვარ, ვერაფერს გიშველი.“ – მომეწია ლალი-შაქირას ფიქრი.

თავი დავუქნიე, ვიცი, სადაც უნდა მოვიდე თორმეტ საათზე და როგორც მოვიქცეო.

ჰმუუო, დაიზმუვლა გახარებულმა ლალი-შაქირამ. მივხვდი, ფრთხილად იარეო, მთხოვდა და გული ამიჩუყდა.

უცნაური კაცია ჩვენი ლალი-შაქირაი. მართლა არავინ უწყის, რატომ დადუმდა ასე სამუდამოდ და ზურგზე მოკიდებული მისი ჯვარიც ხომ ასე მრავლისმეტყველია.

ლალი-შაქირა შეიძლება ყოვლისშემძლე არ ყოფილა, მაგრამ თითქმის ყოვლისშემძლე რომ იყო, ამაში არც არავის ეპარებოდა ეჭვი.

და მართლაც, ისე შევედი სახლში, რომ ერთხელაც არ მიმიხედავს უკან.

დრო კი თითქოს და შენელებულიყოო, ნელნელა მიიზლაზნებოდა.

მოვიმძინარე თავი და გავიზმორე. საძინებელ ოთახში გავედი და წამოვწექი. ხვრინვაც კი ამოვუშვი განგებ.

თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ფრთხილად წამოვდექი ლოგინიდან და ფეხაკრეფით გავედი გარეთ.

უკვე აღარ წვიმდა, მაგრამ გამოდარებასაც არ აპირებდა. ჭიშკარი უკან დამრჩა. თვალდახუჭული მივაგნებ ლალი-შაქირას სახლს!

ჭასთან დამხვდება... ჩემკენ მომზირალი.

ჭრაქს აქნევდა თავს ზემოთ. მერე მთვარეს ახედა, ღრუბლების ტყვეობისათვის ჯერაც რომ ვერ დაეღწია თავი:

„აი, ეს მთვარე, ძიავ, ჩირაღდნის როლს შეასრულებს ჩვენთვის," – ჭრაქი თითით ჩააქრო და უკან მომყევიო, მანიშნა.

მთვარე მართლა მანათობელი ჩირაღდანივით იყო ჩვენთვის. ისევ აანთო ჭრაქი.

ასე ორმოცდაათი-სამოცი მეტრი გავიარეთ და მთვარეც გაუჩინარდა. ჩვენ კი სადღაც სარდაფში აღმოვჩნდით.

„სად ვართ?" – ვკითხულობ გულში და ლალი-შაქირაც მომაგებებს პასუხს: „ჩემთან, სარდაფშიო". მთლად არც ვიყავი გარკვეული, რომ ცარიელი ტომარა მომაჩეჩა ლალი-შაქირამ და ორმოსაც ახადა თავი.

ორმო კარტოფილით იყო სავსე.

ჩვენც ავავსეთ ერთი ტომარა და მეორე მომცრო ტომარა მოიშველია ლალი-შაქირამ. ისიც გავავსეთ და ამას შენ წამოიღებო, გამაგებინა თავისებურად. მეორე დიდი ტომარა კი თვითონ მოიგდო ზურგზე. ჭრაქი ახლაც მას მოჰქონდა.

წინ – ლალი-შაქირა, უკან – მე.

ნიავიც უბერავდა და მიკვირდა, რატომ ვერ აქრობდა ლალი-შაქირას ჭრაქს (აბა, ლალი-შაქირას შელოცილ ჭრაქს ნიავი რას დააკლებდა?!)

ერთ ძველ, ფარღალალა ქოხთან შედგა ლალი-შაქირა.

„იცი, ვინც ცხოვრობს ამ სახლში და იცი, ძიავ, ისიც, რომ აღარ ჰყავს ოჯახს მარჩენალი... ამ ოჯახს უჭირს, თუ უჭირს ვინმეს სოფელში, მე კი ამდენ კარტოფილს რა თავში ვიხლი?! – თქვა და ტომარა აივანზე შეაგდო. მეც გავთავისუფლდი ჩემი ტვირთისგან და სული მოვითქვი.

ეს ქოხი ადრე დაქვრივებულ მერიემას ეკუთვნოდა. სამი ობოლი ჰყავდა მერიემას, „ორი ბაღვი და ერთიც პრატი!" – დააზუსტა ლალი-შაქირამ და ჭრაქი მომაწოდა: „იქნებ, აღარც დაგვჭირდეს და შეგვიძლია, ჩავაქროთო," – მეც სული შევუბერე და უკუნმა ღამემაც შემოგვასუნთქა: „აბა, დაითვალე სამამდე და... ნახავ, მთვარეც თუ არ გამოგვიჩნდა ისევ?! რაღა მთვარე იქნება, თუკი არ გაგვინათა ადამიანებს?!"

ერთი, ორი, სამი და მთვარემაც არ გამოანათა?!

ჰმუუუო, ამოიზმუვლა ლალი-შაქირამ და ცხვირწინ ამიქნია ხელი, სიტყვა არავისთან დაგცდეს და... ჩვენი დოსტობაც არ ჩახეთქოსო ძიავ, ამ ღამემო.

„მერიემას სხვაც ბევრი რამ ერგებოდაო..." – კი გაიფიქრა ლალი-შაქირამ, მაგრამ წინადადების დამთავრება არც უფიქრია და გული დამწყდა სათქმელი უთქმელი რომ დარჩა.

ლალი-შაქირამ კი მხარზე მომითათუნა ხელი და მისი ფიქრიც მომწვდა: „ნოე, რომელი ნათელმხილველი შენ ხარ, რომ ჩემი ფიქრი ამოიცნო, თუკი მე არ მინდა მისი გახმიანებაო".

და მეორედაც დამწყვიტეს გული.

მიმიხვდა ლალი-შაქირა და ლოყაზე მომითათუნა ხელი: „ყველაფერი იქნება, ძიავ, მაგრამ თავის დროზე და სულიც ნუ მიგისწრებსო წინ!"

ფეხაკრეფით წამოვედით მერიემას სადგომიდან და გაწვიმდა კიდეც.

ამის მერე ლალი-შაქირას თავისი ფიქრი აღარც გაუმხელია ჩემთვის და თავჩაქინდრული დავშორდი. ჩემთან ყოფნა რომ ნდომებოდა, ამას ხომ მაგრძნობინებდა?! მაგრამ ახლა მარტო ყოფნა უნდოდა და მოსახვევიც ისე ჩამოვიტოვე, უკან არც მიმიხედავს.

მეორე დღეს ქვეყანა შეძრა მერიემამ, ვიღაცამ კარტოფილით ამომივსო აივანიო, ამომივსო და რას მერჩის ნეტა, მადლობის თქმის საშუალებას რომ არ მაძლევსო.

ლალი-შაქირასაც ეცინებოდა გულში და თავს თვითკმაყოფილებით აკანტურებდა, აბა, რა ეგონათო?!

– ობლებს პატრონი გამოუჩნდა ბედად და წინააღმდეგი რატომ ვიქნები, თუკი ასეთი ვინმე აღმოჩნდა სოფელშიო, – ამოახველა სოფელმა

და სულაც აღარ ეჩქარებოდა იმ კაცის ვინაობის დადგენა, სოფლის ვალი თვითონ რომ იდო თავს და პასუხს რატომ მოსთხოვდა?!

„ხედავ, ჭოვ... სოფელი დიდია და ერთი კაცივით არც ფიქრობს და ვერც მოიქცევა!“

მ ე დ ა ლ ა ლ ი-შ ა ქ ი რ ა

წვიმდა ოცდარვა აგვისტოს.

მხოლოდ ნაშუადღევს გადაიღო. ქარმაც წამოუბერა, მაგრამ ღრუბლების მთლად გაფანტვა მაინც ვერ მოახერხა.

„ამაოებათა ბაზარს“ ვკითხულობდი.

ამინდის კვალობაზე გახლდით უქეიფოდ. გული ვეღარ დავუდე კითხვას და გვერდზე გადავდე წიგნი. ხელის გული დავაფარე ჩამდაუნებურად. მართლა ცუდ გუნებაზე ვდგები და ლალი-შაქირას ლანდიც გაიელვებს ჩემ წინ. ფეხს აღარ აკარებდა მიწას, ისე მიაბიჯებდა სივრცეში. ვთხოვე, დაშვებულიყო, დაეშვა ძირს და ამოიხვნეშა.

იქნებ: წამთვლიმა კიდეც, ზუსტად ვერაფერს ვიტყვი და არც ვაპირებ იმის დაზუსტებას, მართლა მიცურავდა ლალი-შაქირა სივრცეში, თუ მომეჩვენა... ან სულაც მესიზმრა. რაღაც მემართება, მგონია!

– ჯვარი შენი სად დაგიგდია-მეთქი? – გაოგნებული ვკითხავ.

„როგორ თუ დამიგდიაო?!... – ლალი-შაქირამ ზურგზე აისვ-ჩამოისვა ხელი და გააჟრჟოლა: – რომ არაფერი მახსოვს? მაინც სად უნდა დამრჩენოდა ის ჩემი ჯვარი?! მახსოვს კარგად, რომ არ ჩამომიხსნია ჩემი ჯვარი... წუხანდელი ხომ თვალწინ მიდგას ყველაფერი... – ხელით მოიჩრდილა შუბლი, თითქოს იმ წუხანდელ სიზმარში აპირებდესო შებრუნებას, – მესიზმრებოდა, თითქოს ვიხსნიდიო ჯვარს და... მართლა სიზმარში ხომ არ ჩამრჩა?!... ბაზარში ყმაწვილი ვინმე უნდა მონათლულიყო და ჯვარიც იმიტომ გახდა საჭირო, დილამდე უნდა მდგარიყო ის ჯვარი იქ, მაგრამ ნაშუაღამევს გამომეღვიძა და... მერე აღარც შევბრუნებულვარ იმ სიზმარში... კიდევ კაი, გამახსენე... ამ საღამოს შევალ იმ სიზმარში და ბელქი დევიბრუნო ის ჩემი ჯვარი...“

– მერე და შეიძლება ასეთი რამე? – გაკვირვებულმა ვკითხე და ამოვიჟღლიმე თვალები, – მერე და... ის ყმაწვილი ვიღაა? ასე მონათვლაც რომ არ შეიძლება?! მერე და: ჩაითვლება კი მონათლულად?

შეიძლებაო?! როგორ თუ არ შეიძლება?! შეუძლებელი არაფერია, ახლა იმიტომაც გამოგიჩნდი, რომ მინდოდა, გამეგო, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი იმაში, თანახმა იყავი თუ არა, რომ მონათლულიყავი...“

– ის, ყმაწვილი ნეტა ვინაა?

„ბარემ შენც შემომყოლოდი იმ ჩემს სიზმარში და... იმ ყმაწვილსაც გაიცნობდი... ჰო, პასუხს მოველი შენგან!“

– მაგრამ როგორ შემოგყვე, როცა არაფერი ვიცი ამაზე?! სიზმარში შესვლა როგორ შეიძლება? ასეთი რამ პირველად მესმის...

„შენ ინდომე ოღონდ და...“ – ჩაიღიმა ლალი-შაქირამ და დაკვირვებით შემათვალიერა; მეც ასევე დაკვირვებით შევათვალიერებ ლალი-შაქირას.

მაღალია იგი, თხელი და წელში მოხრილი ოდნავ, რომ გაიმართოს, ერთბაშად კაი მოსულ კაცსაც კი დაჩრდილავს. მაღალი მქვია მეც, მაგრამ იმასთან ჯერ სად მივალ! იქნებ, წამოვეწიო ამ ორ წელიწადში, მაგრამ ვიცი, რომ ვეღარ ავაცილებ. არც მინდა, ვიყო ლალი-შაქირაზე მაღალი. ისევ ავაყოლე თვალი იმის წინ წამოხრილ ტანს და მომინდა, გასწორებულიყო, გამართულიყო და მთლიანად შემეგრძნო მისი სიმაღლე.

ერთიც გაიღიმა თავისებურად და მხარზე ჩამომადო ხელი:

„მე მესმა შენი პასუხი და დიდი მადლობაც მომიხსენებია... დიდი მადლობა! თორმეტ საათზე, ახალი დღე სულს რომ ჩაიდგმს, ე მაშინ... უნდა იყო ყურადღებით! თვალადაც უნდა იქცე და ყურადაც! ხედავ, დღეს წყდება შენი და ჩემი ბედიც!“

– მერე ნათლია? – კითხვაც არ დამიხანებია.

„ნათლია?! – წელში გასწორდა და მაღლა აღაპყრო ხელები: – შენ გეყოლება შენი ნათლია! დიდი ნათლია! აბა?!“

– მეყოლება? – თვალი ვერ მოვაშორე ლალი-შაქირას.

„გინდოდა... გავმართულიყავი გინდოდა, ჩემი ნამდვილი სიმაღლე გინდოდა გცოდნოდა. ერთ-ორ წელიწადში ჩემხელა იქნები...“ – ჩავიკითხე მისი ფიქრი და მხრები შევიბერტყე. იგიც მოეშვა და ჩვეული მდგომარეობა მიიღო.

* * *

ს ი ზ მ ა რ შ ი:

ქუთუთოები დამმძიმებია.

წამით წამობნელდაო თითქოს: წყვდიადმა დაისადგურა, მაგრამ მალევე გაიფანტა და იქაურობაც გაბრწყინდა.

მე კი: რაღაც უჩვეულო ძალამ მძიმე კარიბჭესთან მიმაგდო. ავიხედე მაღლა და თვალი რომ ვეღარ ავაწვდინე გალავანს, უნებლიეთ გამაძაგძაგა. თითქოს და ფიქრებიც გამომბერტყოდეს თავიდანო და ამან შემაშფოთა. აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, რა მექნა საერთოდ. ვეღარ ვფიქრობდი! და ასე იმედგადადაწყვეტილმა თვალი ჩამოვაყოლე იმ თვალშეუწვდენელ გალავანს, მაშინღა მოვფხიზლდი. თვალიც ანაზდად მიმელულა და რომ ავახილე, ის კედელ-გალავანიც აღარსად იყო. მაგრამ იმ ოქროს წარწერამ კინოკადრივით გამიარა თვალწინ და ჟრჟოლად ვიქეცი: „მე ვარ ცხოვრება, მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე!“

ეს სიტყვები იესოს ეკუთვნისო, გამიელვა და შევცბი: „ნუთუ უფლის საბრძანებელში ვარ?!“ – ბზრიალასავით დამიტრიალდა ფიქრი, მაგრამ რომ ვეღარავინ დავლანდე, ის კითხვაც და ამ კითხვის გამომწვევი ფიქრიც სულში ჩამიბრუნდა.

და ვხედავ თვალდახუჭული! თვალის გახელაც აღარ მინდა! რომ გავახილო და თვალწინ არარაობა, არაფერი რომ დამიდგეს?!“ შიშს შევეპყარი და თვალს როგორღა ავახელდი.

ჩემ წინ – სარკე მაღალი, მაგრამ – ფარდაჩამოფარებული...

კიდევ ერთხელ დამინდო არსთა გამრიგემ და შემაზრზენ სინამდვილეს პირისპირაც აღარ შემყარა.

ფარდას ხელის კანკალით გადავწევ-მეთქი, გავიფიქრე: – თუნდაც არარაობის წინაშე აღმოვჩნდე. მაგრამ შეიძლება კი გადაიწიოს ფარდა? ან მაღლა აიწიოს?

„იკითხე? გიპასუხებ, ჰოო და ტყუილუბრალოდაც ხომ არ მოხვიდოდი?! და კიდევ: გვკითხე, რაც გინდოდეს!“

– მე სიზმარში რომ ვაპირებდი შემოსვლას, არც მეეჭვება და როგორც ვფიქრობ: ავშორებივარ მე ლალი-შაქირას. აქ მისი ჭაჭანებაც არ უნდა იყოს. მომიტევეთ, ბატონო...

– მისატვებელი და საპატიებელი რა გჭირს?

– მაშინ სად შეიძლება ლალი-შაქირას ნახვა?!

– ლალი-შაქირას სიზმარში ხარ.

ხმას მივაყურადე და ვერაფრით გავიხსენე, სად უნდა მსმენოდა.

„სარკეში ჩაგეხედა, ძიავ...“

ფარდა თვითონ გადაიწია.

სარკეში – ლალი-შაქირა!

გიკვირსო?

აბა, არ უნდა მიკვირდესო?

ლალი-შაქირა მიქნევდა ხელს და სარკის სიღრმეში მიიწევდა სულ უფრო და უფრო. ბოლოს მიიკარგა სულაც... სარკეს არ ამოუკვნესია, მაგრამ ამოიხვნეშა კი და მისკენ მივიწიე. თვითონ ჩემმა გამოსახულებამ შემაშინა და ერთიანად დაზაფრული უკან გავხტი. შენივე გამოსახულებისა გეშინოდესო?! ამოვთქვი და ისევ მივუახლოვდი სარკეს. ის გამოსახულებაც ძველი რიხით გამომეჭიმა და ღიმილი მომგვარა ამან. იმასაც ირონიულად გაეღიმა და ერთმანეთი შევათვალიერეთ. მაღალი ვიყავი, თითქმის ლალი-შაქირასხელა, მაგრამ წამიც და... წამი იდგა მართლაც. მთრთოლარე; თრთოდა ყველა და ყველაფერი და იბზარებოდა, ტყდებოდა და სკდებოდა, როგორც სულშეხუთული მიწა აგვისტოს პაპანაქებაში. მერე: გავდნი და ათუხთუხებულ ლავასავით დავიძარი: – ცეცხლი უკიდია ჰაერსა და მიწას, ვიწვი... ცეცხლის ალში გახვეულიყო დედამიწა!

გადასცდა მზე შუბისტარს, გადაალაჯა თავის დამოკლებულ ჩრდილს და გაიყინა, უცებ

აცივდა, მდინარესაც პირი შეეკრა, ლავად შეიძრა და გააზმორა. და იმ შემძიმებული ლავიდან ლალი-შაქირა ამოიზარდა. მოდიოდა ჩემკენ ჯვარმოკიდებული, უჭირდა სუნთქვა და რაც უფრო მიახლოვდებოდა, უმძიმდებოდა ის ბედი-ჯვარიც.

ჩემგან სულ ახლოს შედგა. დგას და თრთის დაჯვარული.

– შენ რომ მეუბნებოდი, ლალი-შაქირა, ერთი ბიჭი მყავს მოსანათლავი, სადაა? – თვალი გავუსწორე.

„მდა... – სული მოითქვა ლალი-შაქირამ, – დღეს მოინათლები შენ... ნათლობის სახელი კი... მგონი ახალი სახელი აღარც დაგჭირდეს... სახელი ნოე ბიბლიურია და პატივია, ნოე ერქვას კაცს! ნოეს კიდობანზე ხომ გსმენია?! ნოეს ძველ აღთქმაში მოიხსენიებენ. მოკლედ: ნოე რომ არ ყოფილიყავი, მე უნდა დამერქვა შენთვის ეს სახელი!“

– ის ბიჭი? – მეც აღარ მოვეშვი.

– ცუდად გამხდარაო, შემომითვალეს, ვეღარ მოვაო. კაი იქნებოდა ერთად მონათლულიყავით. იქნებ, უკეთესიც ყოფილიყო, სულაც რომ არ მსმენოდა იმ ბიჭზე! აგე – მდინარე! ხომ არ გეეჭვება, რომ ნათლობა მისტერიაა და გადარჩენა სულის! ისტორიიდან გეცოდინება, როგორ ამუსლიმანებდნენ თურქები ქრისტიან მართლმადიდებლებს, სპარსელებიც! ცუდი დრო იდგა მაშინ საქართველოში. არჩევანი: სიკვდილ-სიცოცხლე... და ქართველიც სიკვდილს ირჩევდა, სიკვდილი იყო მისი ხვედრი... ქრისტიანად კვდებოდა! აბა, შეაფურთხეთ ჯვარს და იცოცხლებთო, გაჰკიოდა მუეძინი, შეაფურთხე ჯვარს, გიაურო, თვარა... – და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს მუქარა, ახლაც ჟრუანტელივით დაუვლის ქართველს სისხლ-ძარღვებში და გააცახცახებს. ამ დროს მოგინდებათ პირჯვრის გადაწერა, დაილოცოს, გამჩენელო ღმერთო, შენი სახელი... ემთხვიეო ამ ჯვარს! – ლალი-შაქირამაც შემაქცია ზურგი და მოწიწებით ვეამბორე მის ჯვარს (სამჯერ), უკან მივიხედე ანაზდად და როცა ჩემ უკან ამდენი ხალხი დავინახე, ამიწრიალდა სული. რა ამბავიაო, უნებლიეთ ვიკითხე და პასუხიც იქვე დამხვდა:

– ეგერ, თამარის ხიდქვეშ დიდი ნათლობაა და იმ თეთრად შეფეთქილი, ახალაღმართული ჯვრის კურთხევა გაიმართებაო!

ითქვა და იქაურობაც გადანათდა, თვალისდახამხამება და ხიდქვეშ ვიყავი უკვე. სხვებთან ერთად თავი მეც ჩავყავი წყალში და ყველაზე ბოლომ მე ამოვიყურყუმალავე. თითქოს წყალიც დამშვიდებულიყოს. ვმშვიდდები მეც. დღეიდან ქრისტიანი ვარ!

ლალი-შაქირა შუბლზე მეამბორა და გამომიცხადა: „დღეიდან, ნოე, შენ ქრისტიანი ხარ, მართლმადიდებელი!“

ქრისტიანიო?! პირჯვარი გადავიწერე და: გამომეღვიძა: – ქრისტიანი ვარ დღეიდან! – ამოვთვქი და ვიგრძენი, როგორ დამითბა თვალები, ათბა ჩემს ირგვლივ, ასე მგონია, ვასხივებდეო თითქოს.

მიწამ დამიძახაო, გავივლე გუნებაში და ამიჩურჩულდა გული: – მიწაო, მიწაო ჩემო... არ მემეტება სხეული ჩემი შენთვის: მზარავენ შენი მცოცავი ჭიანჭველები და... – უუჰ, – ამბურძგლა ტანზე და გამაკანკალა, – მაპატიე, მიწავ, რომ...

და აძაგძაგებული მიწაც მიპასუხებს:

– შენ გესმის ჩემი... შენ წაიკითხე ჩემი ფიქრ-სურვილი... რა მოხდა მერე, თუკი ვერ იაზრებ ჩემს ფიქრ-სურვილებს?! კვნესის: – თუკი ვერ დავიბრუნე ის, რაც გავეცი, სრულყოფილიც ვეღარ ვიქნები... დამიბრუნდები და აგეხილება სულის თვალი... შეიხედავ მომავალში და... ჯადოც აგეხსნება. გეცოდინება ჩემი ენაც, შენ ხომ შვილი ხარ ჩემი... ჩემი ხორციელი შვილი და როცა გააცნობიერებ ჭეშმარიტებას, შვიდჯერ დამიკაკუნე კარზე... კარი? ცხრაკარი იქ არის, სადაც შენ დგახარ უჟმურაყოლილივით...

შვიდჯერ შვიდი წუთის განმავლობაში დარჩები ჩემში და თვალ-ყური მომაპყარ!

...და ეზიარები შენც იმ იდუმალს, რაც ჩაიმარხა ერთხელ ჩემში... რომ აღმოცენდეს იგი ერთხელაც და...

ავიხედე მაღლა და ტანში დამზრინა. თითქოს, ზეცა დამხარხარებდა თავს და უფალიც ვიხილე!

– დედამიწა ის ერთადერთი ლაბორატორიაა სამყაროში, სულთა სრულყოფისათვის რომ მოვიფიქრე ერთხელ... – მაუწყებს არსთა გამრიგე.

ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო და მომინდა, მომეწყვიტა მათ შორის ყველაზე ნათელი.

ჰოდა, შევარჩიე მილიონთა შორის ერთი – განსხვავებული ზღაპრულად, მკერდზე მივიხუტე, დავეშვი მუხლებზე და თავს დავეკარგეო თითქოს, გავიფანტე სივრცეში და უთვალავ ნაწილად მოვეფინე უსასრულობას.

მერე: უცებ შევერთდებით მე და ნაწილაკები, წამოგვიქროლებს ამ დროს ზღვაური და სადღაც, წყვდიადში, შეგვისროლის უსულგულოდ.

და, გვირაბში მივქროდეო თითქოს...

მაგრამ ქროლაც რომ აღარ ეთქმოდა ჩემს ამგვარ ყოფას?! ჭენებას უფრო ჰგავდა ჩემი ქროლა, წყვდიადწაკიდებული სივრცე გახლდათ ჩემი სწრაფვის კალო.

მაგრამ როდი მიმაჭენებდნენ? მივჭენაობდი თვითონ, ჩემი სურვილით.

ო, რანაირი მოქნილი უნდა ვყოფილიყავი, რომ უხილავ კედლებს არ შევჯახებოდი, მაგრამ უფალი იყო ჩემი შემწე და მფარველი. ვგრძნობდი მე ამას ქვეცნობიერად. ვერაფერს ვხედავდი წინ, თითქოსდა მეუბნებოდა გული, კიდევ ერთი წამი, წამი ერთადერთი, გარდაუვალი და შევეჯახებოდი რასმეს ისეთნაირს, რომ აღარაფერი დარჩენილიყო ჩემგან, დავნაწევრდებოდი ისე, რომ ვერასოდეს შევერთებულიყავი, ვეღარ გავმთლიანებულიყავი. აღარ მღირსებოდა მკვდრეთით აღდგომა... დავსრულდებოდი ერთხელ და სამუდამოდ.

და, ე, მაშინ შევუხვევდი მარცხნივ ან მარჯვნივ, ხეობაშიო თითქოს და შევუერთდებოდი მე ჩემს სავალ გზას.

დიახ, მყავდა მე ჩემი კეთილი ფერია, ჩემი მფარველი ანგელოზი და შევიგრძნობდი იმის სიახლოვეს.

კიდევ ერთი აღმოჩენაც: მე ამ წყვდადში სულაც აღარ მჭირდებოდა თვალი. მის მაგივრობას გული ასრულებდა.

მივხვდი (შევიგრძენი ისევ), რომ სული ვიყავი და სხეულის გარეშეც შემეძლო ყოფნა (ყოფიერება), ვერანაირი წინაღობა ვერ შემაჩერებდა აწი. აღარ არსებობდა ჩემთვის ეგრეთ წოდებული ზღუდე, ზღუდისნაირი რამ...

მაგრამ იტყვიან, ყველაფერს თავისი აქვს სასრულიო და ჩემი ამგვარი სვლაც უნდა დასრულებულიყო. მიგრძნო გულმაც და სინათლეც თითქოს არსაიდანო, მოულოდნელად გამოიჭრა ჩემკენ, მაგრამ სვლა არ შემინელებია. პირიქით: ავჩქარებულვარ თურმე ისე, როგორც არასდროს და იმ სინათლესაც ემატებოდა, ღმერთო ჩემო, სიკაშკაშე და ბრწყინვალება.

მაგრამ თვალს რომ აღარ მჭრის მე იგი სინათლე?!

რა დრო გასულა?! ვეღარც ვიხსენებ, როდის დაიწყო ეს ყველაფერი... რა იყო და როგორ იყო ამ სინათლის გამოჩენამდე?

მე კი ვვიდოდი, სულო, ვვიდოდი და აღარ ვუწყი, როდის შევჩერდები? მაშ, როგორ, როგორ დასრულდეს ჩემი ამგვარი ლტოლვა შეუცნობისკენ? როგორ და...

ვიკითხე და: გაირკვევაო თითქმის ყოველი...

და ვდგავარ სუნთქვაშეკრული, თვალებდახრილი რაღაც შეუცნობლის... გაუცნობიერებლის წინაშე. თავიც მაღლა ვერ ამიღია.

ის კი, რაც ჩემ წინ აღიმართა ასე მოულოდნელად, ნათელი და ელვარე იყო, თითქოსდა – გამჭვირვალეც, ყოვლისშემძლეც და ყოვლისმხილველიც, მაგრამ მის დასახასიათებლად ეს ყველაფერი აღარ კმაროდა: ყოვლისმომცველიც უნდა ყოფილიყო იგი! და მასში ვიყავი მე, მისით ვიყავი!

და როცა დავსრულდითო თითქოს, თავზე დამადო იმან ხელი, რაიც ბოლომდე ვერ შემეცნო და ამომხედეო, გავიგონე მისი სულისთქმა.

– ეს... თქვენ ხომ არ მეუბნებოდით, რომ დედამიწა ის ერთადერთი ლაბორატორიაა სამყაროში, სულის სრულყოფისათვის რომ მოვიფიქრე და გამოვიგონეო?

– ჰო... – მესმა იმის სულისთქმა და შემაჟრჟოლა.

– და... სული უნდა ვიყო მეც, შენ მიერ დედამიწაზე მოვლინებული, მაგრამ ის აღარ ვიცი,

დავასრულე მე ჩემი საქმე დედამიწაზე, თუ... – გამაკანკალა.

– და რადგან შეეჭვებულხარ... უკან გასაბრუნებლადაც უნდა შეემზადო, რომ იიმ დროში დროულად და ზუსტად ჩაჯდე. იქიდან ამოვარდნილი უცხო სხეულივით დარჩები დროსა და სივრცეში. გამოიწვები, როგორც, სული კოსმიურ საკირეში... მე, მე დამაკლდები შენ – ერთი სული და რადგან აღარ მეყოლები, ხომ მიმაკლდება მე შენი წილი სინათლე?! ვეღარ შევივსები შენით და მეც ვეღარ დავრჩები სრულქმნილი სული.

– მაგრამ შენთან ყოფნა რომ მსურს... აქ, შენთან... – გულმა გამიწია მისკენ. მინდოდა, შევრწყმოდი, შევერთებოდი ჭეშმარიტს და უკუიქცა იგი მოულოდნელად.

შორიდან და თითქოს მწვერვალიდანო, ჩამომღიმილა და მომწვდა მე მისი ღიმილი:

– ადრეა ჯერ შენი აქ მოსვლა... – მაღლა აღაპყრო ხელები, თვითონაც აიწვართა მაღლა და ჩაისუნქთა მთელი ეს სივრცე, მერე შეაჟრჟოლა როგორღაც, ხელისგული დამადო თავზე და ავივსე მისი სითბოთი. მისებრ ავჟრჟოლდი მეც.

– ოო, უფალო... – ამოვთქვი ჩემდაუნებურად.

– იყუჩე, სულო... იფიქრე მხოლოდ... კიდევ ერთი წუთიც მოგეცემა შენ საოცნებოდ.

– და მაინც: რატომაა ადრე ჩემი აქ მოსვლა და შენში შემოსვლა?

– იფიქრე ამაზე და პასუხსაც შენშივე აღმოაჩენ!

და ვფიქრობ მეც, ვფიქრობ და მოდის ფიქრიც, თითქოს შემოდის ჩემში, შთამოდის და დადგება როგორღაც უხერხულად და განცალკევებით, განყენებულად: მაგრამ ჩემია ეს ფიქრი და წავიკითხავ მე ამ ფიქრს, შემოვაცლი თხელ, სიფრიფანა კაბას, ხახვის ფოთოლივით რომ შემოკვრია ტანზე და... აღარ ილევა ეს გამჭვირვალე ფოთოლ-კაბები, ლამის შემომელიოს ის ჩემი ფიქრიც და ვხვდები, რომ სულია იგი ჩემი, რომელსაც ასე კლებია თურმე სრულყოფა, მაგრამ დრო არ გამოგვლევია ჯერ და არც ჩემი სავალი გზა დამსრულებია...“

– პასუხი იცი, მგონია... იგი ფიქრმა მოიტანა... შენ ის წუთიც გაგიაზრებია, როგორც ვხედავ, საოცნებოდ რომ გამოგიყავი... შეგიძლია, ის წუთი სახვალიოდ შემოინახო, ან კიდევ... ღვთის სამსჯავროზე რომ შემოდგები, ე, მაშინ შეასხი იმ შენს წუთიერ ოცნებას ფრთები... გახსოვდეს: ის ერთი წუთის ოცნება შეუფასებელია! არ აიწონება იგი... განძია იგი და... ვალად როდი მომიცია შენთვის? იგი შენი საკუთრებაა...

– მირჩევნია, ხვალისთვის შემოვინახო ეს ერთი წუთი-ოცნება, თუმცა დაფიქრებაც არ მაწყენს ამაზე...

– შენ უკვე იფიქრე! გაბრუნდი უკან!

– ერთი წუთი ფიქრი მართლა არ მაწყენდა...

– მე კი გიმეორებ, რომ ფიქრისთვის დრო აღარ დაგრჩენია! აგერ ახლა არ შემოგეხარჯა ის ერთი წუთი? მაგრამ საოცნებოდ გადანახული ერთი წუთი კიდევ გაქვს შენ და თუ გინდა, შეგიძლია, ფიქრად იქციო...

– მაგრამ ოცნებაც რომ მინდა?!

– მაშინ ნუღარ დაიხარჯები... გიჯობს, სასწრაფოდ გაბრუნდე უკან!

– ერთი თვალი გაგისწორო და... და გავბრუნდები უკან!

– ჯერ ვერ ხარ მზად აქ დასარჩენად... ჯერ იქ დაგრჩენია გასავლელი გზა!

თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ სახლში ვიყავი უკვე, მაგრამ...

სახლში არა და მიწაში კი ვიყავი წელამდე ჩაფლული.

და მახსენდება: დენმა რომ დამარტყა და... ვიხსენებ, გონს როგორ ვკარგავდი.

მციოდა, ვიყინებოდი.

დამმძიმებოდა ქუთუთოები, მეხუჭებოდა თვალები.

უსიამოდ გამაძაგძაგებს. თითქოს და: მრცხვენოდეს მე ვიღაცის, მრცხვენოდეს როგორღაც და თავი აღარ გამომეყოფოდეს გარეთ.

თვალებში ამოვისვამ თითებს და იელვებს. მაგრამ ჭექა-ქუხილი არ მოჰყოლია ამას. მეხს შუაზე არ გაუპია ათასწლოვანი მუხა...

მერე კი: გამიჭირდა იმის დადგენა, მართლა იელვა მაშინ, თუ ისე, უბრალოდ დამესხა თავბრუ (ეს უკვე მერამდენეჯერ)?

მაგრამ გამოვიხედე, როგორც იქნა. მაღლა ავიხედე: ცა – ვარსკვლავეთი იყო ჩემი ჯადოსნური ქოლგა. ახლა ძირს დავიხედე და: ლალი-შაქირა დავინახე პირველად. მასთან მამაჩემი იდგა... ბაბუაჩემიც იქ იყო. იქითაც იყვნენ – ჩემი ნათესავები და კეთილ-მოყვარენი. მაგრამ ის, ვინც ყველაზე მეტად მომნატრებოდა, არ დამინახავს. – დედა... – ჩავითქვი გულში და გამაჟრიალა, – ის ხომ... შარშანწინ გარდამეცვალა, ხელიც კი ჩავიქნიე იმედგადაწურულმა, მაგრამ სწორედ მაშინ არ გამომიჩნდა?! მივიჭერი მასთან, მინდოდა, გულში ჩავკვროდი და შიგ, მასში არ გავიარე?! დედაჩემიდან გაოგნებული გამოვედი. თითქოს ხელმეორედ ვიშვი, და ერთი რამეც აღმოვაჩინე: მე ის აღარ ვიყავი უკვე, რაც გუშინ ვიყავი. მე გუშინდელზე მეტი ვიყავი, მეტი... ერთი სულით აღმატებული გუშინდელთან შედარებით.

და ფიქრიც წამომივლის აქ: „...და არის რაღაც გრძნობა იდუმალი, მიწიდან გადმოსული ჩემში...“

დასკვნაც უცაბედი: მე მიწა ვიყავი და მისი სისოვლე გამჯდომოდა ძვალ-რბილში.

ვგრძნობდი, რომ მქონდა ჩემი გარშემოწერილობა და ეს იყო იმის საბაბიც, რომ მქონოდა სასრული და უნდა მეღონა რამე ისეთი, რომ არ დავსრულებულიყავი(!)

საშველი?!

საშველი რომელი?!

შემბოჭა ფიქრმა და როცა მთლად დამიმორჩილა, მაშინ გამინათდა გონება... სასიამოდაც შემაჟრჟოლა. აღარ მინდოდა სიკვდილი... აღსრულებამდე ვერ ავიტანდი აღსასრულს, სიკვდილამდე, მანამდე მოვკვდებოდი და დავსრულდებოდი.

ჰო, აღარ მინდოდა სიკვდილი და მაღლა ავიხედე:

და ჩამყლაპაო თითქოს ზეცამ... მოვეშვი უცებ... დავყევი იმის რიტმს და როცა ამოისუნთქა, ჰაერის ამ ნაკადს ამოვყევი მეც, გავიშალე მერე და... თვითონ არ შემომეყლაპა მე იგი ზეცა?!

გავიწიე და რა გავიწიე?!

ლამის უსასრულობად ვიქცე(!)

თუმცა ვიცი (ნეტა, საიდან მომდის მე ეგ აზრი), ვიქცევი უსასრულობად და... მერე როგორც ზეცას, სივრცეს, საერთოდ აღარც მექნებოდა სასრული.

უსასრულობა ვიყავი და ვერც გარშემოვიწერებოდი...

და მართლა ასე რომ იყო?!

და ბედნიერიც ამიტომ ვხდები (...)

ბედნიერება: თვით უსასრულობა! (ბედნიერებაც ხომ უსაზღვროა უსასრულობასავით)?!

და: სულის კარიც გამეხსნება ამ დროს...

* * *

გავრბივარ:

არ ვიცი, საით, საითკენ?

აღარც ის ვუწყი, ვის გავურბივარ და აფორიაქებული გული ვისთან მიმაგდებს.

იდგა გრაფი ფეხებგაჩაჩხული და გულხელდაკრეფილი:

– მე გეძახდი... გესმოდა ხომ ჩემი ძახილი?

– თითქოს მეძახდნენ და აქეთ გამომიწია გულმა...

– და უკვე აქ ხარ, ჩემთან! ძალიან კარგი... – ხელები მაღლა ასწია გრაფმა და იმის ხელების მოძრაობას ავყევი მეც. ვდგავარ ფეხისწვერებზე, სულშეგუბებული.

– ჩემთან ხარ და ესაა მთავარი: მე – ოსტატი და შეგირდი – შენ!

– გმადლობთ, – ამოვთქვი და სულიც მოვითქვი.

– უსასრულოა ეს ქვეყანა და უსასრულოა ჩვენი არსიც... ღმერთი ჩვენშია, ღმერთი – უსასრულობა და ყოვლის გამრიგე! ღმერთს გინდა შეწვდე? კეთილი, კეთილი და კიდევ კეთილი... სასურველია ამნაირი ფიქრი! ჰოდა, ვიპოვე, ღმერთს ასე გამალებით რომ დაეძებს თავის თავში, შედის, ღრმავდება იგი საკუთარ სულში და აცნობიერებს, რომ უსასრულოა სული და მისი თვალსაწიერიც უსასრულოა!

მაგრამ უნდა შეგეძლოს აზრის კონცენტრაცია... ამას კი განსაკუთრებული ვარჯიშები თუ შეგაძლებინებს, მაგრამ არის იოლი გამოსავა-

ლიც! – ხელები გაშალა; მარჯვენა ხელისგულზე თითქოს და ჩვეულებრივი აბი ედო, სულ უბრალო, გვერდებგაფცქვნილი, ათას ხელში გავლილ-გამოტარებული:

– შენ გინახავდი ამ სასწაულმოქმედს! მოიხილავ იმ ქვეყანას: მოვსულვართ საიდანაც და მიგვეშურება ჩვენ საითკენაც. აიღე, შენია!

მეც ჩამოვართმევ სასწაულმოქმედ აბს და უწყლოდ გადავყლაპავ.

– დახუჭე თვალი და მიჰყევ პირველ ფიქრს! – მესმის გრაფის ამაღლებული ხმა.

მეც ვხუჭავ თვალს და მზეს დავინახავ, თითქოსდა ძირს ეშვებოდეს. აჰა, დაეშვა ძირს და მეც გავეშურები მისკენ, მაგრამ დედაჩემი გადამიდგება წინ, ცრუ მზეს ნუ მიენდობიო, მაგრამ აღარ დავუჯერებ. ამ მზით ვარ მეც შეპყრობილი. ამ მზეში მინდა შევიდე და თვითონაც მზედ ვიქცე. წინ რა დამიდგება?! წამიც და გაქრება დედაჩემიც ჩემი თვალსაწიერიდან და მზე გარბწყინდება ჩემში მთელი თავისი სიდიადით.

„დედას ვაწყენინე?!“ – გამიელვა და წყალმაც წაიღო ჩემი ფიქრი.

ასე ვუერთდები მზეს და მზედვე ვიქცევი.

მე ღმერთი ვარ, ღმერთი!

შემიძლია, ვანათებდე და ვათბობდე პლანეტებს, მნათობებს; შემიძლია, შევაღწიო ეგრეთ წოდებულ „შავ ხვრელშიც“ და გავაიშვიათო იქაური სივრცე, მაგრამ მაჩქარებს ვიღაც, სულ სხვა საქმე გველოდებაო და ვიგრძენი, რომ მთლად თავისუფალიც ვერ ვიყავი საკუთარ ქმედებაში. თითქოს მიმათრევდნენ სადღაც და უჟმურიც ჩამოწვება ჩემს სულში ამ დროს.

დაგაგვიანდაო! – ჩამძახოდნენ ყურში და უცებ გამოვფხიზლდი:

„მე მზე ვარ, მანათობელი და უნდა ვანათო...“ – გავიფიქრე და მიწასაც ავაწყდი. სულ მაღლა-მაღლა მივიწევ და ვიზრდები გზა და გზა. ეს მე ვარ მზე! სიცოცხლე ვარ, კვლავ სიცოცხლე და: მარადისობა-უკვდავება!“

ჩამოვიარე იქაურობა და კიდევ: მოსავლელი მრჩება იქაურობა... ვგრძნობ და აღფრთოვანებულიც ვარ უსასრულობის სიდიადით. უსასრულობა ვარ თავადაც. ამის გააზრება და სულიც გამისწრებს წინ, უსასრულობის შეცნობა სურს ამ ჩემს სულს და მინდა, ამ უსასრულობას ვეზიარო.

და ჩამისროლესო თითქოს უფსკერო ქვაბში: მაკლდება სიკაშკაშე. სითბოც მაკლდება და რაც ყველაზე მეტად აუტანელია ჩემთვის, ვიცლებოდეო თითქოს სიდიადისა და სრულყოფილებისაგან.

ჰოდა: მგონი, სრულყოფილი ვეღარ უნდა ვიყო და: ძილი წამიღებს.

სიზმარი – არავითარი: თითქმის სიკვდილი, მაგრამ მთლად სიკვდილიც არ უნდა ყოფილიყო ეს. თვალის ახელა მინდა, მაგრამ რომ არ შემიძლია?!

„აახილე თვალი, ნოე, თორემ შეიძლება ვეღარც მობრუნდე...“ – ვიცანი ლალი-შაქირას დახშული ხმა და მისმა სახემაც გაიელვა ჩემ თვალწინ.

მარტო გაიელვა?! შემანჯღრია კიდეც!

გავახილე თვალი.

გამომეღვიძა... (ვითომ?)

იქნებ მესიზმრება, რომ გამომეღვიძა, სინამდვილეში კი საღათას ძილს შევუპყრივარ და მივალ, ალბათ, იმ უკანასკნელ წერტილამდე და კოსმოსურ სანაგვეში ჩამიძახებენ.

მაგრამ: მოდით და მივყვეთ მოვლენებს: ვნახოთ, სად შემისროლოს ბედმა ჩემმა და როგორი განაჩენიც გამომიტანოს საბოლოოდ?

კითხვა თვითონ ჩემშივე იშვა, უცნაური თითქოს და დროისთვისაც შეუფერებელი: – ვინა ვარ მე?

აჰა, ის კითხვაც, გამოღვიძებისთანავე რომ დამებადა და აქამდე მომყვა.

პასუხი ამ კითხვაზე მართლა არ მაქვს და არ მგონია, ამ მოკლე ხანში გამიჩნდეს.

– მაშინ ის მაინც გეთქვათ... სად ვიმყოფები, – მომესმა ჩემშივე წამოჭრილი კითხვა და აკივლდება ჩემ ირგვლივ აცხაცახებული სივრცეც.

აქ: სხვაც ბევრია ჩემ გარდა, ოღონდ ვერავის ვცნობ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლექტორი უნდა იყოს შემოსასვლელი ჩვე-

ნთან, რომელმაც ადამიანის დანიშნულებაზე უნდა წაგვიკითხოს ლექცია. მეტი არაფერიც არ ვიცი და ამაზე ვერც ვერაფერს ვიტყვი. თავს ავიღებ მაღლა. წინა რიგებში ვიღაც-ვიღაცები ვიცანი, ხელებს მიქნევდნენ.

ფეხზე ვიდექი და ვაპირებდი, გავცლოდი იქაურობას.

ის ოთახიც (იქნებ აუდიტორიაც) დაცარიელებულიყო ამასობაში და ცივი ოფლი დამასხა.

როგორც იქნა: გამოვედი მაინც იმ საშინელება ოთახ-ლაბორატორიიდან და პირდაპირ ციცაბოდ დაკიდებული აღმართის წინ აღმოვჩნდი. რამდენჯერ ვცადე მისი დალაშქვრა და იმდენჯერ დამისხლტა ფეხი. იძულებული ვხდები, იმ ოთახ-ლაბორატორიაში შევბრუნდე. მაგრამ: აღარსად იყო ის ოთახ-ლაბორატორია. მის ადგილზე ერთი ერთსართულიანი მწვანე სახლი იდგა მწვანეში ჩაფლული, ამის გაფიქრება და იმ ეზო-ბაღჩაში არა ვარ?! ეგეც არაფერი: საიდან სადაო და სამფეხა ჯორკოზე ვზივარ! გვერდით ბიჭი მომჯდომოდა ერთი, ჯაყვა დანას ათამაშებდა ხელში. ეზო-ბაღჩაში აღმოვჩნდიო, მახსოვს გეუბნებოდით, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე: ჯერ იმ მწვანე სახლში რამ შემიყვანა და მერე იმ მწვანე სახლიდან ეზო-ბაღჩაში რა ძალამ გადამიყვანა?!

ის ბიჭიც, ნეტა, საიდან გამოტყვრა იმ თავისი ჯაყვა-დანით? კითხვაა, ალბათ, უბრალო, ასევე უბრალო პასუხს რომ მოითხოვს, მაგრამ... თვალი გავახილო ჯერ!

ნეტა, გამაგებინა, რა მესაქმება ამ ბიჭთან და იმასაც რა უნდა ჩემგან და... რას ვითხოვთ ერთი მეორისგან?

ამ ფიქრებში ვიყავი და ჩხვლეტა ვიგრძენი ბარძაყზე. სისხლი მდიოდა (ბიჭი არ მჩხველტდა თურმე?!) – რას შვრები-მეთქი, – ვკითხე. აღარ მიპასუხა, მაგრამ ჩხვლეტაც არ შეუწყვეტია. დანა წავართვი და შორს მოვისროლე. მერე ვინანე: რატომ ხეზე არ მივარჭვე იმ სიმაღლეზე, რომ ვერ შეწვდენოდა. მინდოდა, დამეტუქსა ბიჭი, მაგრამ ცამ ჩაყლაპაო თითქოს, გაუჩინარდა.

დავტოვე ეს მწვანე სახლი.

მაგრამ: მივაბიჯებდი აღმართზე, რომელზედაც რამდენჯერაც არ შევდგი ფეხი, იმდენჯერ დამისხლტა-მეთქი, რომ გეუბნებოდით.

ჰოდა, მივაბიჯებდი იმ ციცაბოდ დაკიდებულ აღმართზე, მწვერვალისკენ.

ჰო, მივიწევდი წინ, მივიმაღლებოდი...

„მწვერვალი შეიძლება აღარც იყოსო...“ – მომეჭრა ფიქრი, – მაშ, ვიღასთან მივდივარ?!“ – ხმა დაეკარგა კითხვას. შევცბი, მაგრამ არ შევჩერებულვარ.

„რამეს ხომ არ გაიხსენებდიო?“ – ვთხოვ ჩემსავ თავს და ის დაოთხილი ფიქრიც არ გამომივარდა თავიდან?!

– შენი ფიქრი ვარ, მაგრამ კაი ხანია, რაც აღარ გეკუთვნი, ამიტომაა: არაფერი გახსოვს. კაცი ფიქრს დაკარგავს, შე უბედურო?

დავიძაბე ერთიანად და დაოთხილ ფიქრს გამოვენთე. აჰა, ვწვდი კიდეც და... დედაშენი გელოდებაო, გავიგონე, შენი ძმაც სახლშიაო.

„დედაჩემი? ჩემი ძმა, სულხანიც?“ – მომაწვა ფიქრი.

– გელოდება დედა... ძმაც გელოდება... – ისევ გავიგონებ.

აქ ფიქრმაც იძალა და გამისხლტა ხელიდან. დავრჩი უფიქროდ და ისევ ჩამომიბნელდა მეხსიერებაში.

„ადრე სულხანის ძმად მოიხსენიებოდი: ნოე – სულხანის ძმაო! შენ იმ სულხანის ძმა ხომ არა ხარ, გოგონები ჭკუას რომ კარგავენ?! იმ სულხანის ძმა იქნები... იმ სულხანისა, ამ სამი-ოთხი წლის წინ ცინკის კუბოთი რომ ჩამოასვენესო... მერე დედაჩემიც მიჰყვა თავის უფროს შვილს და...“ – ფიქრსაც აქ დაუმუხრუჭდა. მაგრამ მე ხომ უფიქროდ ვიყავი დარჩენილი“.

მაგრამ:

„სად, სად მირბიხარო?!“ – ამას გული ამომითქვამს და შევდგები.

„ნეტა, სად მივრბოდი?“ – გაკვირვებული ვიკითხავ.

– იფიქრე, იფიქრე და... დაიბრუნე ფიქრი: ვერ დაიბრუნებ და... საგიჟე იქნება შენი ადგილი!

„მაგრამ საგიჟე... ფსიქიატრიული საავადმყოფო... რატომ საგიჟე... რა შუაშია აქ სიგიჟე?

იქნებ, საგიჟეში მიჯობდეს მართლაც! ერთი წამომაწვინა და... საგიჟეში, როგორ დავიჯერო, ერთი საწოლიც არ იყოს...

ვფიქრობდი, მაგრამ უცებ იმ პირველმა ფიქრმა თუ წამომიარა და ნებიერად გამაჟრიალა ტანში.

თვალებგაბრწყინებულმა, მგონი მეშველაო, ამოვთქვი და მართლა არ შევწვდი იმ ჩემს გაუხედნავ და გათავხედებულ ფიქრს, როგორღაც ჩემ ჩაურევლად და ჩემი ნებართვის გარეშე რომ მოეპოვებინა თავისუფლება.

წავტანებივარ მკლავზე და აღარ ვუშვებ. ისიც ვითომც თავს დახრის ბედსშერიგებულივით და ჯიქურ ვკითხავ: – ვინ ხარ?

– დედაშენი ვარ, ნოე, დედაშენი... ორი შვილი მყავხართ, შვილო.

– მე რომელი ვარ იმ ორში?

– პირველი სულხანია, მეორე – შენ... სულხანი ფოთში მსახურობდა, ჯარში და ცინკის კუბოთი ჩამოასვენეს... შენ მეორე ხარ, ნოე.

– უმცროსი ვიყავი და უმცროსი ვიქნები ყოველთვის: უფროსი სულხანის უმცროსი ძმა... – ისე ვამბობ, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი რამ აღმომეჩინოს. თვალსაც არ ვახამხამებ და ფიქრიც ამ დროს იმარჯვებს და დამისხლტება ხელთაგან. მეც გავაყოლებ თვალს, თითქოსდა, ანანავებულს, მაგრამ იხელთებს იგი დროს და გამიუჩინარდება, თვალდახელშუა და ვრჩები ასე სიცარიელეს მიშტერებული.

ლოყა ამეწვება უცებ და ფიქრიც მაშინვე ჩამოხდება ჩემში, აწრიალდება თავისებურად.

უნებლიეთ წამოვიწევი და გრაფის მზერასაც გადავეყრები.

– აი, ეს მესმის! – თვალებგაბრწყინებულმა წამოიძახა.

თვალები მართლაც გაბრწყინებოდა სიხარულისგან, მაგრამ მიგრძნო გულმა, რომ იგი ჩემი ნახვით კი არ ყოფილა გახარებული, არამედ საკუთარი წარმატებულობა აღამაღლებდა ასე: მან შეძლო საიქიოში ჩავეგზავნე და იქიდან ასევე მშვიდობიანად ამოვეგზავნე.

გრაფმა შეუძლებელი შეძლო და ამაღლდა ჩემს თვალში. წაიკითხა იმანაც ჩემი ფიქრი-აზრი და მაღლა აღაპყრო თვალები: დიდხანს იყო ასე ქანდაკად ქცეული: დამვიწყებოდა ამქვეყნად ყველა და ყველაფერი და ასეც გამიელვა: „იქნებ, არცაა კაცი და...“

შევწყვიტე ფიქრი, მაგრამ გრაფმა მაინც მოასწრო ჩამწვდომოდა სულში და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია: – ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი... შენი ამბავი მაინტერესებს უფრო: – შენ მითხარი, რომ დედა ვნახეო... მაშ, არც შენ გყოლია დედა?! ზუსტად შენხელა ვიყავი მეც, დედა რომ გარდამეცვალა. ძნელია უდედობა... მართლა ძნელია!

– შარშან მომიკვდა... – ვამბობ გულშეწუხებული. თითქოსდა, სუნთქვაც მიჭირდა. ძმაც აღარა მყავს, იგი დედაჩემამდე დაიღუპა ფოთში...

– მეზღვაური იყო?

– ჰო...

სამწუხაროა ყველაფერი ეს, სამწუხარო. ვწუხვარ... შენ კი ძალიან კარგად მიგდის საქმე... არ მეგონა, ასე თუ გაიხსნებოდი... შენზე ამ წამალმა უფრო იმოქმედა, ვიდრე „ლსდ“-მ – ჩემზე... აი, ეს მესმის და მშურს კიდეც შენი, მაგრამ დარწმუნებული მინდა იყო, რომ: კი მშურს შენი, მაგრამ მხოლოდ კეთილი შურით... შენ ბევრს მიაღწევ... იქნებ, შეუცნობელშიც შეაღწიო და... ვინ იცის, ვინ იცის... – ფიქრმა წაიღო გრაფი.

აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი (გრაფი აქ სულაც აღარ იყო და წასვლაც კი დავაპირე, რომ ამიწია ხელი. თითქოსდა, ჩემკენაც მობრუნდა და გული შემეკუმშა როგორღაც. როგორღაც ნდობაც დავკარგე გრაფისადმი, თითქოს და აღარც ვენდობოდი უკვე და ამან შემაშფოთა.

– ნუ შფოთავ, ნოე... შფოთვის მიზეზი მე არ მომიცია შენთვის, მაგრამ რაღაც ხდება... უკეთურ სულებს სულაც არ აწყობთ ჩვენი ერთად ყოფნა და ერთობლივი წარმატება... ამაზეც გვექნება ჩვენ საუბარი... მოთმინება იქონიე... დიდი მოთმინებით ხასიათდებოდნენ დიდი ადამიანები... შენ საიქიოშემოვლილი ადამიანი ხარ უკვე... ოდისევსივით... მოკლედ: შენგან შეიძლება გამოვიდეს კაცი! – კეპი ჩამოიფხატა

წარბებამდე და ხელი საფეთქელთან მიიტანა, – შენისთანა შეგირდი... ამ ბიჭებთან შენ აღარაფერი გესაქმება... ისინი შენთან რას მოვლენ?! შენ მათ მთელი საუკუნით გაუსწარი... იმათ უკვე გაუჭირდებათ შენი გაგება... ახლა კი მივდივარ! აწი, შენ მომაკითხავ! გესმის? შინ, შინ მომაკითხავ! გესმის? შინ, შინ მომაკითხავ! მომაკითხავ! შინ... ჩემთან! იცი, სადაც ვცხოვრობ! თუკი არ იცი, არ გაგიჭირდება ჩემი მისამართის დადგენა... მზის ჩასვლისას... ზუსტად მზე ჩასვლას რომ დააპირებს და ზღვაზე წამოწვება... რომ გააზმორებს ნებიერად, ე, მაშინ დამიკაკუნებ კარზე შვიდჯერ! შვიდჯერ, გესმის, ნოე?

ჰოდა:

გრაფი იქით წავიდა, მე – აქეთ...

იქნებ: იქით მივდივარ მე და გრაფი აქეთ მოდის...?

თუმცა: რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა მარტო აღმოვჩნდი და ასეც დავასკვენი: არც იქით წავსულვარ მე და არც აქეთკენ მიქნია პირი. მე აგერ ვარ და აბა, როგორ ვამტკიცო, იქიდან მოვსულვარ თუ აქედან წამოვსულვარ?

აბსურდია ეს ყველაფერი! ა-ბ-ს-უ-რ-დ-ი!

და: ყველაფერი მიწყობდა ხელს, რომ მარტო დავრჩენილიყავი, მაგრამ ასე როდი წირავდა ჩემი სულის გამგებელი?!

დედა გამომეცხადა!

– ისევ შენ, დედა?

– ჰო, შვილო...

– დედა, რა გინდოდა გეთქვა?

– შენი ბედი წყდება და გულმა არ მიქნა, არ მენახე...

– რაო, დედა, რჩევა ხომ არ გინდოდა მოგეცა?

– არჩევანის წინაშე მოგიწევს დადგომა... როდის იქნება ეს, შეიძლება ზუსტად არ ვიცოდე, მაგრამ ამ მოკლე ხანში არჩევანის გაკეთება რომ მოგიწევს. ამას გული მეუბნება და არ მგონია, შენც არ ხვდებოდე ამას... ამიტომ: ცხრაჯერ მოზომე და მერე გაჭერი ერთხელ! ფიქრი მოგიწევს, შვილო...

– ლალი-შაქირა თუ გრაფი?

– მხოლოდ ერთს გირჩევ, შვილო...

– გისმენ, დედა! – წამივიძახე.

– ის აირჩიე, ვინც უფლისკენაა, შვილო...

– დედა! – ხელები დედისკენ გავიწვდინე და ამ დროს ჩემი უფროსი ძმის ხმაც მომწვდა.

– დედას უსმინე, ნოე! მაგრამ არჩევანი შენზეა: ლალი-შაქირა თუ გრაფი... შენ კი ერთადერთი, სწორი არჩევანი უნდა გააკეთო! დედას უსმინე, ნოე! – გამიმეორებენ და დედაჩემიც და ჩემი ძმაც ერთდროულად გაქრებიან ჩემი თვალსაწიერიდან.

* * *

თავი კინოთეატრში მოგვიყრია გრაფის თაყვანისმცემლებს.

სცენა: თეთრი და ქათქათა... ტრიბუნა თეთრი-რძისფერი.

და სიჩუმე სამარისებული...

ველით...

გრაფს ველით.

და კაკუნიც მოისმის ამ დროს.

ჩვენ ვითვლით, ვითვლით: შვიდიო, ითქვა და გრაფმაც შემოაბიჯა. შავი ფრაკი ეცვა, თეთრი პერანგი და შავი შარვალი.

შედგება ტრიბუნაზე და მაღლა აღმართავს მარჯვენას. ხელში დირიჟორის თეთრი ჯოხი აუელვარდება და გრაფიც მთელი ტანით გადმოიწევა ტრიბუნაზე.

– თქვენ მელოდებით... მელოდებით იმიტომ, რომ მე მსურს ასე, ჩემი სურვილი კი... კანონია, დიახ კანონია თქვენთვის! – მიწყდება ხმა და სუნთქვა შემეკვრება. მაგრამ მიგრძნობს გული, რომ სხვებსაც ჩემსავით შეკვრიათ სუნთქვა და კიდევ: ისეთი შთაბეჭდილებაც მექმნება, რომ გრაფის ნებართვის გარეშე თითქოს ვერც უნდა ამოვისუნთქოთ.

აბა, გრაფი რის გრაფი იქნებოდა, რომ ფიქრი არ წაეკითხა ადამიანთა და ჯოხიანი ხელი მაღლა შემართა. თვალი მოგვავლო სუნქთვაშეკრულებს და ის ჯოხიც დაუშვა ძირს. ამოისუნთქა შვებით და შვებით ამოვისუნთქეთ ჩვენც.

გრაფს ღიმილი მორეოდა სახეზე, მერე მხოლოდ თვალებში შემორჩა ეს ჯადოღიმილი და

ბრძანა: – მე – თქვენთვის! თქვენ კი... თქვენი ნებაა, ვისკენ იქნებით, ჩემკენ თუ... ეშმაკებისკენ... შეიძლება სხვებისკენაც გაგიწიოთ გულმა, მაგრამ ტრაგედიად როდი უნდა მივიღო ეს ყველაფერი? მაგრამ გამიხარდება ძალიან, ვერც დავფარავ ამ სიხარულს, თუ ჩემკენ გამოგიწევთ გული!

დარბაზს გადავხედე ანაზდად: წასასვლელად არავინ წამომდგარა! ყველამ, როგორც ერთმა, გრაფთან არჩია დარჩენა.

გასწორდა გრაფი წელში და ერთი-ორად მაღალი გამოჩნდა. დირიჟორის ჯოხი დარბაზისკენ გამოიშვირა (მე პარტერში ვიჯექი, მეორე რიგში), თვალები მოწკურა და კბილებში გამოსცრა: მე მინდა, რომ ყველამ მომისმინოს ყურადღებით და არაფერიც გამოგრჩეთ ჩემი ნათქვამიდან, თქვენ ფიქრიც უნდა გაგიხმიანდეთ ჩემი! ჩემს ნებას დაყვეთ! ვისაც არ აწყობს, შეუძლია, წამოდგეს და დემონსტრაციულად დატოვოს აუდიტორია... დარბაზი! იმასთან მაინც გამიჭირდება მუშაობა. რჩებით? ყველანი რჩებით? კეთილი და პატიოსანი... მართალი გითხრათ, ასეთ რამეს მეც აღარ მოველოდი... – ჩაილაპარაკა და დირიჟორის ჯოხი საათის ისრის მიმართულებით შორიდანვე შემოგვატარა თავზე.

ჰოდა:

გვეძინა და აღარც გვეძინა:

სამს მაშინვე მიეძინა: ხვრინვაც კი ამოუშვეს. მათთვის სულერთი იყო აწი ყველაფერი: თავზე ჭერიც რომ ჩამოქცეოდათ, გამქცევი არავინ იყო აქედან:

– ღმერთი? ვინ არის ღმერთი? – იკითხა გრაფმა.

კითხვა კი გავიგონე, მაგრამ პასუხის გაცემა არც მიფიქრია.

– პასუხი?! კეთილი, კეთილი... ღმერთი: უფალიო... სამებაო: მამა-ღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმინდა... წმინდა სამება! სამებაო... ჰა, ჰა, ჰა... აბსურდ! წმიდა წყლის აბსურდი! აბსურდი თუ... Белиберда – იქნებ, რუსულად, იქნებ, აბრაკადაბრა, ჰა?!

არც – ერთი, არც – მეორე... მე ვერაფერსაც ვერ დავუშვებ! რომ დავუშვა, მაშასადამე, ვცანი, ვცნობ; ჩემთვის... ჩემთვის არ არსებობენ ავტორიტეტები! ღმერთი კი, თუკი დაუშვა კაცმა, ყველაზე დიდი ავტორიტეტიც უნდა იყოს, მერე კიდევ ხომ არ გაგიმეორებთ, რომ ავტორიტეტებს არ ვცნობ-მეთქი!

ასე რომ: ვინ არს ღმერთი?

სად უნდა ვეძიოთ ეგრეთ წოდებული ღმერთი?

გამოიფხიზლეთ ყველამ და მომაპყარით სასმენელნი თქვენნი!

ჰო, სად ვეძიოთ ის, ვინც არს ღმერთი?

საკუთარ თავში! საკუთარ თავში! საკუთარ სულში... უნდა ჩაიძიროთ შიგ, მაგრამ... მომყევით-მეთქი, ხომ გითხარით! – მოწყდა ტრიბუნას და სცენიდან პირდაპირ დარბაზში ჩამოხდა, – შენ, შენ... შენც და კიდევ შენ... გამითავისუფლებიხართ სეანსიდან... ვინმე სხვა მოიძიეთ ქალაქში... შეგიძლიათ, წახვიდეთ! – უთხრა გაწბილებულებს და თვითონაც გათავისუფლდაო, თითქოს, დირიჟორის ჯოხი თავზე შემოიტარა და გაშეშდა მერე: – ჰო, თქვენ კი, უმრავლესობავ, მზად ხართ ღმერთის საძიებლად გამოეშუროთ ჩემთან ერთად... შეაღეთ საკუთარი სულის კარიბჭე და... იფიქრეთ ღმერთზე, მხოლოდ ღმერთზე... ვიფიქრებ მეც... აუცილებელიც არაა, კონკრეტულ სახეს მისცემთ ამ ღმერთს, თუ კიდევ უფრო გაგიაბსტრაქციგირდებათ იგი... სუნქთვა მესმის თქვენი... სიჩუმე, სიჩუმე მხოლოდ! კარიბჭე სულისა თქვენი ღიაა უკვე... დიდებულია! ახლა კი: მიყურეთ მე და არ ჩამომრჩეთ! აბა, მომყევით! ეცადეთ, არ ჩამომრჩეთ!

„...ნუთუ ყველას, ყველას ჩამოგვყვება ჩვენ ჩვენს სულეთში? ნუთუ ყველგან შეუძლია ერთდროულად ყოფნა?“ – შევეჭვდი უცებ.

– ნოე, მე შემიძლია ყველგან ყოფნა... ჰო, ერთდროულად! ეს ინფორმაციისათვის, განსაკუთრებით კი შენთვის. შენ გარდა ამნაირი კითხვა არავის გასჩენია, როგორც ვხედავ... – თვალი მოავლო ექსპერიმენტში მონაწილეებს და სახე გაუმკაცრდა... მომყევით და თუკი დაგეკარგეთ, მიყევით მაშინ პირველ ჩამოვლილ ფიქრს. თქვენ გეძლევათ თავისუფალი არჩევა-

ნის უფლება და თავისუფალიც ხართ... ერთსაც გირჩევთ: მიენდეთ საკუთარ გულისთქმას... იგი წაგიძღვებათ უფლისაკენ.

„მაშ: ჩემში ყოფილა უფალი ღმერთი და კიდეც მოვიძიებ მას. მოგაგნებ, უფალო... დარწმუნებულიცა ვარ, რომ ჩემში ხართ თქვენ და... მაშინ: თავად მე ვყოფილვარ ღმერთი!“

– ღმერთი ხარ თვითონ და ჭეშმარიტებაა ეს, მაგრამ... ყოველთვის ერთნაირი როდია ღმერთი?! ღმერთი ყველამ თავისი ინდივიდუალობისდა მიხედვით უნდა დაინახოს... იხილოს... ეს ხილვა უნდა იყოს... ბევრი გზასაც ვერ გაიგნებს ღმრთისკენ. სადღაც გზაჯვარედინზე აღმოჩნდებით და... იშვიათად რომ სწორი გზა აირჩოს ვინმემ. მაგრამ მიღწევა იქნება თქვენთვის, ყველასათვის, იმ გზაჯვარიდინამდე რომ მიაღწევდეთ. შეიძლება, ის მიზანი მიუღწეველი დარჩეს ყველასთვის, მაგრამ ხომ სცადეთ და ცდა ხომ ბედის მონახევრეა?! ყველაფერი ერთი ცდით როდი მიიღწევა? მე ამით იმის თქმა მინდა თქვენვის, რომ იმედი არ გაგიცრუოთ! ასე რომ, მომყევით! ვისთვისაც უხილავი დავრჩე, უნდა ეცადოს, რომ გაიყინოს ადგილზე და დამელოდოს. დამელოდოს, რადგან ვეღარ ამიწყობს ფეხს და უკანმობრუნებული უხილავიც აღარ ვიქნები მისთვის. იმას მერე შეეძლება, გამომყვეს უკან. ახლა კი იგი, ვინც მხედავს, კვალში ჩამიდგეს და მომყვეს! – ბრძანა და დიდი მარათონიც დაიწყო.

ერთმა-ორმა მაშინვე გამისწრო, მაგრამ... გზაზე დამხვდნენ გახევებულები, ნელ-ნელა რომ იყინებოდნენ. გულიც კი დამწყდა, ეს რა დამართვიათ-მეთქი, მეწყინა, რომ გზას ვეღარ გააგრძელებდნენ გზაჯვარედინისკენ. გზას გულდაწყვეტილი გავაგრძელებ.

მაგრამ იმის გაგებაც მწადია, ვინ და როგორ გადმოკვეთა ზღვარი და ჩემთან ერთად მოისწრაფვის გზაჯვარედინისკენ. მინდა, მივიხედო უკან, მაგრამ გრაფის ხმა მომწვდება: – ტყუილად გაირჯები! უკან აღარავინ მოგყვება! უკან უფსკრულია! გზას მარტო შენ ადგახარ... მთავარია, მიაღწიო გზაჯვარედინს... ეს გზაჯვარედინიც სულში გიდევს შენ! ეს შენი სულის გზაჯვარედინია... იმას იქით კი... შენთვის ამდენ ხანს გაუცნობიერებელი სამყარო ატორტმანებულა... გზაჯვარედინზე შემდგარი კაცისთვის უსასრულობის კარიც შეიღება, მაგრამ აქ თავის სიტყვას დრო იტყვის, დრო! და კიდევ: გზაჯვარედინზე შემდგარი კაცისთვის ნათელი ხდება, რომ... მინდა, გითხრა, რა არის გზაჯვარედინის იქით, მაგრამ რომ გითხრა, გზაჯვარედინის პრობლემა იმწამსვე მოიხსნება შენთვის: ვერასოდეს მიაღწევ გზაჯვარედინს და ღმრთისკენ მიმავალ ბილიკსაც ვეღარასოდეს დაადგები. და ახლა, როცა მარტო ხარ შენ ამ გზა-ბილიკზე, მეტი ყურადღება, მეტი მონდომებაც და დაკვირვებულობაც გმართებს: გზაჯვარედინს გონით შეწვდები! თვალით მერე იხილავ და... მაგრამ უნდა იარო, იარო, რომ ჭეშმარიტი გაგიცნობიერდეს.

ჰოდა: მივიწევ წინ უკანმოუხედავად და თვითონაც არ ვიცი, როგორ და გზაჯვარედინის წინ ჯიქურ შევდგები, ამ დროს გული ამიფანცქალდება და ლამის თვალთაც დამიბნელდეს, მაგრამ ვძლევ მაინც ამ ჩემს სისუსტეს და თვალსაც შევავლებ გზაჯვარედინიდან გამავალ იმავე გზას... გზაჯვარედინზე მე ვდგავარ და... პირველი გზა ამიჭრელდა თვალწინ: „წახვიდე ამ გზით და ბედს ეწევიო, მოიპოვებ უამრავ თვალმარგალიტს და დიდ თანამდებობასაც გამოჰკრავ ხელს!“

მე უარს ვიტყვი ამ გზაზე და მეორე (შუა) გზაზე გაკრული აბრაც განათდება: „იმაზე მეტსაც მოიგებ, ვიდრე იმ პირველ გზაზე მოიპოვებდი... მე ხომ ვიცი, რომ უარს იტყვი პირველ გზაზე და... ჩემს აღმართზე შემდგარს აჩქარება გმართებს!“

– არა, მე ამ გზაზედაც უარს ვამბობ და პირს მესამე გზისკენ ვიზამ! – შევძახებ და მესამე გზის დასაწყისში სვეტი რომ დგას მაღალი, რომელზედაც გაუკრავთ გაბრჭყვიალებული აბრა, იმას ავხედავ: „წამოხვალ ამ გზით და... უკან ვეღარ დაბრუნდები! უკან დაბრუნება შენ აღარ გიწერია!“

მამცნო მესამე გზამ და გამაძაგძაგა გულაძგერებულს:

– ეს გზა მეცნობოდესო თითქოს... – შემბოჭა ეჭვმა.

„ეს გზა გავლილი გაქვს უკვე შენ ერთ დროს... ეს იყო, ეს მოხდა ოდესღაც, მაგრამ მივიწყების მდინარემ გშთანთქა შენცა და ეს გზაც...

– წინა ცხოვრებაში?

– რატომ წინა ცხოვრებაში? პარალელურ სამყაროში... იქნებ იქ... იქაც ამ გზაზე შემდგარხარ და... აბა, დაიძარი ადგილიდან! მთავარია: ერთ ადგილზე არ იდგე!

ჰოდა, მეც დავიძარი ადგილიდან. ნაბიჯს თანდათანობით ვუჩქარებ. მივრბივარ უკვე, მაგრამ მაინც ადგილზე ვიდგე, თითქოს: ასეა... მე მივიწევ ამ ერთფეროვნებაში და დასასრულიც რომ აღარ უჩანს ამ ერთფეროვნებას?!

ნეტა, სად არის ღმერთი?

მე ხომ საკუთარ სულში ჩავღრმავებულვარ, გამომივლია ის გზაჯვარედინიც და მესამე – სიკვდილის გზას დავდგომივარ! მაგრამ აღარც ის სასრული ჩანს და აღარც – ის სიკვდილი.

„ეეეჰ, ნოე, ნოე... ხედავ, რა მოუმზადებელი შემდგარხარ შენ შენი სულის გზაზე? იგიც მართალია, რომ ღმერთი შენში უნდა ეძიო, მაგრამ ერთ კორექტივს შევიტან, ძიავ, მე ამ აბრაკადაბრაში... შენში ეძიე ღმერთიო... სიმართლის მარცვალი, რა თქმა უნდა არის ამ გამონათქვამში, მაგრამ მხოლოდ მარცვალი ერთი სიმართლისა, რადგან ღმერთი შენ გარეთაცაა – შენ ირგვლივ უსასრულობაში და შენშიც, რასაკვირველია და სული შენიც უსასრულობაა, ძიავ!“

– ლალი-შაქირა?! – წამოვიძახე უსაშველოდ გახარებულმა და წელში გავიმართე, – ახლა რა ვქნა?

„ნოე, შენ განსაკუთრებული და გამორჩეული გზა გქონია, ხომ ხედავ? იდექი, ძიავ, ასე მაგრად და... წარმატებულია შენი გზა, მაგრამ უსასრულოა ეს გზა და... მიუღწევადი თითქოს, მაგრამ შენ სცადე და ხომ იცი, ცდა ბედის მონახევრეაო, ესეც უთქვამთ თავის დროზე...“

– წინ, წინ! – მომძახის შეეჭვებული გრაფი.

„იარე კიდევ, ძიავ... იარე-მეთქი! და შებრუნდი იქითკენ, საითაც მოგეგუნებოს! იარე, საითკენაც გაგიწიოს გულმა. რადგან შენი უკუსვლაც თავისთავად წინსვლაა უკვე!“

– ნოე, რას მიშვრები? თავს მაინც რას ერჩი? ასე ხომ შეიძლება ვეღარც იხილო ღმერთი! – მაფრთხილებს გრაფი.

„გასწი იქითკენ, ძიავ, საითკენაც გაგიწიოს გულმა, თუნდაც უკან, რადგან უკუსვლაც წინსვლაა შენთვის თავისთავად!“

– წინ, წინ! – მომყვირის გრაფი, – წინ, თორემ ვეღარ იხილავ ღმერთს!

„ღმერთი იხილოო?! აბა, მითხარით, ვის უნახავს ღმერთი ასე იოლად. შენ ჭეშმარიტზე იფიქრე ჯერ!“

„გისმენ ლალი-შაქირავ!! მე შენი მესმის“.

„ვთქვათ და მიაღწიე საწადელს თითქოს.,. მაგრამ ჯერჯერობით... ნუ გგონია, რომ მიაღწიე სანუკვარ საწადელს. კაი, ძიავ: დავარქვათ მიღწეულს თითქოს ჭეშმარიტი (ეს იქნებ ასეც იყოს, მხოლოდ ერთი წამით, რასაკვირველია), მაგრამ გაცხადდება მერე, რომ უკვე სხვა მნიშვნელობა შეუძენია ამ შენს ჭეშმარიტს და... ის, რაც ჭეშმარიტი გვეგონა ამდენ ხანს, მხოლოდღა გამოცდილებად დაღვრილა შენში და ამასაც შენი ტვინის არქივი გადაინახავს საიმედოდ... გადაინახავს სამომავლოდ, მერე კი ახალი აღმოჩენებისთვისაც წაგიბიძგებს... იქნება მარცხიც და წარმატებაც... ვამბობ წარმატებას და არა გამარჯვებას. ჰოდა: ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევ ჭეშმარიტისკენ. ჭეშმარიტი კი, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდი, რომ მიაღწევდი რა, ჭეშმარიტიც არ იყო როგორღაც... ასე მიიწევ წინ, მაგრამ იმასაც იმ ჭეშმარიტივით უკვე ვეღარ ჭვრეტ. გახსოვს: პილატემ, რომის მეხუთე პროკურატორმა იუდეაში რომ ჰკითხა იესოს: რაი არს ჭეშმარიტებაო და იესომ ხმა არ გასცა მაშინ პილატეს, დადუმდა, ფიქრში თუ გადაიტანა იმ კითხვის პასუხი: თვითონ პილატე ვეღარ შეხვდა იესოს ფიქრს, რადგან რომის მეხუთე პროკურატორი პონტოელი პილატე შორს იდგა ჭეშმარიტისგან. თავისთვის ჩაიცინა მაშინ პილატემ, მიუხვდა იესოც, წაიკითხა პილატეს

ფიქრი, რომ მისი ფიქრი და აზრი იყო დღეს იუდეაში ჭეშმარიტებაც და სამართალიც. მახვილი იყო მისი ამის დამდგენელი! ამიტომ იყო, რომ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე კაცივით გადააქნია თავი და არც შენ გცოდნია ჭეშმარიტებაო, დაასკვნა თავისთვის, ამით თუ მოიოხა გული და აქ დასძინა, ხელები დამიბანიაო, დასცდა შეფიქრიანებულს.

და იცი, კიდევ რატომ ვერ შეწვდა რომის პროკურატორი იესოს ფიქრს და საწუხარს? იმიტომაც, რომ რომის ამ მაღალ ჩინოსანს იესოს ღვთაებრიობისა არ სწამდა, ღვთისა და ღვთაებრიობის ვერ დაეჯერებია. ასე რომ, რომის მეხუთე პროკურატორმა პონტოელმა პილატემ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ ოდნავ მაინც მიახლოებოდა ჭეშმარიტის არსს (დროის იმ მონაკვეთში, წამი რომ ჰქვია), გაეცნობიერებია, რა იყო ღმერთი, გაეაზრებინა უფლის არსი, არსობა და ამაღლებულიყო თვითონაც.

– მაშ: ღმერთი ყოფილა ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი – ღმერთი!

„ახლა კი დროა დაბრუნდე უკანო“, მირჩევს ლალი-შაქირა.

ვბრუნდები, ვიტყვი გულში და ჩემი აზრით კიდეც შემოვბრუნდი იქითკენ, საიდანაც წამოვსულიყავი, მაგრამ რომ აღარ ვუწყი: მოვდივარ უკან – აქეთ, თუ მივდივარ იქით – გრაფის ფიქრისკენ, იქნებ, ვტკეპნიდე ერთ ადგილს: არც მივდიოდე და არც მოვდიოდე. ჰოდა: მივცურავ ნისლში და: განრისხებული გრაფის საყვედურიც მომხვდება:

– აბსურდია ღმერთი, და კიდევ უფრო დიდი აბსურდი, ამტკიცებდე მის არსებობას. რადგან: რასაც ვერ მოიხილავ, იგივეა, ვერ შეწვდე და ვერ შეიგრძნო და თუკი ვერ შეიგრძნე, ცხადია, ჩნდება ეჭვიც... ეს რწმენის საფუძვლის შერყევაა, ღმერთი კი თქმულა მილიონჯერ: რწმენით შეიმეცნება და ცნობიერდება, მაგრამ ეჭვს რაღა ვუყოთ? აღარაა რწმენა და აღარც ღმერთია!

– მაშ, ვინ განაგებს ამ ყოველივეს? ვინ არს არსთა გამრიგე? სატანა... ლუციფერი თუ...

– რაო, შემოგხვდა და არ გამოგელაპარაკა? არც იგი შეგხვედრია? მაშინ არც სატანა ყოფილა... აღარც ღმერთი და აღარც ეშმაკი! ერთიც – აბსურდი, აბსურდი – მეორეც! ვინ აურია ტვინი ადამიანს? ეს შენ ხარ თვითონ არსთა გამრიგე, ღმერთიც და ეშმაკიც! არის შენში ღვთაებრივი და სატანურიც, ერთმანეთში აღრეული, აი, შენი ადამიანურიც! მაგრამ მაინც: როცა ღმერთია შენში, ღმერთი ხარ მაშინ და ჩრდილში ხვდება მაშინ სატანა, ხოლო, როცა ეშმაკი მძლავრობს შენში, ღმერთი გადადის ჩრდილში და ადგილსაც ეშმაკს უთმობს. ეს არის მთელი ფილოსოფია. ხედავთ: რა ყოფილა თურმე საკუთარ თავში მოგზაურობა?!

ვუყურებ გრაფს და ვგრძნობ, რომ უფრო და უფრო ვექცევი მისი გავლენის ქვეშ, მიპყრობს და თავს მახვევს თავის აზრებს; მინდა, ზურგი შევაქციო, მაგრამ რომ არ შემიძლია?! დამიმორჩილა ვითომ? მაგრამ ერთი სული რომ მაქვს, დავტოვო აქაურობა და ზურგი ვაქციო გრაფს?! ნეტა, ლალი-შაქირასთან აღმოვჩნდებოდე! ლალი-შაქირამ მიშველა ახლა და ფიქრში გამომიჩნდა ისე, რომ გრაფს არ დაელანდა. ასე რომ არა, დავიკარგებოდი ჩემსავ სულში და ვეღარასოდეს ამოვაღწევდი იქიდან. აქეთკენ ვეღარასოდეს გამოვიგნებდი გზას და სულით დაავადებულთა საუფლოს ბინადარი გავხდებოდი. მაგრამ მეშინოდა გრაფის, ვაითუ, ჩაეხედა იმას ჩემს სულში და წაეკითხა ჩემს სულში დაწყებული ფიქრთა ჭიდილი?! არ ვიცი, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში, მაგრამ ბევრისშემძლე რომ არის, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მთავარია, არ მიმიხვდეს. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, გრაფს ჩემთვის აღარ ეცალა, საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავებულიყო და... წამოვდექი. იმანაც ხელით მანიშნა, შეგიძლია, დამტოვოო, მაგრამ კარის ზღურბლისათვის არც გადამებიჯებინა, რომ დირიჟორის ჯოხი აიქნია მაღლა და გავშეშდი ადგილზე. უკან ხომ არ მიხმობსო, ამიწრიალდა სულში. ხმას მოგაწვდენო, გავიგონე დირიჟორის ჯოხით გამოწვეულ შხუილში და მხნეობაც აქ წამომეშველება.

...მე თავისუფალი ვიყავი... თავის უფალი მთლად ვერა, მაგრამ გრაფის გავლენის ქვეშ რომ აღარ ვიყავი უკვე, ეს ცხადი იყო ჩემთვის.

გრაფი სცენაზე დარჩა. თეთრ, თითქმის რძისფერ ტრიბუნას გადმოყრდნობოდა ფიქრებში წასული: საკუთარ სულში მოგზაურობას თუ აპირებდა ჩემგან გამოსული.

წინ დიდი მოგზაურობა ელოდა გრაფს...

* * *

ლალი-შაქირა დგას ჩემ წინ.

დგას და იღიმება.

მერე ეჭვი გამომკრავს თავის კლანჭს და: „ნამდვილად ლალი-შაქირაა, თუ მეჩვენება?“ – ვფიქრობ: „ერთი შეხედვით თითქოს და ასე პრიმიტიულია, მაგრამ შინაგანად ისე ღრმა და მიუწვდომელი, რომ შეგაძრწუნებთ. ნუთუ განსაკუთრებული მისიითაა მოსული ამქვეყნად? ნუთუ მართლა შეუძლია სხვადასხვა დროს რამდენიმე ადგილზე ყოფნა... ერთდროულად! იქნებ, ყველგან იყოს და... მაგრამ მაინც ვინაა ლალი-შაქირა?

ლალი-შაქირა კი დგას და კითხულობს ჩემს ფიქრს. ვატყობ და ვგრძნობ კიდეც, ჩამხედა სულში, მაგრამ აღარ იცის, როგორ მოიქცეს: გამიძღვეს წინ, თუ დაჰკრას ფეხი და... გაუჩინარდეს, როგორც სჩვევია ხოლმე. როცა საჭიროდ სცნობს, გაგეცლება, მაგრამ შენს ფიქრში რჩება. ახლაც ჩემშია ლალი-შაქირა, მთლად არც ამოლაქულა. მაგრამ ტყუილუბრალოდაც ხომ არ გამომიჩნდებოდა?!

მერე ფიქრებიდან გამოვერკვიეო თითქოს და ლალი-შაქირას ფიქრ-კითხვაც გამიხმიანდა:

„შენ, ძიავ... ახლაც გეეჭვება, ვდგავარ შენს წინ თუ შენგან ცხრა მთას იქით ვიყო გადაკარგული... ისე მიიღე ეს, როგორც გინდოდეს და გაგიხარდეს...“ – ეშმაკურად გაიღიმა, – ვხედავ, რომ შემიგრძნობ და თუკი... აგერ ვარ, შენთან, არსადაც არ წავსულვარ, აბა, შემეხე ერთი! მიგრძენი, შემიგრძენი ხომ? მაშასადამე, ვყოფილვარ! აწი ხომ აღარ ეჭვობ? ჰო, რას აპირებ?“

– მე მოვდიოდი, რომ შეგხვედროდი, გამოგლაპარაკებოდი, რაღაც-რაღაცები რომ გამერკვია.

– ჰოდა, აგერ არ ვარ? თუმც ნულარაფერს მეტყვი, ვიცი, რაც გაწუხებს. ვიცი, რაც გჭირს და როგორც გიჭირს. და კიდევ: შენ წუხელ გესიზმრა...“

– მართლა მესიზმრა!

„შენ გეშინოდა სიმზარში... საშიში კი არაფერი იყო. შენ ვერ მხედავდი, მე კი შენთან ვიყავ შენსავ სიზმარში და მესმოდა შენი“.

– არც მეეჭვება, რომ ჩემთან იყავი, მაგრამ რატომ ვერ გხედავდი? რატომ არ დამენახე?

„იმიტომ, რომ შენ შენი პრობლემებით იყავი დაკავებული, შეწუხებული უფრო... ჯერ თვითონ უნდა გარკვეულიყავი შენს პრობლემებში და მერე, თუკი საჭიროდ ჩავთვლიდით, მეც და შენც, წინ რაღა დაგვიდგებოდა, ძიავ? ჰო, მართლა: ის სიზმარი... სივრცეში ჯვარი გამოიხატა, გამოჯვარდა და იელვა კიდეც: მზესავით გაბრწყინდა ის ჯვარი. მსოფლიო ცენტრიც ის ჯვარი იყო – გაბრწყინებული მზე. ჯვარს ქვემოთ ოქროს სამკუთხედი. იგიც ბრწყინავდა, მაგრამ არა მზის ელვარებით. მერე წრედ შეიკრა, ცეცხლოვანი ბურთივით ავარდა მაღლა და ჯვრის სხივებში ამოილუმპა. წამით სუნთქვაც შეიკრაო თითქოს და: წრეში ჩასმული ჯვარიც ვიხილე. ნათება იყო დიდი და ამაღლება დიადი...

ეს ასე იყო:

„ჯვარი ხომ ჩვენი სამყაროს სიმბოლოა...“ – სული მოითქვა ლალი-შაქირამ და თავისებურად განაგრძო: „მერე შენ აღარ გემახსოვრება, ნოე და... დატრიალდა ჯვარი იმ აელვარებულ წრეში, სულ უფრო უმატებდა სიჩქარეს და ჯვარს დაკარგოდა თავისი მოხაზულობა, გამქრალიყოო, თითქოს... წრეში ჩაწერილი ელვარება! წრე აელვარებული და მარწყვისფერ შემორკალული...

ეს ხომ მზე იყო ბრწყინვალე... თვალს რომ გაუსწორებ და მარწყვისფრად შემოირკალება...“

ვუსმენ ლალი-შაქირას და გული მიფანცქალებს.

„მალე ევლიაც გამოჩნდება ჩვენთან... სოფელში...“

– ევლია?!

„იცი კი ვინ არის ევლია? ევლია კაცი?“

– ვიცი და არც ვიცი...

„ევლია... ჩემი შემცვლელი, ალბათ... თუმცა შეიძლება, არც იყოს შემცვლელი... აქ... გარდასახვა... ევლიას მოვეშვათ და... წრეში ჩასმული ჯვარიო... ის ჯვარია სამყაროს გასაღები... საიდუმლო კიდობნის გასაღები... მთავარია, ის ჯვარი გაბრწყინებული გაიაზრო და გაითავისო...“

– და მე შევძლებ, ამოვხსნა ყველა საიდუმლო? და რამდენი რამ არ ვიცი და რამდენი იდუმალი რამ არის ჩემ ირგვლივ... იდუმალება... იდუმალი... – წამიღებს ფიქრი.

„იდუმალება და... იდუმალი, მაგრამ არ გეგონოს, რომ ადვილად ჩაიგდებ ხელში იმ გასაღებს... ის გასაღები... ნატვრისთვალივითაა.. რატომ ნატვრისთვალივით, როცა ნატვრისთვალია ჭეშმარიტი!“

– ვინატრებ და ამისრულდება ყველაფერი?

„აგვისრულდება, მაგრამ ჯერ უნდა მოიპოვო იმის უფლება, რომ მოგეცეს ის გასაღები – ნატვრისთვალი...“

– როგორ?

„როგორ და... – თვალები მოწკურა ლალი-შაქირამ, – ვახსენეთ ახლა ძილი... სიზმარიც... საოცარი რამეა სიზმარი... ჯერ უნდა ჩაწვდე და გაიაზრო, მერე და... სიზმარი ხომ სხეულიდან გამოსვლაა ერთგვარი... არიან ადამიანები... განდობილები, რომლებსაც ცხადშიც შეუძლიათ დაუტევონ თავიანთი სხეული და იმოგზაურონ სივრცეში, უსასრულობაში... განზომილებიდან განზომილებაში გადაადგილდებიან... ეს ლევიტაციაა უკვე... სიზმარი: სხეულიდან გამოსვლაა სულის... დიახ. მოქმედებენ ადამიანზე ზეძალები და... მათი სურვილებისამებრადაც მოქმედებენ ადამიანები... ეს ყველაფერი კი სიზმარში წყდება...“

– იქნებ, სიცოცხლე მართლა სიზმარია და... სიზმარი – მოგონება...

„არა, არც მთლად ასეა... სიზმარი სიცოცხლის ერთი მხარეა და ცხადი – მეორე მხარე. ამიტომ: სიცოცხლე სიზმრის გარეშე ვერ იქნება სიცოცხლე“ – დადუმდა ლალი-შაქირა და მივხვდი, სიტყვას მე მაძლევდა; ჰოდა, მე გავაგრძელებ იმის შეწყვეტილ ფიქრს.

– მაგრამ კაცი... ადამიანი მაშინ არის სრულყოფილი და... (აქ მისი ამაღლებულობაც იგულისხმება), როცა ღვიძილში შეუძლია სხეულიდან ამოსვლა...

„უფრო სწორად (შემაწყვეტინებს ლალი-შაქირა და საუბრის სადავეს თავისკენ მოზიდავს). სიზმარში სულის სხეულიდან ამოსვლა ადამიანის ევოლუციის პირველი საფეხურია. შენ შეგიძლია, გააგრძელო აქ ჩემი შეყოვნებული აზრი!

– ჩვენ საიდანღა მოვსულვართ... (სული ჩვენი) და როცა იქნება, იმ წიაღშივე ჩავბრუნდებით, მაგრამ კაცი, შეძლებს სიცოცხლეშივე მივიდეს იქ, მიაკითხოს იქაურობას, სიადანაც მოსულა... მაგრამ არის კი ვინმე ასეთი? – ვიკითხე და მივხვდი, რომ ასეთი კითხვის დასმა უაზრობაზე მეტიც იყო.

ლალი-შაქირამ დაკვირვებით შემათვალიერა: „შენ მართალი ხარ!“ ჰმ... ჩვენ სიზმარზე ვლაპარკობდით, მაგრამ ადამიანმა სასურველი სიზმარიც როდი იხილოს ყოველთვის? ზოგჯერ გულსაც მოგიკლავს სიზმარი, ნეტაი, საერთოდ არ დამსიზმრებოდაო! – შეიძლება, გაიფიქროთ, მაგრამ ასეთი ფიქრიც ცოდვაა დღეს! თქვენ ხომ სიცოცხლეს გინახევრებთ ამგვარი ფიქრი... აბა, ძიავ?!“ – თითები გაატკაცუნა, – სიზმარი მართლა დიდი რამეა! ახლაც შენზეა სიტყვა, ჩემო ნოე!“

– მე ისეთი რაღაცაც დამსიზმრებია, რომ სიცოცხლემოწამლულსა და სიცოცხლეგაბეზრებულს თვალის გახელაც კი აღარ მდომებია... და მაინც ვახელ თვალს, თუმცა აზრი არ შემიცვლია სიცოცხლეზე. მთელ ერთ კვირას დავდიოდი ასე დაზაფრული. სიცოცხლეს ჩემთვის მართლა დაკარგოდა აზრი... გაუფასურებულიყო...

ლალი-შაქირაც თავისთვის ჩაიცინებს და ყურად ვიქცევი: ვიცი, რაღაცა უნდა მითხრას წონიანი და დასამახსოვრებელი და გადავწყვიტე, ყური მიმედევნებინა მისი ფიქრისთვის. აღარც ლალი-შაქირას დაუყოვნებია და მეც კვალში ჩავუდექი იმის ფიქრს:

„ცუდი სიზმარი... ავი სიზმარი... რაიმე ისეთი, წინასწარმეტყველური, ძიავ, წინასწარ რომ მოგიკლავს გულს და სულში ჩაგაფურთხებს... ეს მართლაც დამაფიქრებელია, მაგრამ უსაშველოც არ უნდა იყოს... არცაა ეს ისე... გადაუწყვეტელი პრობლემა, რომ... სიზმარმა გატკინა გული, აგიფორიაქა სული? იმედი გაგიცრუა? რა მოხდა მერე? საქმის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება!“

– როგორ? – მხრები გაკვირვებისგან ავიჩეჩე.

„როგორ და... – პირი მოკუმა ლალი-შაქირამ და ფიქრი გააგრძელა: „წარმოიდგინე, ძიავ და ჩაგიფლავდა ერთხელაც საქმე. გონს მოდიხარ, როცა ურემი გადაბრუნებულია უკვე და დასკვნის გამოტანაც შესაძლებელია. ამ დასკვნიდან გამომდინარე ახლებურადაც მიუდგები გაფუჭებულ საქმეს... ამას შეცდომის გამოსწორება ჰქვია“.

– მაგრამ სიზმარი?

„სიზმარი... ვთქვათ არასასურველი სიზმარი ნახე... გამოიღვიძეთ და... თმა ყალყზე დაგდგომიათ: შიშისგან, გაკვირვებისგან და... იმედგადაწურულმა აღარც კი იცით, რა გზას დაადგეთ. რაღაც დაგიკარგავთ.. ან დაეკარგეთ ვინმეს... ვიღაცას, ან სულაც მოკვდით და აღარ ხართ უკვე...“

– მაგრამ ამის შეცვლაზე ფიქრიც რომ არ შეიძლება?! ამაზე ფიქრი აბსურდია!

„აბსურდია?! არ შეიძლება მისი შეცვლა? ასე რომ ვფიქრობთ, სწორედ ესაა აბსურდი!“

– წარმოუდგენელია... – გამაკანკალა როგორღაც.

„რატომ წარმოუდგენელი?! ისურვე მხოლოდ... ინდომე ოღონდ! შენ უნდა მართო სიზმარი! მაგრამ მანამდე საკუთარი სურვილების დაურვება უნდა ისწავლო! ძალიან, ძალიან უნდა გინდოდეს, რომ.. თუკი ძალიან გინდა, იცოცხლო, თუნდაც სასიკვდილო სარეცელზე იყო მიჯაჭვული, შეგიძლია, მართლა არ მოკვდე ხვალ! თუკი შეძელი ეს და არ მოკვდი იმ დღეს, იმის მეორე დღესაც არ მოკვდები... ოღონდაც უსაშველოდ უნდა გინდოდეს სიცოცხლე... გინდოდეს!“

– მართლა?! – აღმომხდა უნებურად.

„ვიცი მე, ხვალ ისეთ ცუდ სიზმარს ნახავ, რომ. უჟმურაყოლილივით ივლი მთელ დღეს... ის დღე დაკარგულია, ძიავ, შენთვის... დაკარგული. მე არ გეტყვი, რაც უნდა დაგესიზმროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დილას გუნებაწამხდარს გამოგეღვიძება... ნურც იფიქრებ, რომ დაივიწყო წუხანდელი სიზმარი... ამაზე არც იფიქრო! პირიქით, იფიქრე სიზმარზე, რომ უკეთ გააცნობიერო, ამასობაში დაღამდება კიდეც და ძილის დროც დაგიდგება. ოღონდაც: ირწმუნე, რომ სხვანაირად იცხოვრებ სიზმარში. უკეთესი ცხოვრება ინატრე! სიზმარიც ხომ სიცოცხლეა, მაგრამ ცხოვრებაცაა სიცოცხლე. ასე არ მითქვამს ჯერაც? კეთილი, ახლა გეუბნები! და აბა, შენ იცი! შენ ყველაფერი შეგიძლია, ყოვლისშემძლე ხარ, რადგან ადამიანი ხარ შენ და... თუმცა ჯერ სრულწლოვანებამდე ბევრი გიკლია, მაგრამ შენ კაცი გქვია, კაცი! ჰო, მართლა, შენი ნიშანი „წრეში ჩასმული ჯვარი არ დაგავიწყდეს... იგი შენი ნატვრისთვალია! და იმითაც გამოირჩევი შენ სხვებისაგან, რომ წუხელ საკუთარი ნატვრისთვალი გებოძა! თვალისჩინივით გაუფრთხილდი ამ ნატვრისთვალს!“ – უსიტყვოდ მაუწყა ლალი-შაქირამ და...

ზმანებაც გაქრა...

სიზმარი და სიზმრის გადაკეთება-შელამაზების ჩემეული მცდელობა:

შებინდებულიყო: ვფიქრობ მომავალ სიზმარზე, ზღვას ვუახლოვდები ფიქრით: ღელავდა, არც აპირებდა დაშოშმინებას. შორს გემი დავლანდე და ახალი ფიქრიც მომაწყდა: „ნოეს კიდობანი... სწორედ რომ ნოესეული დრო შემომდგარიყო...“

ნელ-ნელა ვეშვები კენჭებზე და ნოეს კიდობანიც იძირებოდესო თითქოს. მალე მართლა „ჩაიძირასავით“ და კენჭებზე მოვიკალათე მეც.

„ის გამოჩნდება... ამოიძირება... ამოყვინთავს წყლიდან, იქამდე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან!

ნოეს კიდობანი... აჰა, ამოიწია ისიც, იზრდება ჩემ თვალწინ, თითქოს მიახლოვდებოდესო“.

აქ ფიქრიც შემიწყდება ნოეს კიდობანზე... სხვა ფიქრები თავზესაყრელად მაქვს! ამდენი ფიქრი, ნეტა, საიდან და საჭიროა კი ამდენი ფიქრი?! ამასობაში წამოჟინჟღლავს, მაგრამ არც მიფიქრია წამომვმდგარიყავი. ნოეს კიდობნის გამოჩენას სუნთქვაშეკრული მოველი.

და მართლაც: მოიწევდა იგი ჩემკენ. შემოდგა ზღურბლზეც და გაიყინა ადგილზე: ჯერ საკვამლე მილი დავინახე. მერე – შენობა-ნაგებობები და მერე – ნოეს კიდობანიც მთლიანად, თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს პირბადე ჩამოეხსნასო მისთვის.

ცოტაც და: თითქოს შეირყა ფიქრიც და გადაიდღაბნა ხილვაც.

ვფიქრობ: მომავალ სიზმარზე და ვცდილობ, არ გამომეპაროს ის წამი, როცა მთავრდება დღე და იწყება ღამე, იმ ზღურბლის ხილვა მომდომებია, გინდა არ გინდა, დღესა და ღამეს შორის რომ ჩამოდგება ხოლმე და როცა: მივაღწიეო თითქოს საწადელს, დღე-ღამის გასაყარზე კი შევმდგარიყავი თურმე. და, ე, მაშინ წამთვლემს წამიერ და აღმოვაჩენ მერე: სწორედ ის წამი-ზღურბლი მაკლდა, სამწუხაროდ, მომავალი ქმედებისთვის. უჩემოდ ჩაუვლია თურმე იმ წამს და: დამამთქნარებს.

„ასე უყურადღებოდ... არა, ასე ყურადღებადაფანტულიც ვერასოდეს დაიჭერ იმ გამყოფ წამს... ჩაიარა და არც არასდროს ჩამოივლის... იმ წამმა გაიელვაო!“ – ჩამომესმა მაღლიდან და სისხლი ამიჩქროლდა.

„მაშინ მესიზმროს!“ – ჩავითქვი და ზურგი შევაქციე ზღვას.

წვიმს. წვიმს გაუთავებლად. სადაცაა ამომგლეჯს ქარი მიწიდან... ძირფესვიანად.

...წყალი კოჭებამდე მწვდება, მაგრამ მატულობს კატასტროფულად. კიდევ რამდენიმე წამი და... სადაცაა ნიკაპამდეც მომწვდება(!)

მაგრამ აღარ ვუწყი: ცხადში ვარ თუ სიზმარში?

– უკან, უკან დაიხიე! – ჩამომძახიან მაღლიდან და ასე უკან-უკან, უკუსვლით ავდივარ აღმართზე და მწვერვალზე შევდგები:

მწვერვალი ყინულის! ლამის მყინვარწვერი(!) ფეხს ძლივს ვიკიდებ ყინულზე, მაგრამ მჯერა, მწამს ჩემი ბედისწერის; ვიცი, აღარ გამწირავს ღმერთი.

– ფეხი არ მოიცვალო ე მაგ შენი მწვერვალიდან! – ისევ ჩამომძახებენ მაღლიდან და გულიც გამიმაგრდება, – წყლის ხმაური და... სტიქიონი ნუღარ შეგაშინებს! შენ შენი იცოდე და ტალღებმა კიდევ – თავისი.

მერე და მერე სხვებიც ამოვლენ ყინულის მწვერვალზე.

ხომ თავისი ადგილი აქვს მწვერვალზე ყველას, მაგრამ ასე ავად რად შესცქერიან ერთმანეთს სიძულვილით აღსავსე ადამიანები?.. ასე რატომ სძულთ?

ვგრძნობ, რომ ელიან რაღაცას. ნოეს კიდობანს მოელიან ვითომ? ამდენ ხანს როგორ ვერ მივხვდი ამას?

„ფეხს არ მოვიცვლი ადგილიდან... მე ჩემს ნოეს კიდობანს ველი...“ – ყველა ასე ფიქრობს.

აჰა: გამოაღწია სინათლის სხივმა წყვდიადიდან და მიქრა ისევ.

ნოეს კიდობანი! გავიგონებ ამ წკვარამში: – მალე ისიც გამოჩნდება და ეცადე, იმის გემბანზე აღმოჩნდე!

აქ ასე ეცდება ყველა... თავსაც გამოიჩენ, მაგრამ გახსოვდეს ესეც: სხვის უბედურებაზე კაცი ბედის სასახლეს ვერ აიშენებ!“

უკვე აღარაფერი მესმის და თვალშიც არაფერი მიჩანს.

აგერ: ჩვენი ნოეს კიდობანიც! გაგვისწორდა, მაგრამ აიტაცებს მოვარდნილი ტალღა, მერე ჩამოყვება ამავე ტალღას და გაგვისწორდება კიდეც.

და ჩამოშვებულ ტრაპს მივაწყდებით ადამიანები.

თითქოს და ჩემამდეც მოაღწია რიგმა, მაგრამ საყვირის ხმა შემაჩერებს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კიდობანში ჩასხდომა შეწყდა და ჭირის ოფლი დამასხამს. არ გამიმართლა: კიდობანში ჩემთვის აღარ დარჩენილიყო ადგილი. ტრაპი მაღლა აიწევს და თვალს ნაღვლიანად ავაყოლებ.

გონს მალე მოვალ და: აღარსადაა ნოეს კიდობანი, აღარსად.

წყალს მივქონდი შავ ზღვაში, მერე, ცოტა ხანში, ის ტალღა, ნაპირისკენ მობრუნდება გაშმაგებული, გადმომეხმობა თავზე და შთანმთქავს.

აღარც ტალღა დაახანებს და... დამფარავს.

მე აღარ ვიყავი: აღარც ჩემთვის და აღარც – აღარავისთვის.

* * *

თვალები ამოვიფშვნიტე: მადლობა შევწირე ღმერთს, რომ ცოცხალი გამომაბრუნა მაინც იმ სიზმარ-ჯოჯოხეთიდან და აღარ ჩამტოვა იმ წკვარამში.

მაძაგძაგებს. თითქოს გამოვდიოდე მდგომარეობიდან, ამას ალღოთი ვგრძნობ. უცებ: დამიმძიმდება ქუთუთოები, მაგრამ დაძინებისაც რომ მეშინია?!

მეორედაც ამოვიფშვნეტ თვალებს და წყვდიადს შევისუნთქავ ისევ: ძვალ-რბილში გამიჯდება ეგ უჟმური ღამე და თვლემაც მომერევა.

გადავაბიჯებ იმ ზღურბლ-წამს და...

...საიდან?

როგორ და... შევყურებ გადარეულ ზღვას. არა! არამც და არამც! არც როის მინახავს მსგავსი რამ ამისა: ასეთი ზღვა კი არა და ოკეანე გადარეულ-ამღვრეულიყო ჩემ თვალწინ.

„წალეკავს ყველასა და ყველაფერს!“ – გამიელვებს და შუბლზე გამოჟონილ ოფლ-წვეთებს ხელისგულით შევიმშრალებ.

ეს კუნძული, რომელზეც აღარც კი მახსოვს, როდის აღმოვჩნდი, ამდენსაც ვერ გაუძლებდა და შესაძლოა, გადარეცხილიყო სულაც.

იიმ... მეცხრე ტალღას მოველით ადამიანები!

მაგრამ წარღვნამდეც ადრეა ჯერ! – ჩამომძახებენ მაღლიდან ისევ, – ვერავინ, ვეღარავინ გადაურჩეს იმ მეცხრე ტალღას, მაგრამ საშველი ვინა თქვა, აღარ არისო?!

მაგრამ მეცხრე ტალღამდე ჯერ კიდევ დროა!

ნოეს კიდობანი მხოლოდ მეშვიდე ტალღას შემოყვება ნავსადგურში, მხოლოდ ერთ მგზავრს აიყვანს და... – გადახსნილმა ცამ ისევ შეიკრა პირი და ავისმომასწავლებლად მოიქუფრა:

– მე შენზე ვილოცებ! – გამომძახა წყვდიადმა და დამეუფლება უსიამოვნო გრძნობა. – ილოცეთ მხურვალედ! ეს ლოცვა აუცილებლად მიგაღწევინებთ არსთა გამრიგემდე.

ვილოცებო, ვამბობ და მომეთუთქება გული. ვილოცებთო, გრგვინავდა კუნძული.

სიკვდილი არც შენ გინდა? მიგაჩნია, რომ ადრეა იგი შენთვის?! შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ასე რომ ფიქრობს ყველა?! ამიტომაც: ვილოცოთ უნდა!

და ვლოცულობთ:

ჩემი ლოცვაღა მესმის.

– უფლის ნებაა: იმან ყველაზე უკეთ იცის, აქედან ვინ გააღწევს და ვინ გაიაროს სიკვდილის მარათონი...

– მაგრამ მე რომ ხელს ვუშლი ვიღაცას? – დამზრინა ტანში.

– ადამიანები ხართ და სიკვდილზე უნდა იფიქროთ ყველამ. ბრძოლა გმართებთ, ყველა კაცს, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდროთ! ასე რომ, ყველას თავის ადგილი აქვს დედამიწაზე და ზედმეტი არავინ არის!

და როდის და როგორ მოვიდეს ამქვეყნად, როდის გადავიდეს აქედან და როგორ გადავიდეს, ესეც ნებაა უფლის! თუმცაღა, თვითონ ადამიანი ჭედავს თავის აწმყოსა და მომავალს... ამასაც ვერ უარვყოფ და... გესმის საყვირის ხმა? ეს ნოეს კიდობანმა მოაყვირა. აგერ, გამოჩნდა კიდეც!

ცივი ოფლი დამასხამს.

წინ ტალღა მოუძღვის კიდობანს. ამ ტალღას უნდა გადაურჩე ჯერ, კიდობანზე რომ მოხვდე, ბევრის სიცოცხლეს წაიღებს ეს ტალღა, თუმცა კუნძულს ვერაფერს დააკლებს. ის მეცხრე ტალღა ამას მოყვება. კიდობანმა ამ ტალღას უნდა გაასწროს, ზღვაში გავიდეს. მე იმის აღწერას ვეცდები, რა დღეშიც აღმოჩნდება კუნძული, მეცხრე ტალღა რომ მოასამგორებს, რადგან მისი მოსვლა-წასვლის შემდეგ შესაძლოა, თვალიც აღარ დარჩეს ყოველივე ამის აღსაწერად. ჰოდა, ამიტომაც უნდა დაუხვდე ამ ტალღას.

ამის თქმა და ტალღაც მოგვვარდა(!)

მოასომგორა ყველა და ყველაფერი და... მაგრამ სასწაული! ფეხზე ავდექი, ვერ დამცა სტიქიონმა, გადამიარა თავზე და: მზერაღა გავაყოლე.

გაიწირა ის ტალღაც, უსასრულობის სტომაქში ჩაიქცა, მაგრამ კუნძული იდგა და სუნთქავდა. სუნთქავდნენ პირქვეჩამხობილი ადამიანებიც. წამოდგომის თავი აღარ ჰქონდათ, მაგრამ მოდგა კუნძულს ნოეს კიდობანი და სურათიც უცებ შეიცვალა. კუნძული გამოცოცხლდა, სასოწარკვეთილი ადამიანებიც მთლად სასოწარკვეთილებიც აღარ იყვნენ, მაგრამ ხომ ვიცოდით ყველამ, რომ ნოეს კიდობანზე ერთი მგზავრის ადგილიღა დარჩენილიყო და იგი შეიძლება, ყველაზე ღირსეული ვერა, მაგრამ ყველაზე ბედნიერი მაინც უნდა ყოფილიყო!

ჩამოჰკრა პირველმა ზარმაც და შემაჟრჟოლა.

ნოეს კიდობანთან, ზედ ტრაპის ძირთან მე ვდგავარ, პირველი!

„ჰე, შეაბიჯე ფეხი და... კიდობანიც გავა!“ – ჩამომძახიან ყურში, მაგრამ გული რომ სხვას მეუბნება?! – როგორ შეიძლება, ამდენ ხალხში შენზე მჯობი ვინმე არ გამოინახოს? ვინა ხარ შენ: ყველაზე ღირსეული და ბედნიერიც თუ: შეიძლება ბედნიერი იყო ყველაზე, მაგრამ ყველაზე ღირსეული – ვერა...“

– მაგრამ სხვაც რომ არავინ ჩანს ჩემზე მჯობი?

შემოჰკრეს მეორე ზარიც.

ვდგავარ და ვცახცახებ: სიცოცხლე მწყურია მე ყველასავით, მაგრამ გული რომ სხვას მეუბნება?! „დაიცა, აქაა ის შენზე მჯობიო!“

სადაცაა ამომივარდება გული საგულედან: „ახვალ და შეივსება კიდობანი... კუნძულს კი მეცხრე ტალღა მოასომგორებსო“. – სუნთქვა შემეკვრება აღელვებისგან, მაგრამ...

„მაგრამო...“ – გამიმეორდა ის ხმა: – აგერ ის კაცი, ყველაზე ბედნიერი! – ამოისუნთქა ხმამ და კაციც წინ ჩამიდგა ის ბედნიერი.

– მაპატიეთ... გემბანზე მე მიმელიან და დაგვიანების უფლება არ მაქვს!

– მეც მაპატიეთ, – ხმა ამითრთოლდა: – ეს შენ ყოფილხარ თურმე... მიხარია, რომ გხედავ! გამარჯობა შენი და... მშვიდობით გვეყოლე! – ხელის ჩამორთმევა არც გამხსენებია, ალბათ, ერთი მიზეზთაგანი ამისა ისიც უნდა ყოფილიყო, რომ მეშინოდა ის ყველაზე ბედნიერი არ გაუბედურებულიყო ჩემი გამოისობით. – გამარჯობა და მშვიდობითო, – გავუმეორე და თავი ჩავკიდე.

ისიც დამაკვირდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: – მე თან გამყვება შენი სახე, ადამიანო... შენა ხარ ის ღირსეული, ალბათ, რომ მეუბნებოდნენ... იქ, მომავალში, იქ მომავალში ეცოდინებათ შენზე... – თქვა და აჰყვა ტრაპს. უკან მოიხედავს და თავზე გადამატარებს მზერას. მერე: მთელ კუნძულს მოიცავს მისი შეწუხებული მზერა.

სული უტიროდა კაცს.

მე კი: სიმშვიდისნაირი რამ გრძნობა დამეუფლება, მაგრამ მთლად სიმშვიდეც არ უნდა ყოფილიყო ეს, მაგრამ ჯერგანუცდელი კი იყო და თან უჩვეულოც.

– იჩქარე, იჩქარეო, მივადევნე იმ ქუდბედიანს და იგიც აუჩქარებს ფეხს. გემბანზეც შედგამს ფეხს და მესამე ზარსაც შემოჰკრავენ.

ნოეს კიდობანიც აიკრავს გუდა-ნაბადს და ზღვას მიაშურებს.

ნელ-ნელა გვშორდება, რომ მომავალი მოიხილოს.

ჩვენ კი ვრჩებით ასე მოსომგორებულ კუნძულზე და ველით მეცხრე ტალღას...

ძაგძაგებს კუნძული და ვცახცახებთ ადამიანებიც...

„ცხადია ეს თუ სიზმარია...“ – ფიქრი წამომკრავს ფრთას და იელვებს კიდეც. ე, მაშინ წამოიმართა ის მეცხრე ტალღაც და:

– ეს მე ვარ... ის მეცხრე ტალღა და... დიდი სიცოცხლე! – დაიგრგვინა და იელვა.

მაგრამ სულერთი იყო უკვე ჩემთვის, ცხადში ხდებოდა ეს ყველაფერი, თუ – ძილ-ღვიძილში...

დიდი სიზმარი?!

ნოეს კიდობანი – იმედი ყოველთა და სიცოცხლე: გამომავალი ჩემგან და ყოველთაგან აღარსად იყო.

გამომეღვიძა ბედად: ოფლში ვცურავდი, სახსრებში მტეხდა.

გამახსენდა, რომ მეუბნებოდნენ: სიზმარს ნახავ, შენთვის არასასურველს და აუგს ნუღარ იტყვი იმ სიზმარზეო.

გადაიკარა და მზემაც გამოანათა.

ცაზე, ჩემს თავს ზემოთ, ჯვარი გასხივდა, წრეში ჩასმული.

„ჩემი ნიშანი... ნატვრისთვალი ჩემი... ერთი ვისურვო და ამისრულდება ნატვრა ყოველი(!) მაგრამ არაფერიც არ მინატრია. ვიგრძენი: ჯერ საამისო დრო არ დამდგარიყო. ოღონდაც: ვიცოდი, აღარ ვიყავი მარტო: უფალი იყო ჩემთან!

მადლი შევწირე უფალს, ცოცხალი რომ გამომიყვანა იმ სიზმარ-ჯოჯოხეთიდან და პირჯვარი გადავიწერე.

ილოცეო, ჩამომძახეს მაღლიდან და მეც ვლოცულობ ოფლად გაღვრილი: – კიდევ ერთი გამოცდაც და...

ლალი-შაქირას ხმა იყო, ვიცანი: შენთან მიგულვეო, მეუბნებოდა და ძილიც წამიღებს.

სიზმრის ქვეყანაშიც ასე აღმოვჩნდი:

...ნავში ვართ მე და ლალი-შაქირა.

„შენ უკან, საჭესთან, ძიავ! კიჩოზე მე ვიქნები. აღარ ჩართავ ძრავას?“ – ლამის მისაყვედუროს.

ძრავაც ათუხთუხდება: სული მოითქვაო, თითქოს და მეც ვმშვიდდები; მშვიდდება ლალი-შაქირაც.

ვუახლოვდებით თითქოს ჰორიზონტს, მაგრამ ჰორიზონტიც რომ ვეღარ შელევია იმ თავის ჰორიზონტულობას?!

მივიწევთ წინ, მივირწევით ტალღებზე, მაგრამ ჰორიზონტიც რომ წინ მიიწევს?!

სადაცაა ამოიწვერებოდა მზეც იმ ორკუზიანი ამოსასვლელიდან და გადაანათებდა იქაურობას.

– ხედავ, რა მღვრიეა აქ, ძიავ, წყალი? ეს: ჭოროხს მოაქვს შლამი და ზღვაც უკან მიიწევს. ჭოროხს ვუმადლოდეთ ამას, მაგრამ სადმე კაშხალის აშენება რომ გადაწყვიტოს ამ ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ, ე, მაშინ იკითხეთ მოსაკითხელი! ნატანს ვეღარ ჩამოიტანს მდინარე და მთელ ამ ზოლს წაგვართმევს ზღვა, დაეპატრონება აქაურობას... ბულვარში ერთი სვეტი იდგა, რომელზეც ეწერა: „1881 წელს, ზღვის ტალღები აქამდე აღწევდნენო“. სვეტის ადგილზე სტალინის ძეგლი იდგა ადრე, დღეს მემედ აბაშიძის ძეგლი დგას და ვინ იცის, მერე რა უნდა მოხდეს? ერთი ამ მღვრიე წყალს გავცდეთ და ბადეც გადავისროლოთ!

მაგრამ:

ამოიჭრა ქარი, ერთიც ძლიერ შეგვანჯღრია და მალევე ჩადგა, ტალღების აგორებაც ვერ მოასწრო, ისე ჩაილია თავისთვის.

– ქარი მოუქროლებს, ძიავ... გვანიშნა კიდეც, ამოვიჭრებიო და ვიქროლო ისე, ჯერაც რომ არ მოსწრებიხარ! – ჩაილაპარაკა ლალი-შაქირამ, მაღლა აზიდა მარცხენა წარბი და ქარიც ამოიჭრა, თვითონ ზღვისთვისაც მოულოდნელად და აგორებულ ტალღაზე შეგვისროლა.

იმ ოინბაზმა ქარმა ტალღაც ასევე მოულოდნელად გამოგვაცალა ხელიდან და თავისებურად გადაიხარხარა.

ჩვენც ტყვიასავით დავეშვით ქვევით, მეგონა, სული არ დაგვყებოდა, მაგრამ გადავიტანეთ ეს გასაჭირიც, ასე ვთქვათ: და ლალი-შაქირამაც, როგორც სჩვეოდა ხოლმე, თავისთვის ჩაიღიმილა, – მთავარია, იმედი გასულდგმულებდეს! სანამ არის იმედი შენში, ვერაფერიც ვერ მოგერევა, გახსოვდეს ეს! ის ტალღა კი, რომელმაც ასე შეგვარყია, ძიავ, გამოგვეცალა „ფეხქვეშ“ და კლდეს შეასკდა ასე მოწყვეტით! იმას თავისი დაემართა და შხეფებადღა დაიშალა. ასე უსახელოდ დაიკარგა ის უბედური ტალღა.

იმედმოცემულმა საჭე გავასწორე და... ის მღვრიე წყალიც ზურგს უკან დაგვრჩა. კითხვის თვალი შევანათე ლალი-შაქირას. იმას კი ჰორიზონტის იქითურიც უნდოდა მოეხილა და სახეც ზღვასავით მოღრუბლვოდა.

„რაცხა არ მომწონს, ძიავ, ხომ იცი... – ფიქრიანად ჩაილაპარაკა და მეც დავასკვენი, ჯერ თვითონაც ვერაა გარკვეული საქმის ვითარება-

ში და რა უნდა ხდებოდეს-მეთქი? იგიც მიმიხვდა და თავი დამიქნია: „თუმცა არა მგონია, შენს გამოსაცდელად გადაირიოს სტიქიონიო...“

მერე კიდევ რა ჩაითქვა გულში, როგორ მივუხვდებოდი და უსიამოდ შემაჟრჟოლა.

თვალს აღარ ვაცილებ ლალი-შაქირას და წინ იყურეო, მიბრძანა.

ჰოდა: მივიწევდით ჩვენ სულ წინ და წინ...

თვალი გამშტერებოდა და ფიქრიც დამზრობოდესო თითქოს.

– დამეხმარე, ბადე რაც შეიძლება შორს უნდა გადავისროლოთ!

– მერე საჭე? – დაუფიქრებლად ვკითხე.

„ერთი წუთით... საჭეს არა უჭირს რა... ბადე, რაც შეიძლება შორს უნდა მოვისროლოთ, მაგრამ ვგრძნობ, ისევ ამოიჭრება ქარი... საგანგაშო ჯერ არაფერი გვჭირს, მაგრამ ვინ იცის...“ – ცოტაოდენი პაუზის შემდეგ ამოთქვა ლალი-შაქირამ, – არ მომწონს რაღაც დღევანდელი ზღვა და მისი ამგვარი დუმილიც“.

იელვა ამ დროს და ჭექა-ქუხილმა კინაღამ გამაყრუა.

„რომ იელვებს, ე, მაშინ გადავისროლოთ ეს ბადე!“

თავი დავუქნიე ლალი-შაქირას და იელვა კიდეც.

„ჰე, ძიავ, ერთ-ორი-სამი!“ – ხმის ჩახლეჩამდე გულში გაყვირის ლალი-შაქირა.

ჩვენც მოვისროლეთ ბადე და ლალი-შაქირას ხმაც მომწვდა: „ახლა კი საჭეს მიხედე!“

მეც ჩავაფრინდი საჭეს და მოლოდინად ვიქეცი.

„ოო.....როგორ გაავდრდება, ღმერთო?!“ – მომვარდა ლალი-შაქირას ფიქრი.

„თუკი იცის, რომ გაავდრდება და რაც უნდა მოჰყევს ამას, რატომ არ მიბრძანებს, ნაპირისკენ მივაშუროთო!“ – ამაზე ფიქრი ძალიანაც შემაწუხებს, მაგრამ ვცდილობ, დავუფარო ეს ფიქრი ლალი-შაქირას.

მიმიხვდება ლალი-შაქირა, მაგრამ არაფერს მეტყვის და რაღაც თავისებურად გადააქნევს თავს, უკმაყოფილოდ; მეც აღარ ჩავეძიები და გაეღიმება, მადლიერებით სავსე თვალს შემავლებს და მხარზე დამიტყაპუნებს ხელს. – გული მიგრძნობს, რომ... სწორად მიგრძნობს გული, რომ... – ენა გააწკლაპუნა ლალი-შაქირამ, – ჩვენ ჩვენი უნდა ვაკეთოთ... გაიმაგრე გული და... ფრთხილად საჭესთან, დინებასაც ნუ შეეწინააღმდეგები... მიყევი... მიაყოლე ეს საჭე ტალღას, თორემ დაგვსჯის წყალი, ძიავ და... საჭის გარეშე გაგვიჭირდება... ეს თევზიც სიღრმეში რომ მიიწევს ავდარში, თევზი გრძნობს გაავდრებას...“ – ფიქრებში ჩაიძირება, – ფრთხილად, დინება... ხომ შეიგრძნობ, რა ძლიერია?! ჰო, ასე... – ისევ მიჰყვება ფიქრებს – მე მესმის, ძიავ, მესმის სტიქიონის გრგვინვა და გმინავს კიდეც. ამასაც უჭირს და ადამიანივით განიცდის. ზღვაც სულიერია და ფიქრობს, განიცდის, აბა, ნაპირისკენ! მოვუსვათ ნაპირისკენ, ძიავ!“

„მგონი მცდის... უნდა ბოლომდე ჩამხედოს სულში... კაცი, ბაბუაჩემი ამბობს, გაჭირვებაში გამოიცდებაო და ლალი-შაქირაც მცდის... ალბათ, უნდა გადავრჩეთ, თორემ... მართლა ხომ არ გამწირავს?! ანდა თავს რაღას ერჩის“. – ძლივს მოვიწყვიტე ფიქრი თავიდან და თვალი ვკიდე უზარმაზარ ტალღას, ასე გავეშებით რომ გვიახლოვდებოდა.

ოღონდაც: იმძლავრა ქარმა, გამოასწრო ტალღას და მთელი ძალით მოგვაწვა.

„თქვენ ადამიანები ხართ! ერთხელაც დამანახეთ კიდევ, როგორ შეგიძლიათ ბრძოლა... სიცოცხლისათვის!“ – ყურში ჩაგვწივლა ქარმა და კინაღამ არ გადაგვაბრუნა?! მაგრამ ღმერთი იყო ჩვენკენ და გადავრჩით.

„ხედავ, რას გვეუბნება ქარი?! ქარი ჩვენკენაა თითქოს და... ნუ გეშინია, მთავარია, იმედი არ გადაიწყვიტო! ასეა, ძიავ, ასე... – მესმის ლალი-შაქირას შეშფოთებული ხმა, მაგრამ თვითონ მას ვეღარ ვხედავ უკვე, – ნაპირისკენ! ნაპირისკენ-მეთქი!

– მაგრამ რომ ვშორდებით ნაპირს?!

„გახსოვს, რა გითხარი? სანამ არ დაგიკარგავს იმედი, მანამ არაფერი გაუჭირდება კაცსო... ტალღას მიჰყევი!“

„მივყვები, მაგრამ... ეს ნავი წინ კი არა, ასე მგონია, უკან მიდიოდესო თითქოს...“ – შემზარა შემოწოლილმა ფიქრმა და ჭირის ოფლი დამასხა. უნებლიეთ კიჩოსკენ გავიხედე: იქითკენ, სადაც ლალი-შაქირა მეგულებოდა, მაგრამ ვეღარსად დავლანდე და შიშმა დამრია ხელი.

„ნუ ღელავ, ძიავო!“ აი, რა მინდა, გავიგონო ლალი-შაქირასგან, მაგრამ დუმს იგი და ეჭვიც გამიჩნდება მაშინვე, რომ თვითონ ლალი-შაქირას გამოუწვევია-თქო ეს სტიქიონი და ცივად გამაჟრჟოლებს.

ლალი-შაქირას კი უჩინმაჩინის ქუდი ეხუროსო თითქოს, სულაც არ აპირებდა (ჯადოსნური ქუდის) მოხდას და ვუსაყვედურე გულში.

ვიგრძენი, წაიკითხა იმან ჩემი ფიქრი და შეხურებული საფეთქლები მოვისრისე.

უკვე აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა?! იქნებ, სულაც არ იყო საჭირო ფიქრი! და საკუთარ თავს მივნდობოდი.

„აბა! მიიხედე ნაპირისკენ!“ – კვლავ მესმა ლალი-შაქირას ხმა, მაგრამ შემცბარი ამჯერად.

– ნაპირი რომ არ ჩანს? არავითარი ნიშანი... – ამიწრიალდა სული.

„წყალი: ორი დღის მარაგი...“ – ხმაშეწუხებული ლალი-შაქირა არც ახლა გამომიჩნდება.

– ორი დღის მარაგიო, ამბობ, მაგრამ... ჩვენ ორნი ვართ... – ამოვიოხრებ.

„ჰო, ძიავ, მაგრამ მე არც მივიღები მხედველობაში“.

– როგორ თუ...

„უნდა გამოიზოგო... ვინ იცის, ძიავ, როდემდე ვიქნებით ამ ყიამეთში? ქრის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი და... სამ დღეს მაინც იქროლებს... და ღმერთია მოწყალე, როცა იქნება, ჩადგება ქარი...“

– მერედა, გავუძლებთ? – შევეჭვდი და პასუხის მოლოდინში პირი გამიშრა.

„გავუძლებთ, ძიავ! აბა, არ გავუძლებთ?! შენ იმედი არ გადაიწურო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო და გავუძლებთ! ხომ არ გეეჭვება?“

არა-მეთქი, ვუთხარი და მართლაც აღარ მეეჭვებოდა უკვე. ვიგრძენი მისი მზერა და ამანაც დამაიმედა. მაგრამ მზერამ, სულში რომ მიძვრებოდა, იმედთან ერთად სხვა გრძნობაც გამიჩინა: არ ვიცი, იმედისა იყო იგი, თუ უიმედობისა და შევტოკდი.

„შენ გგონია, რომ ვეღარ გავუძლებთ?“ – ლამის თვითონაც დაეჭვებულიყო და კიდევ უფრო აუწია ხმას: „რომ გვეეჭვება, ეს აღარ მომწონს! ასე ხომ ვეღარასოდეს გავაღწევთ ამ ჯოჯოხეთიდან? უიმედობაზე ცუდი სხვა რაღა უნდა იყოს?! ცუდად ნაფიქრი შეიძლება, გაგიმატერიალიზდეს და... დაიღუპები! კიდევ ერთხელ სთხოვე ქარს, რომ ჩადგეს... აღუთქვი ისეთი რამ, რისი შესრულებაც შეგიძლია, მაგრამ შეპირება შეპირებაა და უნდა შეასრულო კიდეც (ის) დანაპირები. გესმის?“

– მესმის, მაგრამ...

„საჭეს ნუ ეურჩები, მაგრამ არც იმას ნიშნავს ეს, რომ დაემორჩილო საჭეს. მიჰყევი, დაჰყევი იმასაც, მაგრამ კონტროლი არ დაკარგო საკუთარ თავზე... არ მოდუნდე! ზოგჯერ მისი სურვილებისამებრადაც რომ მოიქცე, არ გაწყენს... ბადე დავკარგეთ? ამასაც შეელიო უნდა, ძიავ, კაი მებადურები ვერ აღმოვჩნდით, მაგრამ როგორც მეზღვაურს, მართლა არა გიშავს... ჩვენ დაღუპვის უფლება არ გვაქვს!

უნებლიეთ: მაღლა ავიხედე:

ცა თავს ჩამომწოლოდა თითქოს, ნავის ფსკერზე მივეჭყლიტე.

ჩამოჟამებულიყო...

ქარი მთელი ძალით ქროდა: სულაც არ აპირებდა ჩადგომას. მგლის მუხლი გამოება და ვიდოდა:

– არავის დავინდობ, არავის! გავანადგურებ ყველას, ვინც გზაზე გადამიდგება... მოგსპობთ ყველას!

ამის გამგონეს ჟრუანტელი დამივლის მთელ ტანში და ტალღაც შეგვისროლის მაღლა, დაგვატრიალებს და თავბრუს დაგვახვევს.

აქ თავს ვერ შეიკავებს ლალი-შაქირა და წაიქცევა. წაქცეულისთვის თვალი არ მომიკრავს, მაგრამ ვიგრძენი მისი დაცემა და ტკივილმა დამიარა მარჯვენა ხელში.

ლალი-შაქირამ მარჯვენა ხელი იღრძო... – ვთქვი და მოულოდნელად იელვა. დავინახე, როგორ წამოდგა ლალი-შაქირა, უფრო სწორად ლანდი მისი და მარცხენა ხელი წამომიწია (მარჯვენა მართლა ეღრძო). აღარც მე დამიხანებია, მივიჭერი მასთან, მაგრამ საჭეს დაუბრუნდიო, თვალით მანიშნა.

და ჩამოღამდა უცებ. თითს თვალთან ვეღარ მიიტან, ისე ბნელა.

„საჭე მარჯვნივ აიღე... ოცდახუთი გრადუსით და ასე გეჭიროს ოთხმოც წუთს. შენ დროც, დროც უნდა შეიგრძნო, ძიავ... მაგრამ არ შეეპუო ქარს!“

და დავასკვნი ჩემთვის: „სანამ შევიგრძნობ რომ ლალი-შაქირას არაფერი ჭირს, ვიქნები მეც და არაფერიც დამიშავდება, ისევ მოგვასკდა ქარი, მაგრამ ვიდექი ფეხზე. ახლა თავისი უხილავი მხარიც გამკრა წიოქა ქარმა და წამომაჩოქა.

„წამოდექი! – ისევ მომესმა ლალი-შაქირას იმედიანი ხმა, – აგცდა ქარი, ხომ ხედავ და... სანამ შემოგიბრუნდებოდეს, იქამდე უნდა მოასწრო წამოდგომა... დაჩოქილი არ დაგინახოს!“

მეც წამოვდექი და ახლა მეორე მხრიდან გამკრეს თავისი უხილავი მხარი. წავიფორხილე, მაგრამ აღარ წავქცეულვარ. ფეხები გავჩაჩხე და მკერდი მივუშვირე ათასთითება ქარს.

– ჩადექი, ქარო! ეს მე მსურს ასე, ადამიანს!

და ქარმაც გადაიხარხარა: – ეს შენ, შენ გსურს – ადამიანს?! გსურს ხომ? მაგრამ მერე რა, რომ გსურს ადამიანს?! მეც ბევრი რამ მსურს.. ბევრი რამე მინდა, მაგრამ... თუნდაც: აღვგავო პირისგან მიწისა ის ქალაქი, რომელშიც შენ ცხოვრობ. თუმცა ჩემს ხელში არა ხარ?! – თითქოს დაიხიაო უკან და გაორმაგებული ძალით მომვარდა.

თვითონვე გამიკვირდა, ძვრაც რომ ვეღარ მიყო ადგილიდან. პირჯვარიც ჩემდაუნებურად გადავისახე.

– შენ – შენთვის, მე კიდევ – ჩემთვის... ვიქროლებ ისე, როგორც მინდა... შემიძლია შენი ნავის გადაყირავება, მაგრამ... ჭკუას რომ მოუხმობდე და ქედს მოიდრეკდე ჩემ წინაშე, იქნება ქე გადავიფქრო... მაგრამ იმდენს კი ვიზამ, რომ... ვიქროლებ, ვიქროლებ სულ, რომ ხედავდე ნაპირს და ნაპირამდე ვერ მიაღწიო... წყურვილით ამოგხდეს სული, ისეთ დღეში ჩაგაგდო, ორი ორს ეკითხებოდეს, ჩვენ ორში ორიანი რომელიაო? – წამით მოითქვა სული და გამძინვარდა ისევ: – დაგაწყევლინებ თავბედს, ქარი თუ ვყოფილვარ! აბა, მიყურე!

ამის თქმა და მომწყურდა უცებ. ბაგეები დამეშუშხა. ვიდექი წყალში და მწყუროდა უსაშველოდ.

„ცოტაც მოითმინე... სულ ასე ხომ ვერ იქროლებს? დაე, იქროლოს, იქროლოს! გადაიღლება და ნახავს რა დღეშიც აღმოჩნდება?!“

სიტყვა განგებ არ დაასრულა ლალი-შაქირამ, საიდუმლოსაც ხომ ვერ გაანდობდა ბოღმამორეულ სტიქიონს?!

უნებლიეთ გამეღიმა.

ლალი-შაქირამაც თავისთვის ჩაიცინა, აი, ნახავ, რა დღეში ჩავაგდოთ მე და შენ ეს გულგოროზი სტიქიონიო?!

და სტიქიონმაც სულ ცოფები ჰყარა, ეს ციგლიანი ადამიანი ამდენს მიბედავსო. მეტის მონდომებითაც მოუბერა და ცოტაც და კინაღამ ნავიანად არ ამოგვაგდო წყლიდან?! ამ დროს იყო, ლალი-შაქირას ხმაც გავიგონე, „გაუძელ, ძიავ და... ამ სტიქიონსაც მოევლებაო!“

„სტიქიონს მოევლებაო?!“ – ხომ გადაირია სტიქიონი, – მე თქვენ გაჩვენებთ, რის შემძლეც ვარო და რომ ჩაისუნთქა და ახალი შეტევისათვის მომზადებული ყალყზეც აპირებდა შედგომას, ე მაშინ, სწორედ ამ დროს, მომაწოდა ლალი-შაქირამ წყალი. მოვსვი ორადორი ყლუპი და შვებაც ვიგრძენი. სიცოცხლე შთამბერა მე ლალი-შაქირამ და... იმან, იმანაც მოითქვა სული.

მალე მყარად ვიდექი ფეხზე:

ვგრძნობდი, აწი ვეღარაფერი წამაქცევდა.

ჩემი მომრევი (ამ დუნიას) არავინ მეგულებოდა.

„აბა, გაიხსენე ის ბიჭი, ქარად რომ იქცა...“ – შევყევი ფიქრად ქცეულ ლალი-შაქირას.

– იმ ბიჭს სანტიაგო ერქვა...

„ჰო, სანტიაგო... შენ კი ნოე გქვია, ძიავ! იმან შეძლო!“

– სანტიაგომ შეძლო!

„და ახალ სიცოცხლესაც ეზიარა... იმან ირწმუნა, ძიავ! ირწმუნე შენც და... აღუთქვი რაიმე ქარს და...“

მეც ქარს:

– რას ინატრებდი, ქარო? – ვეკითხები.

– რას ინატრებდიო?! ეს: შენ უნდა ინატრო! – გადაირია ქარი, გადაირია ისე, არასოდეს რომ არ გადარეულა. ათმაგი ძალით შემოგვიტია.

„შენ უნდა ჩაიხედო ქარის სულში, რომ...“ – იძალა ქარმა და ლალი-შაქირას ფიქრს კუდი ჩამოწყვიტა.

მე სახე მივუშვირე თითქოს და გამარჯვებულ ქარს, ვცდილობდი გადავეყლაპე, ყელზე რომ დავადგებოდი მერე... ისიც ჩაისუნთქავდა ღრმად და იმის სასულეშიც აღმოვჩნდებოდი, ჩავიძირებოდი იმის სულში, იქაურობას მოვიხილავდი: ნეტა, რა უნდა უნდოდეს? – ვიფქრობ და ასე შევყევი კიდეც გაამაყებულ ქარს. იმის სულში ვარ უკვე: „გონება მინდა, გამინათდეს...“

„შენ უნდა შეიგრძნო სამყაროს სული...“

როგორო, ვიკითხე და ქარიც მომაწყდა:

– იცი კი, რას შეუძლია გონების განათება?

– ეგ რომ ვიცოდე... – ფიქრმა დამრია ხელი და გადაიხარხარა ქარმაც:

– აქ ფიქრი არცაა საკმარისი... – დაისისინა, – შენ უნდა იაზროვნო, კაცი ხარ ბოლოს და ბოლოს! ის გაიხსენე!

„იესო?“ – მხრებს ავიჩეჩავ და ლალი-შაქირას ხმაც მომწვდება: „უსმინე, ძიავ, ქარს... შენ იმის სულში მოგზაურობ, ხომ არ გავიწყდება?“

– იესო რატომ ვერ გაგიხსენებია, ადამიანო?! – ღიზიანდება ქარი.

„კაია, რომ გაღიზიანებულია ქარი. შენ ოღონდ უსმინე და...“ – ისევ მომწვდა ლალი-შაქირას ფიქრი.

– იესო ღმერთიც იყო და კაციც... როგორც ღმერთი, ყოვლისშემძლე იყო, ყოვლისმხილველი და ყოვლისმომცველიც, მაგრამ როგორც კაცი, ღმერთისხელა ხომ ვერ იქნებოდა?!

„ამიტომ იყო, უდაბნოს რომ მიაშურა!“

– უდაბნოს მიაშურაო, შენ მეუბნები ამას, ჭკუასაც მასწავლი?! მაგრამ რატომ, რატომ მიაშურა უდაბნოს?

– და ორმოც დღეს იშიმშილა! – ვუპასუხებ ქარს და ვიცი, პასუხს რომ მივაკელი რაღაც, მაგრამ ლალი-შაქირა წამომეშველება: „და კიდევ – როგორც კაცი ღმერთს გატოლებოდა!“

– და გაუტოლდა მერე?! – მთლად გადაირია ქარი, მოუბერა, რაც შეეძლო, თითქოს მთელი ამ ზღვის ამოხაპვა ნდომებოდეს.

– დადექ, ქარო! ვიცი, ვიცი, რასაც შეგპირდე უნდა!

– იცი?! – სული მოითქვა ქარმა და შედგა. – გისმენ! გავიდა ეს ერთი წამიც! – დაუბერა ისევ.

– კი შეგპირდები, მაგრამ ჩემს ხმას როგორ გაიგონებ ამ ხმაურში?

– კაი, ამ დათმობაზეც წამოვალ... ჰო, ვდგავარ, ხომ ხედავ? ერთი წუთი მომიცია!

„ნოე, იჩქარე! შენ იცი, რაც უნდა ქნა, ოღონდ, აჩქარდი... ერთ წუთში უნდა ჩაეტიო!“ – რჩევა-დარიგებას მაძლევს ლალი-შაქირა და მეც ავჩქარდები.

– ქარო ძლიერო... მეც ვიშიმშილებ იმ ორმოც დღეს! – ამოვთქვი და ყურად ვიქეცი.

– მთელ ორმოც დღეს?! – გაკვირვებული ჩანს ქარი.

– არა... შიმშილი როდია ეს?! მარხვაა ეს!

– მარხვა?! ჭკუასთან ახლოა, ხომ იცი?! და ორმოც დღეს იშიმშილებ?

– ვიმარხულებ! – ვამბობ შეფიქრიანებული.

„ძნელი კი არი, ძიავ, ორმოცი დღე იშიმშილო კაცმა.. მარხვა ორმოცი დღის განმავლობაში ძნელი წარმოსადგენია თითქოს... – ფიქრობს ლალი-შაქირა, – მაგრამ მე შენი მჯერა, ძიავ... შენ არ გაგიჭირდება ეს!“

ერთი წუთიც გასულიყო უკვე და ისევ ამოიჭრა ქარი.

თითქოს მოფხიზლებულიყოსო ჩემკენ დაძრული ქარი, სიჩქარეს უკლო ოდნავ (თორემ ხომ წამიღებდა და ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადამტყორცნიდა), ორად გაიყო როგორღაც,

აქეთ-იქიდან ამიქცია მხარი და აღარც შეერთებულა.

მერე ჩადგა სულაც...

ეს ჩვენი ზღვაში გასვლიდან მესამე დღის მიწურულს მოხდა...

„ეს შენ გადამარჩინე, ძიავ... შენ ქარსაც აჯობე, ნოე!“ – მეუბნება თვითკმაყოფილი ლალი-შაქირა, – შენ იმედი გამიმართლე, ძიავ!“

– ეს შენი გამარჯვება უფროა... შენ გსურდა ასე! გსურდა, გამემარჯვა...

და უხარია ლალი-შაქირას, ასე რომ ვფიქრობ.

„შენ რომ არა, ნოე...“

– შენი რჩევა-დარიგებები რომ არა... – კი შევაწყვეტინე ფიქრი ლალი-შაქირას, მაგრამ შევატყვე, არ წყენია. პირიქით, თავისთავადობაც აღმოაჩინა ჩემში და ამას გაეხარებია ასე.

ფიქრი მართლა შევაწყვეტინე ლალი-შაქირას, მაგრამ აღარც უსაყვედურებია ამისათვის.

„ხედავ, ნოე... ქარსაც ჰქონია თავისი სუსტი მხარეები, საგანს ადგილი რომ შეუცვალო და შენი შეხედულებისამებრ მიუჩინო ადგილი, საჭიროა ამ საგნის ზედმიწევნით შესწავლა: უნდა ჩაიხედო საგნის სულში, ძიავ! შენ ქარიც გაარკვიე თავის თავში. ასე რომ: იგი შენი მადლიერიც უნდა იყოს, რადგან დიდი სამსახურიც გაუწიე. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შენ და მე სულში ჩავხედეთ ქარს! გადავწიეთ ის საიდუმლო ფარდა და მოწმენიც შევიქენით იმისა, რომ ქარსაც შეიძლება უჭირდეს! ჩვენ გამოვიტაცეთ პანდორას ყუთი, ავხსენით სახურავი და ამოვუხმეთ იქიდან მიძინებულ ქარებს... მერე კი: მოვიხმეთ ისევ და პანდორას ყუთშივე ჩავუძახეთ! დაგვიმადლა იმანაც, როგორც ხედავ, ნოე. ქარისათვის და საერთოდ ქარებისთვის საკუთარი სუსტი მხარეების აღმოჩენა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე – უკან დახევა. ესიც ნიშანდობლივია მისთვის. მისი სისუსტენი ჩვენ, ადამიანებმა, დავადგინეთ და ამით დიდადაც დავეხმარეთ: ადამიანები ვართ და... ჩვენ ეს შევძელით, ძიავ! პანდორაც სხვანაირად შეხედავს აწი ადამიანებს. ქარმა იქროლოს უნდა, აბა, არ უნდა იქროლოს?!“

– მაგრამ პანდორას ყუთში რომ არიან გამოკეტილნი?

„პანდორას ყუთი, პანდორასვე ნებით იმდენჯერ აიხსნება, რამდენჯერაც ინებებს ამას თვითონ პანდორა... და ქარებიც იქროლებენ კვლავინდებურად... ადამიანებსაც მეტი სიფრთხლითა და ნდობით მოეკიდებიან. ახლა კი, მზისკენ... მზის ბილიკს გავყვეთ... ჰო, მართლა მზის ბილიკი, ხედავ...“

* * *

ჩამავალი მზე და მისი (მზის) ბილიკი.

მივყვებით მზის ბილიკს ნაპირისკენ. მზე ზურგს ისე ვეღარ გვწვავს, ვიდრე ამ რამდენიმე წუთის წინ. ვგრძნობ, ჩაიძიროს სადაცაა მზე წყალში და მისი ბილიკიც გადაიშალოს, მაგრამ ნაპირს რომ ვეღარ მივაგნოთ?!

– უკვე მივაგენი... ნაპირი გამოგვიჩნდა და ქარიც იქითკენ მიგვაქროლებს, ნოე... აჰა, ნაპირიც: ზღვას თავი დავუკარით და ნაპირზე ვართ.

მაგრამ:

ჩამობნელდება უცებ: ზეციდან ჩამოწოლილიყოსო თითქოს წყვდიადი... ტალღები ნაპირისაკენ გამოგორებულები, ტალღები ზღვაშივე მიგორავენ უკან... ქრის ქარი... გადაირევა სულაც და ზღვაც შეიშლება, ჭკუიდან გადავა.

„წალეკავს, გადაქელავს ყველასა და ყველაფერს!“ – გამიელვებს და შუბლზე გამონადენ ოფლს ხელისგულით შევიწმენდ. ჩვენ კუნძულზე ვართ, რომელზედაც აღარც კი მახსოვს, როგორ გადმომისროლა ბედისწერამ და ეს კუნძული ამდენსაც ვერ გაუძლებდა და გადაირეცხებოდა სულაც. მაგრამ რას მოველით ადამიანები?

მეცხრე ტალღას?! – იკითხავს ვიღაც.

ჰო, მეცხრე ტალღას! – ჩამოგვძახებს გამძვინვარებული ზეცაც და მარტო ადამიანებს კი არა, კუნძულსაც გააცახცახებს.

– მაგრამ ადრეა წარღვნამდე... ჯერ ადრეაო, – ისევ ზეცაა, რომ დაგვაიმედებს ადამიანებს: – ძნელია, ვინმე მაინც გადაურჩეს ამ მეცხრე ტალღას, მაგრამ გადარჩენის შანსი მაინც ეძლევა

ადამიანს... ის იმედი მეცხრე ტალღას მოუძღვის წინ და... აიყვანს ბედის ნებიერს...

ნოეს კიდობანი... მაგრამ მეცხრე ტალღამდე მერვე ტალღაა... მაგრამ: მოხდაო თითქოს ეს ყველაფერი... მე გავიარე ყველა ესენი, მაგრამ ამნაირი სიზუსტით როგორ მეორდებიან ეს მოვლენები? ჰოდა: ჩამდაუნებურად, ავიქნევ ხელს, მაგრამ რომელი ჯადოქარი მე ვაყავი, რომ უკანვე გამებრუნებინა ის მეცხრე ტადლღა?

ზღვა... და შიგ ჩასმული ერთი წერტილი... ჩვენი კუნძული... ზღვაც ყელში გვიჭერდესო თითქოს თავის უხილავ თითებს და ზღვა-ყულფიც ვიწროვდებოდა სულ უფრო და უფრო... და სულიც ამოხდებოდა სადაცაა კუნძულს.

გამაზმორებს და: ასე შევდივარ მეც ახალ სიზმარში. მაგრამ სიზმარიც აქ წყდება, ან სულაც იმ ფაზაში გადადის, როცა სხვა განზომილებაში გადასულის განცდა აღარც გვჭირდება. ოღონდაც: არავინ იცის, ვინ და როდის გადაგვისვრის კოსმიური არქივის ყველაზე უჩინარ კუთხე-კუნჭულში, რომ მერე, როცა იქნება, ჩამოიაროს მდინარე ლეთემ და მივიწყების სტომაქში ჩაგვიძახოს:

* * *

ვიცოდი: დიდ ხუთშაბათობით დადიოდა საღღაც ლალი-შაქირა, მაგრამ თვალი ერთხელაც ვერ მივადევნე. ამაზე ვფიქრობდი: ძილშიც კი შემყვებოდა ამაზე ფიქრი, მაგრამ ამაოდ: ლალი-შაქირა აქაც მოუხელთებელი მრჩებოდა.

ერთხელ თავის ქოხში დამიბარა და პირჯვარი გადამწერა. თვალი გავუსწორე და ამოვიკითხე მისი ფიქრი: „დაგესიზმრები და არ დაგეკარგო სიზმარში! ახლა კი წადი და არც შენ დამეკარგო!“

სწორედაც რომ დიდი ხუთშაბათი დგებოდა: საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და ძილმაც წამიღო: ლალი-შაქირაა, ხელს რომ მიქნევს.

ხელი ავუწიე და აღმართს შეუყვა. მეც ფეხდაფეხ მივყევი.

გადაიარა გორი ერთი, გორი მეორეც და უკან მოიხედა.

შემატყო, გამიჭირდა და აღმართი ჩამოირბინა:

„ახლა ორივესი ასავლელია ეს აღმართი და ავივლით კიდეც“. თავზე დამადო ხელი და დაითვალეო, მითხრა.

ვითვლიდი მეც, ვითვლიდი და ოცდაცამეტიო! ამოვთქვი და დაღლილობაც მომეშვა, ვსუნთქავდი მშვიდად და რიტმულად. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მომენდომებია, ჯომოლუნგმასაც დავლაშქრავდი.

„შენ ახლა ყველაფერი შეგიძლია, ძიავ, თითქმის ყველაფერი!“ – მაგრძნობინა თავისებურად (მომწვდა მე მისი ფიქრი და აღმართსაც შევუდექით).

წინ ლალი-შაქირა მიდის, ოდნავ წინწახრილი. უკან მე მივყვები, ათი-თორმეტი ნაბიჯის მოშორებით.

ეს დაკიდებული აღმართიც აიარა და შედგა მწვერვალზე. მე ოდნავ ქვევით ვიდექი და ხელი დამიქნია, ჩემთან დადექიო, მხარმარჯვნივ.

ახლა მხარზე ჩამომადო ხელი.

აღელვებული მეჩვენა, თვალები უჩვეულოდ გაბრწყინებოდა.

„იწყებაო“, წავიკითხე მისი ფიქრი და გული ამიძგერდა, მართლა ხომ არ უნდა ამომივარდესმეთქი, – უნებლიეთ გავიფიქრე და გაეღიმა: „იცი, ნოე, ასე როდის აუღელდება გული კაცს? როცა მის ცხოვრებაში დგება ის წუთი, როცა უნდა გადაწყდეს მისი ბედი და ამ ბედის მჭედელიც თვითონაა ამ დროს!“ ეს წუთიც დამდგარა, შენთვის და...“

„მართლაო?!“ სიხარულისგან ლამის ავფეთქებულიყავი. გულიც ასევე ლამის ამომვარდნოდა საგულედან და ისევ ლალი-შაქირა წამომეშველა, თავის მგრძნობიარე ხელისგულს თავზე დამადებს და მაშინვე ვმშვიდდები, დროა, ისევ ავიაღმართოთო, მომწვდება ლალი-შაქირას ფიქრი და სალაშქროდაც შევიმართები.

„მივაღწევთ აი, იმ მთის მწვერვალსაც... ადრე გულისფანცქალით რომ შევყურებდით მეც, ძიავ და შენც! გული ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ავაღწევდი ერთხელაც იმ სიმაღლეზე და ორივეს გაგვინათდებოდა გონი! შენ ჩემთან

იყავ ფიქრში, ძიავ და...“ – ფიქრიც აქ გაიწყვიტა ლალი-შაქირამ და გაუჩინარდა(!)

აღარსად იყო ლალი-შაქირა და იმედი გამიცრუვდა. ნელ-ნელა, სუნქთვაშეკრული მივედი იმ ადგილზე, სადაც ამ ერთი წუთის წინ ლალი-შაქირა იდგა და აორთქლდა ლამის ჩემ თვალწინ.

მაგრამ სიცილი მომესმა ამ დროს და მივხვდი, ლალი-შაქირა მეხუმრებოდა. გამოქვაბულის ზღურბლზე იდგა და მელოდა. ისიც სუნთქვაშეკრული შემომყურებდა და ფიქრობდა ჩემს გასაგონად: „აქო... ყველა ის უკეთური ფიქრი ჩამოიცილო უნდა, კაცს რომ არ ეკადრებოდესო“ და თითები ამოისვა თვალებში:

„ასეა საჭირო, ძიავ და რაც ახლა გაიგონო, გულის ფიცარზე დაიწერე... და როგორც ქალი მშობიარობს, ჩვენც ასევე ტკივილებით უნდა მოვიმშობიაროთ ჩვენი ფიქრებიო“. – ამიხსნა ლალი-შაქირამ და პირი მოკუმა.

– თქვენ როდი უნდა გეხებოდეთ ეს გამოცდა... – დავიბენი, – თქვენ ხომ...

„კაცი ვარ მე, კაცივით ვფიქრობ და ვცხოვრობ! მიყვარს კაცივით და მძულს კიდეც და ამიტომ მეც უნდა ჩამოვირეცხო ის მოარული ფიქრები, კაენის მოდგმას რომ აწუხებს ოდითგანვე. ზოგი ფიქრი შეიძლება, სულაც არ გეკუთვნოდეს შენ, არც იყოს შენი, მაგრამ შენად გიქცევია და შეიძლება, დროც კი დაგჭირდეს იმის გარკვევაში, კეთილია თუ ავია და ხელისშემშლელი პირობაც, ძიავ, გიყვარდეს, იმდენია, ვერც დაითვალო და... დრო, დროა აქ საჭირო!“

სული ჯერ უკეთური ფიქრებისგან დაცლილმა ლალი-შაქირამ მოითქვა, ცოტა მოგვიანებით მეც გავთავისუფლდი ჩემთვის შეუფერებელი აზრებისგან და მოწმეც გავხდი იმისა, თუ როგორ გაუბრწყინდა თვალები ლალი-შაქირას: იგი კმაყოფილი იყო ჩემითაც და რასაკვირველია, საკუთარი თავისაც.

ლალი-შაქირამ მხოლოდ ამის შემდეგ გადააბიჯა ზღურბლს და მეც იქითკენ გამიწია გულმა.

ასე რომ, გამოქვაბულში ვართ.

მაღლა ავიხედე და შევცბი.

კრატერში... ვულკანის კრატერში ვიყავით და მეწამული ზეცა დაგვნათოდა თავს.

„ეს ჩემი სალოცავი ადგილია...“ – თავისებურად მიხსნის ლალი-შაქირა, როგორც სჩვევია საერთოდ – უსიტყვოდ. მერე დაიჩოქებს და მაღლა აღაპყრობს ხელებს: „დიდ ხუთშაბათობით ამოვიდივარ ამ სიმაღლეზე რჩევის საკითხავად, რჩევებს მაბარებს ადამიანებთან, რჩევებს, – სოფლისთვის... მოსალოდნელ ამბებსაც ჩამომითვლის...“ – დადუმდა და თბილად შემათვალიერა.

„მეც მყავს ჩემი ანგელოზი, ძიავ...“ – ჩაფიქრდა ლალი-შაქირა, მხედავს და ჩემს ფიქრებსაც კითხულობს.

– მაგრამ მეც რომ მყავს ჩემი ანგელოზი?! მეყოლებაო, მინდოდა, მეთქვა, რადგან მთლად დარწმუნებული ვეღარ ვიყავი ამაში...

„ჯერ არც გეყოლება ნანახი შენი ანგელოზი...“ – თვალი მოხუჭა ლალი-შაქირამ, – არ გყავს ნანახი, ვხვდები, ძიავ... შეიძლება შენც დაგენახა შენი ანგელოზი, მაგრამ დღეს ის ხუთშაბათია, უფალს რომ უნდა მოვუსმინო და თუკი ძალიან გინდა, შენც გაიგონებ იმის ხმას. მაგრამ ვნახოთ: მე ვკითხავ და თუკი განათდა, ჩათვალე, გაგიმართლა: შენ გაიგონებ პასუხს, არ განათდება და დაიხურე ქუდი, ძიავ და გაიპარე აქედან.

სმენად ვიქეცი და ლალი-შაქირამაც მაღლა აღაპყრო მზერა:

– მამაო ჩვენო, მესმა წუხელ, სათქმელი რამ მაქვს შენთვისო და მოველ მეც დათქმულ ადგილზე, დათქმულ დროს.

მაღლა კრატერის ყელიც გაბრწყინდა და ლალი-შაქირამაც მანიშნა, იყუჩე და ყურადღებით იყავიო!

კრატერის ნათებაც სულ უფრო და უფრო კლებულობდა და ლალი-შაქირასაც ეღრუბლებოდა სახე. მე არაფერი გამიგონია, მაგრამ ქვეცნობიერად ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო სოფელში.

ლალი-შაქირა ქანდაკად ქცეულიყო.

მალე ნათება განელდა სულაც და გაოგნებული ლალი-შაქირა წამოდგა.

– რა მოხდა? – მეც შეშინებულმა ვკითხე.

„მოხდა! ხდება... ისე გავ, ძიავ, ზვავი თუ მეწყერი უნდა ჩამოწვეს და... უნდა გავაფრთხილო ხალხი! იმ ხალხის ვინაობაც ვიცი, ვისაც საშიშროება ემუქრება... ხვალ უთენია ვარ ასასვლელი... შენი წამოყოლა არაა აუცილებელი... მარტო ახვალო... მაღლიდან მესმა... შენ კი, ყველაფერი ეს რომ იწამო, აგერ ქაღალდი, ძიავ და... აბა, გაშალე ფურცელი! ხედავ, ჯვარი ახატია... ოთხად გაკეცავ ისევ და... ამ ლოდს ხომ ხედავ? აბა, წამოწიე!“

მეც წამოვწიე და გვერდზე გადავაგორე ის ლოდი.

„ეს ქაღალდი აქ დადე და ისევ დაადე ეს ლოდი!“

მეც დავდე გაკეცილი ფურცელი ლალი-შაქირას მიერ მინიშნებულ ადგილზე და ლოდიც დავადე.

„დაჯექი ახლა ამ ლოდზე და თვალი არ მომაცილო“. – მითხრა და ლოცვად დადგა. მორჩა ლოცვას და პირჯვარი გადაიწერა სამჯერ: „კიდევ ვთქვათ ლოცვა, მაგრამ გულში... შენთვის, ნოე... მეც ჩემთვის ვილოცებ...“

ეს რიტუალიც დავასრულეთ და ლალი-შაქირაც მომიბრუნდა:

„ხომ ხედავ და შეიგრძნობ ყველაფერს და სიზმარში ხდება ყველაფერი... ეს ადგილიც დაიხსომე კარგად. ამოხვალ, უთენია და... შეგიძლია შეამოწმო ეს ყველაფერი... ეს ჯვარდასმული ფურცელი თუ მართლა ამ ლოდქვეშ დაგვხდა...“ – ეშმაკურად გამიღიმა: – აქ ძილი და ღვიძილი ერთმანეთში გადადის როგორღაც და... ახალ სინამდვილედ იქცევა... შენ აქეთ წამოხვალ დილაუთენია, მე კი... მაშ, მოვილაპარაკეთ? ადრე დილას შენ – აქეთკენ, მე კი – იქითკენ!“

აქ სიზმარიც მინავლდა და ძილმა ჩამითრია მთლიანად.

ძილი უსიზმროდ...

* * *

უთენია გამომეღვიძა. მთქნარებ-მთქნარებით წამოვიწიე. თავბრუ მესხმოდა. თითები ამოვისვი თვალებში და ლალი-შაქირა დავლანდე. თვალი მივაყოლე იმის ლანდს და მოსახვვსაც მოეფარა. გაქრა უცებ. აღარ ვიცოდი, სინამდვილეში ხდებოდა ეს ყველაფერი, თუ ზმანება იყო, ან მომეჩვენა სულაც. წუხანდელმა სიზმარმაც შემახსენა თავი და შევკრთი: „ლალი-შაქირა... ხალხის გასაფრთხილებლად თუ მიდიოდა. მერე და რატომ არ გაყვებიო, მეუბნება გული, მაგრამ გამეცინა ჩემს თავზე: თუკი ჩემი თანხლება უნდოდა, იქ, იმ სასწაულებრივ კრატერშიც, მეტყოდა, გამოქვაბული რომ მეგონა თავდაპირველად.

და ამ დროს: „ხომ დაიხსომე ეს ადგილიო?“ – გავიგონე ლალი-შაქირას ხმა და ის კრატერიც დამიდგა თვალწინ, წუხელ ლალი-შაქირამ და მე რომ მოვიხილეთ.

ახლაც მაშინდელივით გამაკანკალა და ჩემდაუნებურად, ფეხი იატაკს დავკარი.

„მიდი, მოინახულე ჩვენი გამოქვაბული, საერთოდ გწამდეს... დღეს მარტო მოგიწევს იქ მისვლა...“ – იღიმებოდა ლალი-შაქირა და მეც, იმედმოცემული შევუდექი აღმართს.

„მესიზმრება ეს ყველაფერი... სიზმარი ყოფილა თურმე...“ – ვამბობ გულში და მოვხუჭავ თვალს. და ასე თვალმოხუჭულს ისე გამიცხადდა მთელი ის მარშრუტი, როგორც მაშინ, სიზმარში.

აღმართის ხვნეშაც მესმოდა ფეხქვეშ.

ვიღლებოდი და არც ვიღლებოდი.

და ერთი საოცრებაც კიდევ: თვალდახუჭულს მიმიძღვოდა ლალი-შაქირა; გავახელ თვალს და აღარ იყო ლალი-შაქირა.

რასაკვირველია: მეც თვალდახუჭულად სიარულს ვამჯობინებდი.

გარკვევით მესმოდა მისი მოხშირებული სუნთქვა.

ხვნეშის აღმართიც და ხვნეშის ლალი-შაქირაც, ერთ რიტმში ჩამჯდარანო თითქოს.

სული გამოქვაბულში მოვითქვით.

გამოქვაბულს თვალგახელილი შევცქერი, ავყურებ კრატერის ყელს.

„აგერ ის ლოდიც!“ – თითქოს მესმაო ლალი-შაქირას ხმა და წუხანდელი სიზმრის ლოდს

დავადგი ფეხი. ვიფიქრე, მომეყურაო და მიმოვიხედე ირგვლივ. არავინ იყო და გამოვედი გარეთ. აქაც – არავინ და შიშმა ამიტანა, მოჯადოებული ხომ არ ვარო.

გამოქვაბულში შევბრუნდი ისევ და სიზმრისეულ ლოდს დავაკვირდი.

მე არასოდეს ვყოფილიყავი ამ გამოქვაბულში და ცხადია, არც ამ ლოდზეც მსმენოდა რამე. თვითონ გამოქვაბულზე ადრეც ულაპარაკია ჩემთან ლალი-შაქირას, მაგრამ ეს იყო და ეს. ამიტომ იყო, რომ ფიქრი მოვიშველიე და იმანაც დამიკრა კვერი, ცამდე მართალი ხარო. აბა, გაიხსენე წუხანდელი სიზმარიო, ჩამესმა ფიქრში და თვალი გავუსწორე სინამდვილეს. ჩემ წინ იდო ის ლოდი: ამ ლოდზე ვიჯექი წუხელ სიზმარში... სიმზარი იყო, ნამდვილად, სიზმარი!

დავიხარე კიდეც, რომ შევჭიდებოდი ლოდს, მაგრამ გული ამიფანცქალდა. შიშმა დამრია ხელი. მერე ქაღალდიც გამახსენდა. ჯვარი რომ იყო დასმული ზედ: „მაგრამ ის ფურცელი რომ არ დამხვდეს ადგილზე?“ – თავბრუ დამასხა ფიქრიდან გამოტყორცნილმა კითხვამ, მაგრამ შევიკავე თავი, რომ არ წავქცეულიყავი: – შენ ლოდი გადააბრუნეო ჯერ, გულმა მიკარნახა. ვიძალე და გადავაგორე ლოდი. „ფურცელი ადგილზეა, ოთხად გაკეცილი, ისღა დამრჩენია, გავშალო ფურცელი და...“ – ხელში ავიღე ქაღალდი, გავშალე, მაგრამ ისევ შემაჩერებს ფიქრი: „კი გავშლი ამ ფურცელს, მაგრამ ის ჯვარი რომ არ იყოს დასმული?!“ – შევქანდი შეჭირვებული, მაგრამ აქაც ვძლიე თავს და დაჭმუჭნილი ფურცელი ხელისგულებით დავაუთავე: „ახლა თვალის ახელაა საჭირო! თვალის გახელა იმიტომ, რომ...“ – ფიქრი შევიკავე.

„გაშალე ფურცელი! ის ჯვარი უნდა იყოს, წუხელ რომ იხილე! აბა, რა გეგონა? ლალი-შაქირა არ ცდება, ძიავ!“ – თითქოს და ლალი-შაქირას უნდა ეთქვა, მაგრამ თვითონ ლალი-შაქირა აღარსად იყო.

– ჯვარი ასვია, ჯვარი წუხანდელი... სიზმრისეული... – ვკანკალებ აღელვებული, – ცხადში ვარ თუ... ჯერაც არ გამოვსულვარ სიზმრიდან?

„ისე გავ, ძიავ, მართლა ის ჯვარია... – უხარია ლალი-შაქირას, – გონს რატომ ვერ მოხვალ? – შემომწყრება მოულოდნელად და მეც ამოვთქვამ:

– ის ჯვარია, ის ჯვარი და... არც თვალი გვატყუებს მგონია... – ვამბობ: – საოცრებაა, საოცრება...

„ჰოო, ეს ის ჯვარია! ხომაა ჯვარი? არის, შენც დამემოწმები და: შენც – მართალი, და მეც – მართალი! იქნებ: ამბავი შეიძლება, საკვირველიც იყოს, მაგრამ შეიძლება კი საკვირველი იყოს თვითონ სინამდვილე?! მაგრამ ასე რომაა და?..“

– ახლა? – ამოვიძახე.

„დაწვი ეს ქაღალდი, მაგრამ დაკეცე ჯერ და ცეცხლი მერე წაუკიდე! ასეა საჭირო!“

– მერე? – ვკითხავ.

„ქარს გაატანე ფერფლი, მაგრამ იქამდე: ეს ლოდი თავის ადგილს დაუბრუნე!“

მეც დარიგებისამებრ მოვიქცევი: ლოდს თავის ადგილზე დავაბრუნებ, მერე გამოვალ გამოქვაბულიდან და სამჯერ გადავიწერ პირჯვარს. ოთხად გაკეცილ ფურცელსაც წავუკიდებ ცეცხლს, ქარიც მოუბერავს ამ დროს და...

წაიღებს ქარი ჰაერში აფრიალებულ ფერფლს.

თვალს დავხუჭავ და: ვხედავ ჯვარს – გასხივოსნებულს.

გადანათებულა ქვეყნიერება... გასხივებულა ოთხივე მხარე.

* * *

ნუცას ხორბლისფერი თმები ჰქონდა, გაღიავებული, ჩალისფერი თითქმის.

მაღალი იყო...

ჰოდა: შეყვარებია ლალი-შაქირას წვივმაღალი ნუცა. უყვარდა ვაჟს ქალწული, მაგრამ თვალს როგორ გაუსწორებდა ნუცას. ის დღე დღედ აღარ მიაჩნდა, თუკი ერთხელაც ვერ შეავლებდა თვალს.

ნუცაც, რაკი დროს მოიხელთებდა, ლალი-შაქირასთან გაჩნდებოდა. იქვე, ეზოში, მისთვის განკუთვნილ სამფეხა სკამზე ჩამოჯდებოდა და

თავის ღია ღრუბლისფერ თვალებს მიაპყრობდა ლალი-შაქირას.

უყვარდა ლალი-შაქირას ნუცა:

თაყვანს სცემდა და...

ამაზე ყვებოდა ლალი-შაქირა; ყვებოდა ცისა და მიწის ამბავსაც; ყვებოდა წყლისა და ათრთოლებული კაცის ზღაპარს, გულში, რასაკვირველია, და ყველაფერ ამას მთელი გულისყურით ისმენდა ნუცაც. უსიტყვოდ ესმოდა ნუცას ლალი-შაქირასი.

ერთხელაც: აფორიაქებული მოვარდა ნუცა ლალი-შაქირასთან, ამღვრეოდა ღრუბლისფერი თვალები: – ხვალ შენი დაბადების დღეა, ლალი-შაქირა და მოვედი, წინასწარ მოგილოცო. ნიგვზის ძირში მოვალო.

ის დღეც გაუთენდა ლალი-შაქირას.

იჯდა ფეხმორთხმული იმ ნიგვზის ძირში და ნუცას ელოდა. ნუცა კი არ ჩანდა.

ჩავიდა მზე, შებინდდა კიდეც, მერე ჩამოღამდა და ნაშუაღამევმაც ქუდი მოუხადა ლალი-შაქირას, გათენდა, მაგრამ ნუცა აღარ გამოჩენილა.

მერე: გაირკვა, რომ ნუცას მშობლებმა იმის შიშით, რომ „ასე შორს არ წასულიყო“ ნუცასა და ლალი-შაქირას ამბავი, ქალიშვილი დროზე მოაშორეს აქაურობას, გაზაფხულზე კი გაათხოვეს კიდეც.

სამი წელი ელოდა ლალი-შაქირა ნუცას და იმედი რომ გადაეწურა, დაჰკრა ფეხი და სოფელიც მიატოვა.

ნუცას სახე არ მოსცილებია თვალთაგან. ხედავდა იმის მოღრუბლისფრო თვალებს და როგორც მზის ბილიკს, ისე მიჰყვებოდა იმის უხილავ ნაკვალევს.

ერთხელაც, იმ ერთ საფლავთან არ მიიყვანა გულმა?!

„ნუცაო?! – შეუქანდა გული ლალი-შაქირას, მაგრამ ვეღარ დაიჯერა ნუცას სიკვდილი. ჩაიმუხლა და ხელი ნაზად გადაუსვა მიწაყრილს. ტანზე აბურძგლა და ლოყა დაადო მიწას.

იღვრება ცრემლებად ლალი-შაქირა.

უჭირს სუნთქვა და სული ეხუთება: არა, ეს შენ არ უნდა იყო, ნუცა... ვერ დავიჯერებ ამას... შენ ცოცხალი ხარ, მარად ცოცხალი... შენ რა მოგკლავდა, ჩემო ნუცა?! – ამოახველა და სისხლმა ამოხეთქა ყელიდან. გადააწითლა საფლავი სისხლმა. მერე შეიწოვა მიწამ სისხლი და ლალი-შაქირასაც გააჟრიალა ტანში: – შენ ცოცხალი ხარ, ნუცა! – ჩაითქვა ლალი-შაქირამ. ერთი სიკვდილი გაათავა და თვალიც დახუჭა და ნუცა გაუცოცხლდა. წამოდგა. ჩაისუნთქა ღრმად და სუნთქვა შეიკრა.

„მიყვარდი, ლალი-შაქირავ, – ნუცას ხმაც მოწვდა, – მაგრამ არ დამანებეს... ვცადე კიდეც, მომეკლა თავი, მაგრამ არც ეს დამანებეს... ახლა შორს ვარ შენგან, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით და... აქაც შენ გელი და... ჩემკენ, ჩემკენ ლალი-შაქირავ!

„მოვკვდები მეც!“ – ამოიძახა ლალი-შაქირამ.

„არა, ლალი-შაქირა... იცოცხლე ჩემი გულისთვის და... გამოეშურე ჩემკენ! მე ყოველთვის, ყოველთვის გელი! შენ ხომ: არც შეგიძლია სიძულვილი და ნურც შეიძულებ ვინმეს ჩემი გულისთვის!“

საფლავიც შეიძრაო თითქოს:

– წადი, ლალი-შაქირავ, წადი... ერთი რჩევა მაინც შემიძლია, მოგცე: – იმედი არ გაიცრუო, ლალი-შაქირა... ცოდვაა უიმედოდ დარჩენილი ადამიანი...

უიმედობა მოგკლავს. წადი, წადი აქედან! აქ კი: შეგიძლია, დამემშვიდობო! უკან არ მოიხედო! ეცადე, იმ თქვენს დუნიაზე ყოფნით ცხოვრება გაუადვილო ადამიანებს! – აქ ისევ აღიძვრება სული და დადუმდება. დაცხრება თითქოს საფლავიც: – დამემშვიდობე... და წადი, უკან არ მოიხედო!

მშვიდობითო, ლალი-შაქირამ და გულში ჩაიწურა სათქმელი, კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი მიწაყრილს და ცოცხალ-მკვდარი გაშორდა იქაურობას.

* * *

სიცოცხლეც აღარ უნდოდა ჭლექიანს: მზად იყო სიკვდილისთვის, მაგრამ იქ, მაღლა, ფიქრობდნენ სხვანაირად: უნდა ეცოცხლა ლალი-შაქირას!

„ლალი-შაქირავ... ადრეა ჯერ შენი სიკვდილი... მერე და ვინ გითხრა, რომ მკვდარია შენი ნუცა?! მოვა ის დღეც, როცა პირისპირ შეეყრები ნუცას და... ასე რომ, იყავ იმედიანად... იქნებ: მოვიდეს, თვითონ მოვიდეს შენთან შენი ნუცა! გსურდეს და ვერ შეისრულო, ლალი-შაქირავ?! ამიტომ: იცხოვრე შენთვის, ჩემთვისაც იცხოვრე და... იცხოვრე სხვებისთვის!“

„ვიცხოვრებ, ვიცხოვრებ... მე აღვასრულებ ჩემი ნუცას თხოვნას...“ – გაიფიქრა და გულზეც მოეშვა.

„ადრე იმიტომაცაა შენი აქეთ გადმოსვლა, რომ...“ – პირი გაიხსნა ზეცამ და დაასხივა მიწას.: ეს შენ, ლალი-შაქირავ, ევლიობაც უნდა შეიფერო! ევლიაში გარდაისახები შენ!“ – ჩამოსძახეს.

დიდხანს, დიდხანს ლოცულობდა ლალი-შაქირა: ითხოვდა, ივედრებოდა ლოცვად შემდგარი.

უცებ რაღაც უჩვეულო ძალამ ზეწამოაგდო და გარეთ გამოისროლა.

სახლის წინ დაეშვა მუხლებზე და ლოცვად დადგა ისევ.

იელვა.

ათბა.

ეს სითბო სულში ეღვრებოდა ლალი-შაქირას... თბებოდა თვითონაც.

ბოლოს აცხა; ხურვება შეჰყროდა ლალი-შაქირას.

იელვა: ეს უკვე მერამდენეჯერ!

ტანში დენივით დაურბინა ლალი-შაქირას და ძაგძაგმა აიტანა.

იწოდა ლალი-შაქირა:

ელავდა... გადანათებულიყო ზეცა.

ისევ იელვა და ჩაიღვარა ლალი-შაქირაში: ათასჯერ, მილიონჯერ დატოტვილი.

უკვე თვითონაც ასხივებდა ლალი-შაქირა.

მნათობი იყო მოელვარე და ემატებოდა სიმხურვალეც: თანდათანობით.

ელვამ გადაანათა ცა და ქვეყანა და ცაც გადაიხსნა (ათასში ერთხელ რომ ხდება).

– ლალი-შაქირავ! ჰეი, ლალი-შაქირავ!

„ნეტა, დამანებებდეთ თავს...“ – ინატრა ლალი-შაქირამ, – დავიღალე, ძიავ...“

– დაღლის უფლება, ნეტა, ვინ მოგცა, ლალი-შაქირავ, როცა ახალ სიცოცხლეს იწყებ!

მხრები შეარხია ლალი-შაქირამ: „ახალი სიცოცხლე... სიცოცხლე, მაგრამ ხომ გავიარე უკვე მე ერთი სიცოცხლე?!“

– რომ ამაღლდე, არაა შენთვის საკმარისი ერთი სიცოცხლე!

„უნდა ავმაღლდე?! მაგრამ რაა საჭირო ამისათვის?!“

– უნდა იცოცხლო, რომ შენით იცოცხლონ!

„ძნელია, იცოცხლო და კიდევ უფრო ძნელია, იცხოვრო!“

– ვიწყებთ ახალ სიცოცხლეს, მაგრამ ლალი-შაქირაც აღარ ხარ უკვე! ევლიად გიხმობთ დღეიდან!

„სოფელში ევლიასაც მეძახიან ზოგჯერ... ევლია... ევლია...“

– ევლიაააა! – ჩამოსძახებენ მაღლიდან და ევლიაც წამოდგება ფეხზე.

„მე ვარ ევლია... მე ევლია ვარ!“

– აგერ შენი გზაც! – გასხივდა უცებ ბილიკი, სულაც რომ აღარ აჩნდა მიწას და ამ ბილიკზე იდგა ევლია, იდგა პირით მზისაკენ.

„მე ვარ ევლია... მე ევლია ვარ...“ – გაიმეორა თავის და უნებურად.

– იარე ჩემკენ! – მზეა, რომ ეძახის ევლიას.

„მოვდიიიივააარ!“ – აღმოხდა ევლიასაც და მზის ბილიკს გაყვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ზაზა სუყაშვილი

* * *

ნახე, უკვე მოჩანს, ჩვენი ბილიკები, ბეშგილ,
ძველი სიზმრები კი თითქოს გაკვანძულან მთებთან.
– გახსოვს? – ბავშვობაში, მთებზე ღამდებოდა... ქვეშ კი
იდგა სოფელი და ერთგულ ნაგაზივით ყეფდა.

ჩვენი გზებია და თვალი გავუსწოროთ მომხდარს,
მოდი, ჩვენებურად, წარსულს გადავხვიოთ ხელი;
თორემ, ძნელი არი, იდგე თავდახრილი ქოხთან, –
როცა ბრუნდები და იცი – აღარავინ გელის...

ჰერეთში

სახლები ხეობაში ქალწულის ჭორფლებია,
ხევები ცრემლებივით ჩადიან ნიკაპისკენ...
თენდება... პირმშოსავით მზეს წოვენ სოფლები და
ღრუბელი სახელოებს მთის წვერზე იკაპიწებს.

ბავშვობა იმზირება ნაცნობი ქოხებიდან,
დავდივარ, ვხეტიალობ, ვიხსენებ თანატოლებს.
ამ ტყესთან ვთამაშობდით, გაფრინდნენ ხოხბები და
ის ტკბილი სიყმაწვილეც ხოხბის ფრთებს გავაყოლეთ!

მივდივარ წყაროსთან და გამხმარი მურყნებია
(აქ ხშირად ვქანაობდით დაწნული ბურზღუნებით*),
დამსხდარან ბეღურები, ხეები უყვებიან
ერთ დროს რომ ფუტკრებივით მინდვრებში ვზუზუნებდით.

მთვარეზე დაკიდული ჩამწყდარა საქანელა,
ეკლებით დაფარულა კუნძულის ეზოები!..

* ბურზღუნი – ველური ვაზი.

ვბრუნდები ნაღვლიანი სოფელში, სადაც ნელა
დადიან ქალწულები – შეცვლილი თეძოებით.

ეს სიზმრად დაწერილი ბავშვობის სტროფებია,
ცხოვრებამ დამიტოვა თვალებში წამი ღიმად...
აღარ ჩანს ის გოგონა, რომელიც კოპლებიან
კაბაში დავინახე... შეცბა და გამიღიმა...

სახლები ხეობაში ქალწულის ჭორფლებია,
ხევები ცრემლებივით ჩადიან ნიკაპისკენ...
თენდება... პირმშოსავით მზეს წოვენ სოფლები და
ღრუბელი სახელოებს მთის წვერზე იკაპიწებს.

მზერას გოგოსკენ

ვიწრო შარაზე იდგა ტალახი,
ქვები ელაგა ყვითელა მიწას...
გზა მთავრდებოდა... და მობალახე
ხართან ხეების ჩრდილები იწვნენ.

ბილიკი გვერდით გასდევდა ახოს
და მზე ბალახში იდგა კოჭამდე...
და წინ თუ უკან... და შორს თუ ახლოს,
ნაფეხურები (ცვარზე) მოჩანდნენ.

კვალი დაღმართში მისდევდა პეპლებს
და ბრუნდებოდა ისევ ქვემოდან.
ბიჭი კი – ნედლი შვიდანწლას წკეპლით, –
მზერას გოგოსკენ ერეკებოდა...

წყაროსთვალა

მსურს, თქვენზეც დავწერო, ბალახებო...
კედლებზე ამოსულებო,
მნახველს რომ გულებს ულაღებთ.
რომ დგახართ წელგამართულები, –
არ უძოვიათ, არ გაუთელავთ,
ჯერაც – ეგ სიხასხასე ულაყებს.

დაღმართზე დაგორებულო ქვებო,
დროულად ჩამოშლილებო,
თან მიგაქვთ სიძველის ნაკეცები...

და კედლებზე შემხმარი ჩრდილები,
სოფლიდან წასული ჩრდილები,
საკუთარ თავებს დაეძებენ, –

ორღობეებში... გაკვანძულო გზებო
და მიწებო, შემორჩენილებო ბექობს,
ხეობა თქვენს ამბებს ყვება:
რომ, დიდი ხანია, მთამ გადაიწერა (ლექსივით)
ძაღლების ყეფა.

რომ ქარი სხეულს ტყეებში მიაქნევს
და ფოთლები ულაგიათ ფეხებთან
ნასახლარ მიწურებს,
აზვირთებული ხევი იხვევს ნისლის იალქნებს
და ღამის ბინდში მიცურავს...

ბოლამომშრალო საკვამურებო,
წელში მოტეხილებო,
ცალი ხელითღა ეჭიდებით ცის კიდეს, თურმე... –
გადააქვთ მძიმე ფიქრები და ქარტეხილები
ხევიდან ხევში წლებს –
ანუ ურმებს.

მითხარით, მინდვრის ყვავილებო,
ეს ხავსიანი ლოდები და ქვები რომ მაკრავს, –
რამ ჩამოშალა?!
ჩავყვები დაბლა ნაბილიკარს, ნასახლარს...
მაგრამ –
სოფლის თავში
წყაროს თვალი არ ამომშრალა...

* * *

დღეები დღეებს უხმაუროდ მიაცილებენ,
ზაფხულმა სიცხე ისევ ტანზე გამოიყარა.
ვესაუბრები არავის და მიწევს მხილება –
როგორ მჯეროდა, როგორ ვწერდი, როგორ მიყვარდა...

და შენს თვალებში იმედები როგორ მეთესა,
რომლებიც სიზმრებს ტალღებივით გამორიყავდნენ.
ვფიქრობ სიკვდილზე... არაფერზე... და უმეტესად –
მინდა, მჯეროდეს...
მინდა, ვწერდე...
მინდა, მიყვარდე...

* * *

ცას აუწითლდება ლოყები,
იქნება სითბო და გზნება...
– მიდიხარ? – მე უკან მოგყვები.
– მივდივარ? – მომყვები გზებად.
ბრმად ავედევნებით ხეტიალს,
მივყვებით ბილიკებს სოფლის...
– გიყვარვარ? – ეს უფრო მეტია.
– მიყვარხარ! – ეს უკვე მყოფნის...
ფიქრები იშლება ზვინებად,
მუცლები ეშლებათ ზვინებს.
– ამაღამ? – არ დაგეძინება.
– ამაღამ? – რა დაგვაძინებს!...

ფოთლები პეშვებით

ქალაქში ფანჯრები მიხურეს,
ქარმა კი ამინდი ჩატეხა...
მეც ბნელი თვალებით გიყურებ,
კიბეზე თუ როგორ ჩადიხარ.

ნაცნობი ქარები ბერავენ,
და ვფიქრობ ცხოვრების დრამაზე,
რომ ჩემგან, ძვირფასო, ვერავინ
ვერ წავა შენსავით ლამაზად.

მერე ცა მიწამდე ეშვება
და მზერას მიყვება ქალაქი.
ქუჩას კი ფოთლები პეშვებით
მოაქვს და კარებთან ალაგებს.

STATION WISŁA

დაორთქლილ ფანჯრებში გამოჩნდა სადგური ვისლა.
სადგურზე ხმაური. დავშორდი ხალხმრავალ ბაქანს.
და უცხო ქალაქის რელსებზე შემდგარი ნისლი –
დაღმართზე დაქანდა... დაქანდა... დაქანდა... დაქან...

სადგურში ვიღაცამ გროშებად მომყიდა ვისკი,
გაბმული მუსიკა მისდევდა რადიო ეთერს,

მერე კი საეჭვოდ მიჩუმდა, ინათა ცისკენ
და ბოლოს ქალაქშიც შეთენდა... შეთენდა... შეთენ...

ქუჩების კვეთასთან ავტობუსს უცდიდა კაცი,
უცნობი ქალისკენ ისროდა ეჭვების საფანტს.
და უცხო ქალაქში გაწვიმდა... გაწვიმდა... გაწვიმ...
ქარმა კი ქოლგები გაფანტა... გაფანტა... გაფანტ...

ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლა გართულდა... გართულ...
და ქოლგით წყვილებმაც იმატეს... იმატეს... იმატ...
ეს მზერაც სასტუმროს კიბეებს სართულ და სართულ
აყვა და წაიღო უცნობი ქალაქის წვიმა.

სამი მეთევზე

იყო ბავშვობა. ცხენი გვყავდა, წაბლა – ფაშატი,
ტანად მაღალი... შუბლზე ჰქონდა მოთეთრო ლაქა
და შორიდანვე ანათებდა თავის ყაშხათი...
და როცა ნაცნობს დალანდავდა, იწყებდა ფრუტუნს.
მამაჩემი კი გაახვევდა ქაღალდში თუთუნს,
მზის ამოსვლამდე აიღებდა კეხსა და ლაგამს,
ცხენს შეკაზმავდა...
და მივდიოდით სათევზაოდ, წესია როგორც,
მე, მამაჩემი და ჩემი ძმა ალაზანზე.
შვიდი წლის ვიყავი, მაგრამ განზე
მე არ დავდექი
და დავიჭირე, ჩემი წილი – პირველი ლოქო.

ხმელი ანკესით ვთევზაობდით გაღმა-გამოღმა,
სატყუარაზე მდინარესაც გაეხსნა მადა
და გადაყლაპა ნედლი ჭია – ვებრძოდი ნადავლს...
ხოლო ბამბუკზე დაჭიმული დამძიმდა ძუა,
როგორც მძიმდება მოგონება ბავშვობის წლებზე,
მე დავიჭირე ჩემი წილი... და საღამოხანს –
ჩვენ გავიყავით – მჭადი, ყველი და ხმელი ყუა
და ნაკვერჩხალზე უმარილოდ შემწვარი თევზი.

ღამით ურემზე წამოვწექით, გვერდით კი გვენთო
დიდი კოცონი. ნედლი შეშის უსმენდა შიშინს
ყურდაცქვეტილი ჩვენი წაბლა, დამფრთხალი ერთობ...
და შიშით გვიახლოვდებოდა უცნობი ჯიშის
კივილი ტყიდან... ყეფა ტყიდან... ყმუილი ტყიდან...

ძმას ჩავეჭიდე, ის კი – მამას... მამა – ურმიდან
დაბლა ჩავიდა, დაიძახა (იმ შიშად ღირდა) –
ე-ჰე-ჰე-ჰე-ییییი!... და ტყეს ექომ გადაურბინა!

ხოლო უცხო ხმა მისამარდა იქვე, ბუჩქებთან,
და ფეხაკრეფით გაიპარა მდინარეც – მდორე.
გვიან ღამით კი, როცა წაბლას შარდი მოჩქეფდა,
მთას აზღუდიდან გამოუჩნდა გავსილი მთვარე.
მერე კი ცხენი მშვიდად მოდგა ურმის ჭალებთან,
გათენდა... და ჩვენც გამოვბრუნდით ღამენათევზე
და მახსოვს, გზაზე, როგორ დინჯად მიჭრიალებდა,
ერთი ურმით და ერთი ამბით – სამი მეთევზე...

უმისამართო

*

რა მარტივია სხვაზე წერო...
როგორი ძნელი, –
ჩაიხედო სარკეში
და საკუთარ თავს უთხრა:
მიყვარხარ! ან თუნდაც – მძულხარ!

რა მარტივია ქარზე წერო
და შენ ოთახში იყო გამოკეტილი.

მე გადავწყვიტე,
გამოვიდე ჩემი მშვიდი შენობიდან,
ვიარო უმისამართოდ
და გიამბოთ
ბავშვობის ქარიან დღეებზე.

*

შემოდგომისას,
მერცხლები რომ გავაცილეთ,
მე და ჩემი ბავშვობა
შემოვრჩით სოფელს.

ასე იწყება წასვლა,
მაგრამ დარჩენილ სიცარიელეს, –
ვილაცა გივსებს,
ან ქარი მაინც...

აგურის სახლის აივანზე
სარკე გვქონდა და ქარმა გატეხა...
მე დავიბრალე
და ჩავახედე ჩემი ბავშვობა
იმ ნამტვრევებში.

ბევრი ვიყავი,
ძალიან ბევრი!
ალბათ, ამიტომ ვერ დავატიე
ჩემი ცხოვრება – მუჭა სოფელში...

სოფლის შემოდგომამ
ბოლო ფოთლებიც მიიწვინა გულზე, –
პაპა-ბებია...
მეც დავიჯერე,
რომ ყველა გზა – სოფლიდან მიდის...

*
წასვლას რა უნდა?!
დღეს ხეებიც კი იცვლიან ადგილს...
და ასე მოხვდა ჩემი ბავშვობა
ფართო პროსპექტზე.

გავდივარ გარეთ –
მოზომილია გზა სახაზავით,
ქუჩას ხაზავენ თეთრი ნახარშით
და შუქნიშანი თევზის ფხასავით,
გაჩხერილია ვიწრო ხახაში...

და ვდგავარ დღეების საცობში,
თან ყოველდღიურად ვუახლოვდები:
იმედგაცრუებას, ტკივილს, მოლოდინს...
და გვერდს ვუვლი:
ათას უბედურ შემთხვევას და ტრაგედიას...

მიუხედავად ამისა,
ჩემი თავი მაინც გამყავს გარეთ, –
ფართო ქუჩაზე სახეტიალოდ...
იმ მოლოდინით,
რომ მივალ მისამართამდე,
სადაც შევხვდები
ქალაქში გზააბნეულ ჩემივე თავს, –
საპირისპირო მხრიდან მომავალს...

ჯემალ სურმანიძე

ცნობილ პოეტს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის გამგეობის, ამავე ორგანიზაციასთან არსებული პრემიების მიმნიჭებელი კომისიისა და ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, **ჯემალ სურმანიძეს** დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს პოეტს ამ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

* * *

თამარ მეფის ნაშენია
საქართველოს გალავანი,
ცის ქვეშ ამირანის მძლევი
არ შობილა ფალავანი.
დღეს კი გაუტანლობით და
ძმათა შორის ქიშპის გამო
მოგვეძალა მომხდური და
ჩვენი მიწის მითვლას ლამობს.
მტრის არ მიკვირს,
გამოცანა გახდა ჩემთვის
ჩვენი გენი,
თვითმკურნალი თუ არ გავხდით,
არ ჩანს სხვა გზა
გადარჩენის...

* * *

როგორც შეძლებ, უნდა იყო
სხვის სატკივრით მავალი,
აქ სახელით ცხოვრებაა
იმქვეყნადაც მთავარი.

დავით გურამიშვილს

სახით სიტყვა-შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,
ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა ვნახეო;
გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო.
დავით გურამიშვილი

მახსოვს, ჯარში მიღებულმა ამანათმა,
პოლტავაში საქართველო უსაშველოდ
მომანატრა,
თავს დამადგა ღვთაებრივი ათინათი,
მშობლიური ხმა მაწვდინა ჩემმა დიდმა
წინაპარმა.
და ოცნებით გავჩნდი უმალ მირგოროდში,
ზუბოვკასთან გურამიშვილს დავეძებდი,
მსურდა, წამით რომ შემევლო მისთვის
თვალი,
იქნებ, ჩემში დაენახა საქართველოს
მომავალი.
მე მწყუროდა, რომ გამეთბო მისი გული,
ქართლის ბედზე უსასრულოდ
დაზაფრული,

მირგოროდში იდგა მაშინ გაზაფხული
და შორიდან ლამისყანას
კვლავ ეტრფოდა
მგოსნის სული.
ზეცა იყო ლამაზი და მოსარკული,
ღიმილივით მსუბუქი და მარტივი,
მის საფლავთან მიველ,
მუხლი მოვიყარე,
დავიტირე სამშობლოსთვის მარტვილი...
მახსოვს, ჯარში მიღებულმა ამანათმა,
პოლტავაში საქართველო უსაშველოდ
მომანატრა,
თავს დამადგა ღვთაებრივი ათინათი,
მშობლიური ხმა მაწვდინა
ჩემმა დიდმა წინაპარმა.

ისე უნდა იცხოვრო

ვუმზერ მიწის დედოფლებს –
ხეებს გადაპენტილებს,
ტოტზე ჩამონათოვებ
ფიფქთა მრავალწერტილებს.
აფეთქება რტოების,
გულის ნაღმი – ნუგეში,
პატარძლებად კეკლუცობს
ატმები და ნუშები,
ბავშვობიდან გამზრდელი
სანაპიროს ქუჩები,
ბიჭურ გულის ძგერებას
ვეღარ გადავურჩები
(თითქოს, რძეშეუმშრალი
მქონდეს ისევ ტუჩები).
პეპლებს გამოტყდომიან
სიყვარულში სერები,
თვალწარმტაცი სანახის
ხილვას ვეღარ ველევი.
სანამდე დამატყვევებს
მოხასხასე ველები,
ხან მზით განაბრწყინები,
ხან ცვარ-ნამით სველები
(გვირილების მზერებით
ბაგე მიმზიდველები),
სიკვდიმდე მათ სიტურფეს
სუნთქვით მოვეფერები.
მაგრამ განცდა სხვაც ახლავს
იერით გახარებას
(არსებას ვერ უბრძანებ
ერთ ნოტაზე ტარებას...),
რადგან სრულად სჭირდება
მამულს გამოდარება,
შეგვძლებოდეს ჩვენ მისი
სევდის გაფერმკრთალება
(ცალმხრივია სხვაგვარად
სულის ფერისცვალება),
ისე უნდა იცხოვრო,
ღირდეს გარდაცვალება.

* * *

კურკა რომ გადააგდო,
ისიც ნაყოფს მოისხამს,
საქართველოს სიუხვეს
ეს წყალობაც მოიცავს.
კიდევ – ზურმუხტ ველები,
მსხმოიარე ტრამალი,
ვაზის ზვრები ჯიქნებით,
ჭირნახული მრავალი;
მთის ფერდობზე – ნახირი
ზღვად – თოლია ფრთამალი,
სოფლის ორღობეებში –
დილის მაცნე მამალი;
ეგ არის, რომ ყველაფერს
პატრონობა სჭირდება,
გამრავლების გარეშე
მამულს გაუჭირდება.
ღმერთმა არ ქნას, სამშობლო
ღვთის არ იყოს ტოლია,
გორგასალი – უდრეკი
რომ არ ჰგავდეს გოლიათს;
ძველი რიხით არ ჟღერდეს
დიდგორი და ვარძია,
ჩვენში უცხო სჭარბობდეს,
ერი რაღად ვარგია!

სული სხვას რას ინატრებდა

მუხლს უდრეკდა იესოს და
მრევლს მწყემსავდა თვალსაჩინოდ,
როს ქუთათლის სამწყსოშია
ქუთათელი იჯდა ხინოს.
გვირგვინოსანს მეუფისგან
ადგა სხივი – მადლის მფენი,
იჯდა მარჯვნივ ხელმწიფესთან
დარბაზობის დამამშვენი.
ის დრო იყო, გულის კარნახს
ყურს უგდებდა ჩვენი გენი,
სასოებით შეგვცქეროდნენ
მტარებელნი ერთი რწმენის.
იდგა ხინოს ეკლესია
„გუნბათიან“ და „...დიდშენი“
მთებს ფიქრიანს დაჰნათოდა
ღვთაებრივი ხიბლი ზენის.
კლარჯეთივით ხინოწმინდამ
გაამწიგნობარა ერი,
სადგომების ტალანებში
აქ მრავალი ვლიდა ბერი –
მომლოცველი და მწირველი,
ხელნაწერთა გადამწერი;
იზვარაკეს მრწამსისათვის,
მოგვეძალა როცა მტერი,
მდინარეებს მეწამულად
შეუცვლიათ მაშინ ფერი.
ვლიდა ბერი და კინტრიშში
დღესაც ბევრი ინათლება,
წინაპართა საცხონებლად
სული სხვას რას ინატრებდა.

* * *

მოსამკობელს
იქ რად ელი,
იძრახება სადაც ბრძენი,
სადაც ხელი მიგიწვდება
ყველაფერზე,
გარდა რწმენის,
ისევ ეროვნულობაა
მომავალის გადამრჩენი,
სხვა არაფრით,
ქართველობით
„გვეყუდნოდეს“ თავი ჩვენი.

ჩემი დარგული ხე

ჩიტი არ შორდება ტოტებს...
და მზისკენ რომ იწვდის ხელს –
თავზე დამყურებს უკვე
გუშინ დარგული ხე.
გუშინ, რომ ვამბობ, ამით
ვიხსენებ ჩვენს ძველ უბანს,
მოგონებებში წამით
დროს ვახევინებ უკან...
მე ნერგს ჩავუთქვი მაშინ,
რომ გაზრდილიყო დიდი,
თუმცა მჯეროდა, რომ დროც
მოეპყრობოდა რიდით.
ახლა შევიცან, მხოლოდ,
ახლა ავუღე ალღო,
როცა მეტყოდნენ, შენაც
გაიზრდებიო, ბალღო.
მათი ნათქვამი თბილი
ცხადად დამიდგა თვალწინ,
და გუშინ დარგული ხე
მახარებს გუშინდელ ყმაწვილს.
ჩიტი არ შორდება ტოტებს...
და მზისკენ რომ იწვდის ხელს,
იხარა სიკეთის ნერგმა –
ჩემმა დარგულმა ხემ.

* * *

ქორმა ეზო დაზვერა და
კიდევ ერთხელ გააკეთა ირაო,
წინილებო, საქათმეში დაიმალეთ,
გარეთ არ გაიაროთ.
სუსტს ანგარიშს არ უწევენ
არც ქორი, არც მიმინო,
დაგებედათ უმწეობა,
მუდამ უნდა ითმინოთ.

მარცვალს კენკავთ ნებიერად,
განა რამეს აშავებთ?!
მაშ, რად არ ხართ ბედნიერნი,
ფრთებიც ლაღად გაშალეთ,
რა ვუყოთ, თუ ვეღარ შეცვლით,
წუთისოფლის განაჩენს,
კრუხი გვერდით გყავდეთ, თორემ
მოევლება დანარჩენს.

* * *

...ცხოვრება მაშინაა ტკბილი, როცა შენ შიგ ხარ,
ისე რაა, თუ არ კედელზე დაკიდული სურათი, ან
მტკნარი სიზმარი გასული ღამისა...

კონსტანტინე გამსახურდია

ცხოვრების შიგ ყოფნა კი არა,
ხაჭაპური და საცივი კი არა,
სულის გატანაა სუფთად...
ვერაფერი ნუგეშია, თუმცა
ახლახან ერთმა ჩვენმა ნაცნობმა
თავისი ბინის კედელზე დაკიდული
სურათისკენ მიგვითითა
და იხუმრა:
კიდევ კარგი, რომ სიზმარივით
არ გაქრება,
ტკბილი ცხოვრების მოსაგონარი,
ტილოზე დახატული
მსუყე, ქართული სუფრაო.
სხვისი არ ვიცი და
ნერწყვის მომგვრელი ამ ქმნილების
ხილვისას
ასეთი აზრი დამეუფლა:
ნეტავი, ცხოვრება
ისე შეიცვალოს, რომ
მკითხველთა შორის რომელიმემ,
ამ მწარე ხუმრობის
საჯაროდ გამოტანის გამო,
უნიჭობის და სასოწარკვეთის
ნიმუშად ჩათვალოს ეს
ჩემი ლექსი,
რომელსაც დაბეჭდვა არ უნდა
ღირსებოდა...

ბეღურები

თითქოს, არწივს კვერცხი დარჩა
მთის მწვერვალზე,
ისე მოჩანს თოვლი,
გაფრენილა მწვანე ტბიდან
თეთრი ყანჩა,
ალბათ, ზამთრის სიახლოვეს
განერიდა თრთოლით.
ჩემთან დარჩნენ ბეღურები,
ფრენის ნაცვლად
დაუშვიათ ფრთები,
მათკენ მხოლოდ
თანაგრძნობით ვიყურები,
თუმც ყველაფერს
უსიტყვოდაც ვხვდები.
ჩემს გულის ქოხს შეეფარეთ,
კვლავ ამავსეთ
ჟღურტულით და გზნებით,
არასოდეს მიგატოვებთ,
პაწიებო,
ჩვენი აღარ გაიყრება
გზები...

* * *

კენწეროზე ფიჭვის
შემომჯდარა ციყვი,
ამბობს, – კოდალაზე
სახუმაროს ვიტყვი.
უკაკუნებს ხეებს და
პოულობს ჭიას,
მაინც გაიძახის:
მშია, მშია, მშია!
ჩემთვის საბადებელს
კარები აქვს ღია,
გირჩით ვიტკბარუნებ
პაწაწინა ყიას.
რა უნდა თქვას ციყვმა
კოდალაზე მეტი,
ისეთი რამ ბრძანა

იქით დასცა რეტი.
– მაგ უგემურ გირჩებს
რად ეძახი საკვებს,
როგორ გავიმეტებ
შენთვის თხილზე ნაკლებს
და, რადგანაც თხილი
სულ არ გაბადია
(ვერ დაასწრებ რამეს
ყვავს შავნაბადიანს),
შურიანი ციყვი
იმიტომაც გქვია.

მწუხრის გალობა

რა საამოა მკათათვეში გრილი საღამო,
მზით გათანგული
სულისათვის ნაღდი მალამო.
თითქოს, აქამდე
ვერ ვამჩნევდი ირგვლივ ვერარას,
ისე ლამაზი მომეჩვენა ცა და ქვეყანა.
დედამიწაზე,
თურმე, დღესაც ჰქონია ხინჯი,
უზენაესი სურვილები გაფრინდა ცისკენ,
ბინდი შემოდის ეზო-კარში
მკაცრი და დინჯი
და მე მიმწუხრის უნატიფეს გალობას ვისმენ...

* * *

თოვლზე ნატერფალები
გზას მიკვლევდა შენამდე,
თითქოს დათვი მომდევდა,
ოფლში ვიყავ ყელამდე.
ფიფქის კორიანტელი
თოვლზე დაწვა დაღლილი,
წინ გარბოდა ბილიკი
მაძებარი ძაღლივით.
მივდიოდი,
გეძებდი,
შენ კი არსად არ ჩანდი,
მახსოვს, როგორ დამტოვე,
არ მითხარი – ნახვამდის!
მე კი კვლავ მენატრები,
ყოველ წამს და ყველა დღე,
ღმერთმა შემაძლებინოს,
მოვაღწიო შენამდე!

* * *

ვით პაგანინი იმპრესარიომ,
ისე ჩამკეტა მე წვიმამ სახლში,
შენკენ ვილტვოდი, მაგრამ, ვაი, რომ
მხოლოდ სურვილი შემომრჩა ბავშვის.
გზა ვერ გადვუჭერ დაგეშილ წვიმას,
განადგურებულს მთელავს ფიქრები,
თავის მართლება არ მიყვარს მერე,
წინასწარ რამეს რომ დაგპირდები.
იმედს არ ვკარგავ,
ალბათ, შემინდობ,
უკვე დავმშვიდდი,
კარგი დარია,
მე შენ მოგნახავ და დაგარწმუნებ,
რომ ყველაფერი წვიმის ბრალია...

* * *

მოდიოდა ზღვის წიაღით მწუხრი,
ბინდს უბეში ჩაემალა მიწა,
დღე შემკრთალი თეთრი შველის ნუკრი,
მდინარის პირს სევდიანი მიწვა.
ნება-ნება ჩამოეშვა ღამე...

საგანთიადო

მომწყინდა წვიმის ფარდა დაშვებული,
სულში რომ აღვიძებს სევდის ყვავილნარებს,
გავცქერი სარკმლიდან ხეებს გაშიშვლებულთ,
მიწას დაღარულს და ქედებს ნაიარევს.

ღრუბლებს გაუძარცვავთ ცაზე მნათობები,
წვიმა იერს გიცვლის! ჩემო სოფლის ხედო,
მე კი სასოებით ცისკარს ველოდები,
მზეში განბანილი ლოცვა შემოგბედო...

ავთანდილ ჯერიძე

* * *

სამშობლოს ჭაპნის გაწევა
ვაი, რა ძნელი ყოფილა,
მიწა სისხლ-ოფლით ნაპოხი
ოი, რა თბილი ყოფილა.

მის მკერდზე დადინებული
ცრემლი რა მწარე ყოფილა,
მამულისათვის სიკვდილი,
ღმერთო, რა ტკბილი ყოფილა.

* * *

მტერი მტერობას არ იშლის,
ხმალი ჟანგდება ქარქაშში,
– „ჰაი დედასა“! – არ ისმის,
იმედი იწვის ღადარში.

დრო

გაივლის დრო...
ჩადგება ქარი,
გაივლის დრო...
გამოვა დარი,
გაივლის დრო...
გაქრება ნამი,
არ გაჩერდება
არც ერთი წამი...
დრო,
დრო გაივლის, –
მას ვერავინ
ვერ შეაჩერებს...
დრო,
დრო გვიჩვენებს, –
მომავალი ვის შეაჩვენებს.

მტკვარი

გზა-გზა მივყვები მე შენს დინებას,
გავივლი ბორჯომს, მცხეთას და მეტეხს,
შენი გაჩენა ღმერთმა ინება,
ვერ დაგთმობ,
სხვისთვის ვერ გაგიმეტებ.

სადაც გაივლი, ამრავლებ ყველგან
ახალ სიცოცხლის ნერგს და ყვავილებს,
ერთი ათასად გიქციოს ღმერთმა,
დალოცვილ იყავ,
მრავალჟამიერ!

სიკვდილი და სიცოცხლე

ხალხურ მოტივებზე

თავზე სიკვდილი დამადგა:
– წამო, რას უზი შინაო,
შენთვის მაქვს გამზადებული,
ლამაზი, კოხტა ბინაო.

სმა-ჭამა არ დაგჭირდება,
არც თოხნა, არცა ბარვაო,
დღე წამად მოგეჩვენება, –
სიამტკბილობით გავაო.

არც არვინ დაგედავება,
არც არვინ გეტყვის ძვირსაო,
ედემის ბაღში გაცხოვრებ, –
ვარდს დაგიფენენ ძირსაო.

არც რამე წამოგტკივდება,
არც შური დაგთხრის თვალსაო,
ანგელოზებში იცხოვრებ, –
შემოგევლები თავსაო.

ღმერთსაც ხომ კარგები უნდა,
ისეთი, – როგორც შენაო,
აუგს ვერ იტყვი იმაზე,
წინ არ გაგისწრებს ენაო.

სადაც არ უნდა წახვიდე,
ყველა გზა ჩემთან მოვაო,
აქ არას გარგებს, იცოდე,
ტყვილად ჯდომა და წოლაო.

მაგ სოფლის ყველა სტუმარი,
არც არვინ არ დამრჩენია,
ათასი წელიც იცოცხლოს,
ბოლოს ხომ მაინც ჩემია.

* * *

რა ადვილია შეყვარება,
გადაყვარება რა ძნელი,
ნეტავი მთელი ცხოვრება
უშენოდ როგორ გავძელი.

მთვარე

ღრუბლის ფთილებში იმალება
ქათქათა მთვარე,
წამწამებს შეჰყრის
და ჩაგვიკრავს ბრდღვიალა თვალებს.
მერე კი, ისევ,
მოცახცახე, მთვლემარე ღამე,
ჩაიკრავს გულში და
დილამდე დატოვებს გარეთ.

* * *

მამა-პაპის ნაჯაფ-ნაოფლს,
უსირცხვილოდ ვინ არ ჩემობს,
დღეს წარსულზე ვიღა დაობს,
დაკოდილო მიწავ ჩემო.

თვალწარმტაცი, ნაირფერი,
ერთიორად თვალს ჭრის ყველას,
ჩემი მამა-პაპის მკვლელმა
შიგ თბილისში მოიყელა.

კოშკურებზე ცეცხლს ვინ ანთებს,
ვიღა იცავს ამ მთა-ველებს,
„ბრძოლის ველზე ღამენათევ
სძინავთ დაღლილ არაგველებს“!

* * *

– რამდენი მტანჯე, მაწამე,
რამდენი ცრემლი მადინე,
მაინც ვერ მომკალ, რჯულძაღლო,
ცხრა მთაც კი გადვინადირე.

სისხლისგან ბევრჯერ დამცალე,
გზას მიხერგავდი ხშირადა,
ჩემი ტანჯვა და ვაება
არც კი მიგაჩნდა ჩირადა.

იმედიც გადამიწურე,
კალო მალეწე თავზედა,
შიშში, ძრწოლაში მამყოფე,
მაღმუვლე მგლისა ხმაზედა.

მზე დამიბნელე და მერე
მაღლა ცა საბნად დამხურე,
მომაკვდავს წყალი კი არა
გულზე სისხლ-ცრემლი მასხურე.

დუშმანი მომიმრავლე და
დანა მაძგერე გულშია,
ცხვარივით ყელი გამომჭერ,
ჩამაგდე ცეცხლს და კუპრშია.

ღმერთმაც რამდენჯერ გამწირა,
პირისპირ შენთან დამტოვა,
ლაზარესავით აღვსდექი,
გზა გავიკვლიე მარტომა.

წინ ქრისტეს ჯვარი მიძღოდა,
რწმენით ვითმინე რამდენი,
შენგნით შიშს, ვიცი, ისევე,
იმედის რწმენით გავდევნი.

ეგ შენი მზერა, თუმცაღა,
გულზე ეკლებად მესობა,
აქ ერთი წამის სიცოცხლე
მგონია მარადისობა.

ხის ყლორტს ვერავინ ვერ მოსპობს,
შვილებს მიმრავლებს გამჩენი,
ასეა წუთისოფელი,
ფუჭია სხვა დანარჩენი.

* * *

როგორ არ მინდა,
დავიჯერო,
რომ ის აღარ ხარ,
ეჰ,
„ფურთხის ღირსო საქართველოვ“,
როგორ მიყვარხარ!

* * *

რა უცნაური გზებით გვატარებ,
ჩემო სამშობლოვ, განა ხვდები შენ?
ის გზა, რომელიც არ გაგივლია,
ხვალ რომ გაივლი, ისიც მაშინებს!

თმოგვის ციხე

ეს თმოგვია, –
თმოგვის ციხე,
ქაჯებისგან დანგრეული,
ციხე ზღაპრულ ქალაქისა
ცად აწვდილი,
მთვარეული.

ეს ციხეა ქაჯეთისა
მომხდურთ სულის ამომხდელი,
ათასი გზით მიმავალი
ციცაბოზე კიბე-ხვრელით.

ეს თმოგვია,
თმოგვის ციხე,
მტკვარს რომ რიხით გადაჰყურებს,
წარსულ დღეთა გახსენებით
არემარეს რომ აყრუებს...

რკინის გული უნდა გქონდეს,
რომ დაივლი მის სანახებს,
თუ არ გჯერა,
აბა, ცადე,
მოდი აქ და თავად ნახე!

* * *

რომ არ ყოფილიყავ
შენ, ჯალ-ალ-ედინ,
ან, შენ – შაჰ-აბას
და შენ – ლანგ-თემურ!
– რა იქნებოდა, ნეტავ?!..

რომ არ ყოფილიყავ
შენ, დავით მეფევ,
აღმაშენებელო,
შენ, თამარ დედოფალო,
დედაო ქეთევან!
– რა იქნებოდა, ნეტავ?!...

დღეს რომ ვართ ასე, –
არავის ვინდობთ,
ერთმანეთს ვებრძვით
სულ გამეტებით,
ფიანდაზს ვუგებთ
უცხო თესლს და
უცხო ტომელებს,
საკუთარ ძმას რომ
სულ ვემტერებით...

დამდეგი დღისთვის
ჩამახედა, ნეტავ, თვალებში...
ო, ღმერთო, ჩემო,
რას მოგვიტანს
დღე ხვალინდელი?..

რომ არ ყოფილიყო
არც ის და არც ეს,
რანიც ვართ ახლა,
ვიქნებოდით კი
ასეთები?!..

სამშობლოს

მე შენი ჯარისკაცი ვარ,
მუხლებმოყრილი მამყოფე,
ეზოს ერთგული ძაღლი ვარ,
შენი გულისთვის მაყეფე.

* * *

ბევრისთვის ბრმა იარაღად
რატომ გამოდექ, გულო.
ამიერიდან იცოდე,
მეც უნდა გიორგულო.

* * *

„ვიდრე ჭკვიანმა მოიფიქრა,
გიჟმა გადირბინა ხიდი“, –
ასე წავიდა ეს ცხოვრება
და დღესაც ასე მიდის...

მესხეთო ჩემო

მესხეთო ჩემო,
აღარ ვიცი, რა ვთქვა, რა გითხრა,
რით დაგიამო
უკურნელი სულის იარა,
საღათას ძილი გაგიგრძელდა
ვაი, რა დიდხანს,
საფერებ მკერდზე
ვინ არ აღარ გადაგიარა.

მესხეთო ჩემო,
უწინ დიდო და მხრებგაშლილო,
მიწავ აღმზრდელო რუსთაველის,
თორელ-თმოგველთა,
მესხეთო ჩემო,
ოპიზართა ტკბილო სავანევ,
დიდო აკვანო,
გამჩენელო გმირთა
ყოველთა.

რა არ გინახავს,
რისი მომსწრე აღარ ყოფილხარ,
სისხლის ღვარებსაც წაულეკავს
ეგ მთა-ველები,
ზარზმით, საფარით
და ვარძიით დამშვენებულო,
თუგინდაც მტანჯონ
და ჩამქოლონ,
ვერ შეგელევი.

როგორ გამშვენებს
დანგრეული ციხე-კოშკებიც,
იავარქმნილი გოჯი მიწაც
რარიგ ტკბილია,
შენი კუმურდო,
შენი თმოგვი,
შენი შორეთი,–
ესაა ჩვენი სიამაყე
და იდილია.

მუდამ
საფიცრად წილხვედრილო
ახალციხელთა,
და შენ,
ჭეშმარიტ ათაბაგთა მიწავ
დიადო,
მეწინავეთა აღმზრდელო და
გზების გამკვლევო,
შავშეთის მთებით მოქარგულო
საგანთიადოდ.

აღარც ოპიზა...
აღარც ოშკი...
აღარც პარხალი...
ქართული გენის ნატამალი
რა შერჩენიათ?
მშობლიურ მესხეთს დაუკარგავს
ძველი დიდება,
ღმერთო,
ესაა ისტორიის
განაჩენია?!

ახლა
ძაძებით შემოსილა ბებერი ტაო,
იმედიც,
ალბათ,
აღარა ჩანს, –
ირგვლივ კი ბნელა,
საღათას ძილი მორევია
რუსთველის მამულს
და დღეს, ნეტავი, ვიღას ძალუძს
იმისი შველა?!

ნუ დამიწყევლი

მას აქეთ, რაც კი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება.
ილია

ხმა,
ხმა დავკარგე ამდენ ვედრებით,
დედაო ღვთისავ,
განა ღირს იყო, შენს წილხვედრზე
ამდენი რისხვა...
იქნებ, ოდესმე,
თუ ეღირსა გამოღვიძება
იმედდანაცრულს,
შვება მიეცი,
მოთმინება,
რუსთველის მამულს.

შემოგავედრებ, –
დაუამე სულის იარებს,–
ნუ დამიწყევლი,
უღმერთოდ გვემულს, –
შენს ნაზიარებს,
ვისგან არ დევნილს...
ნეტავი რისთვის,
რად არგუნე ასეთი ხვედრი,
გაუცისკროვნე დღე ახალი,–
სულ ამას გვედრი!..

* * *

აქ ერთ დროს მიწას ხნავდა ბადილა,
ცალუღელ ხარით, თავის ჯალაბით,
არც პური ჰქონდა, ალბათ, სადილად,
არვინ აძლევდა გლეხკაცს ჯამაგირს.

ქედს არ იხრიდა, შრომა უყვარდა,
სამშობლოს ედგა ერთგულ დარაჯად,
გოჯი მიწისთვის თავს გაწირავდა, –
არ გაუხდია ტანზე ფარაჯა.

ეხ, ბედისწერავ

(უცხოეთში გადახვეწილი ქართველის მონოლოგი)

ფიცი გავტეხე,
ცოდვიან გულში,
ღმერთო, შემინდე,
ეშმაკები დათარეშობენ...
როგორ არ მსურდა,
როგორ ვიტანჯე,
ახლაც მელიან,
ისევ მიხმობენ.

მე ამ მიწიდან,
ამ ფუძიდან
არ ვაპირებდი
შენგან განდგომას,
ერთი წუთით,
ერთი წამითაც.

მაგრამ, ვაიმე,
ფიცგამტეხი
გლახა ვარ შენთვის,

რადგან გაგშორდი,
სხვისი ქუდი მახურავს თავზე.

სხვას მივეკედლე,
ცივს,
ამპარტავანს
და უგუნურთა
ხელისმომკიდეს.

ძალა არ მყოფნის,
შევებრძოლო იმას,
ვისგანაც,
მე შენ გაგწირე,
მიგატოვე
და განგერიდე.

მე ის მჯობნიდა,
ძალით,
ზურგით,
დიდი სტომაქით,
რომელიც ვერა
და ვერასგზით
ვერ ამოივსო.

ეჰ,
რა ყოფილა ყოველივე,
წარმოვიდგენდი?!
მე უშენობას,
უთვისტომოდ ყოფნას
ეულად,
მე შენ მიყვარდი
არა ჩუმად,
არა მალულად,
მე შენ მიყვარდი
ყველასაგან გამორჩეულად.

წლები მიდიან,
მე მგონია,
თითქოს,
მიქრიან,
იქნებ, ჯინაზე
ყოველივე კეთდება, მგონი,
ვხვდები,
გივიწყებ,
ძილ-ბურანში მყოფი კაცივით,
ველარ ვიგონებ,
თუ ოდესმე მყავდი თუ
მქონდი.

რაც უნდა გითხრა,
აღარ ვიცი,
გამიგებ, კია?
შენგან წასული,
დაკარგული
შვილი რომ მქვია...
ეხ,
ბედისწერავ,
რა ყოფილხარ,
გვიან გავიგე,
რატომ გამწირე,
რად გამხადე სხვისი სამიზნე.

შენი ქართველობა მტკივა

ორჰან ბერიძეს

საფლავში რომ მამას ჩასძახოდი,
ქართულად რომ სიტყვა უთხარ, ძმაო,
შენი ქართველობა მტკივა,
ჩემი დაკარგული ტაო.

თითქოს ახლოსა ხართ ახლა,–
თითქოს დაგვიმოკლდა გზები,
მაინც თქვენზე ფიქრი მტანჯავს,–
ჩემი „თურქეთელი“ ძმების.

თქვენი ქართველობა მიყვარს,
მაგეთ დაძახილი „ნენე“,
როცა ქართველურად უქცევთ,–
როცა ქართველურად მღერენ.

ახლაც სისხლი მოსდის ტაოს,
კლარჯეთს არ აშრება ცრემლი,
მე ხომ შენითა ვარ ასე,
შენც ხომ სევდა გტანჯავს ჩემი.

ასე იყო და არის

ადამიანი ქვეყნად
რომ გააჩინა ღმერთმა,
ზოგს ტანი მისცა ალვის
ზოგს – სახე ბაყბაყ დევთა.

ზოგი დაბადა ქალად, –
კაბა ჩაცვა მდედრის,
ადგილი მიუჩინა –
პირმშოს აღმზრდელი დედის.

ზოგს კაცად ყოფნის ხვედრი
მოჰმადლა უშურველად,
დიდი პატივი ერგო
თავად მდედრების მცველად.

ქალს, კლდემამოსით მავალს,
ძალა არგუნა ქარის,
ათას ფერებში ფერად
თაიგულად ჩანს ქალი.

თუნდ შეუცვალო სახე –
არა იყოს რა რაიც,
ეკალ-ბარდებში რგული,
„ქალი ქალია მაინც“!

კაცი რომ კაცად შექმნა,
თავზე დახურა ქუდი,
მოვალეობის ნიშნად
ქედზეც დაადო ხუნდი...

რომ კაცად ყოფნა არის
მარადიული ვალი,
ქალისთვის იგი რჩება
მტკიცე, ვით ბასრი ხმალი.

ადამ ევათი ცოცხლობს, –
ღმერთმა უკურთხა როდის...
ვნებააშლილი გრძნობა
ადამ! – ევათი მოდის!

ასე იყო და არის,
ასე იქნება ოდენ,
ნიავს ნიავი ჰქვია,
ქარები უნდა ქროდენ!

შენს მიწას კვლავაც ეიმედები

გიორგი ლეონიძეს

სამცხის ქედებმა მოდრიკეს მხრები,
შემოდიოდი, როგორც მაყარი,
როგორც ბერმუხა, ისე იდექი,
ვითარც მთა, ყინულგადანაყარი.

შენ აქ გიხმობდა მიწის ყივილი,
დარდი და ფიქრი მამა-პაპათა,
ისე გადახველ ვიწრო ბილიკით,
მზემ ალიონზე შემოგანათა.

სულ მუხლმოყრილმა შემოიარე,
ლეონიძეთა მიწა მესხური,
ცრემლით ულბობდი ნაგვემ იარებს,
ძვალთშესალაგში ნათელშესხმული.

მართლა იარე მესხისებურად,
ახლაც გელიან ზარზმის ქედები,
ასი წლისა ხარ და ძველებურად,
შენს მიწას კვლავაც ეიმედები.

* * *

მინდორ-მინდორ,
ყანა-ყანა,
ქარი ქროდა,
განდა-განა,
დარდმა როგორ აგიტანა,
შეგაშინა, მართლა, განა?
ღობე-ყორე,
ალთა-ბალთა,
მოიარა მთების კალთა,
ვერსად ნახა დასადგომი,
მერე, სადღაც გადიკარგა.

კიდევ გაუძლებს ქართველი რამდენს

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას

ბევრი ვებრძოლე სევდას წუხელის,
უცრემლოდ გული რარიგ ტიროდა,
სულს ისევ ღრღნიდა იმ დღის წუხილი,
მეძახდა ვიღაც სანაპიროდან.

სხეული გაყვა ჰანგებს სევდიანს,
გაქრა ოცნება რარიგად მწველი,
თქვენი თვალები მელანდებიან, –
გულს ჩამრჩენია ღიმილი თქვენი.

ლოცვით დაიდგით გვირგვინი დაფნის,
ისე აღზევდით მეწამულ ცამდე,
გულს ისევ გვიკლავს სევდა და დარდი,
კიდევ გაუძლებს ქართველი რამდენს!

მე დავიბადე

მე დავიბადე ორმოცდაათის
ხუთი თებერვლის გამთენიისას,
ცაზე ეკიდა მთვარე სულმნათი,
სხივები მცემდა გულზე ნათლისა.

ილანდებოდა ირგვლივ მთა-ხევი,
მამლის ყივილი დილის კარს ხსნიდა,
შემოვდიოდი მამის სახელით,
მთვარე ვარსკვლავებს იკრეფდა ციდან.

გაგახსენდება

გაგახსენდება,
უეჭველად გაგახსენდება,
ზაფხულის ღამე,
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,
გაგახსენდება,
თუთის ძირში, მთვარიან ღამით,
გულის სიღრმიდან
მოპარული პირველი კოცნა.

გაგახსენდება
აწითლებულ ღაწვების თრთოლვა,
ბავშვურ თვალებში
მოციმციმე ცრემლების თოვა,
და ის დღეები...
სამხრეთული ქარების ქროლვა
ნეტავი, კიდევ,
თუ ოდესმე,
სხვა კიდევ მოვა...

არავინ გეტყვის

არავინ გეტყვის შენ პირში სათქმელს
ვინაც გვერდში გყავს და მათზე ზრუნავ,
ვერვის წაართმევ გულიდან ნაგლეჯს,
რაშიაც სძინავს მლიქვნელის უნარს.

ჭკვიანი ზოგჯერ უჭკუოც არის,
თუმცა უჭკუო ჭკვიანობს მუდამ,
და იგი ხალხში ბრძენივით დადის,
ჭკვიანები კი სხედან და დუმან.

ცხოვრება მათთვის ყოფაა მშვიდი,
ვისაც რომ ჭკუა არ უდევთ ერთობ,
ჭკვიანი სხვისთვის თავს იკლავს, რადგან
უჭკუოს დიდი გვირგვინი ერგოს.

ბეწვის ხიდები

ჩვენ ბეწვის ხიდებს
ვერ ვხედავთ,
თორემ,
ბეწვის ხიდია თავად
ცხოვრება,
ზოგჯერ ავყვებით
ვნებებს და ჭორებს
და წაგვიწყდება
სულის ცხონება.

ჩამოიშლება ცის კიდეები,
გაიშლებიან მთები ზოლებად,
თვით მომავალი წარსულ დღეების
არის მარტოდენ განმეორება.

შენ რომ არ იყო

ზღვისფერი გაქვს თვალები და
თავად ჰგავხარ ზღვას...
კონსტანტინე გამსახურდია

რად მატყუებენ შენი თვალები,
რატომ მირევენ გზას,
შენ რომ არ იყო,
რა იქნებოდა,
ხომ მოვძებნიდი სხვას?
შენ რომ არ იყო,
რა იქნებოდა,
თავს მივანდობდი ზღვას,
შენ რომ არ იყო,
შენ რომ არ იყო,
შევიყვარებდი სხვას.

* * *

ამქვეყნად შენ რომ არ იყო, კარგო,
მაშინ სიცოცხლე რა ჭირად მინდა,
ჩემი თვალების ახელა მარტო,
შენი თვალების დანახვად ღირდა.

* * *

დღეს აღარავინ აღარ ოპიზრობს,
არც ფიროსმანობს ახლა არავინ,
მომნატრებია ვაჟა, ილია,
შორს, უსიერში დასცეს კარავი.

გაგვიგულისდა თვით მამაღმერთიც,
ჩამოიფარა ზეცამ პირბადე,
დღეს, ალბათ, ჩვენი არავის ესმის,
ასე უიღბლოდ რად დავიბადეთ.

ნუთუ ეს იყო ჩვენი წილხვედრი,
ბედი, რომელიც ღმერთმა ინება,
დედაო ღვთისავ, შემოგავედრებ,–
მოგვეცი ძალა და მოთმინება!

მაჰმადიანი მესხის ჩივილი

თურქიც ვნახე, არაბიც,
ტყავი ვინ არ გამაძრო,
უკუნისი უკუნში,
ღმერთო, ასე რამ გაძლო.

ცრემლი ვღვარე, ზღვა ცრემლი,
სისხლგამშრალმა ვიარე,
წაქცეული მოყვასის
თავად ვიყავ ტყვია მე.

გული ორად გამიპეს,
ამომხადეს სული და,
ვინც მამული წამართვა,
მერე თავად „მივლიდა“.

სისხლცრემლიან მიწაზე
სტუმარივით დავდივარ,
დროო, ასე უსახოვ,
ო, რა ჩქარა გადიხარ!

ოფელია

მენანება, ყველაფერი მენანება,
ისიც, ისიც, სხვისი რომ ხარ, ოფელია.
ვერ მივყვები მე ამ ქუჩას ნება-ნება, –
უშენობით უდაბური სოფელია.

* * *

ერთ წელიწადში სამნაირად
შეიცვალა სოფელი,
ერთი კაცი სამნაირად
დავინახე მყოფელი, –

მოცინარი,
მხრებგაშლილი,
ამაყი და ნეტარი;
გულო ჩემო,
შენ რას ელი,
რას კირკიტობ, ნეტავი?!

პირველი ცრემლი

არის რაღაცა უხილავ ძაფის,
არის შენდობა და მწუხარება,
მაგრამ მას ყავლი არასდროს გასდის
და არაფერზე არ ხურდავდება.

უფაქიზესი გრძნობა ფარული,
მზეზე კაშკაშა და მასზე მწველი,
სულის სიღრმეში შემოპარული,
პირველი კოცნის პირველი ცრემლი.

* * *

„მოვიდა სეტყვა,
დახვდა ქვა“,
გადამიარა ჭიამა,
გამიხსნა გულის იარა,
მეტკინა,
მაინც მეამა.
სულის სიღრმეში იარა,
შენგან ნასროლმა ტყვიამა,
კვლავ შენი ხელით სიკვდილი,
მერჩივნის,
სხვისით – კი არა!

ფერია

ათას ფერში ფერად ფერო,
ჩაფერილო ფერია,
ეგ თვალები, გულისმკვლელი,
ჩემთვის ყველაფერია.

ქარვის ბაგე, მწკრივში მწკრივად
ჩაწყობილი მძივები,
მაგ შენს მკერდზე მომაკვდავი
მშვიდად დავიძინებდი.

ათას ფერში ფერად ფერო,
ჩაფერილო ფერია,
მხოლოდ ერთი შენი კოცნა
ჩემთვის ყველაფერია.

ვალი

ჯერ ყველას ვალი ვერ გავისტუმრე,
ეს უფულობა განა მამართლებს,
სადამდე უნდა მდიოს მევალემ,
სადამდე უნდა ვდიო აღმართებს.

სადამდე უნდა ვიწურო ოფლი,
რომ აღარ მქონდეს მე ვალი სოფლის...

სადამდე უნდა,
სადამდე უნდა,
გადავიხადო მე შენი ვალი,
სადამდე უნდა,
სადამდე უნდა,
სადამდე უნდა გარიდო თვალი.

როგორ ცხელა

როგორ ცხელა, ცაც კი გაირინდა,
მაგ თვალების ბრალია თუ მზისა,
ალუბალზე ჩიტი შემოფრინდა,
მზის სხივებში ნაზად იბანს პირსა,
ეგ თვალები ძირს დახარო, იქნებ,
ან, როგორმე, მოარიდო ჩრდილსა.

დედას

ორმოცდაათი გასულა წელი,
რაც რომ უმამოდ დავდივარ, დედა,
ორმოცდაათი შორი და გრძელი,
წელი გასულა, ვამბობ და ვხედავ...

ორმოცდაათი დადიხარ ისე,
ვით ცალუღელა ხარი წიქარა,
ამოღამებულ თვალებით გვიმზერ,
გვხედავ და მეტიც არა გინდა რა.

* * *

ხალხურ მოტივებზე

ღმერთო, აკმარე ქართველ ერს,
რაც რომ ცრემლები ღვარაო,
განა არ ეყო ამდენი,
მან რომ გაიღო ღალაო?
სისხლი გაუშრა ძარღვებში,
დაუძლურ-დაიღალაო.

* * *

გული არ გქონია,
ვგრძნობდი,
რატომ მომიმატე დარდი,
მე აქ შევეჩვიე ლოდინს, –
დრო რა უმოწყალოდ გადის.

თავზე კაეშანი მადგას,
თითქოს იხურება ფარდა,
აქეთ არაფერი მრჩება,
შენი სიყვარულის გარდა.

წუთისოფელი

შენ რომ ერთს ფიქრობ,
მე მგონია, მეც იმას ვფიქრობ,
შენ რომ ერთს დარდობ,–
ჩემიც არის სადარდებელი...
როცა მჯიღს ვიცემ,
მე მგონია,
სხვას ყველას სძინავს...
ჰაი,
ჰაი, რომ
ასეთია წუთისოფელი.

მე სამცხე მტკივა

მე სამცხე მტკივა,
ჩემი ტაო, ჩემი შავშეთი,
მე არტანუჯის სანახები
მტკივა და მტკივა,
დღეს წაქცეული საქართველოს
ტკივილით ვცხოვრობ,
უიმედობის მოლოდინშიც
არავინ მკილავს.

დასაბამიდან
ასე მოველ, –
სისხლი მრავალი
სად არ მიღვრია ჩემი მიწის
გადასარჩენად.
თუმც ვაჟკაცობა,
მკლავის ძალა, არასდროს მაკლდა,
მიტომ არაფრით შემიძლია
ასე დარჩენა.

მე წაქცეულიც,
მომაკვდავიც,
ბევრჯერ მიხილეს,
ბრძოლის ველიდან გაქცეული კი –
არასოდეს,
თურქის, არაბის
ხელით ბევრჯერ სისხლი მადინეს,
მამლუქსაც ჩალმა არაერთხელ
თავზეც დამხურეს.

წამებით ვთესე
წინაპართა ნაპოხ მიწაზე,
ცრემლით და სისხლით
მიზიდია ეს მძიმე
ჯვარი,
რომ ჩემი მიწის –
ქართველობის გადასარჩენად
მკერდით დამეცვა
საქართველო დასაფიცარი!

ვბერდებით

როგორ ბერდება,
ყველაფერი როგორ ბერდება,
მდინარეები, ხევხუვები
და მთა-გორები,
ირგვლივ უსიტყვოდ,
ყველაფერი მოიჩადრება
და ჩვენც ვბერდებით
უნიათოდ,
სხვა შთაგონებით...
ვბერდებით,
მივალთ
ამ უსიერ,
უძირო ზღვაში,
ახალი ყლორტის გაღვიძება
არც კი გვადარდებს...
ვბერდებით!..
ვყვირით,
არ მოვდივართ არავის თვალში,
ვბერდებით,
ზლაზვნით დავუყვებით
მძიმე
დაღ-
მარ-
თებს!..

ახლა შენც იცი

ახლა შენც იცი,
რომ აღარ ვჩქარობ,
დრო მოვა,
ვიცი,
ისევ შევხვდებით,
იცოდე,
კარგო,
არაფერი ხდება უბრალოდ,
იცოდე,
კარგო,
არაფერი ხდება შემთხვევით.

* * *

მინდა, მჯეროდეს,
მინდა, მწამდეს,
მინდა, ჰო, მინდა,
რომ დავიჯერო,
უკეთესი მზე ამოვა,
დათბობის დროა,
მაგრამ კი რა ვქნა,
ვინუგეშო
მე გული რაით?
ყველგან,
სულ ყველგან
მელანდება ცხენი და ტროა!

სამშობლოს

ვისთვის ახლა ჩირად ღირხარ,
ვისთვის ხარ და აღარა ხარ,
ღმერთო, იმ დღეს ნუ მომასწრებ,
რომ არა ვთქვა, არ მიყვარხარ!

* * *

ვინც რას თესავს, იმას იმკის,
ვინც რას იმკის, იმას ხელობს,
ღმერთმა იცის, ამ მთის, იმ მთის, –
თავი ვინ რით ისახელოს.

მელი თურმანიძე

* * *

შენ რომ წახვალ
(მე, უკვე, წავედი),
ვიღაცა მოვა...
მოვა და ვერ შეიყვარებს ისე,
მე და შენ რომ ვიცით!
ეს უდავოა!
ახედავს ჩვენი თუთის ნაიარევ სხეულს
(სულს ვერ დაინახავს, ჩვენსავით, რომ სტკივა)
და იმ ნაჯახით გადაჭრის,
რომელსაც ტარზე,
ჩვენი ეზოს სუნი ექნება.
გადაჭრის და გადანაჭერზე
სიგარეტის ნამწვავს მოისვრის!...

* * *

ცას აასკდება მთვრალი ქალის
აშლილი სუნთქვა,
ვინ იცის რატომ, ამ სისუსტეს არვინ გვპატიობს?!
დაველოდები ჩამოღვენთას ალქაჯი დღის და
ღამის სიმშვიდით ამოვივსებ იარის ღიობს...
ახლა მარტო ვართ მე და ღამე,
მეტი რა გვინდა?
(თუმც, ისიც წავა და უგულოდ სხვაზე გამყიდის),
დამისხი ერთი, არ ავდგები,
ფეხს არ ავირევ,
დამისხი-მეთქი,
შენი რა მიდის?!
გზა აქით გქონდა,
ჩუმად სუნთქვას გამოაყოლე,
ვერ ვხვდები, რატომ,
სურნელი აქვს „პირველს“ პოეტის?
მე რაც მინდოდა, მომეყოლა,
მოკლედ ითქმოდა,
ღირდა დუმილში გადამალვა მიეთ-მოეთის...
დაასხი, ღამევ, შეგერევა თმაში
სიბაცე,
უკვე ინათებს და ვერაფრით დაგიყოლიე,
დღე უნდოა და არ მსურს ნახოს ჩემი სიანცე,
წასვლისას ჩუმად, ეს ამბავიც გაიყოლიე...

* * *

ჩვენ ვსაუბრობდით, ხმას აქვსო გემო.
სევდას – ფერი და ნატვრას – თვალები.
ვინ დაარქვაო, ანდა, ვარსკვლავი?
მოფენილანო ზეცას ხალები.
შევუჩნდით, ცეტი ალუბლის ყვავილს,
(თეთრი ფიფქების ეიფორია),
შენ მიმტკიცებდი, დილით ჩემს ხმაზე
უფრო ლამაზი არაფერია...
ტუჩზე გადამსკდარ, მარწყვის ხაოსფერ
გრძნობას, თან ახლავს ვნების გვალვები,
სადაც შენ ხარო, იქ აღარ ჩანან,
აღარ ჩანანო, იქ სხვა ქალები....
და, თუმცა ვიცი, რომ დავიჯერო,
გულში მომხვდება სასრული ფიცის,
მაინც გისმენ და ფერებს ვუმატებ
აპრილის ცაზე ხალების ციმციმს.
გისმენ და სევდას ვუკურნავ ბზარებს,
ზეცამდე ამ ხმის ხელებით ვწვდები,

ვრეკავ ნაღვლიან ოცნების ზარებს
და დილას ფიქრის სურნელით ვხვდები:
ვინ დაარქვაო, ნეტავ, ვარსკვლავი?
ღამეს დაასკდა მკერდზე ხალები,
ნუთუ მართლა აქვს ხმას მარწყვის გემო?
ან ნატვრას, თუ აქვს თაფლის თვალები?
სად იყავ, როცა მწიფდა სხეული?
როცა სხვა მკრეფდა ფრთხილი ლაციცით,
მჭყლეტდა, მადენდა ვნების ლეკერტებს
და ცა მიმზერდა მთვრალი კაცივით?
სად იყავ, როცა ვავსე მარანი?
მკერდიდან მჩქეფდა სიცოცხლე უხვად?
როცა ვიმაჭრე, ანდა – მანამდე...
ან ახლა რაღად მიცქერი უტყვად?
მახსამდა, მსვამდა შეშლილი ხელით,
ის დრო, რომელსაც ჩამორჩი თითქოს,
ჩავჭიდებივარ წამებს ფესვებით და
ველი შენს ხმას, რომ უნდა მიხმოს...
ერთ გაზაფხულსაც მოვიხმობ კიდევ,
თუ იცის, ვაზმა იცისო შეშლა,
ისევ ვიდუღებ და ვიბადაგებ,
რომ ერთხელ მაინც შეიძლო შესმა,
მტევნებით ბაგე, ისე დაიტკბო,
დარჩენილ დღეებს ეყოს ბადაგად,
ჰა, მოიფიქრე, თორემ სიმთვრალე
მომნატრებია, ზეცის, ხანდახან...
ან ახედავენ მთვრალ ზეცას ჩუმად,
ბადაგით სავსე, მკვრივი მტევნები...
და კვლავ მოგასწრებს, დამწურავს ვინმე,
დამადენს ვნებას სხვისი ხელები...

წავედი!

წავედი!
დარჩენას აზრი აქვს?!
შენ რაღა გაყმუვლებს, მურია?
რად გიკვირს,
რომ არ ვის არ ახსოვს,
სულ ყველა ამ ქვეყნის მდგმურია!
წავედი!
გაჩუმდი, იცოდე, მეც ადამს ვესესხე გენები.
ამქვეყნად სულ ყველა ფლიდია!
მეც, ალბათ, ლაჩრულად ვბერდები!
ო, როგორ მიყვარდა ყოველი:
ხიჭვები,
ფესვები,
ფოთლები...
დღემდე სულ უკუღმა მივლია,
ვგრძნობ,
ვწრუპავ
და უცებ ვლოთდები.
მთვრალი ვარ, თუ ვხედავ მარაზმებს?
ფხიზელი გონება გახევდა!
ნუ ყმუი!
აქ არ ღირს დარჩენა,
წავედით,
სანამ დრო გაჩერდა!

* * *

შენ, თუ იმის დერდი არ გაქ, ცუნცულავ,
ზეით რომ ახვალ, რანა უთრხრა ნენეს?
აბა, ჭადზე ჯვარს ვიღასთვინ სახავდა,
კეცზე რისთვინ ითუთქავდა ხელებს?!
შენ თუ ისევ თავშალინა წეიკოჭო,
ისევ ფოსტზე ახალონა თავი,
აბა, მითხარ: – ნენეი ვისთვინ წვალობდა?!
მტკივა ნენეს დათუთქული კლავი!
შენ, თუ ისევ „ბისმილლანა“ იძახო,
„შუქურ ალლაჰ“, ადიდონა ღმერთი,
მოდი აგზე, დიმიყურე, გკითხონა:
ნენეი რისთვინ ლოცულობდა ერთი?!
დიმიჯერე, მოვა დრო და გეფიქრება,
დუშმნის ლაქუცს დაანებე თავი!
ახლა ვერ გრძნობ, მარა ვიცი, გეტკინება,
ჯვრის სახვისას დათუთქული კლავი!

* * *

ვხედავ პირველად,
გაზაფხულზე,
შემოდგომა დარბის სხეულში,
მწიფს ენკენისთვე,

თურაშაულს მიგავს ღაწვები...
ვიცი, აზრები აგერევა,
როცა მიფიქრებ და
ჰორიზონტზე მოგონების
ხვნეშით გაწვები...
ვხედავ, შენთანაც, შემოდგომა
მაისს იხუტებს
და ჩუმი კრძალვით,
ხელს შეავლებ,
მტევანს კერტებზე,
ახლა, ისე ხარ,
უფალსაც, კი დაივიწყებდი
და ილოცებდი, წარმართულად,
შექმნილ ღმერთებზე.
აგიყოლებდა, აფეთქება შეშლილ სხეულის
და ლერწამს წელზე მიადნობდი
გათანგულ ტორებს,
ჩაიხუტებდი,
ოჰ, რა თბილად ჩაიხუტებდი,
სხეულს, რომელიც გადაგრევს და
აგიმღვრევს მორევს...
აქ, ისევ ცეცხლი,
შემოდგომის,
ღვივის სხეულში,
მწიფან ღაწვები,
ტუჩები და...
მწიფან კერტები...
უფალი, ალბათ, დამავიწყდა
(რა დროს ეს იყო?!)
კვლავ წარმართულად ტაშს მიკრავენ,
მგონი, ღმერთები...

* * *

დრო გარბის ყოველდღე,
თუმცა გრძნობ,
ხანდახან,
სიბერე არ არის,...
ეს მხოლოდ წლებია...
– კარებთან ბაბუას ქალამანს
რა უნდა?!
– აქ არის? – ბებერი გოშიაც ხლებია!
მომინდა, მოვკითხო,
თვითონაც ზომავდა
ჩემსავით
განვლილი წამების სიმძიმეს?
ეზოში დარბიან მეზობლის ბავშვები,
უჰ,
დაღლა ვიგრძენი,
რამდენი ირბინეს...

* * *

სული ფესვებით
მივაკარ მიწას,
ურჩი სხეულის გადასარჩენად
და მივხვდი მყოფნი,
დარჩენილ ტანჯვად,
ჩადენილ ცოდვად
და განაჩენად!
განა, რამდენჯერ
შევძლებ დავბრუნდე?
ღმერთო, გზა ისე
ყოფილა მოკლე!
წასვლამდე შენით
უნდა გავბრუვდე,
რომ უტკივილოდ,
ღიმილით მოვკვდე!
ვიცი, ერთხელაც
ვეღარ ვიჩქარებ,
სული აიგლეჯს
მიწის მარწუხებს,
წასვლამდე მინდა,
ყოფნა გამითბო,
ყოფნა, რომელიც
ასე მაწუხებს...

* * *

ჩემი გაგება არ არის ადვილი,
დღეს სხეულს ვიხდი და საკიდარს
ვამძიმებ!
მერე სიჯიუტეს, რომ ახსნა თვალებში
ვუმზერ და ღიმილს მგვრის,

ხანდახან მაცინებს...
მე გეტყვი მიყვარხარ,
და შენ ფიქრს ეძლევი,
სულია, თუ სხეულს დააჩნდი კვირტებად?!
მე ვფიქრობ, ერთია სულში, თუ სხეულში,
რომ შენი გრძნობების
შეხება მინდება!
ვხედავ შორს აპრილი
ღიმილებს ატყვევებს!
მოსვლამდე ხელებზე ბორკილიც
დამადო.
ვპოულობ ნამთვრალევ მიმოზას, ათენებს!
მეც მინდა, დავლიო,
თუ ხვალზე გადავდო?!
ეზოში პანტა ხილს კორტნიან ჩიტები,
ქარია და სარკმელს ნაღველი აწყდება,
ვუყურებ დაისს და ჯერ თითქოს
ვმშვიდდები,
მერე ვგრძნობ, ვხელდები,
რომ წითლად ღამდება!..
შენ მეძებ, გგონია, ერთხელაც მიპოვი,
ატმების კვირტებში ვნებების ფეთქებად...
მე სხეულს საკიდზე სიფრთხილით
ვეხები, ვიცმევ და
მსუბუქი საკიდი ფეთდება!...

* * *

გაგიყიდიან!
ამ დუმილსაც გაგიყიდიან!
ჩამოგიხრჩობენს,
ყელში გაჩრილ კივილს ოდესღაც!
გაგილახავენ,
შეგირყვნიან,
დაგიჩიჩქნიან,
ჩამოგახევენ თავზე ოდებსაც!
სულის კივილზე აგიწყობენ
სხეულს სიმებად,
დედანათრევი,
უკითხავად დაგსვამს,
გამღერებს!
მაშინ, როდესაც,
თვით ბუნებას არ უკადრია,
დაუკითხავად შეხებოდა,
სულზე ამ ღელეს!
ჯერ მას დასვამენ მუხლებზე და
ნამუსს ახდიან,
მერე ზემოდან დაგაკლავენ
ურჩი ხარივით!
გამოიღვიძე!
ამისთანა განა რა მოხდა?!
თუ ვერ იბღავლებ,
იქნებ, აღსდგე ჩუმი ხავილით!
გამოიღვიძე,
თორემ მერე ვერრა გიშველის
და უტყვი მოწმე საკუთარი გადაშენების,
ვერ აიტკიებ წაბილწული მათრახის შხუილს,
ურჩი მორჩილი,
აღრეული განაჩენების!

აღარ გვაქვს ხვალი!
მხოლოდ დღეს და ესეც ბოლოა!
შიში დაგვზაფრავს
ხვალინდელის არ გათენების!

გამოიღვიძე!



ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲪᲮᲕᲐᲠᲐᲫᲔ

ᲖᲝᲜᲐ №13

კრასნაია პრესნიას „პერესილკის“ №010 საკნის ზათქით გაღებულ კარებში ზედამხედველმა ჩახლეჩილი ხმით დაიძახა: „გიორგი მგელაძე ბარგით“. ახალი წლის კვირაძალზე, როცა საკანში აკრძალულის ჩათვლით ყველაფერია, ეტაპით სადღაც გადასაკარგავში წასვლა უსაშველოდ საწყენი იყო. თანამესაკნეთა საძმომ ყველაზე აუცილებელი საგნები სასწრაფოდ შეაგროვეს, ჩიფირი[1] მოადუღეს და ტოლჩა ხელიდან ხელში გადავიდა.

გარეგნულად „სტოლიპინის ვაგონი“ საფოსტოსგან არაფრით განსხვავდება. შიგნით იგივეა, რაც საერთო, ოღონდ გვერდითი ადგილების გარეშე და ნაკვეთურების სარკმლებით, რომლებთაგან თითოეული გასასვლელიდან გამიჯნულია ცხაურებით. სტანდარტულ ოთხადგილიან კუპეში, სადაც 12-16 კაცია ჩატენილი, ისე რომ ნემსი არ ჩავარდება, ძირითადად ქაშაყით კვებავენ. საბედნიეროდ სამგზავრო ტომარაში ყველას აღმოაჩნდა – ქონი, ხახვი, ნიორი, ზოგს ძეხვი და ყველიც კი. ასეთ პირობებში, თანამეინახეთა წრეც თუ შესაფერია, ეტაპით მგზავრობა საინტერესოცაა. ბევრია ახალი კაცი, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ სალაპარაკოც საკმარისზე მეტია. თუ ზედამხედველთანაც გაგიმართლა, შეიძლება სულ იარო და იარო, ყურადღება არ მიაქციო ჭყლეტას და სხვა უხერხულობებს.

ზედამხევდელთან ბედმა არ გაწირა. მატარებლის გასვლიდან ნახევარ საათში გიორგიმ ექვს ბოთლ არაყზე შეძლო ზედამხედველის დაყაბულება. ჯარისკაცები ჩვეულებრივ ფასზე 5-7-ჯერ ძვირს თხოულობდნენ, მაგრამ შევაჭრება, როგორც იტყვიან ამ შემთხვევაში აუცილებელი არ იყო. და აი, დიდი ხნის ნანატრი შეპირებული არაყიდან პირველი სამი ბოთლი კუპეშია. ალკოჰოლს გადაჩვეული „ზეკები“[2] ადვილად თვრებოდნენ, სულ რაღაც პირველ ყლუპზე, სულიერად მხიარული და გულთბილი ხდებოდნენ, ხუმრობდნენ, მღეროდნენ, ყვებოდნენ ციხის ზღაპრებს, იხსენებდნენ თავისუფლებას. მთავარია, ეს სიამოვნება არ დამთავრდეს მთვრალთა საქმის გარჩევებით, რაც ეტაპის დროს ხშირია. მხოლოდ გავლენიანი და ღირსეული კაცი, როგორიც გიორგია, შეძლებს არ დაუშვას ფეთქებადი მდგომარეობა. ყველაფერმა ზედმეტი ბაზარის გარეშე ჩაიარა და დასალევმაც სიკეთე ქნა.

გიორგიმ გაიგო, რომ კედლის მეორე მხარეს კუპეში ერთადერთი ტუსაღია, ამიტომ სიფრთხილე ამჯობინა. მისთვის ცნობილია, მკაცრად

[1] ჩიფირი – საპატიმროში ჩაის მაგარი სასმელი.
[2] ზეკი – ციხის ენაზე ტუსაღი.

სხვებისგან განაცალკევებენ სამ შემთხვევაში: პირველი – როცა ჩამშვებია, მეორე – განსაკუთრებით საშიშია და მესამე – ჭკუიდან გადასული. კედლის გადაღმა, კაცის უნახავად გიორგიმ მასთან გააბა ჩვეულებრივი საუბარი: ვინაა, საიდანაა, რაზე ჩასვეს. განდეგილი ნიკოლოზად გაეცნო, თითქოს გამოუსვლელად ზის ჩვიდმეტი წელი და წინ კიდევ რვა ჰქონდა. ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა დაუჯერო.

მიღებული არაყი რამდენიმე საათში აორთქლდა. დადგა დრო დარჩენილი სამი ბოთლის მიღებისა, მაგრამ ჯარისკაცი, ვისაც ფული მისცეს, სადღაც გადაიკარგა.

კუპეს ბინადრებმა ჩათვლიმეს და მიწყნარდნენ. გიორგი ძველ ტუსაღთან სერიოგა ლვოვსკისთან რაღაცაზე დაობდა, როცა საკეტმა გაიჩხაკუნა და მეზობელი კუპეს კარი გაიღო. ცალკე მჯდომი ნიკოლოზი მოსასაქმებლად გაყავდათ.

– შერისხულნო, ეს ხომ ცნობილი ჩამშვები ივან პლეხანოვია! – კბილებში გამოსცრა სერიოგამ.

მან ოდესღაც, სადღაც შორეულ ბანაკში ხელი აღმართა კანონიერ ქურდზე პაშა ცირულიაზე, რის შემდეგ თავის საშველად გაიქცა „ძაღლებთან“ ვახტაზე. ათი წელია, რაც მასზე ქურდული ჯვარი დევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ღირსეულმა ტუსაღმა, ნებისმიერ მოხერხებულ შემთხვევაში, ქვეწარმავალს თავი უნდა გაუჭეჭყოს.

ძველი მეგობრის ნათქვამზე დაეჭვება შეუძლებელი იყო. ლვოვსკი, როგორც წესი, სიტყვას ჰაერზე არ ისროდა. უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა – ყოფნა არყოფნის საკითხი. ძნელია ადამიანი შეიცნო შენ წინ ერთი გაელვებით. შეიძლება შეცდე. რა უნდა ექნათ? გადაწყვიტეს დასაწყისისთვის ჩახეთქონ კიდევ სამი ბოთლი არაყი, მაგრამ ერთი საათი გავიდა და ის ჯარისკაცი არ ჩანდა. როგორც ჩანს, ამ ვირთხამ, გამოუცდელობისა და სიხარბის გამო, გადაწყვიტა „ზეკების“ გადაგდება. გიორგიმ ატეხა ყაყანი და რამდენიმე წუთში მთელი ვაგონი მას აჰყვა. ხმაურზე დაცვის უფროსი მოვიდა.

– რაშია საქმე, „ზეკებო“?

გიორგიმ თავშეუკავებლად დაუღრიალა უფროსს:

– ჩვენ წვალებით გავიარეთ რამდენიმე „შმონი“[1]. ეტაპზე ფული გაგვაქვს, რათა სასმელში ზედმეტი ვიხადოთ, თქვე, უნამუსოებო, ესეც ცოტაა? სინდისი სულ დაკარგეთ, გადაგდება დაგვიპირეთ? თქვენ ხომ კარგად ცხოვრობთ ჩვენი სისხლის ხარჯზე. ბანაკებსა და ციხეებში წავა ხმები, რომ თქვენი ზედამხედველი „ზეკებს“ ბოლო გროშებს აცლის და დასრულდება თქვენი პარპაში, ხელფასზე დარჩებით!

ჩაჭრილმა უფროსმა პირობა დადო, რომ გაარკვევდა საქმეს. ნახევარ საათში მან და ორმა ჯარისკაცმა მოათრიეს ატირებული ვირთხა. თვალებთან სილურჯე იმაზე მიუთითებდა, რომ მას არ მოფერებიან, გააცნეს დაუწერელი წესი, რომელიც არსებობს ზედამხედველებსა და ეტაპით მიმავალ „ზეკებს“ შორის. გაირკვა, რომ ეს ახალგაწვეული ჯარისკაცუნა ზედამხედველთა შემადგენლობაში პირველად მოხვდა. თვალცრემლიანმა საცოდავად, ბავშვურად ამოიტირა:

– ბიძია „ზეკ“, მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ.

რა თქმა უნდა, აპატიეს. უფროსი მოულოდნელად გიორგის მშობლიურ ენაზე გადავიდა. თურმე წარმოშობით თბილისიდანაა. სანამ ისინი საუბრობდნენ, მოვიდა ჯარისკაცი ხუთი ბოთლი არყით ხელში, აქედან ორი საჩუქრად გადმოდგეს პირგასამტეხლოს სახით. ურთიერთგაგება მოგვარდა და შფოთიც ჩაცხრა. გიორგიმ ისარგებლა შემთხვევით და ყველას რომ არ გაეგო, ქართულად უთხრა უფროსს, დაეზუსტებინა კედლის იქით ცალკე მჯდომის გვარ-სახელი. უფროსი წავიდა და მალე დაბრუნდა ფურცლით ხელში, რომელზეც ეწერა „ივან პლეხანოვი“.

აქვე „სტოლიპინში“ ნაჩქარევად რაიმეს ჩადენა შეუძლებელი იყო. უფროსმა კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა, სასტიკი უარი განაცხადა თანამემამულის შეშვებაზე პლეხანოვთან თუნდაც ათი წუთით. ისღა დარჩა, თითქოს არაფერი მოხდაო, გაეგრძელებინათ გზა. ეტაპის ნაწილი ჩამოვიდა ტამბოვში აქაურ ჭლექიანთა ზონაში.

[1] შმონი – ციხის ენაზე ჩხრეკა.

დანარჩენებმა გზა სარატოვამდე განაგრძეს, ვოლგაზე გაშენებულ ქალაქში პატიმრები „ავტოზაკებში“[1] შეყარეს და ადგილობრივ „გადასაგზავნში“ მიიყვანეს. გიორგი კუთხეში იჯდა, პლეხანოვი მის პირისპირ. აქ ვიწრო ავტოზაკში არა თუ ხელს გაშლიდი და კაცს შემოარტყამდი, საერთოდ ძლივსღა გაინძრეოდი. ძუკნას რომ არ აეღო ეჭვი, გიორგიმ რაღაცაზე საუბარი გააბა. აშკარა იყო, რომ მისი აღელვებული მოსაუბრე, ბოლოს დამშვიდდა. ასე ჩავიდნენ ციხემდე. ეტაპი შეიყვანეს „შესაკრებში“ საკნებში გადასანაწილებლად. „შესაკრების“ და ზედამხედველთა ოთახებს ღობურა კარი ყოფდა, რომელთანაც პლეხანოვი პირდაპირ იდგა, რათა ნებისმიერ დროს იქიდან „მოტეხილიყო“. დაიწყო გადაძახება. ჩამშვებთა საქმეებს ჩვეულებრივ მსხვილი წითელი ხაზები ჰქონდა გადავლებული. სწორედ ერთი ასეთი საქმე ყველაზე ზემოთ იდო.

– ივან პლეხანოვი! – დაიძახა ოფიცერმა.

მას სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა გამოხმაურებოდა დაძახებას. გიორგის ზურგსუკან მობრუნებულმა ძლივს ამოღერღა:

– თავად იცი, ძმობილო, ასეთია ცხოვრება. იგივე, იგივე, იგივე...

გიორგიმ უხმოდ დაუქნია თავი. ზედამხედველთა თანდასწრებით ანგარიშის გასწორებას აზრი არ ჰქონდა. წითელფარფლებიანებმა დაასრულეს გამოძახება და თავის ოთახში შევიდნენ. გიორგიმ იცოდა, რომ პლეხანოვს საერთო საკანში არ შეიყვანდნენ, ამიტომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ემოქმედა. მან ივანეს მხარზე ხელი დაჰკრა, როცა ის შემობრუნდა, შეჰყვირა:

– სალამი პაშა ცირულიასგან! – და ყბაში ძლიერად გაარტყა.

ძუკნა დაბარბაცდა, კედელზე ჩახოხდა და იატაკზე დაეცა. მძიმე ჩექმების ორი წყვილი შეუბრალებლად წიხლავდა. იატაკზე მგორავი მთელი ხმით ბღაოდა და საშველად „ძაღლებს“ უხმობდა. ორი წუთის შემდეგ, ისინი მოცვივდნენ და ნაცემი დერეფნისკენ გაათრიეს. ეტაპი სასწრაფოდ საკნებში შეყარეს, სერიოგა ლვოვსკი და გიორგი კი დატოვეს.

– მე თქვენ გაჩვენებთ, აქ ვინაა უფროსი, – კბილებში გამოცრა საზეიმო მაზარაში გამოწყობილმა ოფიცერმა, მოტრიალდა და გავარდა საშველად.

– აი, სერიოგა, მე და შენ უკვე დანიშნულ ნაპირზე მივცურდით, – ღიმილით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

ლოგიკის ყველა კანონის მიუხედავად, ისინი არ უცემიათ. უბრალოდ, საერთო დებულების თანახმად, განცალკევებულ საკანში ჩასვეს. საჭირო საგნებით გავსებული ზურგჩანთები შეატანინეს, თითო ქვეშაგები მისცეს და ძილი ნებისა უსურვეს. ერთი სიტყვით, ეს ორი, აქ დადგენილი რეჟიმი თავდაყირა რომ არ დაეყენებინათ, ცოდვებს გააშორეს. უკეთესს ვერ მოიფიქრებდი. სუფთა ჰაერი, ცალკე საწოლი, სიგარეტები, ჩაი, კარგი თანამესაკნე.

„პერესილკაში“ სწრაფად გავრცელდა ხმა, თითქოს მოვიდნენ ორი კანონიერი ქურდი, წესიერად იქცევიან, რაც ჩვეულია მათთვის. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი გმირებიდან ასეთი არავინაა, თუმცა მათ კარებთან ღამით განსაკუთრებული მოძრაობა შენიშნეს. „შნირებს“[2] ხორაგი მთელი ციხიდან მოჰქონდათ, ზედამხედველები კი, როგორც ზოოპარკში, მოდიოდნენ იშვიათი „ცხოველების“ სანახავად. დილით ადრე გიორგი ციხის ოპერთან[3] შეიყვანეს. მან მაგიდაზე გაშალა პლეხანოვის საჩივარი მგელაძეზე, სადაც ამტკიცებდა, რომ ქართველს მისი მოკვლა სურდა.

– ახალ მუხლს, მოქალაქე მგელაძე, პატიმრობის დამატების სუნი ასდის. ტვინის შერყევა, ორი ნეკნის ჩამტვრევა, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ნათლიმამამ.

– კარგი რა, უფროსო, – მშვიდად პასუხობდა გიორგი, – თქვენმა პლეხანოვმა დიდი ხნის ჯდომის გამო გააფრინა და ბოდავს რაღაცას. სინამდვილეში, „სტოლიპინის“ საწოლიდან ჩამოვარდა. აი, სულ ესაა. მოწმეები არიან? არა? მაშინ დავხუ-

[1] პატიმრების გადასაყვანი მანქანა.
[2] შნირი – პატიმარი, რომელიც ემსახურება სხვას.
[3] ოპერი – ციხის ოპერრწმუნებული.

როთ ეს თემა. საქმე როგორც იცით, შეკერილია თეთრი ძაფით. იაფფასიან ზღაპრებს არ წამოვეგები. უმჯობესია სხვაზე ვისაუბროთ. მე გავიგე, რომ თქვენთან ოლქში ყველა ბანაკი წითელია. გაგვაგზავნე ჩვენ ორი ეტაპით სამარაში, სადაც თითქოს ჩვენები ბატონობენ. მე თან მაქვს ექვსასი „ბაკსი“[1], თუ დაგვეთანხმები, ნახევარს მიიღებ.

ნათლიმამა ჩაფიქრდა, პატიმარი კი საკანში დააბრუნეს. რამდენიმე საათში კაბინეტში შეხვედრა განმეორდა.

– სამწუხაროდ, არაფერი გამოვა. თქვენ ორზე მოსკოვიდან სპეციალური განაწესია, იქ, მეცამეტე ზონაში ყოფნაზე, – თქვა ციხის ოპერმა. – როგორც ჩანს, თქვენ მოსკოვის ციხეში უფროსობას მიწვდით და ახლა ამის შეცვლა შეუძლებელია. ასე რომ, თქვენი ბედი ასე ყოფილა. წინ მძიმე ამბები გელით, კარგებო. იქ თქვენნაირებს შეუბრალებლად სცემენ. დარდი უნდა ჩაყლაპოთ. იქ ფულის წაღებას არ გირჩევთ. ფულით ვერ ისარგებლებთ, შეიძლება პირველი სერიოზული შმონის დროს ჩამოგართვან. შეეცადეთ აქ დახარჯოთ. მე თქვენ სამ დღეს მოგცემთ, იცხოვრეთ უდარდელად და ფეხგაწვდილი. დანარჩენი თვითონ გადაწყვიტეთ, რა და როგორ.

გიორგი კარგად ერკვეოდა ადამიანებში, არც ალღო ღალატობდა არასოდეს. ასეა თუ ისე, მან ფული ციხის ოპერს გადასცა, დარწმუნებულმა, რომ იგი თავისი სიტყვის პატრონი იქნება.

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა საკნის სარკმელი გაიღო და ვიღაც კაცმა ზედიზედ პაკეტები შემოყარა. რა გინდა სულო და გულო! რამდენიმე ხარისხის ძეხვი, ყველი, წვენები, ტკბილეული, ხილი, და რაც მთავარია, ათი ბოთლი არაყი! სურსათის ფასი სამას დოლარს აღწევდა, ციხის ოპერი კაცურად და კეთილსინდისერად მოიქცა, თავისთვის ზუსტად ნახევარი დაიტოვა. სარატოვის გადასაგზავნი ციხე სამი დღით მდიდრულ რესტორნად გადაიქცა. ყველას გაუმასპინძლდნენ, დერეფანში მობოდიალე შნირებიდან დაწყებული, სამორიგეოდ მოსულ ოფიცრებამდე. მეოთხე დღეს ჯერ კიდევ გამოუფხიზლებლები ჩასვეს ერთ გადავსებულ ავტოზაკში და ბანაკში გაისტუმრეს. მანქანები ნელა მიგორავდა თოვლიან გზაზე.

შებინდებისას კოლონა ზონაში შევიდა. გიორგი თოვლისგან გულდასმით გაწმენდილ ბეტონზე გადმოხტა. ეს მოჩვენებითი სისუფთავე მოასწავებდა იმას, რომ აქ უსაქმოდ ყოფნა არ შეიძლებოდა. ერთ გროვად შეკრებილი ახალმოსულები ირგვლივ იხედებოდნენ. ოფიცრები და ჯარისკაცები არ ჩანდნენ. ეტაპს ხვდებოდნენ დაკუთხულსიფათინი „კოზიოლები“[2] ახალი ტყავის ტანსათბურებით, აპრიალებული ფეხსაცმელებითა და საყურეებიანი ქუდებით, რაც მიანიშნებდა, რომ ამ ზონაში ისინი პარპაშებდნენ. ერთი მათგანი მოულოდნელად აკიკინდა:

– რას გაჩერდით, ცხვრებო? სწრაფად, მოეწყვეთ ხუთეულებში. გაინძერით, ნადირებო!

გიორგის ეს გასროლასავით მოესმა. უმალ დარწმუნდა, რომ, მას აქ კარგი ცხოვრება არ მოელის.

– შავები არიან? ნაბიჯი წინ.

ეტაპი გაინაბა. მწყობრიდან გავიდნენ მხოლოდ გიორგი და ლვოვსკი. ერთი ნაბიჯის გადადგმით, ისინი თავს სატანჯავად წირავდნენ, რომლის შესახებ ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. რიგში დგომით ისინი ძალაუნებურად ჩაირიცხებონენ მორჩილთა რიცხვში, ვინც კმაყოფილი იყო ადგილობრივი წესებით.

არჩევანი უეცრად, ფიქრის გარეშე გაკეთდა. კოლონა აბანოში წაიყვანეს. გიორგი და სერიოგა ჩამორჩნენ მწყობრს და აუჩქარებლად, ყველაზე ბოლოს მიაბიჯებდნენ.

აბანოში ეტაპს თავები გადაპარსეს და სამოქალაქო ტანსაცმლის ნაცვლად „სახაზინო“ ჩააცვეს. გიორგის ფეხებთან დაუგდეს რამდენიმე წლის ნახმარი ნივთები – ბამბის ქურთუკი დახვრეტილი, მოკლე შარვალი, ორი ზომით დიდი ფეხსაცმელი, ხოლო საზამთრო ქუდი თავზე ძლივს ჩერდებოდა. ერთი სიტყვით, გამოწკეპილი „კოზიოლების“ ფონზე იგი ბალაგანის კლოუნს მიაგავდა. ცდა, რაღაც ახალი და მისი ზომის მიეღო, ჩხუბით დამთავრდა.

[1] ბაკსი – დოლარი.

[2] კოზიოლი – პატიმარი, რომელიც თანამშრომლობს ციხის ადმინისტრაციასთან.

აბანოდან კარანტინისკენ მიმავალ გზაზე გიორგიმ შეამჩნია, რომ ყველა საცხოვრებელი ბარაკი გარედან შემოსილი იყო ეგრეთწოდებული „ლოკალკით“[1]. ასეთი სისტემა ბარაკებს უსპობდა ერთმანეთთან კავშირის საშუალებას. კარანტინი საჯარისო სისუფთავით ბრწყინავდა. ავტოზაკის ყანყარით დაღლილი, გიორგი ერთ კოხტად გაშლილ საწოლზე გაიშხლართა. ამ დროს ვიღაც გამხდარი გამოხტა და ამოიყეფა:

– აბა ადექი! გასაყარზე ბრძანების მიღებამდე დაწოლა აკრძალულია.

გიორგის ყურადღება არ მიუქცევია. გალეულმა განაგრძო ღრიალი, რაღაც არსებულ წესებზე, თანაც იმუქრებოდა, რომ უფროსობას მოახსენებდა. გიორგი დარწმუნდა, რომ მის წინ არამკითხე ლაქია იდგა, ურჩია მოშორებოდა, შეუბღვირა და მიუგო:

– შენ, მეგობარო, გაიქეცი და მომიყვანე კარანტინის ბრიგადირი, მასთან ლაპარაკი მსურს.

ერთ საათში ბარაკში შემოცვივდნენ ოთხი იმათთაგანი, ვინც ეტაპს მოედანზე შეხვდა. გიორგი საწოლიდან წამოდგა, მიუახლოვდა, მიესალმა და შესთავაზა საუბარი გაეგრძელებინათ თეთრეულის საწყობში, ზედმეტი მოწმეების გარეშე. სკამზე ჩამომჯდარმა გიორგიმ მაგიდაზე ჩაი, შოკოლადის ფილა და „მარლბოროს“ შეკვრა დაალაგა. გააბოლა და სხვებსაც ურჩია, მაგრამ მათ გადაჭრით თქვეს უარი, რადგანაც ამის უფლება არ ჰქონდათ.

– თქვენთვისაც არ შეიძლება? აბა რისთვის გაბოზდით? კარგი, მოვადუღოთ ჩაი, დავსხდეთ და ვისაუბროთ.

ზონის წესრიგის სექციის თავმჯდომარე, უბრალოდ „მთავარი კოზიოლი“ დაუფარავი გაკვირვებით შეეკითხა:

– შეიძლება, ქურდმა „კოზიოლებთან“ ჩიფირი დალიოს?

– რატომაც არა? თქვენ რა, „პეტუხები“[2] ხართ? არა? მაშინ პრობლემა რაა. ჩვენს ქურდულ ცხოვრებაში, მხოლოდ „პეტუხებთან“ არ იყოფენ ლუკმას. როგორც ჩანს, თქვენ ცუდად იცნობთ კანონებს. მერე მე სულაც არა ვარ ქურდი. ვცდილობ წესიერად ვიცოცხლო და ცხოვრებით ვიყო „მაწანწალა“. რასაც ჩემზე გაიძახიან, ეს უბრალოდ ჭორია. ვხედავ მე თქვენს სისტემაში ვერ ჩავეწერები, არადა თანაარსებობა როგორმე უნდა შევძლოთ, თუ ასე მოვიქცევით. მე აქ ყოფნის სამი თვე დამრჩა, ისიც ვიცი, რომ კარანტინიდან ბანაკში გადიან მხოლოდ მორიგის სამკლაურზე, საკონტროლო ზოლის დასუფთავებაზე და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე მორჩილებითა და თანხმობით. აღარაფერს ვიტყვი სამუშაოზე გამოსვლაზე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მოწევაზე, მწყობრში სიმღერით სიარულზე, ღამის გასაყრისზე, დილით ადგომაზე და სხვა შეზღუდვებზე. ეს ყველაფერი ჩემთვის მიუღებელია. თქვენ თქვენი მისამართები მომეცით. ერთი კვირის განმავლობაში თითოეულის ოჯახი საჩუქრად მიიღებს ხუთას-ხუთას დოლარს. ამის საფასურად ყველაფრის გვერდის ავლით მე უნდა გამიშვათ ბარაკში და მომცეთ საშუალება მშვიდად დავასრულო ვადა.

გაურკვეველი მიზეზებით „კოზიოლები“ ამაზე არ დათანხმდნენ. პირიქით, შეეცადნენ დაერწმუნებინათ გიორგი, შეგუებოდა დადგენილ წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ კარცერით, საიდანაც, აუტანელი წამების შემდეგ, დაუმორჩილებელი და გაუტეხელი არასოდეს არავინ გამოსულა.

– გამოდის, რომ ჩემი ბედი ასეთია. წამიყვანეთ იზოლატორში. იქ გამოჩნდება ყველაფერი.

ნახევარ საათში იგი ადგილზე მიიყვანეს. მორიგე ოფიცერმა, ორი „კოზიოლის“ თანხლებით, ჯიუტი ტუსაღი დერეფნის გავლით დაშორებულ საკანში მიიყვანა. ქურთუკი გახადეს, ჩაამუხლეს და ხელბორკილებით ჩაბეტონებულ მაგიდაზე მიაბეს, სარკმელი მთლიანად გააღეს, რამდენიმე ხელჯოხი გადაუჭირეს და გავიდნენ.

ქუჩიდან შემოსულმა სიცივემ თანდათანობით გაავსო საკნის სივრცე. შიშველ სხეულს მხოლოდ ტუსაღის თხელი ქსოვილი ფარავდა. განწირული იყინებოდა, ციებიანივით კანკალებდა, თუმცა სიარულით რომ გამთბარიყო ამის არავითარი საშუალება არ გააჩნდა. მაგიდაზე მიბმულს ისღა

[1] გისოსები, რომლითაც პატიმართა ბარაკები განცალკევებულია ერთმანეთისგან.
[2] ციხეში გაუპატიურებული, ქათმებსაც ეძახიან.

შეეძლო მხოლოდ დროდადრო გვერდზე გადაბრუნებულიყო. ამას ის აკეთებდა ნელა, რადგან მკვეთრი მოძრაობით, ხელბორკილები კიდევ უფრო უჭერდა მაჯებს. ზოგჯერ შეკრთებოდა ყვირილზე, რომლის ექო ცარიელ დერეფანში ვრცელდებოდა. მოეჩვენა, გათენებას საუკუნე დასჭირდა. დილით მოვიდნენ და მაგიდაზე ბალანდა[1] დადგეს, ხელები გაუხსნეს და წავიდნენ. შიმშილობაგამოცხადებული გიორგი საჭმელს არ მიეკარა. სიცივით წამება, რაც მოძრაობის საშუალებას არ იძლეოდა, ორი დღე-ღამე გაგრძელდა. იატაკზე გორვისას ყველას დედის გინება დაატეხა, საპასუხოდ შემოცვივნულნი ხელჯოხებით უსწორებდნენ ანგარიშს. მესამე დღეს დილით, იგი იზოლატორის მოპირდაპირე მხარეს გადაიყვანეს. ახალი საკანი უფრო დიდი და, ამასთანავე, უფრო ცივი აღმოჩნდა. გაყავდათ გასასეირნებლად, მაგრამ ეს იყო არა რაიმე განსაკუთრებული შემსუბუქება, არამედ კიდევ უფრო სასტიკი წამება. მას თხელი პერანგით ოცგრადუსიან ყინვაში ერთ საათზე მეტ ხანს ტოვებდნენ სასეირნო ეზოში. რომ არ გაყინულიყო, ირგვლივ სულ წრეებს არტყამდა. ბოლოს დაუძლურებულ პატიმარს ჯოხების ცემით საკანში აბრუნებდნენ. ამ საკანში მაგიდა არ იდგა, ამიტომ ფეხზე მდგომს ბორკილებით კარის ბადურაზე აბამდნენ თითქმის გაშლილი ხელებით. ფეხით წვდებოდა მოსასაქმებელს, რომელიც კუთხეში იდგა. „პარაშას“ ფეხით მოაჩოჩებდა და ნახევრად მოხრილი ჯდებოდა მეტალის სახურავზე. აქვე კართან დიდი ხელსახოცი ეკიდა, რომელიც შეიძლებოდა თავზე წამოეხურა და ასეთი წესით შეექმნა ჩაკეტილი სივრცე, რომელიც სუნთქვით თბებოდა და სახეს და მხრებსაც უთბობდა.

სალაფავს არ ჭამდა, მაგრამ მაინც მოჰქონდათ და ეს იყო პატარა დღესასწაული. ამ დროს, ხელბორკილისგან თავისუფალს შეეძლო მიახლოებოდა ოდნავ თბილ ბატარეას. ნეტარებას წყვეტდა კარების გაღება და გამძვინვარებული ოფიცრის ყვირილი:

– როცა შემოდის უფროსობა, ადექი და პატაკი ჩამაბარე!

ანგარიშით კარცერში ყოფნის მეშვიდე დღეა. მთელ ამ დროს ის ერთხელაც არ შეხვედრია პატიმრებს. სასეირნო ეზოდან შეიძლებოდა დაგენახა ორსართულიანი შენობა, სადაც ის ჰყავდათ გამომწყვდეული. პირველ სართულზე იზოლატორი, ხოლო მეორეზე გაძლიერებული რეჟიმის ბარაკია. ზემო სართულის სარკმლიდან სიგარეტის კვამლი გამოდიოდა და თუ ყურს მიუგდებდი, ხმებსაც გაიგონებდი. რამდენჯერმე გიორგი შეეცადა იქ მყოფთათვის ხმა მიეწვდინა, მაგრამ სართული რატომღაც დუმდა. ისე მოგეჩვენებოდა, რომ ამ პირქუშ შენობაში მარტო იყო და სწორედ აქედან ეძალებოდა დათრგუნვის გრძნობა. აწყნარებდა და აიმედებდა მხოლოდ ის, რომ ვადის გასვლამდე რაღაც სამი თვე იყო დარჩენილი.

– მოითმინე, მოითმინე, მოითმინე – ურჩევდა იგი თავისთავს.

ბოლოს და ბოლოს უთხრეს, რომ უმოწყალოდ გაიმეტებდნენ და შეაგდებდნენ „ქათმების“ ბარაკში. გატანჯულს კარგად ესმოდა მდგომარეობის სირთულე. ეს ცხოველები ამაზეც წავიდოდნენ. თავში თავის მოკვლის აზრი კიდევ უფრო მომწიფდა. სულ იმას ნანობდა გიორგი, რომ არ ჰქონდა საპარსავები. რა სიამოვნებით გადაიჭრიდა ვენებს. შეიძლებოდა პირსახოცსაც ჩამოკიდებოდა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მისი ზოლებად დაჭრა, გადაბმა, პარაშის მიჩოჩება სარკმლიან კედელთან, მასზე ასვლა და ზოლის, ფანჯარაზე მიმაგრების შემდეგ, ძირს ჩამოკიდება. შიშველი და შეკრული ხელებით პირსახოცის დაჭრა შეუძლებელია, ის ათი წუთი, ბორკილებს რომ ახსნიან, ამისთვის საკმარისი არაა. იმის გააზრებამ, რომ თავის მოკვლის შესაძლებლობაც არ აქვს, საგონებელში ჩააგდო და წყნარად ატირდა.

როგორმე „ზონის პატრონს“ უნდა შეხვედროდა. მხოლოდ მის ბრძანებას შეეძლო შეეწყვიტათ წამება. დადგა დრო მიემართა უკიდურესი ზომებისთვის, რაც შეცვლიდა აუტანელ პირობებს. და აი, როცა საკანში შემოვარდა ის ოფიცერი, გიორგი ადგა და მოწყვეტით თავი აძგერა

[1] ბალანდა – სალაფავი.

კედელზე მიმაგრებულ რკინის თაროს. სისხლმა შადრევანივით იფეთქა და ოფიცრის ნაფერებ სახეს შეეშხეფა. გიორგი ისტერიულად კიოდა:

– დალიე, ძუნკალო, ჩემი სისხლი, დალიე! პატრონი მოვიდეს ჩემთან.

გატანჯულმა, წამებითა და შიმშილით დასუსტებულმა ტუსაღმა გონება დაკარგა და იატაკზე დავარდა.

აზრზე მოსულმა დაინახა ადგილობრივი ფერშალი და ორი ოფიცერი, თავი შეებანდათ, მაგრამ სისხლი მაინც ჟონავდა.

– სიარული თუ შეგიძლია, უფროსი გელოდება – ჩაილაპარაკა ერთმა.

დერეფნის გავლით იგი მორიგის ოთახში შეიყვანეს, სადაც მაგიდასთან ოდნავ მოსუქებული, ორმოციოდე წლის, პოდპოლკოვნიკი იჯდა. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ მას პირველად და უკანასკნელად ხედავდა, ხანგრძლივი საუბრის დროსაც არ მისცემდნენ და ჩასისხლიანებულმა და ნერვიულად აცახცახებულმა წამოისროლა:

– უფროსო, თქვენ პირადად რა დაგიშავეთ ისეთი, რომ ჩემი სიკვდილი გინდათ. რა, თქვენი ცოლი ან ქალიშვილი გავაუპატიურე? სახლი გაგიძარცვე? მშობლები დაგიხოცე? რატომ, რისთვის? თქვენთვის არ კმარა, რომ მთელი აქ ყოფნის დროს არ მომხსნეს ხელბორკილები და ძაღლივით მცემენ ყოველდღე? ამის მიუხედავად, „ქათმების“ ბარაკში გაუპატიურებასაც მპირდები. მესმის, რომ შენს ხელში ვარ, მაგრამ, არ გეგონოს, ამის გამო, აქვე, შენს ბოზურ ზონაში, მოვიკლავ თავს. დიდხანს არ მიწევს აქ ჯდომა, გავთავისუფლდები, შენს თვალწინ შენს შინაურებს დავღადრავ და აუჩქარებლად, სიამოვნებით შენც ჩაგაძაღლებ. მხოლოდ ამის შემდეგ აღვმართავ ხელს საკუთარ სიცოცხლეზე. ახლა გადაწყვიტე, გასცემ ბრძანებას, რომ თავი დამანებონ თუ აქვე, ახლავე მომკლავ! მესამე გზა არ არსებობს!

პოდპოლკოვნიკი წამოხტა, ტუსაღს ხელჯოხი გადაარტყა და იღრიალა:

– გაიყვანეთ ეს არამზადა! ხელბორკილები არ მოხსნათ, თვითმკვლელობის მიდრეკილება აქვს!

გიორგი დააბრუნეს საკანში. დღე მშვიდად გავიდა, ღამით კარი გაიღო და შემცვლელი უცნობი ოფიცერი შემოვიდა, მიესალმა და დერეფანში გაიყვანა. რატომ ღამით? სად მივყავარ? პატიმარს აერია აზრები. სამორიგეოში შევიდნენ. ოფიცერმა სკამი მიუჩოჩა და სიგარეტი შესთავაზა. ვერაფერი გაიგო, ბოლო ათ დღეში პირველად მოსწია. მორიგემ ჩაი დაასხა და ჩაილაპარაკა:

– არ გაგიკვირდეს, საკანში რომ არ მოგეცი მოსაწევი, იქ ხუთი წელია არავის მოუწევია, დილით სხვა ცვლა მოვა, თამბაქოს სუნი რომ ეცემათ, უფროსობას შეატყობინებენ, უსიამოვნებები კი არ მინდა. ამიტომ იჯექი, სული მოითქვი, ჩაი დალიე, ორიოდე სიგარეტი გააბოლე. ყოჩაღ, ყველას არ შეუძლია ასეთი რამ ჩაიდინოს.

ეს უცნობი ოფიცერი, ამ დროს მას მოეჩვენა ყველაზე კეთილშობილ და წესიერ კაცად. ასე ტკბილად არასოდეს მოუწევია და არც ჩაის შექცევია. ცხოვრებაზე საუბრის შემდეგ, ოფიცერმა ტუსაღი საკანში დააბრუნა, იატაკზე ლეიბი დაადგო და წყნარად თქვა:

– ორიოდ საათი იძინე, ადგომის წინ მე შემოვალ, ლეიბს წავიღებ და ბორკილებსაც დაგადებ.

გიორგი დაწვა. ათასი ფიქრი უტრიალებდა გონებაში. ასეთ ჯოჯოხეთშიც სამყარო კეთილი ადამიანების გარეშე არ არსებობს. იგი პატივდებულია, რომ გაიმარჯვა. როგორც ჩანს, მისი მუქარა დამარწმუნებელი აღმოჩნდა და პოდპოლკოვნიკმა თავისი მუქარის აღსრულება ვეღარ გაბედა; ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შესაძლოა მასშიც გაიღვიძა სინდისმა. ასეა თუ ისე, ამ დღიდან ყველაფერი უკუთესობით შეიცვალა.

რამდენიმე დღით განცალკევების შემდეგ, როგორც იქნა გიორგი კარანტინში დააბრუნეს, სადაც გაატარა დარჩენილი დრო. 1996 წლის გაზაფხულზე საპატიმროს კარებთან ძმისშვილი შეხვდა.

– არაყი გაქვს?

ბიჭმა ნახევარლიტრიანი ბოთლი გაუწოდა. გიორგიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ბანაკის მრუმე კარებს, ბოთლი ყელში ჩაიპირქვავა, ჩაისუნთქა და ამოიძახა:

– სალამი, თავისუფლებავ!

მთარგმნელი **ანდრია დურმიში**

როსტომ ჩხეიძე

გზა ზიგზაგური ნოდარ დუმბაძისა

(ბიოგრაფიული რომანიდან რეზო ჭეიშვილზე „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“)

1980 წლის 26 იანვარს ნოდარ დუმბაძეს რომ ნახავდა, ძალიან მოტეხილი მოეჩვენებოდა და 28 იანვრის დღიურში გაკვირვებას გამოთქვამდა რეზო ჭეიშვილი:

50 წლის კაცი რატომ უნდა გამოიყურებოდეს ამნაირადო?!.

50 წელი პირობითად ითქმის, მაგრამ თუ მაინცდამაინც დაზუსტებას მოვინდომებთ: 52 წლისა იქნებოდა იმჟამად ნოდარ დუმბაძე. ასაკი ვერას დააკლებდა და ვერც მოტეხდა, მაგრამ გულის სნეულება კი სულ უფრო და უფრო მწარედ აღებეჭდებოდა სახეზე, საბოლოოდ კიდეც გული რომ იმსხვერპლებდა.

იყო დრო, როდესაც საკმაოდ ახლოს იქნებოდნენ ნოდარ დუმბაძე და რეზო ჭეიშვილი – სამსახური დააახლოებდათ: კინოსტუდია, დღედაღამ იქ რომ უწევდათ ყოფნა; და ამას გარდა სამსახურს გარეთაც ხშირად მოუწევდათ ერთად წასვლა-წამოსვლა – ჭირსა და ლხინში, და სხვადასხვა შეხვედრებზეც. ის კი არა, ნოდარი მანქანის მართვას რომ ისწავლიდა, სწავლის პროცესშიც დაჰყვებოდა რეზო და მერე ერთადაც იმგზავრებდნენ ხოლმე...

არსებითად იქიდან უნდა დაწყებულიყო ნოდარ დუმბაძის წინსვლა – წინსვლა სულაც ტრიუმფალური – კარიერულ კიბეზეც და ლიტერატურულ ასპარეზზეც, არც პოპულარობა და სახელი რომ არ დააკლდებოდა და არც პრემიაჯილდოები.

აღტაცებული იქნებოდა ხალხი.

მოწყალებად დაიღვრებოდა მთავრობა.

რეზო ჭეიშვილი კი წლების განმავლობაში ვერა და ვერ მოიცილებდა ახალგაზრდა მწერლის სახელსა და ნიჭიერის ეპითეტს, ისე რომ გაღიზიანდებოდა ამ ეპითეტის გაუთავებელი ხსენებით, უკვე დამღასავითაც აღიქვამდა.

ნოდართან ურთიერთობა გაუიშვიათდებოდა, თუმც თუ ვინმე ადევნებდა თვალყურს, და აფასებდა რეზო ჭეიშვილის მხატვრულ ქმნილებებს, ერთ-ერთი ნოდარიც იქნებოდა, ხმა რომ მოსდიოდა დროდადრო რეზოს: აქ გაქო და იქ გაქოო.

და აი კარგა ხანია რომ არ ენახა, მითუფრო მძაფრად იმოქმედებდა მასზე ის შეხვედრა, დაბერებული რომ მოეჩვენებოდა, ასე ნაადრევად მოტეხილი.

ჯანმრთელობის განსახიერებად მიიჩნევდა ახალგაზრდობისას, გუნებაში შენატროდა კიდეც: რა იქნებოდა, მეც მქონოდა ამასავით რკინის სხეულიო და... უეცრად ასე...

და მის ცხოვრებას რომ გახედავდა:

ტეხილებით, აღმა-დაღმა მიდიოდა, ადიოდა ზენიტზე და რაღაც ემართებოდა, ბედი და უბედობა არ ასვენებდა. მაინც იერარქიებზე, საფეხურებზე ფიქრობდა. არ ყოფილიყო მისი ცხოვრება მისი ბუნებრივი მდგომარეობა. სხვანაირად არ შეეძლო ეტყობა და... რეზო ჭეიშვილიც არაფერში ამტყუნებდა.

1981 წლის 27 დეკემბრის დღიურში უფრო გაშლიდა დახასიათებას და მინიშნებებსაც გახსნიდა, სილუეტის მოხაზვას ასე რომ დაიწყებდა: საინტერესოდ შემოვიდოდა მწერლობაში, მოვიდა და მოიტანა ახალი, სუფთა, მართალი და სადა. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ ვგულისხმობ უპირველესად. მოუწონეს, სამაგიეროდ დამსახურებისდამიხედვით, ზომიერად მიუზღესო.

შემდეგ რაღა მოხდებოდა?

აღებულ კურსს, ნაცად, გამართლებულ გზას გაჰყვებოდა თითქოს, ეს – ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი საწინააღმდეგო გზით წავიდოდა.

მიზნად დაისახავდა: ეამებინა ხალხისთვისაც, მთავრობისთვისაც, ქურდებისთვისაც და მილიციელებისთვისაც.

მთავრობას კბენდა და ხალხს აცინებდა, მაგრამ მისი კბენა ღიტინს ჰგავდა და მთავრობაც იფხრიწებოდა.

ანუ: ხალხზე, მთავრობაზე, ქურდებსა და მილიციელებზე აეღო გეზი. რაც უნდა პარადოქსულად მოგჩვენებოდა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

ესეც არაფერი. მთავარი და უცნაური ის გახლდათ, რომ:

მიზანს კიდეც მიაღწევდა და სამუდამოდაც მოინადირებდა ხალხის, მკითხველის, მთავრობისა და ადმინისტრაციული მუშაკების (ჯარებსაც გადაწვდებოდა) გულს.

სიცოცხლეშივე ცხონდებოდა.

ეთქვა და ამბობდა კიდეც:

– პირველმა მე მოვახერხე რელიგიისა და პარტიულობის შერწყმა.

და თავს ვერ შეიკავებდა ირონიული ჩაკვრისაგან რეზო:

ისევე სჯერა, ალბათ, რელიგიის, როგორც საიქიოსი და კომუნიზმისაო.

1982 წლის 18 მარტს ჩაინიშნავდა, ნოდარ დუმბაძე რომ მოენახულებინა წინა დღეს „ლეჩკომბინატში“. მთელი აპარტამენტი ეჭირებოდა მეორე სართულზე. პოლიტბიუროც სტუმრებოდა თურმე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც მოსულიყო მის მოსანახულებლად.

1983 წლის 16 მარტს მწერალთა კავშირს რომ მიაკითხავდა, ნოდარი კარგად დაუხვდებოდა.

10 ივლისს სახელდახელოდ ჩაინიშნავდა, რომ:

ახლა ანზორ სალუქვაძესთან უნდა გაეარა, რათა ნოდარს სტუმრებოდნენ საგურამოში.

17 ივლისს ნოდარის მონახულების შთაბეჭდილებებს გაიხსენებდა.

იქ დახვდებოდათ ირაკლი აბაშიძე ვიღაც სომეხ მწერალთან – სუფთა სომეხს რომ არა ჰგავდა – ერთად. როდესაც ირაკლი გაიგებდა – საკმაოდ მოგვიანებით – რეზო ჭეიშვილის ვინაობას, ძალიან მოეფერებოდა. ეს მოხდებოდა მეორედ. პირველი შეხვედრა აღარც ახსოვდა თურმე. ბოლოს ეტყოდა:

– ერთი ქუთაისში წამიყვანე.

და ამას გუნებაში გაეღიმებოდა: ვითომ წამყვანი აკლდეს ან ჭირდებოდესო.

ნოდარი ვერ იქნებოდა კარგად. იქაც ცხელოდა და იქაც უჭირდა გაძლება, როგორც ეტყობოდა. რეზოზე იტყოდა:

– რამდენი ვინმე გადავიკიდე ამის გულისათვის.

– რატომ? – იკითხავდა ირაკლი.

– მიყვარს და: რატომ გიყვარსო.

სინამდვილეში რამდენჯერმე ეხსენებინა კარგად და ამაზე ესაყვედურათ – რეზომდეც მოსულიყო ხმა – ზოგიერთებს, მიუხედავად იმისა, რომ: რეზოს სიყვარულითა – სხვებისა არ იყოს – და ქებით მაინცდამაინც არასოდეს იკლავდა თავს.

ნოდარი მართლა ცუდად იყო, რეზო კი ძალად იხდიდა თავს ცუდად. ეს დღეები ეგდო შინ

და სულს ღაფავდა ამ სიცხეში. აქამდე დღიურის გადაშლის თავი და ხალისიც არ ექნებოდა. ნაკვეთში ავიდოდა ოთხშაბათს, მუხათწყაროში, ტყეში წამოწვებოდა და... ვერ გაჩერდებოდა, იქაც ეცხელებოდა, თანაც სიმაღლე იმოქმედებდა. სამშაბათს ქვიშხეთში იქნებოდა დაკრძალვაზე და იქაც ეცხელებოდა. და დღესაც იწვოდა ქვეყნიერება, თუმც მხოლოდ – რაღა მხოლოდ – შუადღე მოსულიყო.

14 ივნისს რევაზ მარგიანს დაასაფლავებდნენ. მთავრობა – შეოს, ასე მოიხსენიებდა ედუარდ შევარდნაძეს, მეთაურობით – იდგებოდა და გამოსვენებას დაელოდებოდა. სვანებსა და საქართველოს ერთიანობას, სიმტკიცეს (და ჩაურთავდა: ამდენს კი ხვდებიანო) სცემდნენ პატივს.

ნოდარ დუმბაძე ამოუდგებოდა მთლად უფროსს გვერდით და საუბარს (ალბათ, საქმიანსო, – ესეც როგორ არ ჩაეკრა შეფარული ირონიით) გაუბამდა. შეხედავდა ნოდარს და... ცუდად გახდებოდა: სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. მართლაც ცუდად უნდა ყოფილიყო და ამას უკვე ყველა ამჩნევდა.

22 ივნისს რომ ნახავდა, უამურ გუნებაზე დადგებოდა.

– ვერა ვარ კარგად, დავძაბუნდი, – თვითონვე ეტყოდა ნოდარი.

სამსახურში ერთობოდა, ავადმყოფობას ეთიშებოდა იმ რიარიაში და ეს შველოდა რამდენადმე.

20 აგვისტოს ჩაინიშნავდა, რომ: სულ ახლახან ენახა ნოდარი.

– როგორა ხარ?

– ახლა კარგად, გუშინ ცუდად ვიყავი.

ვკვდებოდი და ახლა აღარ ვკვდებიო, – ეს ასე აღიქვამდა იმ პასუხს და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: უკანასკნელად ვხედავო. და დასცდებოდა დღიურის შევსებისას: ამნაირი სიცოცხლეც შევარცხვინეო. ბედნიერი ყოფილიყო მართლაც ზერო – არც შეწუხებულიყო და არც არავინ შეეწუხებინა სულის ამოსვლამდე. ხვალ იყო იმისი დაბადების დღე და რეზო გადაწყვეტდა: საფლავზე გავალო.

მამუკაზე, შვილზე, ცუდ სიზმარს ნახავდა, დაიწყებდა რეკვას ბიჭვინთაში და ვერ დარეკავდა. ჩააკითხავდა ორ დღეში და ეგ იქნებოდა.

კვაჭიელასაც გადააწყდებოდა, ნოდარ გერაძის პროტოტიპს, ფეხბურთზე რომ მიდიოდა და ამასაც წაიყვანდა. სტადიონზე პრესისა თუ ტელევიზიის წარმომადგენელი გამოეცნაურებოდათ, მაკა კილაძე, და ერთად ავიდოდნენ ბაგრატის ტაძარზე. მიივლ-მოივლიდნენ ახალგაწმენდილ ადგილებს. ნახავდა არქეოლოგ ომარ ლანჩავასაც.

– ხშირად ამოგაკითხავ, – შეპირდებოდა.

– მიგულე ყოველნაირ მასპინძლად, – თავისას აღუთქვამდა ისიც.

მართლაც საგულისხმო გათხრებად მოეჩვენებოდა – სადაც ბარს დაჰკრავდნენ, რაღაც ამოდიოდა, და გუნებაში ჩაითქვამდა: მართლაც ხშირად უნდა ჩავაკითხო. მოვა დრო, იქ გავათენებ და დავაღამებო.

ახლა გათხრებზე ცოტა პარტიზანულად მუშაობდნენ და ეს არ მოეწონებოდა.

თბილისში უკვე აცხებოდა ხელახლა...

და კიდევ ერთხელ დანანებით:

ნოდარი ცუდად არიო...

ერთნაირად მიდიოდა ყველა, ვინ რას ჭამდა და ვინ რას სვამდა, არავინ კითხულობდა. გინდ მოგევლო თავისათვის და გინდაც ნუ მოუვლიდი. ცოტა იქით და ცოტა აქეთ – ეს იყო და ეს სულ.

გიგასაც ნახავდნენ, ლორთქიფანიძეს, რეზო და ლევან მალაზონია იქნებოდნენ, და ბახტურიძეც. რომ გამოდიოდნენ, ტარიელ ჭანტურია შეხვდებოდათ „ლეჩკომბინატის“ კართან, შემოსჩივლებდათ:

– არ მიშვებენ.

– რას მეუბნები, – გაიკვირვებდა რეზო, მისცემდა 3 მანეთს შემშვებს და ისიც ამათ გამოუშვებდა და ტარიელს შეუშვებდა.

13 სექტემბერს თვითმფრინავის ბიჭების შეწყალება-არშეწყალება და ნოდარ დუმბაძის ავადმყოფობა იქნებოდა სალაპარაკო. ნოდარი თითქოს შედარებით უკეთესადაც იქნებოდა.

ოთარ ნოდიას მოენახულებინა და ცუდ გუნებაზე იქნებოდა: ანდერძი დამიბარაო...

რა ანდერძი იგულისხმებოდა, რეზო მაშინვე მიხვდებოდა: ქალიშვილებს – ორივე იქ, სანოდიოში (ლიტერატურულ ჟარგონზე როგორც ეძახდნენ მთარგმნელობით კოლეგიას) მუშაობს, მსახურობენ – მიმიხედეო, ეტყოდაო...

და აი 14 სექტემბრის ჩანაწერში, მას შემდეგ, რაც ალექსეი ტოლსტოის მიერ „პინოქიოს თავგადასავლის“ გადმოკეთება-გადმორუსულებას ჩაუკვირდებოდა, აღნიშნავდა, რომ:

გარდაიცვლებოდა ნოდარ დუმბაძე.

ხომ ელოდნენ, მაგრამ მაინც მოულოდნელი ეჩვენებოდა. ასე მალე თუ აღესრულებოდა, ნამდვილად ვერ იფიქრებდა. ოცი დღის წინათ რომ ნახავდა, მიხვდებოდა: უკანასკნელად ვუყურებო.

ნანული, ნოდარის მეუღლე, შემოსტირებდა:

– გუშინ გახსენებდა.

ცნობისწადილი კი წაძლევდა, შეეტყო, მაგრამ თავი უნდა შეეკავებინა, აბა ხომ არა ჰკითხავდა: სიკვდილის დღეს რასთან დაკავშირებით მახსენებდაო.

გუშინ სამსახურიდან ძალიან გვიან გამოვიდოდა, და უკვირდა და ვერ აეხსნა: როგორ არავინ დარეკაო?!.

სხვა თუ არაფერი, სანოდიოში, სადაც მანანა და ქეთინო მუშაობდნენ (მანანა მგონი არაო, – ჩაურთავდა), როგორ ვერ გაეგოთ მაშინვე. შემდეგ იორამ ქემერტელიძეს წაიყვანდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. იქაც არაფერი ეცოდინებოდათ. შემდეგ „ქალაქურში“ ისხდებოდნენ: რეზო, იორამი, ოთარ მამფორია, ლევან მალაზონია, გურამ სხირტლაძე, ბიძინა მინდაძე და ვინმე ჭავჭანიძე... ეს და იორამი ადრევე წამოვიდოდნენ. დალევით არ დალევდნენ.

ეს უყურებდა ტელევიზორს, „ვრემიას“, შემდეგ კიდევ რაღაცას... დარეკვით არავინ დაურეკავდა, თუმც ტელეფონიც ცუდად მუშაობდა...

დილით მამულში წავიდოდა, მუხათწყაროში. შუადღით კარლო ამოივლიდა შაბიამნისფერი მანქანით და შორიდანვე მოაძახებდა:

– ნოდარი რომ მოკვდა, თუ იცი...

ჩამოვიდოდა, გამოიცვლიდა ტანსაცმელს, ბენზინს ჩაასხამდა, ავიდოდა ოჯახში და 8 საათამდე, უფრო გვიანობამდეც დარჩებოდა.

ხალხი ცოტა იქნებოდა... სეირის მაყურებლები არ გამოჩნდებოდნენ. რამდენჯერმე რომ გავრცელდებოდა ნოდარის სიკვდილის ხმა, ახლა ნამდვილად საეჭვო ეგონებოდათ, ალბათ. ასე ახსნიდა და სხვა ახსნას ვერც მოძებნიდა.

ქვევით მილიცია იდგებოდა უსაქმოდ. გურამ ენუქიძე და სოლიკო ხაბეიშვილი ელაპარაკებოდნენ ნანულის. ეს ნანულის მიუსამძიმრებდა და ამ დარბაისელ ხალხს ხელსაც არ ჩამოართმევდა.

თავს იმართლებდა: ყოველთვის ვიბნევი ამნაირ სიტუაციაშიო.

ძალიან ეწყინებოდა, ასე რომ გაწვალდებოდა ნოდარი. ეცოდებოდა. რა შეიძლება თქმულიყო თუნდაც მის შემოქმედებაზე?!.

დადიოდა, ფიქრობდა, ყველაფერს იხსენებდა, ავსაც და კარგსაც. ხან რომ ახარებდა და ხანაც აღიზიანებდა.

ხალხსა და მთავრობას ერთნაირად რომ მოეწონებოდა, ესეც სიმპტომატური ეჩვენებოდა ნოდარ დუმბაძის ხასიათისა და შემოქმედებითი მრწამსისათვის, სტილისა და პიროვნებისთვის თუნდაც.

კარგიც იქნებოდა და გლახაც იმ მომენტში რასაკვირველია.

საოცრად სწრაფად და უნარიანად აუღებდა ალღოს დროს, სიტუაციას, მასობრივი მკითხველის გემოვნებას.

გაუსწორდებოდა, გაუსწრებდა მკითხველისა და მთავრობის გემოვნებას და შედგებოდა...

სულის, თავისი სულის ტრაგედიას ვერ აღწერდა...

უფრო რთულად იქნებოდა საქმე მის სულში, მის სხეულში, მის გარშემო... გრძნობით იგრძნობდა, როგორ არა, მაგრამ სულ კომპრომისს კი დაეძებდა...

და დატოვებდა მშვენიერ, თუმც არათანაბარ, არამთლიანი ძალის ნაწარმოებებს...

ხელახლა გადაიკითხავდა ახლახან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, კარგი იყო, ალბათ, „თე-

თრი ბაირაღებიც“, „მარადისობის კანონიც“ და რამდენიმე მოთხრობაც... ბაბუა და შვილიშვილი, შემდეგ ძაღლის მოკვლა. რა სათაური ჰქონდა ამ მოთხრობას, ველარ გაიხსენებდა, თუმც მშვენიერი კი გახლდათ...

რა სათაური ჰქონდა და: ასე უბრალოდვე – „ძაღლი“, თუმც სარჩევში აღარ ჩახედავდა დასაზუსტებლად და ამ გამჭვირვალე მინიშნებას იკმარებდა.

სხვათა შორის:

როდესაც ვახტანგ ჭელიძე ესეიში „ნოდარ დუმბაძის ორი გახსენება“ შეეხებოდა მწერლის ნოველების წიგნსაც, სულ ერთი წლის განმავლობაში დაწერილს, ამ ზოგადი შეფასების შემდგომ: წარმოგვიდგა ახალი მწერლური ძალით, როგორც მოთხრობის კარგი მხატვარი. სწორედ რომ მხატვარი, რადგან მოთხრობებში დახატულ გმირებსა თუ ცალკეულ სურათებს მკითხველი ისეთი თვალსაჩინოებით აღიქვამს, როგორც მხატვრის ტილოზე გაცოცხლებულსო, – სანიმუშოდ და განსაკუთრებულად გამოარჩევდა სწორედ ამ ნოველას: „ძაღლი“ – სათაურის მიუხედავად უაღრესად ადამიანურ მოთხრობას, ყველაზე გულისშემძვრელად კი იმ სურათს, როცა შინიდან გაგდებული ძაღლი, რომელიც უკვე ყველას დაღუპული ჰგონია, თავისი პატრონის, მოხუცი ადამიანის კუბოსთან მიდის, როგორც უახლოესი ადამიანის დასატირებლად შორიდან მოსული ჭირისუფალი.

და დასძენდა, რომ: ეს სურათი დახატული გახლდათ ჭეშმარიტი მხატვრის თვალითა და შთამბეჭდაობით.

ხოლო „გადანახულ ჩანაწერებში“:

მეტის გაკეთება შეეძლო და რაც გაეკეთებინა, ისიც მეტი გახლდათო.

ჭეიშვილური ფრაზა – ბევრგვარად დამუხტული, უფრო მეტს რომ გაგრძნობინებს, ვიდრე უშუალოდ ამოიკითხავ.

ესეც როგორ არ ეთქვა:

ჩვენზე მეტად იგრძნო დრო, მოიტანა ჩვენზე მეტი სიახლე და ჩვენზე მეტადაც იჩქარა სამწუხაროდო.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებასაც და ცხოვრებასაც დაკვირვებით, ცივი გონებით ესაჭიროებოდა თვალის გადავლება, – და სალიტერატურო კრიტიკას მიანდობდა ამ საქმეს რეზო ჭეიშვილი.

ჩანაწერი კი იმ სტრიქონს უნდა შეეკრა, შუა სექტემბერი რომ იდგა და ჭრიჭინობელების ხმა ისმოდა...

17 სექტემბერს ჩაინიშნავდა, თამაზ ბიბილური რომ დაურეკავდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციიდან:

– აუცილებლად უნდა დაწერო და მოიტანო ხვალვე ნოდარზე გამოსათხოვარი პატარა წერილი.

– ვნახოთ, თუ შევძელი.

– არავითარი ვნახოთ.

შემდეგ ემზარ კვიტაიშვილი მიაკითხავდა და იმავეს გაუმეორებდა. ეს შეატყობდა: გაზეთის აზრიც იცისო. ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა: ვახტანგ ჭელიძე რატომ არ შემეხმიანაო, – მაგრამ იქვე გააქარწყლებდა ამ ეჭვს: თამაზი მისი დავალებით რეკავდა ალბათო...

უნდოდა, რომ დაეწერა, განა არა. იჯდებოდა, იჯდებოდა, მაგრამ ვერაფერს დაწერდა.

გიორგი ნიშნიანიძე აჰყვებოდა მამულში, თავისი საქმე ექნებოდა და აემგზავრებოდა რეზოს. და ლაპარაკში ამასაც ეტყოდა:

– ნოდარმა იმდენი რამ გადაიტანა, მაინც სადღაც განწმენდილი წავიდა.

ამას მოეწონებოდა ეს აზრი და მაშინვე ჩაებღაუჭებოდა: გამოვიყენებო, – მაგრამ რას ეყოფოდა.

ჩაუკვირდებოდა, ჩაუკვირდებოდა და... შეეჭვდებოდა: მართალია კიო?..

უკეთესიც ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ შიშობდა, არაბუნებრივი არ გამოსულიყო.

გუშინ მამულში შოთა ნიშნიანიძესაც დაინახავდა, ჯემალ ჩახავას მოჰყოლოდა და იქაურობას ათვალიერებდა... ხოზე ადეიშვილიც იქ იქნებოდა და ეს სულაც არ გააკვირვებდა დღიურის ავტორს: ნოდარი აღარ არის, აღარაფერში გამოადგება და ნიშნიანიძეზე იღებს ორიენტაციასო.

ნიშნიანიძის გვარს რუსული შრიფტით რომ დაწერდა, ამითაც გააძლიერებდა ირონიას, რასაც გაძლიერება არც ესაჭიროებოდა, რაკიღა ასეთი სილუეტი დაიხატებოდა:

შავი პიჯაკითა და დეპუტატის ნიშნით დადიოდა იმ ხვატსა და პაპანაქებაში და თან ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალიან შეწუხებულს, ნოდარის დაკარგვით დადარდიანებულს აღარაფერი ახარებდაო.

– რა დროს ეს არი, ახლა აქ რა უნდა მინდოდეს, – ეტყოდა თითქოს, როცა რეზოს გამოელაპარაკებოდა.

გვიანი ღამე დადგებოდა და ეს კვლავ ბჭობაში იქნებოდა: დავწერო თუ არ დავწეროო?.. – ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

19 სექტემბერს მიიტანდა ნოდარზე წერილს მწერალთა გაზეთის რედაქციაში და დღესვე ენდომებოდა სტამბაში კორექტურის ნახვა. არ უყვარდა ასე ნაჩქარევად რაიმეს დაწერა და ეშინოდა, სანტიმენტალიზმი ხომ არ გაჰპარვოდა, მეტი ხომ არ ეთქვა ან რაიმე ხომ არ დაეკლო.

– სულ ნოდარზე ვფიქრობ. არ მეგონა, თუ ასე მიყვარდა.

ერთად მუშაობდნენ კინოსტუდიაში რამდენიმე წელი. რეზოსიც – და, ალბათ, სხვისიც – საუკეთესო წლები იქნებოდა ის დრო.

მაინც ვინ და ვინ მოიყრიდნენ ერთდროულად თავს:

ვახტანგ ჭელიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ დუმბაძე, სიმონ ჩიქოვანი, თვითონ რეზო, ანზორ სალუქვაძე, გიორგი ხუხაშვილი, ოთარ კუპრავა, მოგვიანებით მოვიდოდა რევაზ ინანიშვილი.

მოწვეული წევრები:

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ასათიანი... ვიღაც გამორჩენოდა თითქოს...

არამწერლები:

მიხეილ მგალობლიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, გივი ბარათაშვილი, მერაბ სარალიძე.

იყო თუ არა მოწვეული წევრი ედიშერ ყიფიანიც? ვერ იხსენებდა...

დროის გარკვეულ მონაკვეთში – რამდენიმე წელი – ეს პირნი ყველა სხდომაზე – სხდომები, განხილვები ძალიან ხშირი იქნებოდა – ერთად გროვდებოდნენ. მათ გარშემო კიდევ სხვა მწერლები, ავტორები, მეგობრები იყრიდნენ ხოლმე თავს.

ნოდარი გამოიყვანდა პირველი მანქანას „გაზ-21“. გაკვეთილებზე – ტარებაზე – რეზოც დაჰყვებოდა ხანდახან. ქუთაისში წავიდოდნენ, როდესაც მართვის უფლებას აიღებდა და საჭეს დაეუფლებოდა. მათი მარშრუტები იქნებოდა: ქუთაისი, ლაგოდეხი, ხაშური და კიდევ სხვა...

და წამოაგონდებოდა სიმონ ჩიქოვანის იუბილე... ჰყავდა თუ არა მაშინ მანქანა, ვეღარ გაეხსენებინა... წავიდოდნენ მატარებლით: რეზო, მერაბ სარალიძე, გურამ ასათიანი, ნოდარი, მიხეილ ქვლივიძე... და თავში შემოირტყამდა ხელს: მიშა გამომრჩა იმ სიაში, კოლეგიის წევრი იყო დიდი ხანიო... კიდევ ვინ? არჩილ სულაკაური ქუთაისში შემოემატებოდათ.

დასაზუსტებლად უნდა ენახა იმდროინდელი ფოტოსურათი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში რომ გადაიღებდნენ.

...და ედიშერ ყიფიანი.

ამ ფოტოზე გურამ ასათიანს ვერ იპოვნიდა და იფიქრებდა: ალბათ, ეძინა. ღამენათევი პირველ-ორ საათზე დგებოდა ხოლმეო.

გურამი არ იქნებოდა, მაგრამ წინა პლანზე იმ დროს ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ არა აბორიგენი – რაჭიდან გახლდათ ჩამოსული – ლევან სანიკიძე მოჩანდა, დანარჩენთა გვარ-სახელები არ ეცოდინებოდა, მხოლოდ მეძველია-უფროსს იცნობდა უკანა პლანზე, შემთხვევით მოხვედრილიყო კადრში.

მოპატიჟეები იტრიალებდნენ ინსტიტუტის ეზოში, რამდენიმე დასტა საგანგებოდ იქნებოდა მოსული ნოდარ დუმბაძის გულისათვის.

– გავვარდეთ გელათში, ჩამჭვრიტესთან, ვისადილებთ, არ დავლევთ, აქაურ ფინალსაც მოვუსწრებთ.

ამ „არ დავლევთზე“ ერთნაირად ეღიმებოდა ყველას, სიმონ ჩიქოვანს ვინც ჩამოჰყოლოდა.

იდეაც ერთნაირი რჩებოდა, დუქან-რესტორანთა სახელწოდებანი იცვლებოდა მხოლოდ. ნოდარი თავს იკავებდა და თანამგზავრებს მისჩერებოდა:

– რა ვქნათ?

მათ უარსა თუ თანხმობას ელოდა. არადა ცთუნებაც დიდი გახლდათ: წიფობისთვეში მზის ჩასვლამდე გელათისაკენ განავარდება.

– არ გამოვა, – გატყდებოდა ბოლოს ნოდარი, – ბატონ სიმონთან ჩამოვედით და ბოლომდე უნდა ვცეთ პატივი.

რამდენიმე დღეს დარჩებოდნენ მაშინ ქუთაისში. იქნებოდა ქეიფი, დროსტარება, სიცილ-ხარხარი. შესაშურად გახლდათ მაშინ ნოდარი. კიდევ რამდენი იყო ამნაირი დღე, ვინ მოთვლიდა.

შემდეგ ნოდარი „ნიანგს“ დაუბრუნდებოდა და ნელ-ნელა დაშორდებოდნენ ერთიმეორეს... დაკარგვით არ დაჰკარგავდა, მაგრამ ძალაუნებურად დაშორდებოდა... თუმც ამ ბოლო დროს ხვდებოდა ხოლმე. ხვდებოდა და ერიდებოდა.

უკვე სხვა ფსიქიკა, სხვა აზრები და შეხედულებანი. მათი მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს...

რაღაცასაც კიდევ იხსენებდა და... ხელი შეეშლებოდა – სიკო შემოვიდოდა...

ნოდარს თითქოს „მზიურში“ ასაფლავებდნენ. გამოექვეყნებინათ, უფრო სწორად გამოეცხადებინათ ტელევიზიით.

ზევით – ანუ ოჯახში – ქვეყანა იქცეოდა თურმე. ნანულისა და ქალიშვილებს „მზიური“ არა სურდათ, რაც რეზოს სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა.

შეცვლიდნენ ვითომ დადგენილებას?

გუშღამ პანაშვიდიდან გამოსული რეზო დამკრძალავი კომისიის წევრებს გადააწყდებოდა – ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ენუქიძე და სხვები „მზიურის“ შესასვლელთან ტრიალებდნენ. ამას ჩასვლა ენდომებოდა, მაგრამ რაკიღა კუს ტბაზე ელოდებოდნენ, ჩქარობდა. ცოლს შინ დატოვებდა. გიორგი ხორგუაშვილსა და იორამ ქემერტელიძეს აიყვანდა ზემოთ. დახვდებოდნენ: მუხრან მაჭავარიანი, ჯურხა ნადირაძე, მურმან ჯგუბურია, ლევან მალაზონია, გივი ძნელაძე... გაეხარდებოდათ ამათი დანახვა.

მუხრანი გათენებას დააპირებდა ძველებურად.

როგორც იქნებოდა თავს დაიძვრენდნენ და გამოეცლებოდნენ, დარჩენით კი დარჩებოდნენ: მუხრანი, ჯურხა, გივი და ბოლომოღებული მურმანი. რას იზამდნენ, რას მოიმოქმედებდნენ, ამას უკვე აღარ ეცოდინებოდა:

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, სტამბაში გავარდნას რომ აპირებდა, თუ შეუშვებდნენ. რედაქციაში დარეკავდა და ვახტანგ ჭელიძეს იკითხავდა. უპასუხებდნენ:

– ჩამოვიდა და ისიც სტამბაშია.

საგანგებო ნომერი გამოდიოდა და... ეს შეფიქრიანდებოდა: რაღაცას ამომიღებს, ვიცი... რელიგიური განწყობილება მოეჩვენებაო...

21 სექტემბრის დღიურში საგანგებოდ ჩაინიშნავდა იმ დიდ სიხარულს, როდესაც დაინახავდა, რომ მწერალს, მისი თაობის მწერალს ამხელა პატივს მიაგებდნენ. ხალხი მოზღვავებულიყო გუშინდელ დღეს დაკრძალვაზე, ძლივს შეაღწევდნენ მწერალთა სახლში მწერლები: თვითონ და ტარიელ ჭანტურია – სხვას აღარც დაასახელებდა.

გზები გაკრულიყო მილიციითა და კომკავშირლებით. ორგანიზებულად მოიყვანდნენ ხალხს საწარმოო-დაწესებულებებიდან, თითქოს – და ეს რეზოს თვალში ამაზრზენად გამოჩნდებოდა – დასწრებას სავალდებულოდ გახდიდნენ, მაგრამ ხალხი არ დაიშლებოდა – მიჰყვებოდნენ და მიაცილებდნენ ცხედარს.

მოედანზე რომ ჩამოვიდოდნენ, რეზო ვეღარც მოჰკრავდა სასახლეს თვალს. და მაშინ მიხვდებოდა: უკანასკნელად ვხედავ და ვეთხოვებიო.

იქვე დაშორდებოდა, მეტზე წასვლას აზრი აღარც ექნებოდა.

„საუნჯესთან“ უნდა მოეყარათ თავი. ასე დათქვამდნენ და ასეც მოხდებოდა...

გამოსვენებამდე ვახტანგ ჭელიძე გამოარჩევდა სხვებისაგან. გადაჰკოცნიდა და მადლობას ეტყოდა წერილისათვის.

ყველას ჯობიაო, – სხვებიც ეტყოდნენ.

ბუნებრივიცაა, – ამაყად გაივლებდა გულში. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჯობია-არჯობიას? თითქოს არც არავითარი, მაგრამ... მართლაც უმჯობესად რომ მიიჩნევდა თვითონაც?!.

ედუარდ შევარდნაძეთი დაწყებული სულელი (ამ მწარე ეპითეტით მოიხსენიებდა და სრულიად უმართებულოდ) გიორგი გაჩეჩილაძით დამთავრებული (შემთხვევას იშოვნიდა და ამ გაოცებასაც ჩაურთავდა: როგორ თამაშობს ეს კაცი პოკერსო?) არცერთი არ ექნა ღმერთს მასთან შედარებით...

დაწერდა ამას და... ცოტა, სულ ცოტა შეეუხერხულებოდა: არ ვარ მართალი... ყველა კარგია. ჩემსავით ვერ თქვეს, თორემ ყველაც კარგიაო.

რეზო, მუხრან მაჭავარიანი, გივი ძნელაძე, ლევან მალაზონია და გია ლომაძე (ჩვენი დამმარხავიო, – ჩაურთავდა, რაკიღა ყველაზე უმცროსი და საგრძნობლად უმცროსიც გახლდათ) ლისის ტბაზე ავიდოდნენ, იქ გაშლიდნენ სუფრას და იქიდან შეუთვლიდნენ შენდობას ნოდარს.

მშვენიერი, მყუდრო საღამო იქნებოდა. როცა ჩამოღამდებოდა, კატარღასაც შეაცურებდნენ ტბაში. მუხრანი დაიჟინებდა:

– შუა ტბაში უნდა დავლიო შესანდობარი.

და ასეც მოიქცეოდნენ.

ვიღაც ახალგაზრდა გამოეცნაურებოდათ: არქიტექტორი ვარო, – და გაუმასპინძლდებოდათ. გურულად წარუდგებოდათ, თხილი ექნებოდა და არაყი. ლევანი დაიჟინებდა: კაგებეაო, – და რეზო ორჭოფულად ეთანხმებოდა დღიურის ფურცლებზე: შეიძლება მართლაც ის იყოო.

დილით თავის ტკივილით გაეღვიძებოდა. ნოდარის საფლავი უნდა ვნახოო – ჩაეჭედებოდა გონებაში და როცა თავისიანებს გაიგულებდა, აიღებდა ჯოხს, დაიხურავდა სამხედრო ფაფანაკს, წაიყვანდა ძაღლს და წავიდოდა. საფლავს უკითხავადაც მიაგნებდა. ხალხი იდგებოდა შორიახლო, ჭირისუფალთაგან – არავინ. ორი გრძელი, მწვანედ შეღებილი სკამი იდგებოდა საფლავთან, ლიმონათის ბოთლი და ბროლის ბოკალი – სკამზე. დაჯდებოდა, ჯოხს დაებჯინებოდა მოხუცივით და კარგახანს დაჰყოფდა.

იგრძნობდა, როგორ მიაჩერდებოდნენ: ნეტა ვინ არისო?..

12 საათი იქნებოდა, ალბათ. შემდეგ საბარგო მანქანა მოვიდოდა, არყის ხის მორებით დატვირთული. მიხვდებოდა: საფლავის შემოსაზღუდად მოიტანესო. საბარგოს კიტი მოჰყვებოდა. მუშებს ერთი ნაცნობი სახის კაცი შემოუძღვებოდა.

„ვიცნობ, ვიცნობ, ვინ არი?“ – ფიქრებში ჩაიძირებოდა. ისიც შეათვალიერებდა და, როგორც რეზოს მოეჩვენებოდა, თვალს მოარიდებდა, თუმც ქუდჩამოფხატულს ნამდვილად ვერ იცნობდა. ესეც გვიან მიხვდებოდა, მუხათგვერდის სასაფლაოს დირექტორი რომ იყო, ზეროს საფლავის ძებნისას გაცნობილი კაცი.

ნეტა ზეროს საფლავის ძებნა და ამ დირექტორთან შეხვედრა ხომ აირეკლებოდა მოთხრობაში, თვითონ მერე რომანსაც რომ შეარქმევდა: „მეოთხე სიმფონია“?

ნოდარ დუმბაძის საფლავის ადგილს არ დაიწუნებდა, სახლთანაც ახლოს იქნებოდა, მაგრამ მაინც წარმოუდგენელ სისულელედ მიიჩნევდა ამ კაცის აქ დაკრძალვას და დაბეჯითებით განაცხადებდა:

მოვა დრო და გადაასვენებენ, ეჭვიც არ მეპარებაო...

ოღონდ დიდუბის პანთეონში თუ მთაწმინდაზე – ანუ მისი სატირული ნოველის „მიწების განაწილება“ ტოპონიმთა მიხედვით: ბედუბესა თუ წმინდაგორაზე – ამას უკვე აღარ დააზუსტებდა.

30 სექტემბერს ცოლი მოიტანდა ამბავს უნივერსიტეტიდან, ლაპარაკი და კამათი გამართულიყო. ზოგი ამტკიცებდა და გულისწყრომასაც გამოთქვამდა:

– ნოდარ დუმბაძე ლეო ქიაჩელზე დიდია და რატომ ზევით არ აასვენეს ქიაჩელივით?

ზოგიც გაცხარდებოდა:

– არ არის იმაზე დიდი.

და დაინტერესდებოდა მეუღლე:

– შენ რაღას იტყვი.

ორჭოფულ პასუხს გასცემდა რეზო ჭეიშვილი:

– ან არის, ან არა.

დღიურში კი ჩაინიშნავდა, რომ:

მშვენიერ გზაზე იდგებოდა ადრე ნოდარი: „გიგილო“ გაგვეხსენებინა თუნდაც, ანდა „ომარ ხალიანი“, ზეპირადაც რომ იცოდა ზოგიერთი სტრიქონი, ერთ-ორ თხზულებასაც მოინიშნავდა გუნებაში.

მაგრამ... „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ გაურევდა კონიუნქტურას და... მიხვდებოდა: ეს გახლდათ ყველაზე სარფიანი, სასარგებლო, მისი გურულობაც დაესართებოდა მის მიხვედრილობას და... უმატებდა და უმატებდა.

გურულობის ხსენება იქნებოდა და:

არაფრით არ ეგონებოდა, არ ამბობდა და არც უშვებდა ფიქრადაც კი, რომ გურული სხვა გახლდათ და ვთქვათ კახელი სხვა... იმერელსა და გურულს შორის თუ რაიმე განსხვავება არსებობდა, ვერ დაეჯერებინა, არც ახლა სჯეროდა, მაგრამ... არსებობდა კი!.. გინდ დაგეჯერებინა და გინდ არა: არსებობდა და... რა გინდა გეღონა?!.

– ნამდვილად სხვა ხალხია... უცნაურია, მე და ჩემმა ღმერთმა.

რას გულისხმობდა „ნამდვილად სხვაში“ და „უცნაურში“?

რას გულისხმობდა და:

კორნელი კეკელიძეზე ამბობდნენ: სასულიერო პირი იყო ადრე, ამათი არა სწამს არაფერიო და... სიკვდილის წინ, იუბილეზე, სულ პარტიასა და ხელისუფლებას იძახებდა.

აკაკი შანიძე თავის 90 წლისთავზე ლეონიდ ბრეჟნევისა და ედუარდ შევარდნაძის ხსენებას არ მოეშვებოდა.

ყოვლად კარგი კაცია ანზორ ერქომაიშვილიო, ამბობდნენ... გუშინ კი გამოვიდოდა ტელევიზიით და უადგილოდ გაიხსენებდა ხელისუფლებას, შევარდნაძეს... ერთხელ, მეორედ და... რეზოს მის გულწრფელობაში, რაზედაც იგი აქცენტს აკეთებდა, შეეპარებოდა ეჭვი, თუმც არც იმას გამორიცხავდა, რომ: შესაძლოა მართლაც გულწრფელი ყოფილიყო...

ანდა ანზორ სალუქვაძე – ამ ბოლო დროს აშკარად პარტიისაკენ რომ იხრებოდა და იქაჩებოდა...

და... ჭაბუა ამირეჯიბი?.. მაგრამ ისიც ხომ გურული არ გახლდათ... თუმც დედა ჰყავდა გურული...

აღარაფერს იტყოდა სხვებზე. ამ ტირადას კი ამ ფრაზით შეაჯამებდა თუ დააგვირგვინებდა: ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოსო!..

24 სექტემბერს რომ იკითხავდა: სხვა რაა ახალიო? – თვითონვე გასცემდა პასუხს: არაფერიო.

ნოდარის ადგილზე ხან ერთს ნიშნავდნენ, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხანაც მეოთხეს. ოთხზე ზევით არ ადიოდნენ ჯერჯერობით: გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური.

2 ოქტომბერს ალიონა დარახველიძე ეტყოდა, აღტაცებული და ანერვიულებული მისი წერილით:

– რა კარგად, რა მკაცრად და რა თბილად თქვი ნოდარზე.

– სიმკაცრე არ არის, – შეედავებოდა რევაზ კვესელავა, მაგრამ ის არ მოუსმენდა... თავისას ანკი ვინ გადაათქმევინებდა...

ალექსანდრე მახარაძე შეეჩეხებოდა და... რეზო ისევ არ მიესალმებოდა... ალბათ, ნამეტანი მოსდიოდა, მაგრამ არ შეეძლო სხვანაირად და რა ექნა. არც სძულდა, არც უყვარდა და მაინც...

ნოდარ დუმბაძესთან დაკავშირებით შეუწყრებოდა. ნოდარი ძალიან ადრე სადღაც შეაქებდა რეზოს და საშა მახარაძე ყელში წვდომოდა:

– შენ ვინ გეკითხება, აპეკუნად რომ უდგები, ნიჭიერს რომ უწოდებ იმ კაცს...

რეზო ჭარხალაშვილი მიუტანდა ენას (რა საშინელი ჩვევაო, – ენის მიტანას კი არ ამართლებდა) და მას შემდეგ – მანამდეც გაწყვეტილი იქნებოდა ურთიერთობა – ამოიგდებდა გულიდან იმ კაცს. და ეს მოხდებოდა 10-12 წლის წინათ.

8 ნოემბერს მოიქუთაისებდა და კინაღამ გადაჰყვებოდა... ჯერ ისედაც არ მოაკლდებოდა სუფრები და რესტორან „ცისკარაში“ ხომ ძალით

მოიკლავდა თავს... როგორ ჩამოვიდოდა თბილისში, ველარც გაიხსენებდა. ნოდარ დუმბაძის ორმოცზე ბევრ ნაცნობს ნახავდა. იქ კიდევ მთავრობა. მიხვდებოდა, სუფრაზე დაჯდომას ვერ შეძლებდა, და „არაგვიდან“ გამობრუნდებოდა.

ელდარ შენგელაიასათვის უნდა დაერეკა 27 დეკემბერს და ეცნობებინა, რომ: გორში ვერ წაჰყვებოდა... სურდა ინტენსიურად ემუშავა და ამ წლის თარიღი დაეწერა ახალი მოთხრობისა თუ... სულაც რომანისათვის... ძალიან შორს კი მირეკავდა...

1985 წლის 1 მარტს შეფიქრიანებული ჩაინიშნავდა, რომ:

მოგონება – რა დაეწერა, არ იცოდა – ნოდარ დუმბაძეზე მარტში უნდა ჩაებარებინა ნანულისათვის, მისი მეუღლისათვის...

16 მარტს ცოტა არ იყოს გაღიზიანებული გადაწვდებოდა რევაზ ჯაფარიძის წერილებს. რაზე გინდა რომ აღარ წერდა მოკითხვის ბარათებივით, მართლა პირადი წერილებივით... გადიოდა და გამოდიოდა თავისი პრიმიტიული, ყურმოკრული აზროვნებით.

გაღიზიანება იმისაა:

თვითონ ადვილად რომ ვერ დაწერდა პატარა მოგონებას ნოდარზე, კიდევ და კიდევ უტრიალებდა, რათა ზედმეტი არაფერი ყოფილიყო. გადაწერდა, გადაბეჭდავდა და შეინახავდა, რათა კიდევ გადაეხედა.

14 აპრილს, გვიან, ვიდრე წერად დაჯდებოდა, არქივს გადაქექავდა. „ცისკრის“ ძველ ნომრებს გასინჯავდა. შენახვით შენახული ჰქონოდა – ყველა თუ არა, მთავარი ნაწილი.

1959 წლის მე-4 ნომერი. რეზოს ორი მოთხრობა და ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. რეზოსი – „ჭაშნიკის“ რუბრიკით, ნოდარისა – პეტიტით აწყობილი „სატირისა და იუმორის“ განყობილებაში, როგორც სანიანგო მასალა... რეზოს ის ორი მოთხრობა – „მე-13 სკოლა“ და „სახლი“ – იქვე ჩარჩებოდა, ჟურნალის ფურცლებზე, არცერთ კრებულში აღარ შეიტანდა, და ნოდარის ვრცელი მოთხრობა კი დიდ გზაზე გადავიდოდა, იქ არ დარჩებოდა.

სამაგიეროდ ნოდარი დარჩებოდა სწორედ იმ ნაწარმოებით.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა აქედან? განსაკუთრებულის ჯერჯერობით არაფრის...

მანამდეც, „პირველ სხივშიც“, ერთად დაიბეჭდებოდნენ, ნოდარი – ლექსებით და რეზო – მოთხრობებით. სწორედ იმ მოთხრობებით მოაკერებდნენ ნიჭიერის იარლიყს, რომელიც დიდხანს გაჰყვებოდა, გაანელებდა თავისი სიზარმაცით, კინოსთან სიახლოვითა და სხვა ფაქტორებით, ვიდრე ხელახლა სერიოზულად მიუბრუნდებოდა ისევ ამ საქმეს.

ეს მოხდებოდა რომანის – „მუსიკა ქარში“ – და მოთხრობების – „კვამლი“ და „ჭა“ – წყალობით. მანამდეც ექნებოდა თუმც შუალედური მომენტი, რომელიც რომანს – „ქალაქში დინოზავრები დადიან“ – უკავშირდებოდა... და ეს ფაქტი ასე დაწყობილად არა, მაგრამ დაახლოებით ამგვარად სხვებსაც შეემჩნიათ, მაგალითად გურამ ბენაშვილს.

14 აპრილს ნოდარზე მოგონებას მოათავებდა, პატარას, ისიც გადასაბეჭდი იქნებოდა. ახლა დაურეკავდნენ სწორედ „მერანიდან“.

19 მაისს გადაბეჭდავდა, გადაიკითხავდა, ჩაკორექტურებდა და ახლა მამუკა კითხულობდა პირველი, მისი ვაჟი.

ეს მოსაგონარი წერილი უნდა მიეცა დილით, ხუთიოდე გვერდი, და ვერ გადაბეჭდავდა. ორ საბეჭდ მანქანას – ერთს თავისას და ერთსაც იორამ ქემერტელიძისას – დაშლიდა და ორიდანაც ვერ ააწყობდა ერთს...

თორმეტი საათიდან თორმეტ საათამდე უკირკიტებდა შესვენებებით, თავისას ვერა, მაგრამ იორამისას დაუბრუნებდა საწყის მდგომარეობას, პოზიციას... და ხვალვე დაიწყებდა ბეჭდვას, ალბათ...

15 ივლისს ნოდარ დუმბაძის მემორიალურ დაფას გახსნიდნენ. გზა ჩაკეტილი იქნებოდა. ეცოდინებოდა და ზევით ავიდოდა. გააჩერებდა მანქანას და მთავრობასაც დაინახავდა. წინა დღით ფრენბურთს დაესწრებოდნენ ერთობით.

რეზო ამაშუკელი იდგებოდა ცალკე.

– შენ მაინც ჩამოგართმევ ხელს, – ეტყოდა ეს რეზო და ის ისე ხმამაღლა გაიცინებდა, ყურადღებას მიიპყრობდა. მთავრობა კი მართლაც ყველას ჩამოართმევდა ხელს... რეზო ჭეიშვილის გარდა.

ჭაბუა ამირეჯიბი – მაგალითად – შიგ მთავრობაში იმყოფებოდა.

ბოლოს დაიმარტოხელებდა რეზოს და:

– ძალიან მაგარი ხარ!..

ესეც შეაქებდა:

– რადიოში მოგისმინე, მომეწონა...

და დღიურში ასე გააგრძელებდა:

მართლა მოვუსმინე, მართლა მომეწონასავითო...

გიორგი ხარაბაძე ერთ კაცს დაანახვებდა და:

– შევარდნაძის მცველი იყო, ლანდივით დაჰყვებოდა, ახლა ამაზე მიამაგრეს და ზედაც არ უყურებს. შეხედე, სულ წავიდა.

მართლაც მიატოვებდა მგონი.

ეს „მართლაც“ და „მგონი“ ჭეიშვილურად დაუმეზობლდებოდნენ ერთმანეთს ამჯერადაც.

სიტყვებს წარმოთქვამდნენ: ვახტანგ ჭელიძე, არჩილ სულაკაური, თეიმურაზ დოიაშვილი, გურამ გვერდწითელი...

შემდეგ საფლავზე ჩავიდოდნენ. ჩაწერილები იქნებოდნენ თავზესაყარად. შეეხვეწებოდა ოთარ მამფორია:

ავბრუნდეთ.

მაგრამ ეს არ შეჰყვებოდა. ჩაჯდებოდა მანქანაში და წამოვიდოდა.

სხვა რა ხდებოდა ახალი?

ყველაფერი ძველებურად რჩებოდა – სვამდნენ, ჭამდნენ, ქეიფობდნენ და იხოცებოდნენ კვლავ.

30 სექტემბერს იორამ ქემერტელიძის კაბინეტში წაიკითხავდა „ქართული პროზის“ გეგმას, პროსპექტსა თუ მაკეტს.

– იროდიონ ევდოშვილი არ გექნებათ შეტანილი, – ეს ეჭვს გამოთქვამდა და... ისიც აღმოჩნდებოდა სხვებთან ერთად.

მხოლოდ 30 ტომი გაეთვალისწინებინათ ჯერჯერობით.

შემდეგ ახალი გეგმა შედგებაო, – ამცნობდნენ და გაუკვირდებოდა რეზო ჭეიშვილს: ახალი არ უნდა ყოფილიყო წესით საჭირო, რადგან ტომებში წასული მწერლები იყვნენ მხოლოდ და წასულებს წასულები მიემატებოდნენ და მიემატებოდნენ, ვიდრე ტომების გამოცემა გასრულდებოდა.

მაგალითისათვის: ამ ოცდაათს უკვე მიემატებოდა ნოდარ დუმბაძე, ვინც თავიდან გათვალისწინებული არ იქნებოდა, ცხადია.

– დუმბაძეს სხვა მიყვება და ასე მიყოლებით გავლაგდებით, გავალთ სცენიდან, სამაგიეროდ „ქართული პროზა“ არასოდეს დამთავრდება.

იროდიონ ევდოშვილი გაახსენებდა ამ ყოველივეს. როგორც პოეტს, ბითურად მოიხსენიებდა, თუმც საბავშვო მოთხრობებს დაუფასებდა: კარგი ჰქონდა და დარჩა კიდევაცო.

მისი მოთხრობების თეთრყდიანი წიგნი წამოაგონდებოდა, დიდი სიამოვნებით რომ კითხულობდა ბავშვობისას, მერე კი სადღაც დაეკარგებოდა.

30 ტომად შემოერკალათ პროსპექტი თუ მაკეტი და... უკვე უნდა გასულიყვნენ მის მიღმა, და გამრღვევი ამ რკალისა ნოდარ დუმბაძე უნდა აღმოჩენილიყო. რეზო ჭეიშვილსაც გული რომ წყდებოდა, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გზა რომ აღარ გაეგრძელებინა სარფასა და სარგებელს გამოკიდებულს... და არც დაეკლო ამქვეყნიური დიდება, ერთდროულად – მთავრობისა და მკითხველის სიყვარული... მკითხველის სიყვარულიც, აბა!..

1986 წლის 9 იანვარს აღნიშნავდა, რომ:

ემზარ კვიტაიშვილის დაჟინებული თხოვნით წაიკითხავდა მაკანინის ერთ მოთხრობას, პოვესტად რომ ითქმოდა: „პირველი სუნთქვით“. ინტერესით გავიდოდა ბოლოში და ამას მწერლის დამსახურებას მიაწერდა, ცხადია. ჯერომ სელინჯერისა და „დაჟე“ ნოდარ დუმბაძის გამოძახილად მიიჩნევდა. საერთოდ კი რეპორტიორის შთაბეჭდილებას უფრო დატოვებდა...

თუ თხრობის ეს მანერა ხერხი გახლდათ, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, მაშინ სხვანაირი თვალითაც შეიძლება დაგვენახა. ისე კი მა-

რტო ამ ერთი ნიმუშით მსჯავრის გამოტანა არ შეიძლებოდა. სხვებსაც წაიკითხავდა, სანიმუშოდ რომ გადმოეცათ. ვალენტინ რასპუტინზე უკეთეს მწერლად რომ გამოეცხადებინათ, ეს კი გაუკვირდებოდა.

10 იანვარს „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას რომ დაესწრებოდა ოპერაში, მის გვერდით მოხვდებოდნენ – უფრო სწორედ მე მოვხვდი მათ გვერდითო, დააზუსტებდა – თემიკო ჩირგაძე და ვაჟა ჟღენტი.

ეშინოდა ამ კაცისა – ვაჟა ჟღენტის – რეზოს.

მიზეზი რა იყო და:

გურამ ასათიანის სანახავად რომ მივიდოდა, იქ ის კაცი დახვდებოდა. და გურამი მალე გარდაიცვლებოდა.

მომაკვდავ ნოდარ დუმბაძესთანაც ეგ დახვდებოდა.

– ახლა მე, გიგამ და ვაჟამ სიმღერა ვთქვით სამ ხმაში, – ეტყოდათ ნოდარი. დარჩებოდა კიდეც ეს სიმღერა.

ოტია პაჭკორიას შეტირილზე რომ მივიდოდნენ, იქაც საქმიანად შევიდოდა ვაჟა ჟღენტი: თავი აქეთ უქენითო, – იტყოდა, სასახლეში რომ ასვენებდნენ ცხედარს, და წავიდოდა.

სხვებს რომ ჭირისუფლობდა, ამის მომსწრეც არაერთხელ იქნებოდა რეზო, და: კარგი თვისებააო, – განა ამ თავგამოდებას უწუნებდა.

არ მოეწონებოდა მხოლოდ, რომ: თემიკოს გვერდით დაინახავდა. რაღაც ავისმომასწავებლად ენიშნებოდა და: ნეტა არ ამიხდებოდესო, – რაღაც ამისდამაგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა.

იმავე წლის მიწურულისათვის 15 ოქტომბერს ღრმა ტკივილსა და სინანულს გამოხატავდა სერგო კლდიაშვილის გარდაცვალების გამო, და კიდევ ერთხელ რომ მიადევნებდა მზერას მის ცხოვრებას, როგორ არ აღენიშნა საგანგებოდ: უხმაუროდ, თითქმის შეუმჩნევლად განვლო, დაამთავრა სიცოცხლე ნამდვილმა მწერალმაო...

და მერამდენედ ჩაუფიქრდებოდა წუთისოფლის უკუღმართობას:

რა ბედს, რა ხვედრს არგუნებს მაინც დრო ადამიანებს... რამდენ ნაგავს და არარაობას განადიდებს, აღაზევებს დროებითო...

ამის შეტყობით:

დავითის შვილობაც შეუშლიდა ხელს ცხადია და სხვა რამეც...

ამ „სხვა რამეს“ აღარ განმარტავდა, თუ რას იგულისხმებდა. ისე დავითის შვილობა ხელის შემშლელად რა – ცოტა იყო?..

სხვაზე განათლებული და სხვაზე მწიგნობარი რომ გახლდათ სერგო კლდიაშვილი, ყველა ხედავდა და რეზო კიდეც დაუფასებდა წიგნიერებას. მიზეზზე კიდევ იფიქრებდა, იფიქრებდა... იმ მხრივაც დაინტერესდებოდა: აქამდე თუ მიყრუებულიყო რაღაც-რაღაც მოტივებით, გარდაცვალების შემდგომ ხომ არ მოელოდა სახელის აღზევება?!.

ალბათ, არა, რადგანაც:

ახალი სიტყვა – თუნდ ფორმალურად – ვერ ეთქვა როგორც ჩანს...

და გულდაწყვეტას ის გაკვირვებაც უნდა შემატებოდა:

ნოდარ დუმბაძეზე უკეთესი მწერალი ჩრდილში დარჩა ამის გამო, ნოდარმა კი დროს უპასუხაო.

ვერა და ვერ აეხსნა, პოლიტიკურ-ლიტერატურულ კონიუნქტურას ასე რომ გაემართლებინა „მზიანი ღამის“ შემოქმედისათვის.

ვისთვის როგორ და: აგერ რეზოს თვალში სერგო კლდიაშვილიც ნოდარ დუმბაძეზე უკეთეს მწერლად გამოიყურებოდა.

ვერ გაიგებ ვერაფერსო, – წუხილს გაღიზიანება შეერეოდა, გაღიზიანებას – წუხილი. სერგო კლდიაშვილის ჩრდილში დარჩენა კი არა, აგერ: მიხეილ ჯავახიშვილი მიევიწყებინათ და... ნოდარ დუმბაძის გმირებს ძეგლს უდგამდნენ, თუმც სიმართლე რომ თქმულიყო: მისი პარტიულობისა და არა მწერლობისათვის.

მთლად დავიწყებულსაც ვერ ვიტყოდით მიხეილ ჯავახიშვილზე, მაგრამ შესაფერისი დაფასება რომ აკლდა, რად უნდა ლაპარაკი, ბოლოსდაბოლოს მისი ქანდაკება არ მოგვეპოვებოდა და ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებსაც კი მემორიალად აქცევდნენ.

1989 წლის 3 ნოემბერს „საბრალდებო დასკვნას“ რომ უყურებდა ტელევიზიით, ისე შერცხვე-

ბოდა რეზოს... თვითონ რა შუაში იყო, მაგრამ ისე შერცხვებოდა იმ სცენის შემყურეს, ქურდი ლიმონა ბესიკის „ტანო ტატანოს“ რომ წაუკითხავდა ნუნუ ექთანს...

ზუსტად ეს განცდა დაებადებოდა მაშინაც, ნოდარ დუმბაძის რომანის – „თეთრი ბაირაღები“ – თარგზე შექმნილ ამ სპექტაკლს რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ ნახავდა. სურვილიც კი გაუჩნდებოდა კახი კავსაძისათვის ეკითხა:

– არა გრცხვენია?

აღარ ეტყოდა.

ოთარ მეღვინეთუხუცესსაც მოერიდებოდა.

ახლა აქ სხვა თამაშობდა, გაცილებით სუსტად, მაგრამ უფრო ბუნებრივად თითქმის.

ავადხსენებული ეპიზოდი რომ მოაწევდა, ვერ გაუძლებდა და გარეთ გავიდოდა რეზო ჭეიშვილი, ეგონებოდა, უკვე ჩავლილი იქნება ის სცენაო, შემოვიდოდა და... ის დახვდებოდა მაინც...

„თეთრი ბაირაღების“ გამოქვეყნებისთანავე გააგონებდნენ ნოდარ დუმბაძეს ამ სცენის გადამლაშებულობას.

ვერ შეელეოდა მაინც.

რაღაც-რაღაცები მოეწონებოდა ამ ახალი ვერსიის ყურებისას რეზოს, განა არა... მაგრამ თავს დაძრახავდა:

არ ვიცი, ეტყობა მე არ უნდა შევაფასო. მეჩვენება, რომ ობიექტური ვერა ვარო...

მიკერძოებულობას იმიტომაც უკიჟინებდა თავს, რაკიღა აღტაცებული არ გახლდათ ნოდარ დუმბაძის ცხოვრების წესით, მწერლური ტალანტი პოლიტიკური და ლიტერატურული კონიუნქტურისათვის რომ შეეწირა ამქვეყნიურ წარმატებებს, დიდებას გამოდევნებულს.

– ალღო აუღო ცხოვრებას მწერლობით და ამით იცოცხლა.

ალღო კი გაუმართლებდა, მაგრამ...

სხვადასხვა დროს ეს საყვედური თუ გულისტკივილი უკვე გაემჟღავნებინა დღიურის ფურცლებზე, ამუნათებდა და თანაუგრძნობდა კიდეც ხელოვნურად შემოზღუდული ტალანტის გამო, გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების შექმნა რომ შეეძლო და ცოტა კი ეკმარა, არადა ის ცოტაც ისე ქუხდა, ისე ტრიალებდა და გადიგამოდიოდა ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების შემდგომაც, ატყობდა, კიდევ კარგა ხანს გასტანდა მისი სახელის ზეგავლენა ლიტერატურაშიც, თეატრშიც, კინემატოგრაფშიც...

და კვლავინდებურად აჰყვებოდა მკითხველიც და მაყურებელიც.

და კვლავინდებურად მწყალობელი იქნებოდნენ მთავრობები ახალ-ახალნი და ერთმანეთის მოქიშპენი, მაგრამ ნოდარ დუმბაძის მიმართ ერთნაირი პატივისცემით განმსჭვალულნი.

1988 წლის 3 მაისს რევაზ მიშველაძის ზოგად პორტრეტს რომ შემოხაზავდა ორიოდე შტრიხით და იმასაც აღნიშნავდა: აღიზიანებენ, რეზო ჭეიშვილის გავლენის ქვეშააო, – გაიხსენებდა ნოდარ დუმბაძის ფრაზასაც, ამ ლიტერატურულ ფორმულაში რომ მოაქცევდა იმის ფართიფურთს:

– ჭეიშვილის ჭაჭაზე დაყენებული არაყია რევაზ მიშველაძე.

და აღტაცებულიც დარჩებოდა თავისი მახვილგონივრულობით.

არადა:

რეზო ჭეიშვილსაც არ ეჭაშნიკებოდა ეს ნათქვამი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ: ჭეიშვილი ყურძენიც გახლდათ გურიაში; და ისე გამოდიოდა: ამ ყურძნის ჭაჭა რაა და იმ ჭაჭაზე დაყენებული ღვინო რაღა იქნებაო.

– ვიდრე ენას მოგიტანდნენ, გეტყვი, მე ვთქვი, – გააფრთხილებდა ნოდარი.

ენა მიტანილი ექნებოდათ უკვე.

ახლა კი ხელმოწერა გამართულიყო ნოდარ დუმბაძის ოთხტომეულზე და... გარდაცვლილადაც ვერ წარმოიდგენდა მას რეზო ჭეიშვილი...

იმავე წლის 14 ივლისს კვლავ უნდა წამოჰგონებოდა.

ბასტილიის აღების დღე გახლდათ.

და ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეც – 60 წელი შეუსრულდებოდა.

„გახდაო“ – ასე ჩაწერდა დღიურში და არა: „გახდებოდაო“!..

ხშირად უყვარდა ხოლმე თქმა:

– ბასტილიის აღების დღეს ვარ დაბადებული.

თუმცაღა ძველი, იმდროინდელი და ახალი სტილი ემთხვეოდა თუ არა ერთმანეთს, რეზოს ამდენი აღარ ეცოდინებოდა. ალბათ, არაო, – ვარაუდით ივარაუდებდა.

გადმოცემა უნდა ყოფილიყო მოსკოვიდან ნოდარზე. ამ დილით მოჰკრავდა ყურს ტელევიზორში...

* * *

ხოლო წერილების, გამოსათხოვარი სიტყვების, მოგონებებისა და ლექსების კრებულს ნოდარ დუმბაძეზე – „მზიანი გულის მწერალი“ – 1986 წელს გამოცემულს „მერანის“ მიერ, რეზო ჭეიშვილის ის მცირე თხზულებაც დაამშვენებდა, თავშეკავებულ სათაურს რომ ამჯობინებდა: „მოგონებასავით“ – თვალწინ კი უპირველესად ამოესახებოდა კინოსტუდია და ის დრო, როდესაც თანამოკალმის ორი რომანიდან ერთის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – ეკრანიზაცია უკვე მოთავებულიყო, მეორისა კი – „მე ვხედავ მზეს“ – სწორედ მაშინ მთავრდებოდა.

ნაჭერ-ნაჭერ, ნაწილ-ნაწილ უყურებდნენ იმჟამად მხატვრულ სურათებს, უყურებდნენ მასალებს, სინჯებს, მულტფილმებს, დიაფილმებსაც კი. იხილავდნენ და ამტკიცებდნენ ყველაფერს, რისი განხილვაც და დამტკიცებაც შეიძლებოდა, მონაწილეობდნენ სამხატვრო საბჭოს – სახელმწიფო სათათბიროს რომ ჰგავდა – მუშაობაში, გვიან ღამემდე ისხდნენ საპროექციო დარბაზებში, დავობდნენ, კამათობდნენ, ცხარობდნენ.

ღირდა ჩიტი ბრდღვნად ვითომ?

მაგრამ ასეთი გახლდათ მაშინდელი მუშაობის სტილი და მათაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, იმდროინდელი მუშაობა და იმდაგვარი სამსახური მოსწონდათ სწორედაც.

ღამის ტეხვა, დავა-კამათი (იყო თუ არა საჭირო, ძნელი სათქმელიაო, – ჩაურთავდა) არა ღლიდათ, არა წყინდებოდათ.

დრო კი მიდიოდა და... მათ ნამდვილ გასაკეთებელს ვინ გააკეთებდა, არ ანგარიშობდნენ, იმ დაკარგული შემოქმედებითი წლების ანაზღაურებაზეც არ ფიქრობდნენ, რადგანაც ეს ცხოვრებაც გრძელი, უსასრულო და უთავბოლო ეგონებოდათ.

ნოდარი სისხლხორცეულად დაკავშირებოდა სტუდიას და იშვიათად თუ ნახავდნენ იმ ტერიტორიის გარეთ.

იქ ათენებდა და აღამებდა, სტუდიის ცხოვრებით ცხოვრობდა.

და მერე უნდა მიმხვდარიყო რეზო ჭეიშვილი, რომ:

ეს თვისება მარტო კინოს სიყვარულით არ ყოფილა გამოწვეული, ჩვევად მოსდგამდა თურმე ნოდარს.

როდესაც აქედან კულტურის სამინისტროს რომელიღაც სამმართველოში გადავიდოდა – უფრო სწორად: ვახტანგ ჭელიძეს გადაჰყვებოდა – მაშინ უფრო განუმტკიცდებოდა ეს აზრი რეზოს.

რამდენიმე დღის შემდეგ მიაკითხავდა და ნახევრადბნელ ოთახში დაუხვდებოდა, ძველთაძველ მაგიდასთან მოკალათებული. მოწყენილი და შეწუხებული მოეჩვენებოდა.

– აქაც შეიძლება დიდი საქმეების გაკეთება, – აუხსნიდა ნოდარი და... ვერ დაარწმუნებდა, რადგანაც თვითონვე არა სჯეროდა თავისი ნათქვამი.

არ შვენოდა კანცელარია, მაგრამ ვიდრე იქნებოდა – ცოტა ხანს დარჩებოდა – იქაურობას არ მოშორდებოდა, იქაურ კოლექტივში გაითქვიფებოდა.

და დაიბეჯითებდა რეზო: სხვანაირად არ შეუძლიაო.

„ნიანგს“ რომ ხელმძღვანელობდა – „ნიანგით“ იარსებებდა.

მწერალთა კავშირში – მწერალთა კავშირის ცხოვრებით იცხოვრებდა.

მათთან ყოფნისას, ამ სხვადასხვა გარემოში გათქვეფისას დიდი ტრავმის, დიდი შინაგანი ტკივილის დაღი აჩნდებოდა მაინც, იმ გაუნელებელ ტკივილსა და დარდს ატარებდა თან, სხვას არ უზიარებდა და შესაძლოა ამიტომაც ეგონებოდა ბევრს უდარდელი და ბედნიერი.

რაღა შორს წასულიყო რეზო:

თვითონაც გარეგნულად მხიარული, მომღიმარი, მზემოკიდებული და ძალზე ჯანმრთელი იმდროინდელი ნოდარი აგონდებოდა ხოლმე. ან იმ ეპიზოდს, იმ უცნაურ საქციელს რა დაავიწყებდა:

ერთხელ „უსკუპიათი“ ადგილიდან – რითაც ძალიან გააოცებდა – შეხტებოდა მაგიდაზე. რეზოც მიბაძავდა და... ვერ შეძლებდა. ჩემმა უფროსმა როგორ უნდა მაჯობოსო, გაბრაზდებოდა და მონდომებითა და მოთმინებით შეუდგებოდა საწადელის აღსრულებას.

ნოდარი უყურებდა და გაბმულად იცინებდა.

ჩაბჟირებული სიცილი რომ იცოდა, გადამდები, ამას სხვებიც მიაქცევდნენ ყურადღებას.

მაგრამ სჩვეოდა სხვანაირი სიცილიც: როდესაც რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა, ამოიჩემებდა ერთ-ერთ მსმენელთაგანს, სახეს სახესთან მიუტანდა, მიაჩერდებოდა, მონუსხავდა და კარგი ლოტბარივით თავის ხმაზე აცინებდა იმასაც. თითქოს ჰიპნოზს უკეთებსო.

მანქანის გამოყვანას აპირებდა იმ ხანებში, ტარებას კერძო მასწავლებელთან სწავლობდა და დაჰყვებოდა რეზოც ხანდახან. ერთგულად, მუყაითად ეუფლებოდა მართვას, დამჯერი და გამგონი, შესაშური მოთმინებით იტანდა ბევრად უმცროსი მძღოლის საკმაოდ მკაცრ შენიშვნებსაც და საყვედურებსაც.

დიდ და ძვირფას შეხვედრას რომ მოუწყობდნენ ერთხელ გორში, თან ახლდებოდნენ: რეზო, გიგლა ხუხაშვილი და ოთარ იოსელიანი.

საჩუქრებითა და გზაში ყელის გასასველებლით გამოისტუმრებდნენ გორელები. გვიანი ღამე იდგებოდა, მაგრამ გზად გაჩერდებოდნენ მაინც და მთვარიანში – თითქოს სმა-ჭამა ჰკლებოდეთ – სტუდიის მანქანის კაპოტზე გაშლიდნენ გამოტანებულ პურმარილს. და ნოდარი ნაჩუქარ ლარნაკებსაც გამოფენდა:

– ამით დავლიოთ.

იმით რა დალევდა – სათლი ჩადიოდა თითოში. და ოთარ იოსელიანი ეტყოდა:

– ნივთომანიისა და ბროლომანიის წინააღმდეგ მე ფილმებს ვიღებ და შენ სად მოგაქვს ეს სიმდიდრე?!.

და ნოდარი... აიღებდა და უზარმაზარ სასალათეს დააფშვნიდა ასფალტს სადღაც ოკამის მისადგომებთან. პირველს მეორეს მიაყოლებდა, მეორეს – მესამეს და... ეცემოდნენ რეზო და გიგლა და ერთ თუ ორ ლარნაკს გადაურჩენდნენ როგორც იქნებოდა. მთვარის შუქზე იბრჭყვიალებდა ღამეში ბროლის ნამსხვრევებით მოფენილი ასფალტი. და ოთარ იოსელიანის საზეიმო ხმას რა დაავიწყებდა რეზოს:

– რაზბეი, ნოდარ, რაზბეი!..

მეორე დღეს ყასიდად უსაყვედურებდა ნოდარი:

– რატომ არ გამაჩერე, კინაღამ მომკლა შინ ნანულიმ!..

იუკადრისებდა დამუნათებას რეზო:

– სულხან-საბას ბუნაგში შესული კაცისა და დათვის არაკისა არ იყოს, ის ერთიც არ მიგყვებოდა, მე და გიგლა რომ არა ვყოფილიყავით.

იცინებდა ნოდარი და წინაღამინდელ ამბავს გაიხსენებდა სხვების თანდასწრებით – აღტაცებული თავისი საქციელით.

სად აღარ მოუწევდათ ერთად მგზავრობა ჭირსა თუ ლხინში, შეხვედრებზე – კახეთში, ქვემო ქართლში, მაგრამ განსაკუთრებით მაინც მოქუთაისება დაამახსოვრდებოდა: სიმონ ჩიქოვანის იუბილეზე.

იმ ფოტოსურათს რომ გაიხსენებდა მოგონებაში, დღიურშიც რომ არ გამორჩებოდა, ამჯერად ნოდარ დუმბაძეს გამოარჩევდა წინა პლანზე: შავულვაშასა და შავთმიანს, ცალ ხელში ქუდი და მოუშორებელი სიგარეტი რომ ეჭირებოდა, და ცალი ფეხის ქუსლს იქნებოდა დაყრდნობილი, თითქოს სათამაშოდ, სალაღობოდ გამზადებულაო.

ცხოვრებას – იმ ხალხური ლექსისა არ იყოს – აგორებულ ქვას შეადარებდა რეზო ჭეიშვილიც, ადრე თუ გვიან რომ უნდა გაჩერებულიყო, თუმც ჩვენც ხომ გაძლებაზე უნდა ვყოფილიყავით ამქვეყნად, ვალდებულნიც – გაგვეძლო და ისე შევხვედროდით განსაცდელს, ნოდარი როგორც შეხვდებოდა, ნოდარი როგორც შეძლებდა.

ბევრი გაეკეთებინა, ბევრი გასაკეთებელი დარჩებოდა მაინც.

დამსახურებული, მაგრამ ნაადრევი დიდება, ანდამატივით ხასიათი პატივისმცემელთა ჯარს მოუმრავლებდა, უამრავი ადამიანი, რომელთაც ლიტერატურასთან საერთო არა ექნებოდათ რა, დაეხვეოდა ფარვანასავით და... ეს კი (ჩემი მცდარი აზრითო, – თავს დაიზღვევდა ყოველი შემთხვევისათვის) საბოლოოდ შეარყევდა ნოდარ დუმბაძის რკინის ჯანმრთელობას. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი კიდევ მრავალი ნაწარმოებით გაახარებდა მკითხველს და იმჟამადაც ცოცხალი იქნებოდა.

ხოლო ის დღეები, წუთისოფლისათვის ხანმოკლე, კაცის ეფემერიდისათვის ხანგრძლივი დღეები ერთი ბედნიერი ხანა ეგონებოდა რეზო ჭეიშვილს თავისი ამქვეყნიური არსებობისა.

* * *

იუმორისტულ წიგნშიც „კურუ“ ჩახატავდა მის სილუეტს – აბა იუმორისტული თხზულება ყოფილიყო, ამ ჟანრის ფოიერვერკის გადმოღვრა ნაცნობ თუ უცნობ პირთა ანეკდოტებსა და ფრთიან, მახვილგონივრულ ფრაზებზე დაყრდნობით და... უნოდარდუმბაძეოდ?!.

როდესაც გათავმჯდომარევდებოდა, ამ თანამდებობას ადრინდელი ცენზი აღარ ექნებოდა, მაგრამ თვითონ ნოდარს მოჰყვებოდა სახელი და მკითხველის სიყვარული მწერლობით და არა თანამდებობით.

და ერთგვარ სიახლედაც ამას მიიჩნევდა რეზო ჭეიშვილი.

ირაკლი აბაშიძე – პოეტი – მხოლოდ მწერალთა კავშირის კი არა, უმაღლესი საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარეც გახლდათ – პოეტობის გამო კი არა, განაწესის მიხედვით. მწერალთა თავმჯდომარე ნომენკლატურით ითავსებდა ამ პოსტსაც. სხვა დრო, სხვა პოლიტიკურ-პარტიული ხანა იდგებოდა მაშინ და იმიტომ.

მართალია დანიშნავდნენ, ფორმალურად კი: ვითომდა აირჩევდნენ, მაგრამ არც რეზოს და არც არავის ეეჭვებოდა: ნამდვილად რომ ჩატარებულიყო არჩევნები, ვინ შეიძლება ყოფილიყო წინააღმდეგი – სახელი აკლდა, ნიჭი თუ ავტორიტეტი?..

მისი გარდაცვალების შემდგომ გაუვიდოდა ყავლი ამ პოსტს, დაქვეითდებოდა და დავიდოდა, დაიყვანდნენ კიდეც ნულზე.

დრო მოიტანდა?

რეზო ჭეიშვილის შეტყობით: მარტოდენ დროისათვისაც არ უნდა დაგვებრალებინა ყველაფერი.

ედუარდ შევარდნაძის ეპოქა იდგებოდა – მისი მმართველობის პირველი ხანა – და ნოდარი ხუმრობდა თურმე:

– მამა (მჟავანაძე) წავიდა და ძმა (შევარდნაძე) მომივიდა...

და ესტუმრებოდა ერთი ახალგაზრდა პროფესორი, მისი მტერი და უკვე მოყვარე, ნოდარის მაგინებელი და უკვე მაქებარი, და ეტყოდა...

„პროფესორი“ ბუნდოვანი მინიშნებაა, უფრო გამჭვირვალე იქნებოდა: მწერალი-სპეციალისტი და „მარადისობის კანონის“ პერსონაჟი, კიდევ უფრო გამჭვირვალე კი: რევაზ მიშველაძე. ხოლო რომ ესტუმრებოდა, პირის მოწმენდას შეეცდებოდა:

– მე და შენი დაშორება მამაშენის (მჟავანაძის) ბრალია. ჩვენ შორის ძმები, და-ძმები ჩადგნენ, ჩემო ნოდარ, თვარა ჩვენ რა გვქონდა გასაყოფი, მითუფრო და მითუმეტეს – სამტრო. დავივიწყოთ ყველაფერი, ჩემო ნოდარ, აწი მე გვერდით უნდა დაგიდგე!..

რეზო ჭეიშვილი ჯერ ნოდარ დუმბაძის ფიქრს გაახმოვანებდა:

– გინდა გვერდში დამიდექი, გინდა გვერდზე, გვერდზე აჯობებს, მხოლოდ მოგვერდი არ გინდა, არც იფიქრო...

მერე იმ სიტყვებსაც დაიმოწმებდა, რასაც ხმამაღლა მოახსენებდა ადრინდელ მაგინებელსა და მერე ვითომ მაქებარს:

– მე ახლა, ძამა, ისეთი მდგომარეობა მაქვს, ჩემით თუ მოვიჭამ, თვარა სხვა ვერავინ მომაჭამს!..

დაიმოწმებდა უფრო პირდაპირაც და უფრო მწვავედაც, ვიდრე აქ ვიმეორებ, რაკიღა ჩემი მხრივ არ მინდა გავიმეტო ის მწერალ-სპეცია-

ლისტი. სულ ვერ ავცდებოდი თხრობისას, თორემ მე ნამდვილად აღარ გავაპერსონაჟებდი.

* * *

დამსახურებულმა, მაგრამ ნაადრევმა დიდებამო...

ამ ფრაზაში შეაფარებდა, ძალზე შორეულად, შეიძლება ამოუცნობად მიანიშნებდა, მშვენიერ გზაზე რომ იდგებოდა ნოდარი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისას, მაგრამ... კონიუნქტურას რომ გაურევდა და მიხვდებოდა: ეს არის ყველაზე სარფიანი და სასარგებლოო, – მერე და მერე რომ უმატებდა და უმატებდა...

ხალხიც მადლიერი ეყოლებოდა.

და მთავრობაც მადლიერი.

მაგრამ ის გზა პროზისა, ის ნამდვილი, ჭეშმარიტი გზა კი...

გადარჩევით მაინც გადაირჩევა ის მხატვრული ღირებულება, წარმოუდგენელი რომ იქნება ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის, მისი სულიერი მონაპოვრის გარეშე ქართული მწერლობის ისტორიაც და მდინარებაც, ყოველთვისაც რომ მოინატრებს მკითხველი მის თავისებურ იუმორს, ლაღს, დაუოკებელს, ხალასსა და უხინჯოს, მოინატრებს იმ კომიკურ ნიღბებს, ასე ძალუმად რომ აჩნევია ახლებური ტვიფარი.

* * *

ეს ორი სახელი კიდეც რომ დაწყვილდებოდა გარკვეული გადმოსახედიდან?

ტარიელ ჭანტურია გააცხადებდა, რასაც ბევრი ფიქრობდა, მაგრამ საჯაროდ თქმისაგან თავს იკავებდნენ რატომღაც:

– ნოდარ დუმბაძემ რეზო ჭეიშვილთან ერთად ქართული ლიტერატურული იუმორი აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც იგი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უნდა დაინახონ.

ეს მაშინ, როდესაც ერთი ბუნებისა გახლდათ ორივეს იუმორი, თავთავისებური, მაგრამ ერთი ბუნებისა, ვიდრე რეზო ჭეიშვილი სატირიკოსის ტალანტს აღმოაჩენდა თავის სულში და მთელი არსებით გადაეშვებოდა იმ უჩვეულო, უცნაურ, გამაოგნებელი ხილვებითა და განცდებით აღსავსე სივრცეში, საითკენაც მოიკვლევდა თურმე გზას... ეგაა: ცალკეულ მხატვრულ მიგნებებსა და ხერხებს აწ უკვე ერთიან სისტემად აქცევდა, „კვამლად“ გაბურულ, „მეოთხე სიმფონიით“ გაჟღენთილ სისტემად...



ნოდარ შოშიტაშვილი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს – **მამია ფაღავას**, **მალხაზ ჩოხარაძეს**, **მერი ცინცაძეს**, **თინა შიოშვილს**, **შოთა მამულაძეს**, **რამაზ ხალვაშს**, **ნუგზარ მგელაძეს**, **ზაზა შაშიკაძეს**, **მაია ბარამიძეს** და **ჯემალ კარალიძეს** სულითა და გულით ვულოცავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიას საუკეთესო მონოგრაფიისთვის „კლარჯეთი“.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია,

აჭარის მწერალთა სახლი,

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

„კლარჯეთი - ქვეყანა დიდებულთა უდაბნოთა შინა“

ბათუმელ მეცნიერთა ახალი ფუნდამენტური ნაშრომი

უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი და საჭირო პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებად გვევლინება საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესწავლა.

ასეთი კვლევა დაისახა მიზნად უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა, რომელსაც პროფესორი მამია ფაღავა ხელმძღვანელობს. საბედნიეროდ, დღევანდელი, შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ასეთი სამუშაოების განხორციელება, რაც ადრე ოცნების სფეროს წარმოადგენდა, შესაძლებელი გახდა.

მეცნიერთა ამ გუნდის ძალისხმევითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით უკანასკნელ ათწლეულში განხორციელებული ექსპედიციების შედეგებს აქამდეც იცნობდა სამეცნიერო წრეები და ფართო საზოგადოება გამოცემული წიგნების, სტატიების და კონფერენციებზე გამოტანილი მოხსენებების სახით. ამჯერად საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ქართველოლოგიის ცენტრის მიერ 2016 წელს დასტამბული, შთამბეჭდავი (1088-გვერდიანი) წიგნი „კლარჯეთი“.



ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორები კი თავ-თავიანთი მიმართულებების ცნობილი სპეციალისტები არიან. წიგნში უპირველესად

ღირებულია კლარჯეთში განხორციელებულ ექსპედიციებში მოპოვებული საინტერესო, უმრავლეს შემთხვევაში უნიკალური საველე მასალა, მოცემულია საინტერესო ანალიზი, გათვალისწინებულია ისტორიული წყაროები და არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ძველი და ახალი თაობის მეცნიერთა ნაღვაწი. შედეგად მივიღეთ „კლარჯეთის ქვეყნისა“ და კლარჯთა შთამომავლების ყოფისა და კულტურის, მსოფლმხედველობის, ენობრივ-ეთნიკური ვითარების, ისტორიული სამშობლოსა და თანამოძმეებისადმი დღევანდელი დამოკიდებულების ამსახველი შთამბეჭდავი სურათი.

ძველი თაობის ქართველ მეცნიერებს აქვთ პირველი კვლევები ამ მხარის შესახებ. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც ეს მხარე რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, სხვა ქართულ მიწებთან ერთად აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის (შესაბამისად, საქართველოს) შემადგენლობაში (კლარჯეთი, ტაოსთან და კოლა-არტაანთან ერთად, სამწუხაროდ, მხოლოდ ორმოციოდე წლით), სწორედ მაშინ გაიშალა ამ კუთხის კვლევა. თუ ქართველ მეცნიერთა წინა თაობების ნაღვაწს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მათთვისაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ისტორიულ კლარჯეთში ქართველთა სულიერი და მატერიალური კვალის ძიება.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში კლარჯეთის ქვეყანას იკვლევდნენ გიორგი ყაზბეგი და დიმიტრი ბაქრაძე. 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში ექსპედიცია მოაწყო ნიკო მარმა, რომლის „მოგზაურობის დღიურებში“ შემონახულია უმნიშვნელოვანესი ცნობები. მართალია, ნიკო მარი გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ეკლესია-მონასტრებსა და მათ იმჟამინდელ მდგომარეობას იკვლევდა, მაგრამ შატბერდისა და ხანძთის ძიებისას (მეცნიერი გიორგი მერჩულეს თხზულებათა გამოსაცემად ემზადებოდა) მის თვალსაწიერში კლარჯთა ქვეყანაც მოექცა და, შესაბამისად, „მოგზაურობის დღიურები“ ამ მხარისა და მისი მოსახლეობის შესწავლისას ერთ-ერთ წყაროდ იქცა (თუმცა ეთნიკური თვალსაზრისით გამოთქმული მისი ზოგიერთი არამართებული მოსაზრება შემდგომი თაობის მეცნიერებმა ობიექტურად უარყვეს).

გასული საუკუნის დასაწყისში „თურქეთის საქართველოში“ („სამუსლიმანო საქართველოში“) ექსპედიციები განახორციელეს ექვთიმე თაყაიშვილმა და ზაქარია ჭიჭინაძემ.

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდიდან, 1921 წლიდან ქართველი მეცნიერებისთვის ჩაიკეტა თურქეთ-საქართველოს საზღვრები. ბუნებრივია, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული „ჭოროხის ქვეყნებისადმი“ ინტერესი დიდი იყო. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითა და მოგზაურთა ჩანაწერების დახმარებით თუ ახერხებდნენ ქართველი მეცნიერები (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, პავლე ინგოროყვა, ლევან მენაბდე და სხვები) ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის შესახებ მასალათა მოძიებას. იშვიათად თუ შემოაღწევდა საბჭოთა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეული ქართული კულტურის ძეგლებისა და იქაური მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია.

ამდენად, თითქოს ანდერძად დარჩა წინა თაობის მეცნიერთა განუხორციელებელი მიზნის ასრულება ჩვენს თაობას – თურქეთის „ქართული ქვეყნებისა“ და მათ შორის კლარჯეთის შესწავლა. ამ მიზნის ასრულებას კი ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან შესაძლებელი გახდა თურქეთში ქართული ფენომენის შესწავლის დაწყება. ეს, პირველ ყოვლისა, ხორციელდებოდა ინდივიდუალური გასვლებით, საველე ექსპედიციებით. ამ ექსპედიციებისას მიმდინარეობდა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალების შეგროვება, ქართული ისტორიული ძეგლების გარეგანი შესწავლა. გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლების სიახლოვეს და საერთოდ, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე არქეოლოგიური გათხრების უფლების მოპოვებისგან ჯერ ისევ შორსა ვართ...

დღევანდელი მდგომარეობით, მიზეზთა გამო, მთელ თურქეთის რესპუბლიკაშია გაფანტული ქართული მოსახლეობა. ამჯერად ბათუმელ მკვლევართა მიზანი იყო იმ არეალის შესწავლა, სადაც ჩვენი თანატომელები ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენს, ხოლო ეს მხარე ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილი იყო.

ეს კლარჯეთია! ტაოსთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიული სამხრეთის კარიბჭე და ზღუდე. ვრცელია კლარჯეთი, დიდი ისტორიის მქონე. არაბთა მძლავრობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ერთ-ერთი პირველი ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქებგამოვლილი სწორედ ეს კუთხე აღორძინდა ადრეულ შუა საუკუნეებში. აღორძინდა ობიექტური პირობების ხელშეწყობითა და ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით. ქვეყნის სასიცოცხლო ენერგიამ თბილისიდან და შუაგულ ქართლიდან აქ გადმოინაცვლა. არტანუჯ-კლარჯეთის აღორძინება დიდად განაპირობა აქ, საგვარეულო მამულში ბაგრატიონთა მობრუნებამ და თანამოაზრე გრიგოლ ხანძთელის ფასდაუდებელმა მოღვაწეობამ. გაჩაღდა ცხოველი საბერმონაზვნო საქმიანობა, ხელახლა აღორძინდა კლარჯეთი, გამრავლდა მოსახლეობა, – მთავარი შემოქმედი ქვეყნის სიძლიერისა და ტაოსთან ერთად ეს ბურჯი სამხრეთისა შეუდრკელად იღვწოდა, იბრძოდა, ზეობდა სულიერება.

„ქუეყანა კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა შინა“ – ასე წარმოადგენდა X საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კლარჯეთს, ასახავდა VIII-IX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და მკითხველს მოუთხრობდა მასში ტაო-კლარჯეთის უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე. კლარჯეთის „ქვეყანას“ აღწერს „ქართლის ცხოვრება“, ასევე, ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“... ვითარებათა გამო შექმნილ ოსმალურ დავთრებშიც მოიძიება არაერთი საყურადღებო ცნობა კლარჯეთის მოსახლეობის რაოდენობის, რელიგიური კუთვნილების, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ტრაგიკული იყო გვიანი შუა საუკუნეები ამ კუთხისთვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის და მთელი ქვეყნისთვისაც. მესხეთი მთლიანად და დიდი ხნით აღმოჩნდა ოსმალთა ხელში, რომელთაც თავიანთ ნაცად ხერხს მიმართეს, მეთოდურად დაიწყეს იმპერიაში ამ კუთხის ინკორპორაცია.

დღეისთვის კლარჯეთის, ამ უძველესი და მრავალფეროვანი მხარის ორიოდე სოფელიღაა ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ საზღვრებში, – მირვეთი და კირნათი. მარადიდი, სარფის მსგავსად, შუაზეა გაყოფილი. დანარჩენი კლარჯეთი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია ართვინის გუბერნიის ბორჩხის, მურღულის, ართვინისა და არტანუჯის ილჩეების (რაიონების) სახით.

წიგნის ავტორები აღნიშნავენ იმ რეალობასაც, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში განვითარებული მუჰაჯირობის პრობლემა კლარჯეთსაც შეეხო და კლარჯებმა თურქეთის სხვა პროვინციებშიც, განსაკუთრებით მარმარილოსა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე დააარსეს სოფლები, რითაც გაფართოვდა მათი ყოფისა და კულტურის არეალი.

ბათუმელი მეცნიერები თანამედროვე კლარჯეთს პირობითად ორად ყოფენ – „მეთურქულე“ და „მექართულე“ კლარჯეთად. მეთურქულე კლარჯეთში – ართვინის ნაწილობრივ და არტანუჯის რაიონებში ქართული ენა აღარ იციან, თუმცა ქვეყნის ამ ნაწილში შემონახულია ქართული ტოპონიმიკა, ახსოვთ მცენარეთა ქართული სახელები და სხვ. თურქულ მეტყველებაში, ფოლკლორში რთული არ არის ქართული ელემენტების აღმოჩენა და თავისთავად, მკვლევართათვის მეთურქულე კლარჯეთიც საინტერესო უბანს წარმოადგენს.

მექართულე კლარჯეთს განეკუთვნება ბორჩხისა და მურღულის, ნაწილობრივ ართვინის რაიონები, სადაც უფროსმა და საშუალო თაო-

ბამ იცის წინაპართა ენა, ახალთაობამ კი სამწუხაროდ, არ იცის, ან თუ იცის, ძალიან ცოტამ და ძალიან ცუდად. თუ ქართველ მეცნიერთა წინა თაობების ნაღვაწს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მათთვისაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ისტორიულ კლარჯეთში ქართველთა სულიერი და მატერიალური კვალის ძიება.

სწორედ ამ ძიების გზას ადგას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი. მართებულად აღნიშნავს ამ ცენტრის ხელმძღვანელი და წიგნის რედაქტორი, პროფესორი მამია ფაღავა: – პირველივე ექსპედიციებით ნათელი გახდა, რომ საქმე გვაქვს ისტორიულად, არქეოლოგიურად, ეთნოლოგიურად, ლინგვისტურად უაღრესად საინტერესო სივრცესთან. მაგრამ შიშმაც შეიპყრო პირველმკვლევრები, დაგვიანების შიშმა. ყოველი გაცდენილი დღე დაგვიანებაა, ყოველ დღეს რაღაც იკარგება: დღითიდღე ქართულს ივიწყებენ შავშები, კლარჯები, ტაოელები... მკრთალდება ქართველი კაცის კვალი ძველ ქართულ პროვინციებში – ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აკვანში. „მამათა ანდერძი“ ახალი თაობის მკვლევართა გამოწვევად იქცა. კვლევა-ძიებაში სხვებთან ერთად ჩაერთო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართველოლოგიის ცენტრი და ამ ცენტრთან შეიქმნა მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ამ ექსპედიციის მრავალწლიანი შრომა დაედო საფუძვლად სქელტანიან ნაშრომს „კლარჯეთი“. წიგნი ორნაწილიანია. პირველ ნაწილში შევიდა შემდეგი თავები: „კლარჯეთი უძველესი პერიოდიდან მე-16 საუკუნემდე“ (ავტორი, ასოც. პროფესორი ჯემალ კარალიძე), „კლარჯეთი ოსმალეთის იმპერიაში“ (ავტორი, ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე); „კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლები“ (ავტორი, პროფესორი შოთა მამულაძე); „ლიტერატურულ-მწიგნობრული კერები კლარჯეთში“ (ავტორი, პროფესორი რამაზ ხალვაში); „კლარჯული სოფლები“ (ავტორი, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე); „კლარჯეთის ეთნოლოგია“ (ავტორი, პროფესორი ნუგზარ მგელაძე); „კლარჯული ფოლკლორი“ (ავტორი, პროფესორი თინა შიოშვილი); „კლარჯული კილო“ და „კლარჯული ტოპონიმიკა“ (ავტორები, პროფესორი მამია ფაღავა, ემერიტუსი მერი ცინცაძე, ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე). მონოგრაფიის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს კლარჯული ფოლკლორისა (პროფესორი თინა შიოშვილი) და კლარჯული კილოს (პროფესორი მამია ფაღავა, ემერიტუსი მერი ცინცაძე, ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე) მასალებს ლექსიკონითურთ. წიგნს ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია.

„კლარჯეთის ქვეყნის“ შესახებ კვლევა უწინარესად მისი ისტორიიდან იწყება. ამ საკითხზე მსჯელობენ ჯემალ კარალიძე და ზაზა შაშიკაძე მხოლოდ ნარატიული წყაროებით, ოსმალური დავთრებითა და დოკუმენტებით, რადგანაც უმცირესი გამონაკლისის გარდა არქეოლოგიური სამუშაოები თითქმის არსად წარმოებულა, თუ არ გავითვალისწინებთ მოყვარულ „არქეოლოგთა“ თუ განძისმაძიებელთა ნაღვაწს. მხოლოდ იმის წარმოდგენა შეიძლება, თუ რაოდენ უზარმაზარ ინფორმაციას „მალავს“ კლარჯეთის მიწა.

კლარჯეთი ტაოსთან ერთად რომ ოდითგანვე ქართული სამყაროს ნაწილია, ამას ადასტურებს უკლებლივ ყველა წყარო და, შესაბამისად, ობიექტურად განწყობილი მკვლევარი. თუ არ ჩავთვლით ტენდენციურ მეცნიერებს, რასაც, სამწუხაროდ, სათავე დაუდო ცნობილი მკვლევრის ნიკო მარის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოთქმულმა რამდენიმე თეზამ ამ კუთხის, ძეგლების, კლარჯეთიდან გამოსული ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. აღნიშნული აზრის აბსურდულობა და ის, რომ კლარჯეთი ქართული სამყაროს უცილობელი, ორგანული ნაწილია, კიდევ ერთხელაა დადასტურებული ამ ფუნდა-

მენტური ნაშრომის ისტორიულ ნაწილში; და დადასტურებულია მრავალი (მათ შორის სომხური) წყაროს ანალიზით. ჩვენც იძულებული ვართ კიდევ ერთხელ დავადასტუროთ ანბანური ჭეშმარიტება, – კლარჯეთის ისტორია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გენეტიკური და სისხლისმიერი ნაწილია.

მდგომარეობა გართულდა XVI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დაშლილ-დანაწევრებული საქართველო ორი უძლიერესი, ოსმალეთისა და ირანის იმპერიების პირისპირ აღმოჩნდა. ეს კი იმით დასრულდა, რომ მთელი სამცხე-საათაბაგო, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ოსმალეთის სასულთნომ მიიტაცა. სამწუხაროდ, ეს არ იყო მხოლოდ ეპიზოდური დაპყრობა მტრის მიერ, როგორიც ბევრჯერ განუცდია ჩვენს ქვეყანას. დაიწყო ოსმალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, დააწესეს ოსმალურივე მიწის მფლობელობა და საგადასახადო სისტემა; ასე მიზანმიმართულად დაიწყო და განვითარდა კლარჯეთის და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ინკორპორაცია სასულთნოში...

როგორც აღვნიშნეთ, კლარჯეთში ფაქტობრივად არ განხორციელებულა არქეოლოგიური სამუშაოები. ასეთ პირობებში მეტ მნიშვნელობას იძენს აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, – განუმეორებელი ოსტატობითა და ხელოვნებით ნაგები ეკლესია-ტაძრები, ციხესიმაგრეები, უნიკალური თაღოვანი ხიდები, რომელთა აღნუსხვა და შესაძლებლობის ფარგლებში კიდევ ერთხელ განხილვა-შესწავლა გადაუდებელი საქმეა. ზოგიერთ საფორტიფიკაციო და საკომუნიკაციო ნაგებობას, ამ რეგიონის შიდა და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ადგილობრივ და სატრანზიტო ძველ გზებს შეეხება აღნიშნულ კოლექტიურ მონოგრაფიაში შოთა მამულაძის კვლევითი ნაწილი. ეს ყველაფერი კი სათანადო ტაბულების თანდართვითაა შესრულებული.

თანამიმდევრობითაა განხილული შარბიეთის, კლარჯეთის, ტანძოთის, ლაკომარყალეს, მელოს, ხევისკარის, ბუდაზორის, კუარცხანის, სინკოთის, გარდაგადმომხედის, ძეგლის „ეკლესიის“ და არტანუჯის ციხეები. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია იმ საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, რომელთა უშუალო ფუნქცია ძველად არსებული გზების გაკონტროლება იყო. თუმცა კიდევ მრავალი ციხე და კოშკია განსახილველი და შესასწავლი. რაც შეეხება ქვის თაღოვან ხიდებს, მატერიალური კულტურის ეს ძეგლები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში. მაგრამ რატომღაც მათი უდიდესი ნაწილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემორჩა. კლარჯეთში არსებული ბეღლევანის, „პირდაპირი“, არალიკის, წიკვაურისა და მაკრეთის ხიდების შესახებაცაა მსჯელობა ნაშრომის ამ ნაწილში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჭოროხზე აგებულ კაშხალებს შეეწირა და დატბორვის ზონაში მოხვდა თაღოვანი ხიდების დიდი ნაწილი, რის გამოც მხოლოდ მარადიდ-ბორჩხის მონაკვეთის ცალკეულ ხეობებსა და თუ სოფლებში არსებული ხიდების შესწავლა მოხერხდა.

უნდა ვთქვათ, რომ კლარჯეთის მატერიალური კულტურის, მისი ძეგლების შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება. მაგრამ არის ერთი საკითხი: ნაშრომის ავტორი შოთა მამულაძე ცნობილი არქეოლოგია. სურვილად დავიტოვებთ, – იქნებ მისი, როგორც არქოლოგის წერაქვი კლარჯეთის მადლიან მიწასაც შეეხოს!

კლარჯეთის მხარეში განხორციელებული ექსპედიციების დროს ერთი აზრი არ გვასვენებს და მოწიწება გვეუფლება იმის გამო, რომ დავდივართ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე, მის მიერ დაარსებულ და აღორძინებულ სავანეებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდმა კერებმა განუზომლად დიდი როლი შეასრულა ქართული სულიერების აღორძინებაში, ზოგადქართული იდეოლოგიის შექმნაში. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ კლარჯეთის მხარის შესწავლა-განხილვა წარმოუდგენელია აქ არსებული ლიტერატურულ-მწიგნობრუ-

ლი კერების გარეშე. ნაშრომის ეს ნაწილი რამაზ ხალვაშს ეკუთვნის. იგი ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში განხილული და გაანალიზებულია ლიტერატურული მხარე ამ უდიდესი მოღვაწის შესახებ შექმნილი დიდებული ნაწარმოებისა: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, ტექსტის ისტორია, გიორგი მერჩულე – აღმწერელი წიგნისა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და ღვაწლი, ასევე, გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ვერც აქ ავუვლით გვერდს ნიკო მარის პიროვნებას. მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია დიდ მეცნიერს ამ თხზულებასთან დაკავშირებით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველი აკადემიური გამოცემა სწორედ მის სახელს ეკუთნის, რომელმაც ტექსტი იერუსალიმური ნუსხიდან 1902 წელს გადმოიღო, 1904 წელს შავშეთ-კლარჯეთში იმოგზაურა გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე და ცხრაწლიანი კვლევა-ძიება დააგვირგვინა 1911 წელს, როცა გიორგი მერჩულის ტექსტი გამოაქვეყნა რუსული თარგმანის, ვრცელი გამოკვლევის, ლექსიკონის, დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტომასალისა და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების დართვით“. ამ გამოცემაშივე მარმა გადამწერის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომაც გაასწორა. მაგრამ... ვერც აქ ასცდა კონიუნქტურას – ადარნერსეს პირველი მეუღლის სახელი „ბევრეულისი“ ეტიმოლოგიურად ბივრიტის მაინცდამაინც სომხურ სახელწოდებას დაუკავშირა და „ბევრელით“ შეცვალა(?!).

კვლევის მეორე ნაწილში ავტორს უშუალოდ განხილული აქვს გრიგოლ ხანძთელის მიერ ღვაწლდადებული სავანეები – შატბერდი, ოპიზა, პარეხი, ბერთა, მიძნაძორი, წყაროსთავი და აქვე „გალობანი ანჩის ხატისანი“.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კოლექტიური ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სახელწოდებით – „კლარჯული სოფლები“. ამ ნაშრომში განხილულია ფართო დიაპაზონი საკითხებისა: უხვი ეთნოსტატისტიკური ფაქტობრივი მასალა კლარჯთა განსახლების, დღევანდელი ენობრივი სიტუაციისა და ეთნიკური თვითშეფასება-იდენტობის შესახებ, მსჯელობა გაშლილია ისტორიულ-გეოგრაფიული (წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმის – დახატულას ლოკალიზაცია), კოლექტიური მეხსიერების (საინტერესო გადმოცემები თამარ მეფისა თუ ზიარეთობის შესახებ) და სხვა საკითხებზე. დიდი შრომა გაუწევია პროფესორ მალხაზ ჩოხარაძეს. იგი არ კმაყოფილდება დღევანდელი კლარჯი მოსახლეობის განხილვით და კვლევის მიმდინარეობისას „კვალდაკვალ“ მიჰყვება ამ რეგიონიდან გადასახლებულ მუჰაჯირებს. ანალოგიურ საკითხებს განიხილავს მარმარილოს ზღვისპირეთისა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის გუბერნია-ვილაიეთებში გადასახლებულთა შორის.

უნდა ვთქვათ, რომ ეს ის საკითხებია, რომელთა მიმართაც დიდი ინტერესია გამოხატული არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებში, არამედ მთლიანად ქართველ საზოგადოებრიობაში. ასეთი თემებია: თურქეთელი ქართველების რაოდენობა, განსახლების ადგილები მშობლიურ თუ ახალ სივრცეში, ქართული ენის ფლობის დონე და ხარისხი, მათი დღევანდელი ეთნიკური მდგომარეობა თუ სამწუხარო დეეთნიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. აქ დასმულ საკითხთაგან რამდენიმეს შესახებ მალხაზ ჩოხარაძემ არცთუ დიდი ხნის წინ გამოაქვეყნა საინტერესო სტატიები ისტორიულ-შემეცნებით ჟურნალ „ისტორიანში“, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ავტორის მიერ დაფიქსირებულია მოვლენა, როდესაც ზოგიერთი ხეობიდან თუ სოფლიდან (ხატილა, ნაჯვია, სინკოთი, ბეშაული...) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებმა თურქეთის შიდა პროვინციებში (საქარია, სინოპი...) შეინარჩუნეს მამა-პაპათა ენა, ხოლო ფუძე სოფლებში ქართული მეტყველება ფაქტობრივად დაკარგულია და ცალკეული სიტყვებისა თუ ტოპონიმიკის სახითაა შემორჩენილი. როგორც ჩანს, მუჰაჯირთა შემთხვევაში იმოქმედა ახალ ადგილზე დამკვიდრებისას დამხდური მოსახ-

ლეობისაგან გამოცალკევებისა და გამორჩეულობის, „თვითშენახვის“ მექანიზმმა.

ნაშრომში დასმულია კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი. თითქოს შევეჩვიეთ სომეხი მეზობლებისგან დაუსაბუთებელ, ხშირად ღიმილის მოგვრამდე მისულ პრეტენზიებს – ქართული ძეგლებისა თუ ისტორიული პირების წარმოშობიდან დაწყებულსა და კულინარიული ელემენტებით დამთავრებულს. ახლა უკვე თურქმა „მეცნიერებმა“ დაიწყეს ზღვარდაუდებელი ფანტაზიის ტირაჟირება და მოსახლეობაში მიზანმიმართულად მისი გავრცელება მესხეთის მოსახლეობის წარმომავლობის შესახებ. როგორც ჩანს, „საფუძველი“ რომ მოუძებნონ ამ მხარის თურქეთში ინკორპორაციას, მოიგონეს ახალი ფანტაზია აქაურების რაღაც ბუნ-თურქული თუ ყივჩაყური წარმომავლობის შესახებ. სამწუხარო ფაქტია და ამას „მეცნიერები“ „ამტკიცებენ“...

ამა თუ იმ კუთხის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის განხილვისა და შესწავლის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქ მკვიდრი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლას. გარდა იმისა, რომ ასეთი კვლევა საერთო წარმოდგენას იძლევა განსახილველ კუთხეზე, მის მოსახლეობაზე, საინტერესოა ამ მონაცემების შედარება-შეპირისპირება საქართველოს სხვა კუთხეებთან. ასეთ დროს ადგილობრივ ელემენტებთან ერთად იკვეთება საერთო, ზოგადქართული სურათი, მაგისტრალური ხაზი მრავალ სფეროში: დასახლებასა და საცხოვრებელ ნაგებობებში, სოციალურ და საოჯახო ურთიერთობებში, სამეურნეო-ყოფით კულტურაში.

ამ საკითხებს შეეხება წიგნის ნაწილი, რომელსაც კლარჯეთის ეთნოლოგია ეწოდება და იგი ნუგზარ მგელაძეს ეკუთვნის. ავტორმა, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლა ადგილობრივი დასახლების ტიპი და ამ კონტექსტში „გააცოცხლა“ ნიკო ბერძენიშვილისეული ხევებად დაყოფის თეორია. საინტერესო მოსაზრებებიც გამოთქვა ამ მიმართულებით. ეს თეორია კი ასე გამოიხატება: „საქართველოს ისტორია ხეობებისა და ხევების ისტორიის ფონზე განვითარდა“. კლარჯეთის შემთხვევაში ეს გახლავთ ჭოროხის ხეობის ქვედა წელი, მასზე არსებული ბეღლევანის, ჩხალის, მურღულის, ქლასქურის, დევსქელის ხევები, რომლებიც ტერიტორიულ-სოციალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და თავის მხრივ მცირე ხევებად სეგმენტირებოდნენ.

ნაშრომში გარკვეულია კლარჯეთის სოფლების დასახლებათა ფორმა და სტრუქტურა, მისი მორფოლოგია. ამ მიმართულებით პრიორიტეტი ე. წ. სერულ დასახლებას მიეკუთვნება. როგორც ყოველთვის, საინტერესოა ნუგზარ მგელაძის კვლევის სტილი – ნებისმიერი თემის, ტერმინის თუ ტოპონიმის განხილვისას, იგი მას ბოლომდე უღრმავდება და ცდილობს ძირისძირობამდე ჩასდიოს, გაარკვიოს მისი წარმომავლობა, სემანტიკა (ტოპონიმი ქართლა/კარტლა, საყოფაცხოვრებო ნივთი მარანი და სხვ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც განხილულია კლარჯეთის მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციული სისტემა. აქ ბევრ საკითხთან ერთად ყურადღებაა მიქცეული შრომის ორგანიზაციასა და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით შრომით დანაწილებაზე, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებულ სინამდვილეს წარმოადგენდა, რადგანაც ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც ყოფა-ცხოვრება სამეურნეო სინკრეტიზმს – მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზს ეფუძნებოდა, სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო.

„კლარჯეთის“ ფოლკლორულ ნაწილში, რომლის ავტორი თინა შიოშვილია, თანამიმდევრობით და ამ მკვლევრისთვის ჩვეული პუნქტუალობითაა განხილული თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი: შრომის ლექს-სიმღერები, პატრიოტული ლირიკა, ფილოსოფიური ლირიკა, სატრფიალო პოეზია, საქორწინო ლექს-სიმღერები, საყოფაცხოვრებო და სასულიერო პოეზია, შელოცვა-დალოცვები, ანდაზა-გამოცანები, მითები და ლეგენდები, მახვილსიტყვაობა და საბავშვო ფოლკლორი.

ჩამოთვლილი საკითხებიდან ყველა საინტერესო და აქტუალურია. თინა შიოშვილს, ვითარცა მარგალიტის მარცვლები, სათუთად მოუგროვებია კლარჯთა სულიერ სამყაროში დაუნჯებული ეს აუწონავი სიმდიდრე. ყველა მათგანს თავ-თავიანთი ადგილი ეკავა კლარჯთა ყოფაში, ცხოვრებაში, სოციალურ და სულიერ სამყაროში. ჩვენ მაინც ერთ მიმართულებას გამოვყოფდით, ესაა ავტორის მიერ მოძიებული უაღრესად საინტერესო მითები და ლეგენდები, კოსმოგონიური მითოსი და დემონური პერსონაჟები, სამონადირეო მითოსი და ლეგენდა დიდი წარღვნის შესახებ, ჰადისური ლეგენდები, ლეგენდა მონანიე კაცის მკვლელზე... ქართული ფოლკლორის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს ლეგენდები ზიარეთზე, ჩვენი სულიერი სამყაროს ოქროს ფონდში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ლეგენდები თამარ დედოფალზე.

წიგნში წარმოდგენილი ბოლო თემებია კლარჯული კილო და კლარჯული ტოპონიმიკა. ორივე საკითხი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შენაძენი, არამედ, ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმართულებების კონტექსტში. ამ კოლექტიურ ნაშრომთა ავტორები არიან მერი ცინცაძე, მამია ფაღავა და მაია ბარამიძე. რაც შეეხება კლარჯული კილოს საკითხს, საერთოდ, ლინგვისტიკისთვის ერთი გარემოებაა დამახასიათებელი: შეიძლება იგი ფართო საზოგადოებისთვის მაინცდამაინც ეფექტური არ იყოს, სამაგიეროდ განუზომელია მისი მეცნიერული მნიშვნელობა მშობლიური ენისა და მისი კილოების სიღრმეების, ფესვების კვლევის საქმეში, ეთნოსის კონსოლიდაციისა და ერთიანობის განცდაში. ამავე დროს, საინტერესოა და მნიშვნელოვანი შორეული წარსულის ლაბირინთებში ჩამოცილებული ნათესავების ძიებისას.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ტოპონიმიკას, როგორც მეცნიერებისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებრიობისთვის. ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, რომ ნებისმიერი მოქალაქე, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, როგორც წესი, ინტერესდება საკუთარი ქალაქის, სოფლის, მდინარისა თუ ხეობის დასახელების წარმომავლობით, მისი სემანტიკური მნიშვნელობით. მით უფრო, რომ იგი უაღრესად ეფექტიანია კვლევების დროს, ხელსაყრელია, აგრეთვე, მისი მომარჯვება სამეცნიერო კამათისა და დისკუსიებისას. თუნდაც, კლარჯეთის შემთხვევაში. აქაური ტოპონიმიკის გამოწვლილვით შესწავლა, როგორიც წინამდებარე კრებულშია, საუკეთესო ფარ-ხმალია ყველა ჯურისა და ეთნოსის მეცნიერ-ავანტიურისტების წინააღმდეგ.

ასეთია ძირითად ხაზებში, ახალი საჩუქარი სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის მართლაც რომ ფუნდამენტური ნაშრომი – „კლარჯეთი“. როგორც თავად მკვლევრები აცხადებენ, ნაშრომს არა აქვს ამომწურაობის პრეტენზია. კლარჯეთის შესწავლას მეცნიერთა კიდევ არაერთი თაობის შრომა დასჭირდება.

ასე რომ, მართალია, ბათუმელ მეცნიერთა მრავალწლიანი ძიების ერთი ეტაპი წარმატებით დასრულდა, მაგრამ კლარჯეთის კვლევა კვლავაც გრძელდება...

ნაზი ჯინჭარაძე

დისტოპიური რომანის გმირი

თითქმის ყველა დისტოპიურ ნაწარმოებში გმირი, პროტაგონისტი გამოხატავს მწერლის მთავარ სათქმელს. იგი არის ერთადერთი მთელ საზოგადოებაში, რომელიც ხედავს რომ ისე არ არის ყველაფერი, როგორც თავს გვახვევენ, რომ უნდა განთავისუფლდნენ არსებული წნეხიდან. ისინი ხშირად მარტო იბრძვიან ამისთვის. არიან დადებითი პერსონაჟები ნაწარმოებებში. ასეთები არიან მაკ მიორფი – კენ კიზის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, რომელიც იბრძვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული „brainwashing“-ის წინააღმდეგ, მონტეგი – რეი ბრედბერის „451° ფარენჰაიტით“-ში, სადაც ის გამოდის ე. წ. „მხსნელი მეხანძრეების“ წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგია წიგნების დაწვის და საერთოდ არ იზიარებს საზოგადოებაში მასშტაბურად დამკვიდრებულ აზრებს და სტერეოტიპებს. პროტაგონისტია მწერალი ენტონი ბერჯესის „მექანიკურ ფორთოხალში“, წერს წიგნს მექანიკურ ადამიანზე, რომელიც თანამედროვე საზოგადოებამ შექმნა. პროტაგონისტია, ასევე, უინსტონი ჯორჯ ორუელის „1984“-ში, სადაც იგი გამოდის არსებული ტოტალიტარული რეჟიმის წინაშე, სადაც საკუთარ აზრებს გიკონტროლებენ. პროტაგონისტია ფრედისა და სხვა მრავალი ქალი მარგარეტ ეტვუდის „მხევლის წიგნში“, რომლებიც გრძნობენ რამხელა ტყუილში ცხოვრობენ, რომ მათ სხეულებს იყენებენ და არაფერი შერჩათ ადამიანური.

ხშირ შემთხვევაში პროტაგონისტების ბრძოლა უშედეგოა, ისინი ტრაგიკულად ამთავრებენ ცხოვრებას, ზოგი გიჟდება, ზოგი კვდება. თუმცა სწორედ მათი პირით გადმოსცემს ავტორი ნაწარმოების მთავარ მესიჯს. ისინი არიან ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟები. რაც შეეხება ანტაგონისტს, დისტოპიურ რომანებში იგი ხშირად მთელი საზოგადოებაა, ან ხელისუფლება და მმართველი ფენა, ხოლო საზოგადოება ხშირად მორჩილ, ადვილად სამართავ ბრბოდ არის გამოყვანილი.

გმირი ხშირად თავს გრძნობს ხაფანგში მომწყვდეულად და ცდილობს გაქცევას იმ პოლიტიკური და სოციალური სისტემიდან, სადაც ის ცხოვრობს. ის გრძნობს რომ საზოგადოებაში ისე არ არის ყველაფერი, როგორც ყველა სხვა ხედავს და ცდილობს საზოგადოების სხვა წევრებსაც დაანახოს იგივე. იგი არის ძლიერი, ცენტრალური ფიგურა, რომელმაც უნდა გაარღვიოს ბარიერი და გამოიწვიოს განხეთქილება დისტოპიურ საზოგადოებაში.

არსებობს ორი სახის პროტაგონისტი. ერთი, რომელიც გრძნობს რომ საზოგადოებაში რაღაც ძალიან ცუდადაა და იბრძვის მის შესაცვლელად, სჯერა რომ შესაძლებელია დიქტატორული რეჟიმის დამხობა ან გაქცევა ამ საზოგადოებიდან. ხშირად მისი შეხედულებები აბსოლუტურად განსხვავდება მის ირგვლივ მყოფი ხალხის შეხედულებებისგან. იგი ხშირად მარტოსულია, იშვიათ შემთხვევაში ჰყავს რამდენიმე თანამოაზრე. როგორც, მაგალითად, მონტეგს ფაბერი და სხვა პროფესორები; ფრედისას რამდენიმე მხევალი და მთელი „მაისის დღის“ საიდუმლო ორგანიზაცია; უინსტონს ჯულია და საიდუმლო საძმო, რომელიც ზუსტად არავინ იცის არსებობს თუ არა.

პროტაგონისტები იმითაც არიან საინტერესოები, რომ წარმოაჩენენ მთელი სისტემის კრახს, რომ სადღაც, რაღაც შეცდომა გაიპარა, რომ ჩვილობიდან წვრთნას, ძილში გამუდმებულ შეგონებებს, მედიკამენტებს და სხვადასხვა ლაბორატორიულ ექსპერიმენტს ადამიანის გონების სრული მართვა და ჩახშობა არ შეუძლია, რომ ადამიანი მაინც მოაზროვნე არსებაა და თავისუფლება სწყურია. ჰაქსლის „საოცარ ახალ სამყაროში“ ვხედავთ როგორ მობეზრდა ბერნანდს თავს მოხვეული „ფორდმსახურება“ და მის თავისუფალ სულს ახალი შეგრძნებები სწყურია.

მეორე ტიპის პროტაგონისტი არის პატივცემული, მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც თავად არის დისტოპიური საზოგადოების წევრი და ნაწილი, თუმცა შემდეგ აცნობიერებს რა იმ საზოგადოების მანკიერებებს რაშიც ცხოვრობს, იბრძვის მის შესაცვლელად. აქედან გამომდინარე, დისტოპიურ რომანებს ახასიათებს ერთგვარი შერეული დასასრული (mixed bag endings). პროტაგონისტი აჩვენებს, რომ მათ უნდა იცხოვრონ სამყაროში, სადაც არსებობს კარგი და ცუდი და არა იმის ილუზიაში, რომ ყველაფერი იდეალურადაა. მათ უნდა შეძლონ ამის გარჩევა. თუმცა მკითხველს უჩნდება განცდა რომ ისინი ვერ შეძლებენ მათთვის უჩვეულო გამოცდილების სწორი მიმართულებით წაყვანას. მათთვის ხომ უცხოა ტკივილი, უსამართლობა, ცრემლი. მათ საზოგადოებაში ყველაფერი იდეალურადაა მოწყობილი. ისე, რომ არავინ არ დაიტანჯოს.

გმირს დისტოპიურ სამყაროში უჩნდება იმდენად დიდი პროტესტის გრძნობა, რომ იგი შედის კონფლიქტში მთელ ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან. მაგ: მონტეგი „451° ფარენჰაიტით“-ში იმდენად გრძნობს რომ სიცრუეში ცხოვრობს, იმდენად გაუცხოებულია გარე სამყაროსთან რომ წარმოუდგენელ ამბოხს ბედავს, ხოცავს მის მეხანძრეებს და გარბის, გაურბის მექანიკურ ძაღლს, რომლისგან გაქცევა ფაქტიურად შეუძლებელია. მაგრამ მისთვის, ასევე, შეუძლებელია ამ სამყაროში ცხოვრება, სადაც არაფერი ადამიანური არ დარჩა, მხოლოდ მექანიკური ურთიერთობები.

ამბოხს აწყობენ არსებული სისტემის წინააღმდეგ, ასევე, გმირები მარგარეტ ეტვუდის „მხევლის წიგნში“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოირა „წითელი ცენტრიდან“, რომელიც გაქცევას ბედავს ჩაკეტილი სისტემიდან. იგი იჩენს საოცარ სიმამაცეს თავისუფლებისთვის. მისი დაჭერა კი ნიშნავდა გარდაუვალ სიკვდილს.

მებრძოლი გმირი არის, აგრეთვე, უინსტონი ორუელის „1984“-ში, რომელსაც მთელი ნაწარმოების განმავლობაში ახრჩობს არსებული რეჟიმი. იგი მუდმივად ეძებს რაშია ჭეშმარიტება? რა მოხდა? როგორი იყო ცხოვრება მის ბავშვობაში? ეძებს ძველ ნივთებს, თანამოაზრეებს, თან აქვს შიში, რომ დაიჭერენ, აწამებენ და ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება, მაგრამ არ შეუძლია შეჩერება. ფარულ ბრძოლას იწყებს ხელისუფლების წინააღმდეგ. უინსტონი გამორჩეულია იმითაც, რომ ყველაზე უფრო ღრმა განცდების პერსონაჟია სხვა პროტაგონისტებს შორის. იგი საოცრად მგრძნობიარეა და მოვლენებს ძალიან მძაფრად აღიქვამს. მისთვის ფაქტიურად ჯოჯოხეთი ხდება ოკეანეში ცხოვრება. ძალიან კარგად ესმის რაც ხდება ირგვლივ და არ შეუძლია პარტიის მთავარ პრინციპს დაემორჩილოს: 2+2=5.

დისტოპიური რომანის გმირები ფაქტიურად არის გარანტია, რომ საზოგადოება სრულიად არ დაბრმავებულა, რომ სადღაც კიდევ არის საღი, განსხვავებული აზრი, რომელსაც თავისუფლება სწყურია და რომელიც მზად არის აჯანყებისთვის. ისინი არიან ერთადერთი ნათელი წერტილები იმ საშინელებათა სამყაროში, რასაც დისტოპია ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Booker, Keith “The Dystopian Impulse in Modern Literature. Greenwood Press, 1994.
2. Gerber, Richard “Utopian Fantasy”. London, 1995
3. Gottlieb , Erika. “Dystopian Fiction East and West: Universe of Terror and Trial. Montreal, McGill_Queen’s Press, 2001.
4. Haschak, paul “Utopian and Dystopian Literature”. Scarecrow press, 1994.
5. Jameson, Fredric “The Desire Called Utopia and other Science Fictions”. London, Verso, 2005.
6. Tod, Ian “Utopia”. London, orbis, 1978.



ზურაბ ხაბაძე

უსათაურად და უმისამართოდ*

„...მიდის დრო, განვლო მრავალმა აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას არ ექნა დასასრულია...“.

ვაჟა

– ეს მონათა მორალია. იგი ქებას ასხამს თანაგრძნობას, თვინიერებას, სიყვარულს, მშვიდობას, – გამომეპასუხა ბატონი პავლე.

– მაგრამ ამ შეფასების უკან იმალება თანაგრძნობისა და სიყვარულის საპირისპირო მოტივი, – ვაგრძელებ თემაზე საუბარს მე. – ეს მოტივია შურისძიება, ეს არის შურისგება არისტოკრატიაზე, რომელიც აწესებს წოდებრივ საფეხურებს და თავის თავს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს. მაშინ როდესაც შურისძიება შემოქმედებითი ხდება და არისტოკრატული მორალი საკუთარ ღირებულებებს აყალიბებს, იწყება მონათა ჯანყი მორალთან. არისტოკრატულ „კარგს და ცუდს“ უპირისპირდება დემოკრატიული, გათანასწორების ნებით აღბეჭდილი „კეთილი და ბოროტი“.

– ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, ეგ ყოველივე, რაც თქვენ ბრძანეთ დეკადანსის კულტურის დაცემის იდეალებია. ასეთ სულიერ ატმოსფეროში ადამიანი კნინდება, იქცევა შინაურ ცხოველად, – თავის არგუმენტს მიზიარებს პავლე. – ცივილიზებულ ევროპელს, გნებავთ სხვადასხვა ერსა და ხალხს, აშინებს ძლიერი ვნებები, ძლიერი განცდები, ჭიდილი, ტანჯვა, რომელთა გარეშე სიცოცხლე ჭაობად იქცევა. თანამედროვე ევროპელი ცხოვრობს ყოველდღიური პატარა საქმეებით, ის დამჯერია, სამართლიანი, კეთილი და თვინიერი.

მისი მთავარი საზრუნავი პირადი კეთილდღეობა, პაწია ბედნიერებაა. იგი სიკეთეს სჩადის მხოლოდ იმიტომ, რომ სხვამ ტანჯვა არ მიაყენოს. მისი ცხოვრება სიყალბეა. აცხადებს კიდევაც პათეტიკურად და ავადმყოფურად, რომ აუცილებელია კეთილქმედება. არადა, სულის სიღრმეში სხვაგვარად სჯერა. თვლის, რომ, როგორც დამზღვევი საშუალება, აუცილებელია კანონდამცავი მექანიზმი, რასაც ჯერჯერობით პოლიცია ჰქვია.

ბატონმა პავლემ სიგარა გააბოლა და ცოტათი ჩაფიქრდა.

– იცი რას გეტყვი ჩემო კარგო, – განაგრძო მან. – ნიცშეს აზრით, იქ სადაც გონებასა და ინტელექტს ავტონომიურობა ენიჭება, იკარგება სამყაროს დიონისური განცდა. შეიძლება ბევრი არ იზიარებდეს

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.; № 3, 4, 6, 2017 წ.; № 3, 4, 2018 წ.

მისი მაძღარი ბურჟუისა და თვითკმაყოფილი ფილისტერის ცხოვრების წესს. ნიცშე დაუძინებელი მტერია სოციალიზმის და დემოკრატიისა. მისი შეხედულებით, თანამედროვე ადამიანი გაურბის თავის თავს. იგი აზროვნებს და მოქმედებს საყოველთაოდ მიღებული შაბლონებით, დაკანონებული სტანდარტებით. როგორც თანადროული, ცივილიზებული სამყაროს პირმშო აბსოლუტურად უსახო და უპიროვნოა. მასში ინდივიდის ნება ჩაკლულია, ადამიანის ჭეშმარიტი პირველსაწყისი სდუმს.

ნიცშე ემიჯნება ანტიკურ დიდ შემოქმედთაც, რომელთა მოსაზრებები გაიზიარა თვით ბურჟუაზიულმა თანამედროვე ფილოსოფიამ. მისი შეფასებები სრულიადაც არ არის ნაკარნახევი საზოგადოების შიგნით არსებული უთანასწორობის მოსპობის სურვილით. გამოგიტყდები და ვეთანხმები მის იდეოლოგიურ ფორმულირებას – არათანასწორუფლებიანი საზოგადოება, არამედ ისეთი, რომელსაც მართავს რჩეულ ზეკაცთა ელიტა, რაშიც, ბუნებრივია, იგულისხმება მდაბიოებიც.

– ზოგიერთ რამეს არ ვიზიარებ ნიცშეს ფილოსოფიიდან, – საკუთარი აზრი გამოვთქვი მე. – თქვენ გერმანული ენა კარგად იცით. იქნებ მე ვერ ვწვდები მის ფილოსოფიურ სიღრმეებს, როგორც საჭიროა, მაგრამ მაინც შემიძლია გავარჩიო ერთმანეთისგან რაა ჭეშმარიტი და რა – მიუღებელი. მაგალითად, ადამიანი რომ უნდა გახდეს შემოქმედი, კარგია, მაგრამ რა გზით, როგორ შეიძლება ამის მიღწევა? განა შესაძლებელია ყველა გახდეს შემოქმედი? ნიცშეს აზრით, შემოქმედება გულისხმობს ყოველი მიღწეულის სიძულვილსა და დაძლევას, პიროვნულის მარადიულ ნგრევასა და აღშენებას. თითქოს ადამიანის ჭეშმარიტი არსებობა შორეულის, მომავლის სიყვარულია. ვიზიარებ, რომ შემოქმედება – მარადიული ბრძოლა და ომია საკუთარ თავთან, მაგრამ განა ყველაფერი ღირებული, რაც ადამიანმა შექმნა უარსაყოფია და მას ხაზი უნდა გადაესვას?!

– არა მაესტრო, ამას იზიარებდნენ ისინი, რომლებიც სხეულის სასიცოცხლო ძალებზე მაღლა ინტელექტის გამრუდებულ ღირებულებებს აყენებენ; ეს ნიშნავს, რომ ზეკაცის თვალში თვითონ ჭეშმარიტებამაც უნდა დაკარგოს ის აბსოლუტური და თავისთავადი მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა ტრადიციულ მეტაფიზიკაში, – მეუბნება პავლე.

– მეტაფიზიკა იდეალური ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც განიხილავს ღმერთს, სულსა და შესაბამის მოვლენებს. სამყარო მუდმივი ქმნადობა, პერმანენტული მოძრაობაა, ბატონო პავლე, – მივმართავ თანამოსაუბრეს მე. – მასში არაფერია მყარი და გაქვავებული. ამგვარ ყოფაში ადამიანს გაუჭირდებოდა არსებობა და სამყაროს შიგნით ორიენტირება. ადამიანი იმეცნებს სამყაროს – მას შეაქვს სიმყარე მდინარებაში, უძრაობა მოძრაობაში, თავისი თავის მიმართ იყენებს კატეგორიებს – „მე“, „საგანი“, „თვისება“, „მიზეზი“, „შედეგი“, „სუბსტანცია“, „შემთხვევითობა“ და სხვა. ამგვარი შემეცნება ნიშცეს ფილოსოფიით აშკარა სიყალბეა. არისტოტელეს ფიზიკის ტრაქტატების შემდგომ წარმოშობილი მეტაფიზიკა კი სხვაგვარად ხსნის მოვლენებს.

სამყაროს, როგორც ნაკადს ცვლის სამყარო, რომელშიც დგანან მასთან ჰარმონიულად შერწყმული ნივთები და სუბსტანციები. ეს შემთხვევითობა კი არა სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. შემეცნება ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, თვითონ არის ნება და როგორც კი ეს ნება სამყაროში განმტკიცდება, გაძლიერების აუცილებლობით ახდენს მის ფალსიფიცირებას ე. ი. გაადამიანურებას. სურათში მხატვარმა ადამიანს უნდა მიაკუთვნოს ის ადგილი, რაც მას სინამდვილეში უკავია, ანუ უპირატესად უნდა ასახოს ადამიანი და არა მისი კოსტიუმი, კეთილშობილი ჟესტები თუ მდიდარი ტანსაცმელი. რატომ, განა რემბრანდტი არ აქცევდა სამოსს და აქსესუარებს ყურადღებას?

– სიუჟეტმა არ უნდა შებორკოს მხატვარი. თუ შემოქმედი ნიჭიერია, ნებისმიერ სიუჟეტში, პირველყოვლისა, ადამიანის სახე უნდა გახსნას, – ამტკიცებს პავლე.

– არაერთხელ მსმენია „მხატვარი თითქმის ყოველ ადამიანშია, მაგრამ... ხშირად იგი უტყვია“. მთავარია სურათი იყოს მეტყველი და მისგან სიცოცხლე გამოსჭვიოდეს. სწორედ მაშინ არის იგი

დამატყვევებელი მაყურებლისა. ველასკესის სურათები თუ პორტრეტები რეალისტური და დემოკრატიული მიმართულებებით სვლა, უბრალო ხალხისადმი სიმპათია და მისი ყოველდღიურობის ჩვენებაა, – ჩემს პოზიციას ვუზიარებ პავლეს.

– მაგრამ მხოლოდ სევილიის პერიოდისთვის. შემდეგ ველასკესი დიდგვარონებსაც ხატავდა ისეთივე დამაჯერებლობით, როგორ სევილიაში შექმნილ ტილოებში, – აგრძელებს თემას პავლე. – ასეთივე იყო სურბარანისა და ელ გრეკოს სურათები, სადაც ნაირგვარ საღებავებთან, ვერცხლისფერ და ნარინჯისფერ ტონებთან შეხამებულია გრანიტისა და ფოლადის ფერები, რაც დამახასიათებელია ესპანეთისა და მისი ბუნებისათვის. ასე რომ, ესპანეთის ბუნება ერთგვარი მასწავლებელიც იყო.

– ველასკესის დროს ესპანეთის მეფის მხატვარი იყო იტალიელი ვინჩენცო კარდუჩო, რომელიც მადრიდში სრულიად ახალგაზრდა ჩავიდა. მას ფერწერაზე საკუთარი აზრი გააჩნდა. ესპანეთის ბუნებაზე ისიც თქვენსავით ამბობდა, ბატონო პავლე, – თანამოსაუბრის გამონათქვამს ვეყრდნობი მე. – მას სურდა თეორიულად დაესაბუთებინა, რომ ხელოვნებაში რომანტიზმია ერთადერთი და უკვდავი მიმართულება. შეიძლება რომანტიზმის დასაბამი მისგან იღებდეს სათავეს. ეროვნული სკოლა მისთვის უცხო იყო. კარდუჩო ქმნიდა მოსაწყენ სურათებს და ტრაქტატის წერასაც მიჰყო ხელი. სინამდვილეში ფერწერას ენამჭევრობა და მხურვალე სიტყვები კი არ სჭირდება, არამედ ტილოებმა უნდა დაამტკიცოს მისი ღირებულება.

იყო ასეთი მხატვარიც – კარლ ვან მანდერი, რომელმაც დაწერა „წიგნი მხატვრობის შესახებ“. დაიბეჭდა ნიდერლანდების პატარა ქალაქ ალკმაარში. მანდერი ფლამანდრიელი მხატვრების მოწაფე იყო. ბევრს მოგზაურობდა და სადაც არ უნდა შეჩერებულიყო საუკეთესო ფერწერული ტილოების ასლებს ასრულებდა, აგროვებდა ცნობებს შესაბამის ნამუშევართა ავტორების შესახებ. მათზე წიგნის წერას იგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეუდგა. შესავალში გვამცნობს, რომ კალამი ხელში ააღებინა ხელოვნების სიყვარულმა და გამოჩენილ მხატვართა განსაკუთრებულმა პატივისცემამ. წიგნის მიხედვით ბელგიის საპორტო ქალაქ ბრიუგეში ცხოვრობდნენ ორი ჩვეულებრივი შესახედაობის კაცი – იან და ჰუბერტ ვან ეიკები და მათი და მარგარიტა. საცხოვრებლის მესამე სართულზე ფართო და ნათელ ოთახში სახელოსნო ჰქონდათ, სადაც გარდა ჩარჩოებზე გადაჭიმული ტილოებისა, ჭურჭლითა და საღებავებით სავსე უზარმაზარი მაგიდა იდგა.

ძმები ისეთ ნაერთს იგონებდნენ, საფუძვლად რომ დაედებოდა ზეთის საღებავების შემუშავებას. დიდი შრომის შემდეგ მიზანს მიაღწიეს, რის შემდეგაც მათ ნახატებში და კომპოზიციებში გაჩნდა ფირუზისფერი აყვავებული ველები, მოლურჯო სივრცეები. მანდერის წიგნში მიზანდასახულობით ჰოლბეინი გხიბლავთ. ამაოდ როდი ამბობდნენ მისი თანამედროვენი, „დიდება მას წინ უსწრებდაო“.

– ველასკესი იყო მკაცრი ესპანელი, რომელიც ყველაფერს არ იზიარებდა მხატვართა კონცეფციიდან, – ისევ ამ შემოქმედზე საუბარს უბრუნდება პავლე. – მოსწონდა რუბენსის ტილოები, მაგრამ მათში მხატვრის დეკორატიული ბრწყინვალება ნაკლებად აღელვებდა. ერთხელ რუბენსმა ერთგვარად შეაჯამა ველასკესის ბოლო წლების შემოქმედება. ამ შეფასებით, ბოლოდროინდელ სევილიის ტილოებთან შედარებით, მის მდიდრულ ნამუშევრებში ბევრი რამ შეიცვალა. უკვალოდ გაქრა შუქ-ჩრდილების სიმკვეთრე, ფერთა სიმძიმე. ფერთა სიუხვით ლანდშაფტმა სულ სხვა ელფერი მიიღო. ველასკესი თვითონაც ამჩნევდა, რომ მის ნამუშევრებში გაჩნდა ყოვლისგამაერთიანებელი მოვერცხლისფრო გამა.

– პირადად მე, ბატონო პავლე, მიუხედავად ველასკესის მიმართ უდიდესი პატივისცემისა, უფრო ბერძნული ხელოვნება და გეომეტრიული აზროვნება მაღელვებს, რომელიც დროის მდინარებას, შესაძლოა, ჩამორჩა კიდეც, – ვამტკიცებ მე. – არსებობს ასეთი გამოთქმა – „ბერძნები სწრაფად მიიწევდნენ წინ კურდღელივით, ხოლო ეგვიპტეში ლოგარითმული აზროვნება კუს ნაბიჯებით მიიწევდა წინო“. დღეს კი, კომპიუტერმა გაუსწრო ყველაფერს.

– შეიძლება, მაგრამ კომპიუტერმა და ტელევიზიამ თავისი უარყოფითი შედეგებიც მოგვცა, – გაიძახის პავლე. – მართალია, დამთრგუნველი შრომისგან იხსნა ადამიანი, რაზეც მე ამას წინათაც ვსაუბრობდი, მაგრამ შემოქმედების მიმართაც ცოტათი მოადუნა მისი ყურადღება. ამიტომაც ვამბობ, რომ რომანტიზმის იქით არ განვითარებულა ადამიანის შემოქმედებითი უნარი. მაშინ, როცა სწორედ შემოქმედებით შრომაშია სამყაროს არსებობის რაობა. განა, დღევანდელი მხატვრობა რაღაცით ფაიუმის პორტრეტებს არ ჩამოჰგავს?

– ამბობენ, ვენეციელ მხატვართა ჩამონათვალი ჯოვანი ბელინით იწყება, რომლის მოსწავლე იყო ჯორჯონე. მის შემოქმედებაში ბუნება და ადამიანურ განცდათა სამყარო განუყოფელ მთლიანობადაა წარმოდგენილი, – ვეუბნები პავლეს. – ასეთია მისი „მადონა შორეული პეიჟაზის ფონზე“, „ივდითი“, „ფილოსოფოსები“, „მძინარე ვენერა“, მაგრამ ტიციანის ბრწყინვალება რომ დაეჩრდილა, ისეთი მხატვარი ვენეციაში არ ჰყოლიათ. ამის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგს ტინტორეტო მიაჩნია უფრო დიდ შემოქმედად და კომპოზიტორად.

სამყაროს ისტორია ადამიანმა მითოლოგიას მიუსადაგა, უფრო სწორად, მითოლოგია მიუსადაგა სამყაროს. ნებისმიერ ჩვენგანს მითი ბავშვობიდანვე იტაცებს. ავიღოთ, თუნდაც თქმულება პრომეთესა და ხალიბების შესახებ. ჩემს სოფელში იყო ერთი სამჭედლო, მიყვარდა იქ სიარული და ოსტატთან ერთად ხმალ-ხანჯლების ჭედვა. ზოგჯერ, ნახშირის ნაკლებობის გამო, იქ ქურის გასაღვივებლად, შეშაც კი მიმქონდა ტომრით. დღეს რომ ამას ვიხსენებ, საკუთარ თავზე მეცინება, თუმცა აქ სასაცილო არაფერია. განა გავარვარებული ლითონის ჭედვაც შემოქმედებითი შრომა არ არის, ბატონო პავლე, რის შესახებაც თქვენ ზემოთაც საუბრობდით? – კითხვას ვსვამ მე.

განა იგივე მითოლოგია არ გვიამბობს, რაოდენ დაუღალავად შრომობდა ყოველ ცისმარე დღეს „ვულკანი“. ისე, რომ დრო არც კი რჩებოდა თავისი ლამაზი და ქარაფშუტა ცოლისათვის, „ვენერასათვის“, მიეხედა. სილამაზის ღმერთმა, აპოლონმა, გაუმხილა შრომისმოყვარე ღმერთს მოღალატე ცოლის საქციელი და ეს იმიტომ, რომ მისთვის გული ეტკინა და განცდა გაეღრმავებინა. იქნებ, უბრალოდ გააფრთხილა, – ვინც ზომაზე ბევრს მუშაობს, დღედაღამ შრომობს, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გამოცარიელებული სახლი და გაცივებული კერა დაუხვდეს.

ხედავთ, ბატონო პავლე, – ვამბობ მე. – თურმე ზოგიერთი ღმერთიც კი თავდავიწყებით შრომობდა და არ ეცალა სიყვარულისთვის. ასეთი შრომა დამღუპველია არა? თქვენც ასე ფიქრობთ? სწორედ ამ თემას მიუძღვნა ველასკესმა თავისი „ვულკანის სამჭედლო“, სწორედ ამ სიუჟეტზე შეჩერდა დიდი მხატვარი. სურათს უნდა გადმოეცა აპოლონის საბედისწერო სტუმრობა. მოქმედების ადგილად მხატვარმა ვულკანის სამჭედლო აირჩია. აქ ვერ ნახავთ ზეციურ გარემოს და ანტიკურ სახეებს. შედარებისთვის ვიტყვი, მითური ღმერთის სამჭედლო სწორედ იმ სამჭედლოს წააგავს, სადაც მე სოფლად ბავშვობისას დავდიოდი.

მიუხედავად ველასკესის ფერწერის მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემისა, პირადად მე დღეს ეს სურათი არ მაკმაყოფილებს. იცით, რატომ? მასში არ გამოსჭვივის ანტიკური, არც ბერძნული სული, არც გეომეტრიული აზროვნება, გარდა აპოლონის შარავანდედისა. მართალია, სამჭედლოს კედლები ქვისა აქვს და არა ხის (როგორც ჩემს მიერ გახსენებულ სოფლის სამჭედლოში).

ბევრი უკეთესი ტილო დაუხატავს ველასკესს, მაგრამ მათზე გამოსახული პერსონაჟებიც ჩვეულებრივი ადამიანებია, მოკლებული ყოველგვარ მითოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ ცალთვალა დევებს ვულკანის სამჭედლოში თავი მოუყრიათ და გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით მისჩერებიან მშვენიერ ღმერთს, რომლის სამოსლის მიღმა ფარული ავკაცობაა დასადგურებული. მთლიანობაში მხატვარმა ჟანრული იერსახე მისცა თავის სურათს და არა ანტიკური ბრწყინვალება. თუმცა, ამას მე დაბეჯითებით არ ვამტკიცებ. რას იზამ, თუ ამ ფერწერულ ტილოში მხატვარს სხვა რამ აინტერესებს, ვიდრე წარსულში ჭვრეტა.

– დიახ, რუბენსით შთაგონებულმა ველასკესმა „ვულკანის სამჭედლო“ დახატა, მაგრამ იგი ცხოვრებას ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღბეჭდავდა, – მერთვება საუბარში პავლე. – პირადად მე მისი ის ტილოები უფრო მომწონს, სადაც უბრალო გლეხებს ხატავს. მაგალითისათვის „მოგვთა თაყვანისცემა“, სადაც ღვთისმშობელი უბრალო ესპანელი ქალია, თავისი მოგვებითურთ; გნებავთ, ავიღოთ ნახატი „ბახუსი“. იქაც ველასკესი უბრალო ესპანელებს, სევილიელ მშრომელ ხალხს ასახავს. ბახუსის გვერდით, მარცხნივ, შლიაპით მომღერალი ესპანელი დგას, ღვინით სავსე ფიალით ხელში. იგი ტიპური ესპანელია, განსხვავებით ძველი ბერძნული ვაკხანალიის რომელიმე მონაწილისა. მხატვრის მსოფლმხედველობა გასაგებია, მას არ აინტერესებს ბერძნული ან რომაული „ვაკხანალია“. „ყოველი მშვენიერია იმდენად, რამდენადაც ის ვარგისია თავისი დანაშაულებისთვის“.

ბახუსის დღესასწაულებს ძველ რომში ჰქონდა მისტიკურ-ორგიული ხასიათი. დიონისეს „ბახუსის“ ამ დიდ დღეობაზე თავდაპირველად მხოლოდ ქალები დაიშვებოდნენ. მერე იგი ისეთი აღვირახსნილობის, ღრეობისა და გარყვნილების დღეობად იქცა, რომ სენატი იძულებული გახდა მკაცრად შეეზღუდა, თუმცა არ აუკრძალავს თავაშვებული და აღვირახსნილი ცხოვრება.

ასეთივე სურათი აქვს დახატული ბევრ ევროპელ ხელოვანს, მათ შორის გერმანელ შესანიშნავ მხატვარს პლატცერსაც. თუმცა ველასკესი მისგან ბევრად განსხვავებულია. მე მაინც „ბრედის დაცემას“ გამოვყოფდი. სურათზე დაცემული ციხის გასაღების გადაცემის მომენტია წარმოდგენილი, რაც მიწიერი ცხოვრებისა და წუთისოფლის ცვალებადობა-წარმავლობის გამოსახულებაა. ქალაქის გასაღების ერთი-მეორესთვის გადაცემის – სპინოლასა და ნასუს შეხვედრის, მომენტში მაყურებელი უთუოდ წაიკითხავს შინაარსს, წაგებულმა მოგებულს რომ შეიძლება უთხრას: „შესაძლებელია შენ აღმოჩენილიყავი ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ დღეს შენ ბედმა გაგიღიმაო“. ეს ტილო, ჩემი აზრით, არის უდიდესი შედევრი, იმათ შორის, რაც კი ოდესმე შეუქმნიათ გამოჩენილ ხელოვანთ, – თავის მოსაზრებას ასრულებს პავლე.

– შეხედულება ყოველ წელიწადს შეიძლება შეიცვალოს, ბატონო პავლე, – გავიძახი მე. – ამას წინათ მსოფლიო შედევრთა ხუთეულში აღიარეს – რემბრანდტის „ღამის მუშაკები“, ბოტიჩელის „გაზაფხული“, ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“, მიქელანჯელოს „სიქსტეს კაპელა“ და ველასკესის „ბრედის დაცემა“, მაგრამ მე, რომ მკითხოს კაცმა ეს შეფასება პირობითია. ერთ მშვენიერ დღეს, გამორიცხული არაა, ყველაფერი შეიცვალოს. ნახავ, რომ რემბრანდტის მაგივრად ტიციანი წამოიწევს წინ, ან ველასკესის ნაცვლად – ელ გრეკო. მე მგონი, წეღანდელ ჩამონათვალს ელ გრეკოს „გრაფ მორგასის დატირებაც“, არ დაუდებდა ტოლს.

– ბოლოს და ბოლოს რას ემსახურება სახვითი ხელოვნება, ჩემო კარგო? – კითხვას სვამს პავლე და მას თავადვე პასუხობს. – უპირველესად მშვენიერებას. მშვენიერია ის, რაც ვარგისია და რასაც უნარი აქვს სიკეთისკენ წამყვანის ფუნქცია გააჩნდეს. ამას თავისი შემოქმედებით აღწევდა ველასკესი. ესპანელები საოცარი ხალხია, ტემპერამენტიანი, ბევრ რამეში ჩვენ მათ ვგავართ, განსხვავებით ჩრდილოელთაგან. ავიღოთ იაროშენკო, რომელსაც ეკუთვნის სურათი „ცეცხლფარეში“ (кочигар). იგი უფრო პორტრეტულია. არ ვავლებ პარალელს ველასკესთან. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სულ სხვაა მისი ზემოხსენებული „ვულკანის სამჭედლოს“ მჭედელი და სხვა – „ცეცხლფარეში“. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ვულკანს, ესე იგი ღმერთს.

იაროშენკოს მკლავებდაკაპიწებული „კოჩიგარი“, რა თქმა უნდა, ოსტატობითაა შესრულებული, მაგრამ იგი, ჩემი აზრით, ცოტათი პოზიორია. პოზირება კი არ უნდა გამოსჭვივოდეს სურათში, რაც რუსებს ზოგჯერ ახასიათებთ, თუმცა ეს ტილო თხემით ტერფამდე განსაცვიფრებელია. როგორი ოსტატობითაა ცეცხლისაგან განათებული „კოჩიგარის“ ჰერკულესისმაგვარი მკლავები. დაძარღვულია და რთულია მისი აღწერა. ესეც ჟანრული ნაწარმოებია. განა შენს საყვარელ ძველ ბერძნებს

არ ჰქონდათ ჟანრული სტილის ქანდაკებები ან სურათები? აი, მაგალითად „მეეტლე“ ან „მწყემსი“? – მეკითხება პავლე.

– კი, მაგრამ, იქ გამოსჭვივის ადამიანურობა და არა „ნატურშიკი“, – ვპასუხობ მე. – თქვენ ამბობთ, რომ რაც ვარგისია, ის მშვენიერია. ეს ანტიკური გაგებაა მშვენიერებისა. ავიღოთ თუნდაც, გველი. მისი გარეგანი ტყავი ვინმესთვის შეიძლება მშვენიერი იყოს, მაგრამ არავითარი სიკეთის მომტანი არაა. თუმცა მისი გესლის ერთი გრამი გრამ ოქროზე ძვირად ფასობს. გარდა ამისა, ვერ დაგეთანხმებით, რომ რომანტიზმის იქით არ განვითარებულა ხელოვნება. როგორ არა, განა იმპრესიონიზმი ან პოსტიმპრესიონიზმი არ ჩაითვლება განვითარების ეტაპად. გნებავთ, აბსტრაქციონიზმი? მიმაჩნია, რომ თუგინდ პირწავარდნილი ეპიგონი იყოს მხატვარი, ანტიკური ან იტალიური რენესანსისა, მისი შემოქმედება მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. ერთი მისხალიც რომ იყოს მის მიერ თუნდაც წინ გადადგმული. თვით ლობაჩევსკის მათემატიკური წრფეები სივრცეში რომ იკვეთებიან, წინგადადგმული ნაბიჯია, მიუხედავად დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა ევკლიდეს მიმართ.

– ბერძნული მათემატიკა (გეომეტრია) მთლიანად ეყრდნობოდა გამოთვლებს, – ჩემს ნათქვამს ანვითარებს პავლე. – მაგალითად, ორი რიცხვის ჯამის კვადრატის დადგენა, მონაკვეთის შუაზე გაყოფა, წესიერი მრავალკუთხედის აგება. ე. ი. არსებობდა მათი პასუხების მიღების თვალსაჩინო მეთოდები. იმავდროულად, ვითარდებოდა ანალიტიკური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ყველა სიდიდის რიცხვებს, ან რაიმე ვადების ჩაწერას ფორმულების სახით. შემდგომში ეს ორი სახე გაერთიანდა და წარმოიშვა ევკლიდეს გეომეტრიასთან ერთად: დიფერენციალური, ანალიტიკური თუ სხვა სახის გეომეტრიები. მართლაცდა, კაცობრიობის დიდი მიღწევაა კომპიუტერი. ინტერნეტმა მთლიანად დააკავშირა მსოფლიო ერთმანეთს. რასაკვირველია, ძველ მონაპოვრებზე დაყრდნობით წარმოიშვა ეს ყველაფერი.

– უძველეს მონაპოვრებთან დაკავშირებით გეთანხმებით, ბატონო პავლე, – ვიზიარებ თანამოსაუბრის მოსაზრებას. – ოთხი ათასი წელი არსებობდა ეგვიპტის ცივილიზაცია, ძველი ბერძნებისაც დიდი ხნისაა. ბერძნებმა შეითვისეს და შეისწავლეს ეგვიპტელებისგან მათი მიღწევები და თავისებურად განავითარეს, შემდეგ კი მთელ ევროპას გადასცეს. მაგრამ დღეს საბერძნეთი სახელოვან ელადასთან შედარებით, არაფერია. ამ სივრცეში ახალი აღარაფერი იქმნება. თანამედროვე სამყაროს თანმდევი პროცესები – ღირებულებების გადაფასება და გლობალიზაციაა.

ამას წინათ მქონდა საუბარი ერთ-ერთ ჩვენს მსახიობთან და მასთან შემთხვევით წავაწყდი წიგნს „ევროპა და აზია“, ავტორი ვინმე ნინო ხოფერიაა. იქ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. მაგალითად ის, რომ გრიგოლ რობაქიძე ამბობს: „საქართველოც... ნატეხია აღმოსავლეთის და ჩვენი ძვირფასი აკვანი დასავლეთი ევროპაა, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთს ჩვენ ვერ დავთმობთ“. ამასვე ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი – „აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდოთ ჩვენი ხელოვნების დილას“. ამ საზომით მოქმედებაშია დევიზი – „უკან აზიისკენ წინ წასასვლელად“. შოთა დედაბრიშვილის აზრით – „ახალ ინფორმაციულ ერაში ცნობიერების დონეზე აუცილებელი ხდება ჩვენი ძირძველი, ტრადიციული, წარმართული რწმენის აღორძინება და მისი მეოხებით დღევანდელ პოლირელიგიურ ძალადურ საკაცობრიო ველში არსებობა, რათა თუნდაც სულიერ დონეზე თავზე აღარ მოგვეხვიოს სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენები“.

– არა მაესტრო, კაცობრიობა უკან არ ივლის, – დარწმუნებით ამბობს პავლე. – შალვა ლელაშვილი მესხი იყო და ასე მიაჩნდა – სიტყვა წაღმართი ქრისტიანებმა აქციეს წარმათადო. ეს მისი აზრით, ისე კი ვინ იცის, იქნებ მასეც იყოს. ჩვენ არ ვიცით თუ რა იყო წარმართული რელიგიის ღირსება. ჩვენში მისი გადმონაშთები დარჩა მხოლოდ, ეს მთის ხალხში იგრძნობა – ხევსურეთში, მთათუშეთში და ფშავში. ვაჟა-ფშაველა იყო წარმართი, თუგინდ მის ნათქვამს დავეყრდნოთ, წაღმართი?..

– ვაჟას სულისკვეთება იბერიულ-კავკასიური შესაწირით აიხსნება, ბატონო პავლე, – ვამბობ მე. – ე. წ. ხატის ტყეში ხის დარგვა-გახარების რიტუალით; წყალთან დიალოგით; ჩიტთან, ცხოველებთან, მცენარეებთან, მთებთან და საზოგადოდ, მთელ გარე სამყაროსთან მედიტაციური ურთიერთობით; უფროს-უმცროსობის – მამათა და დედათა ინსტიტუტით; სტუმარ-მასპინძლობითა და სხვა რიტუალებით. განა ეს ყველაფერი არ გვახსენებს ვაჟას გმირებს – მინდიას, ალუდას, აღაზას და ა. შ.? ვაჟა ზოგიერთ რამეს თვითონვე აღუდგა წინ, მაგალითად, მტრის ხელის მოკვეთის რიტუალს ხევსურეთში.

– ცალკეულ ადათ-ჩვევებსა თუ პრინციპებს ნუ ავურევთ მთლიან იბერიულ-კავკასიურ ხასიათში, – გაიძახის პავლე. – რომელი ერთი დავასახელო: თვითმიშველების წეს-ჩვეულება კერის წევრის შემოკვდომისას; გვარის მარადიული სიწმინდის, დედა უფლისა და მამა უფლის, ხატისა და ტყის ხელშეუხებლობის პრინციპები; უჩუმარი მადლის ქმნის, კვებისა და მკურნალობის, წყლით, ცვრითა და თოვლით განწმენდის, ათინათისა და ჭერის, საკუთარი მარჯვენით მოპოვებული ჭირნახულით გამასპინძლების, ჭიშკართან პურობის, ზარით დატირების სისტემები და რიტუალები; დედაკაცთა ხევისბერობის, თამადობის სისტემიდან მოკვეთის წეს-ჩვეულებები და ა. შ.

– მთავარია სამართლიანობის ინსტიტუტი აღსდგეს, ჩემო კარგო, – ვამბობ მე. – მაშინ გვეშველება. ჩვენს სამართლიანობას თუ არ მიეცა სულიერი, ზნეობრივი და რწმენითი მსვლელობები, მაშინ მეცნიერება ოდენ მშრალი ფორმალიზმისა და მატერიალიზმისკენ იქნება მიდრეკილი, ხელოვნება – ეროტიზმისკენ, ხოლო რელიგია – ფანატიზმისკენ.

– წეღან თქვენ პოლირელიგიურობა ახსენეთ, – თავის მოსაზრებას გამოთქვამს პავლე. – მეც მაგის მომხრე ვარ. ამასთან მიმართებით, უფრო შალვა ლელაშვილის ენაზე ვიტყვი – „წაღმართულ“ რელიგიაში არ იყო მრავალღმერთიანობა, იგივე პოლირელიგიურობა? მაშ რა არის პოლითეიზმი? რჯულშემწყნარებლობა არ უნდა იყოს. თანამედროვე მსოფლიოში ძველბერძნულმა ხალხთა თანამეგობრობის პოლითეიზმმა თავისი დრო მოჭამა და იმიტომაც იწამა ქრისტიანობა, ასევე მოხდა ჩვენთანაც.

– ვერ დაგეთანხმებით. სანამ წარმართები ვიყავით, იბერიულ-კავკასიური ჩოხოსანი ხალხი ჩვენი ძმები იყვნენ. მტრობა ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც ჩვენში შემოვიდა ქრისტიანული, მაჰმადიანური თუ სხვათა სექტები. მანამდე ჩეჩენიც ჩვენი ძმა იყო, ადიღეელიც და აფსუაც, – შევედავე პავლეს.

– თავისი არსით სამყარო ოდითგან იმდენად პრაგმატულია, არა მგონია, ასე იყოს. აფხაზი იცი რას ნიშნავს? მესაზღვრეს. ჩვენმა წინაპრებმა ჩვენივე ხალხი საზღვრის დამცველად ჩააყენა. დღეს კი?... – რეალობას მახსენებს პავლე.

– საუბარში პოლიტიკა შემოგვეჭრა, რაც ჩვენს მიზანს სცილდება. ხელოვნებასაც ათასგვარი განტოლება აქვს, მაგრამ მათგან მხოლოდ გარკვეული მიმართულების მიმდინარეობებს მივსდევთ და ვიზიარებთ, – განსახილველი თემის საზღვრებს არ ვცდები მე.

– ხელოვნებაზე, პირადად ჩემთვის ყველა გამონათქვამიდან მოსაწონია აზრი რაფაელისა – „ხელოვნების დანიშნულება არის, უპირველესად, მოეწონოს თვალს“, – ამბობს პავლე. – რა თქმა უნდა, ამაში რაფაელი ფერწერასა და ქანდაკებას გულისხმობდა. შემდგომში ეს აზრი გარკვეულწილად დააკნინეს, მაგრამ ზოგიერთისთვის მაინც უცვლელი დარჩა. ანალოგიურია, ბერძნული ხელოვნება. ბერძნულ ხასიათში ნათლად ფიგურირებს პიროვნების სწრაფვა თვითგათავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ. ბერძნებმა ხელოვნება ათასწლეულებში გამოატარეს და მას მხატვრული ხორცშესხმა მისცეს. ამის საბუთია, თუნდაც, მათი ტაძრები. ისინი არ ჰგვანან ეგვიპტურ ტაძრებს – ქურუმთა უძველეს სალოცავ ბასტიონებს, ადამიანს რომ თრგუნავს. მათი სალოცავი ღვთაების სახლია – ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობითა და ფორმით.

გაგრძელება იქნება

რეზო აბესაძე

ინტერვიუ რეზო გეთიაშვილთან

1. ვისი გორისა ხარ? როგორი ბავშვობა გქონდა? როგორ მოხვედი დღემდე?

ბავშვობა არ დასრულებულა. ბავშვობის ადამიანების ნაწილი წავიდა, მათ შორის, ძირითადი ადამიანებიც, შვიდი შვილიშვილიდან ხუთნი დავრჩით. მაგრამ მაინც მაქვს, განსაკუთრებით – შაბათ-კვირას, როცა დედასთან, მამასთან და ჩემს დასთან მივდივართ. ეს სახლი მაცივარია – წარსულს ინახავს. წარსულსა და მომავალს შორის კავშირიცაა – ჩემი შვილის საყვარელი ადგილია. ბებიას გოგოა, ბებიას ჰგავს. არადა, დრო, ყველაზე დრამატულიც აქაა – მამაჩემი ჩემზე ახალგაზრდა მახსოვს. რაღაცეებში ისევ ჩემზე ახალგაზრდაა. სასაფალაოც გვაქვს. აქაა 32 წლის ულამაზესი მამიდა; პაპაჩემი, რომელიც თავისმა ქვეყანამ 17 წლის ასაკში ვითომ ქალაქის ასაღებად გაგზავნა – „გადით და გამაგრდით, უკან მეორე, მესამე, მეოთხე დესანტი მოგყვებათ“ – მოატყუეს. 900 კაციდან ნაპირამდე ორმოცსაც არ გაუღწევია, სარდლობამ კი ერთი კვირის მერე შემთხვევით აღმოაჩინა, რომ რამდენიმე კამიკაძე კიდევ იბრძოდა. ბოლოს ისე გამოდის, რომ ვიღაც მაინც რჩება ცოცხალი. პაპაჩემი ასე გადარჩა, ბებიაც ასე გაჰყვა ომის 18 წლის ცალფეხა ვეტერანს, მამაჩემიც ასე გაჩნდა, მისი დაც, მე და ჩემი დებიც, ჩემი მამიდაშვილებიც, ჩემი შვილიც, ჩემი მამიდაშვილების შვილებიც. გვერდით მეორე ბებიას და პაპას საფლავია. პაპას განსაკუთრებით ვუყვარდი. ბებიას კი 89 წელი ცუდი არავისზე უთქვამს. როცა ვინმეზე ვბრაზობდით, გვაჩუმებდა და გვეუბნებოდა, რომ ადამიანზე ცუდის თქმა მხოლოდ მისი თანდასწრებით შეიძლება.

ეს არის ჩემი სოფელი გარე კახეთში, თავისი ვენახით, მარნით და ისეთი ღვინით, რომ მასზე თამამად შემიძლია ვთქვა „საუკუთესო“, მიუხედავად იმისა, რომ მე მეკუთვნის.

2. როდის და რამ განაპირობა, რომ დაბადებულიყო პოეტი – რეზო გეთიაშვილი? საიდან დაიწყო ყველაფერი?

ჩემმა დამ – ნინომ, ჯიბრმა, სიზარმაცემ და მათემატიკამ. ნინო ჩემპიონია წიგნების კითხვაში – სახლის ბიბილოთეკა თორმეტი წლისამ ამოწურა, სოფლის ბიბლიოთეკა – თექვსმეტისამ. მე, როგორც უმცროს ძმას, ალტერნატივა მჭირდებოდა და მათემატიკურად შევცდი – თაროდან ისეთი წიგნები გადმოვიღე, სადაც ბევრი ცარიელი ადგილი იყო – ლექსები, თავისი მოკლე ხაზებით, გამოტოვებული ადგილებით და ახალი ნაწარმოებით, ყოველ ახალ გვერდზე. მოკლედ, პოეზიას სუფთა პრაგმატული

სულისკვეთებით ჩავუჯექი. აი, მაგალითად: „ასე დაიწყო 1981“ ლექსიდანაა, თარიღიც ზუსტად არ მახსოვს, არც ავტორი, მაგრამ სტრიქონი ნამდვილ შედევრად მომეჩვენა – მთელი ხაზი სამ სიტყვაში.

ჩემი ეს მიდრეკილება ხალხმა რატომღაც ნორმალურად მიიღო, თუმცა ლექსები ცოტა ადრეც იყო. პირველ ლექსს „დათუნია“ ჰქვია, დედაჩემს ხუთი წლისამ ჩავაწერინე:

„დათუნიას რომ მოშივდა,
სული ითქვა ასე:
ისეთი სკა გამოძებნა,
თაფლით იყო სავსე.

ახადა სკას სახურავი,
ამოუსვა თათი.
აი, მართლა ეს ყოფილა
ღორმუცელა დათვი“.

მეფუტკრეობას მამაჩემი დღემდე მისდევს.

3. დამეთანხმები, ალბათ, რომ დღეს სოციალურმა ქსელმა და ლიტ-საიტებმა უფრო მარტივი გახადა პოეზიის პოპულარიზაცია, უამრავი ავტორი მოგვევლინა ბოლო წლებში, რომლებიც თავიანთი „პიარისთვის“ ირჯებიან. შენ ნამდვილად ვერ მოგისაზრებს მკითხველი მათ რიგებში, უფრო მეტიც, რეზო გეთიაშილის პოეზიის საღამოებსაც მოისაკლისებს ლიტ-სივრცე. რატომ არ აქტიურობ როგორც პოეტი და როგორია შენი მოსაზრება ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

90-იან წლებში იყო ანომალური პოეზია. ახლა პოეზიაა ანომალია. დღეში 10-11 საათი სამსახურს ეკუთვნის, თავისი შესვენებით, გზით და ამოსუნთქვით; 6-7 საათი, ალბათ, უნდა გეძინოს. დაძინება-გამოფხიზლებასაც ერთი საათი სჭირდება. გრჩება 4-5 საათი შენი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, საკუთარი თავისთვის და ვთქვათ, მეზობლებისთვისაც. პოეზიის დრო სადღაა? წერისა და კითხვის დრო? არადა, ხელოვნებას ყველაზე მეტი დრო სჭირდება, თუ მართლა რამე ახალი უნდა შექმნა. ჩემი დაკარგის ერთ-ერთი მიზეზიც ესაა (სიტყვა „ერთ-ერთიც“ ანომალიაა, რადგან დეფიზით წერენ. სიტყვა, რომელიც მხოლობით რიცხვს გამოხატავს, დეფიზით არ უნდა იწერებოდეს).

თუმცა, არის მეორე, პიარ-ანომალიაც: არიან პოეტები, რომლებიც, სინამდვილეში პოეტები არ არიან. ისინი ანთოლოგიებშიც ხვდებიან, ითარგმნებიან და მკითხველის გულებშიც პოულობენ ადგილს. ბოლოს უკვე თვითონაც იჯერებენ, რომ პოეტები არიან.

4. შენი აზრით რა შეემატა და რა დააკლდა 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიას?

შეიძლება უფრო საქმიანი გახდა. გასული საუკუნეების პოეტები ბულბულებივით იყვნენ, აივნებზე შემოჯდებოდნენ და მღეროდნენ. ახლა ლექსები გაკვეთილებზე, რედაქციებში, ანძებზე და ენჯეოებში იწერება. ქარხნები რომ მუშაობდეს, იქაც დაიწერებოდა.

5. ამ კითხვაზე პასუხი არაერთხელ გაგიცია, მაგრამ ვერც ახლა გავექცევით. ვისაც თანამედროვე ლიტერატურა წაუკითხავს, თითქმის ყველამ იცის ზეპირად (მათ შორის მეც) შენი ლექსი „გოქსუ“. არ დაგვზარდე და მოგვიყევი, რა უდევს საფუძვლად ამ არაჩვეულებრივ სტრიქონებს? რატომ დაიწერა „გოქსუ“?

თურქული ჰესების კასკადზე ჟურნალისტური მოკვლევისთვის ჩავედი. მანამდე, ლონდონში, ამეკის ოფისის წინ, საპროტესტო აქციები მოეწყო. დემონსტრანტები სრულიად გაშიშვლდნენ და თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის გასახლება გააპროტესტეს. იტალიელი ხელოვნებათმცოდნე წერდა, რომ გასაგები მიზეზების გამო მისი არქიტექტურული ძეგლებით გაოცება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა – ოთხთა ეკლესიისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენა თურქეთში, რომელიც ჰესების მშენებლობას ეწირებოდა.

ევროპული პრესის მიუხედავად, იუსუფელში ერთადერთი ქართული ოჯახი აღმოვაჩინე, მიქელაძეები. აქედანაც ქართულად მხოლოდ მამა ლაპარაკობდა, ქალიშვილს კი – კარგად ესმოდა. ეს იყო გოქსუ.

ჟურნალისტურად წარმატებული ტური ვერ გამოდგა. სამაგიეროდ, ბაირამობის დღესასწაულზე, ზევით, პარხალის ხეობაში წამიყვანეს და სოფელ ხევეგში, მთებსა და ყინულებში შენახული ცისფერთვალება ხალხი ძველი ქართულით შემომეგება.

იუსუფელში 3 დღე უკვე საკუთარი ინიციატივით და ერთადერთი მიზნით დავრჩი – გოქსუსთან უნდა მელაპარაკა, დილიდან საღამომდე. სამ დღეში გოქსუც ატიკტიკდა. წამოსვლისას კი გასაღები დამალა და მთელ ოჯახს ახვეწნინა, გავეშვი. უკან ისეთი წამოვედი, შვილს რომ წაგართმევენ. ლექსიც გზაში დაიწერა, იუსუფელიდან თბილისამდე. უფრო ზუსტად კი, ბათუმში, საქნაპირდაცვის ამორტიზირებულ შენობაში, სადაც ჩემმა რესპონდენტმა, ბატონმა საშა ხორავამ შემიფარა.

6. როგორც ცნობილია მუშაობ სენში (CENN, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი). რამდენად გიყვარს ეს საქმიანობა და აქვს თუ არა კავშირი, ან შენ თუ აკავშირებ შენს პროფესიულ საქმიანობას პოეზიასთან?

სამსახურს ჩვენი დროის ნახევარზე მეტი მიაქვს და ამად უნდა ღირდეს. მგონია, რომ ღირს – ათასობით მოსწავლე, მილიონობით ჰექტარი ტყე, ჰაერი, წყალი, გარემო... ნახევარი კი არა, მთელი ცხოვრებაც რომ ჩადო, გამართლებულია – ისევე, როგორც ლექსებში.

7. ზოგს გამორჩეულად „მესაფლავე“ მოსწონს, ზოგს „ეფემერა“, ზოგს კიდევ „ლურჯა ცხენები“ – როგორია რეზო გეთიაშვილის თვალით დანახული გალაკტიონი? ვისაუბროთ გალაკტიონზე.

ჩემთვის გალაკტიონი იყო ის წერტილი, საიდანაც შემეძლო გაგრძელების ახალი გზები მეპოვა; ყველაფერი – დასაყრდენი, სიმძიმის ცენტრი, ათვლის წერტილი. ცხადია, არ ვგულისხმობ ერთი წიგნის გაგრძელებას მეორე და მესამე ნაწილით; აქ იგულისხმება პოეტური ენა და ხელწერა, ის სივრცე, რაც გალაკტიონმა შექმნა და დატოვა. სხვებიც არიან, მაგალითად, არის მურმან ლებანიძე, რაც უკვე გალაკტიონის შემდეგ განვლილი საკმაოდ გრძელი გზაა, მაგრამ ამ გზას უფრო ვიწრო კანიონებში შევყავართ, გალაკტიონი კი ფართოა და, ალბათ, მისი სხვანარიად გაგრძელებაც შეიძლება. თუმცა, სასიამოვნოა, რომ არც ამ გზაზე ვარ მარტო.

8. სამშობლო, ეს არის?

სამშობლო მეხსიერების ბარათია, რომელშიც ჩაგწერეს. ან შეიძლება შენ თვითონ ხარ მეხსიერების ბარათი, სამშობლო კი პროგრამაა, რომელშიც ძირითად ინფორმაციებს კითხულობ ან აგროვებ. ზოგჯერ ტყვიაა, რომელიც ომში გხვდება; ძვირფასი საფლავი, რომელიც მავთულხლართის იქით დარჩა; კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი, რაც წინაპრებმა შექმნეს ან ვერ შექმნეს; ეს არის შუალედური ადგილი ეგზისტენციურ ფასულობებსა და ინდივიდუალურობას, პირად სამყაროს შორის. ამ უკანასკნელს თუ საკუთარ ოთახად წარმოვიდგენთ, მაშინ სამშობლო „მამულის“ ადგილას აღმოჩნდება, რომლის იქითაც ნაკლებად შენი სამყარო იწყება. კარგია, თუ ამ სივრცეებს შორის კედლები და მავთულხლართები არაა, მაგრამ სამყარომ არ უნდა ჩაყლაპოს უფრო პატარა სამშობლო, სამშობლომ კი – უფრო პატარა ადამიანები. ასე თუ მოხდა, სამშობლო დიქტატურად იქცევა, ან კაცობრიობა – მონოკულტურად, რომელიც დიდხანს ვერ ძლებს. საზღვარი უნდა იყოს, მაგრამ არა ერთფეროვნებაში გავლებული სქელი ხაზების, არამედ მრავალფეროვნებაში არსებული გადაკვეთის ადგილების სახით. დაახლოებით ისე, როგორც ეს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზეა, სადაც ყველა ქვეყანას თავისი ფერი აქვს და მათ შორის შავი ხაზის გავლება აღარაა საჭირო.

9. ვინები არიან, იყვნენ, შენი საყვარელი ავტორები, ვის გამოარჩევდი გასული საუკუნიდან?

გალაკტიონი.

10. გაქვს თუ არა რაიმე გატაცება? სხვა ნიჭი? ან რაიმე მნიშვნელობანი მიზანი, რისთვისაც იბრძვი?

ოჯახისგან მეღვინის ყველანაირი წინაპირობა მერგო. ახლა ვცდილობ, რომ ეს გამომივიდეს. ძალიან ცოტა, ნატურალური, საოჯახო მარნის ღვინო. მზადდება ძველი კახური ტექნოლოგიით. მცირე რაოდენობით ჩამოსხმაც დავიწყე, ჯერ მხოლოდ კერძო კლიენტებისთვის. აგვისტოში 40

ბოთლი ამერიკაშიც გაიგზავნა. დაგემოვნება შეიძლება ანდერგრაუნდში და ჩემს მარანში; უფრო სწორედ, „ვაჟა გეთიაშვილის მარანში“. მთავარი მეღვინე მამაჩემია და მარანსაც მისი სახელი ქვია.

11. „მოკვდე შეიძლება მზე ისე შორს არის“ – არის თუ არა ისეთი შეკითხვა შენს ცხოვრებაში, რასაც საკუთარ თავს მუდმივად უსვამ, რაზეც პასუხი აქამდე ვერ გიპოვნია, ან ყოველთვის სხვადასხვა პასუხს არგებ... თუ არის, რომელია იგი?

დრო ძალიან სწრაფად მიდის. კიდევ რამდენი გვაქვს? რატომ აღარაფრისთვის არ რჩება? რა უფრო მნიშვნელოვანია? საიდან უნდა დავიწყოთ? რით ვეღარ გაწვიმდა? ძირითადად, ყოფითი კითხვებია, რასაც მუდმივად ვსვამთ და ვერასდროს ვერ ვპასუხობთ.

12. და შენი მუსიკა. რიტმი, რომელსაც გეთიაშვილის რიტმს ეძახიან, რომლის გავლენაშიც უამრავი თანამედროვე ავტორი მოექცა (მათ შორის ძალიან ცნობილები) ამის შესახებ რას გვეტყვი, რამდენად სასიამოვნო და გამაღიზიანებელია ეს ფაქტი? და აქვე, თავად როგორ თვლი, ყოფილხარ თუ არა რომელიმე ავტორის გავლენაში?

ეს ის შემთხვევაა, როცა მუსიკაა მთავარი! არის სხვა შემთხვევებიც და კიდევ სხვა შემთხვევებიც. უბრალოდ, როცა შეიძლება, რომ იყოს მუსიკაც, ვინმემ აუცილებლად უნდა სცადოს. შესაძლებლობები თვითონ ენაშია და ახალ-ახალი მუსიკის შექმნა ამ შესაძლებლობის რეალიზებაა. რაც შეეხება გავლენებს, ეს უფრო ახალი სკოლის დამკვიდრების ბუნებრივი პროცესი მგონია, რომელსაც ხან ერთი ავტორი ქმნის, ხან – მეორე.

13. გაქვს ნათარგმნი რამდენიმე ლექსი, რაც ინტერნეტ სფეროში მოიძიება, რამ განაპირობა მაგ კუთხითაც გეცადა კალამი? ხომ არ ფიქრობ, რომ როდესაც რთულდება საკუთარი შემოქმედების შექმნა, მაშინ ცდილობს ავტორი არ მოშორდეს ლიტერატურას და ამ კუთხით გადააგოროს „კრიზისი“, შენს შემთხვევაში როგორ იყო?

თარგმნა საინტერესო, კომპლექსური და რაც მთავარია, შემოქმედებითი პროცესია. ამ დროს არა მარტო წერ, არამედ კითხულობ, უამრავ საინტერესო სიახლეს პოულობ და მის გადმოტანას ცდილობ. ჯერ – სასიამოვნო პრივილეგია, არჩევანის თავისუფლება გაქვს. თარგმნი იმას, რაც ყველაზე უფრო ახლოა, ან განსაკუთრებული და ნოვაციური გეჩვენება.

ჩემი დამოკიდებულება ისეთია, რომ ამ პროცესიდან დამოუკიდებლად სრულფასოვანი ლიტერატურული ნაწარმოები უნდა მიიღო. ორიგინალთან ახლოს, მაგრამ ქართულ ენასთანაც ახლოს. ლექსი აბსოლუტურად თავიდან იწერება. არა ისე, როგორც ერთხელ უკვე დაიწერა სხვა ენაზე, არამედ, როგორც მას ავტორი, მაგალითად, ედვინ არლინგტონ რობინსონი დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო. ამბობენ, რომ თარგმანები მთარგმნელებს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე – ავტორებს. ასეც უნდა იყოს. სხვანაირად, მივიღებთ მეორად, რეციკლირებულ პროდუქტს, რომელსაც ყველა მკითხველთან მიყვება დაღი, რომ სინამდვილეში სხვა მკითხველისთვის იყო დაწერილი. აქედან გამომდინარე, ყველა ჩემი თარგმანი ჩემი შემოქმედების ნაწილად მიმაჩნია.

რაც შეეხება კრიზისს, შეიძლება ასეც იყოს. თუმცა, პირიქითაც შეიძლება – თარგმანმა ახალი შთაგონება რომ მოგცეს.

14. ჩვენი საუბარი დასასრულს მიუახლოვდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. მგონი კარგი გამოვიდა და ბოლოს, მინდა გკითხო, რა სიახლეებს ველოდოთ შენგან? აპირებ თუ არა ახალი კრებულის გამოცემას ან რაიმე სხვა ლიტერატურულ აქტივობას უახლოეს მომავალში? აქვე, რას უსურვებდი თანამედროვე ავტორებს, მკითხველებს და ზოგადად ქართულ ლიტერატურას?

რამდენიმე წიგნი მოვამზადე, ოღონდ – პროზა. ერთს, ალბათ, შემოდგომაზე გამოვცემ. ლექსები – ძალიან ნელა გროვდება და ჯერ წიგნად ვერ იქცა. ავტორებს და მკითხველებს მეტ დროს ვუსურვებ, წერისა და კითხვისთვის. დანარჩენი – დასაწერიც ყოველთვის იქნება და წასაკითხიც.

ალბომი 5

2018